ξαντο, Χοριάνης δὲ ἀνδρας μὲν
χιλίους τῶν οἱ ἐπομένων ἀπολε-
ξάμενος τεθωρακισμένους τε
καὶ τὰ ἄλλα ἐξωπλισμέ-
νους ὡς ἄριστα, πρόσω ἐπὶ
κατασκοπῇ ἔπεμφεν, αὐτὸς δὲ
παντὶ τῷ ἄλλῳ στρατῷ ὅπισθεν
εἰ, φυλακτῆριον ὀλίγων τινῶν ἐν
τῷ στρατοπέδῳ ἀπολιπών. προτε-
ρήσασα δὲ ἡ Λαζῶν ἵππος ἀτι-
μάζει τὰς ἐπαγγελίας οἷς ἔδρα-
σεν, ἐπὶ τῶν ἔργων διαβλαψασα
τὰς πρόσθεν ἐλπίδας. τὰς γὰρ

ძოლეთ მოწინააღმდეგეს აღუყიღნი-
კეთილი იმედებით“.

ეს რომ თქვა გუბაზმა, გამოი-
ყვანა ლაზთა ჯარი და ისინიც
შემდეგნაირად განეწყვენ. პირ-
ველ რიგში ლაზთა ცხენოსნი-
დაირაზმნენ მგნის პირისპირ, უკან,
არა ახლოს, არამედ კარგა მოშო-
რებით, მისდევდა მათ რომაელთა
ცხენოსანი ჯარი. ამ რომაელებს
წინამძღოლობდნენ ფილეგაგე, ტო-
შით გეპელი, ნიჭიერი კაცი, და
იოანე არმენიელი, მშვენიერი მკო-
დნე სამხედრო საქმეებისა, თომას
შვილი, რომელსაც მეტსახელად
გუზს—ეძახდნენ, ამის შესახებ მე წინა-
წიგნებში მქონდა მოხსენებული¹.
ბოლოს მიყვებოდნენ ლაზთა მეფე
გუბაზი და რომაელთა სარდალი
დავისთე თავთავისი ქვეითა ჯა-
რით, იმ ანგარიშით, რომ თუ ვინი-
ცობაა ცხენოსნები უკუიქცეოდნენ,
ისინი ადვილად გადარჩენილიყ-
ვნენ მათი საშუალებით. ამნაირად
განეწყვენ რომაელები და ლაზე-
ბი, ხორიანემ კი გამოარჩია თავისი
მხლებლებიდან ათასი კაცი, შე-
ჭურვილი აბჯრით და სხვა რამითაც
საუკეთესოდ შეიარაღებული, და
წინასწარ ვაგზავნა დასახვერავად,
ხოლო თვითონ მთელი დანარჩენი
ჯარით უკან მიიღოდა, ბანაკში კი
დასტოვა მცირერიცხოვანი რაზმი.
ლაზების ცხენოსანი ჯარი რომ
წინ მიიწევდა, მან თავისი მოქმე-
დებით დაარღვია დაპირებები და
წინდაწინ მოცემული იმედები სა-

¹) იხ. ზემოთ გვ. 131.

των πολεμίων προδρομοῖς ἐντε-
 τυχηγίτες ἔξαπιναιῶς οὐκ ἐνεγ-
 κόντες τε τὴν αὐτῶν ὄψιν, τρέψαν-
 τες αὐτίκ᾽ αὖτις Ἴππους, κέσμω
 οὐδενὶ οπίσω ἀνέστρεφον, τοῖς
 τε Ῥωμαίοις ἐπειγόμενοι ἀνεμί-
 γνυντο, ἐς αὐτοὺς οὐκ ἀπαξισυν-
 τες καταφυγεῖν, εἰς δὲ ξυντάσσεσ-
 θαι τὰ πρότερα ᾤκνουν. ἐπειδὴ
 δὲ ἀμφοτέροι ἀλλήλων ἄγχιστα-
 ῖναιτο, χειρῶν μὲν τὰ πρότερα
 οὐδέτεροι ἦρχον οὐδὲ ξυνέμισγον,
 ἀλλὰ τῶν ἐναντίων ἑκάτεροι
 ἐπιόντων μὲν ἀνεπόδιζον, ὑπο-
 χωρούντων δὲ ἐπεβάτευον, ἐς τε
 ὑπὸ γαγᾶς καὶ παλινδιῶξεις καὶ
 ἄγχιστρέφους μεταβολᾶς πολὺν
 τινα κατέτριψαν χρόνον.

Ἦν δὲ τις Ἄρταβάνης ὄνομα
 ἐν τούτῳ τῷ Ῥωμαίων στρατῷ, Περ-
 σαρμένιος γένος, ὅσπερ ἐς Ἄρμε-
 νίους τοὺς Ῥωμαίων κατηκόους
 πολλῶ πρότερον ἀπητυομοληκῶς
 ἔτυχεν, οὐχ ἀπλῶς, ἀλλὰ φονη-
 ρῶν Περσῶν εἶχοσι καὶ ἑκατὸν ἀνδ-
 ρῶν μαχίμων, Ῥωμαίοις τὴν ἐς
 αὐτοὺς πίστιν πεπονημένος ἐχέγ-
 γασον. Βαλεριανῷ γάρ τίτε στρα-
 τηγοῦντι ἐν Ἀρμενίῳς ἐς ὄψιν ἔλ-
 θῶν ἄνδρας πεντήκοντα Ῥωμαίους
 οἱ αὐτῷ διδόναι ἐδείτο. ταχὺν τε
 ὄνπερ ἐβούλετο, ἐς φρούριον ἐν
 Περταρμενίῳς κείμενον ἦει. εὖ
 δὲ ἑκατὸν τε καὶ εἶχοσι Περσῶν
 φυλακτῆριον ὑπὸ τῷ φρουρίῳ αὐ-
 τόν ξὺν τοῖς ἐπιμένουσιν ἐδέξαντο,

ქმით ვერ გაამართლა. როდესაც
 ისინი უცებ მტრის წინა რაზმებს
 შეხვდნენ, ვერ შესძლეს მათ პირის-
 პირ ყოფნა, მაშინვე მოაბრუნეს
 ცხენები, უმწყობროდ გამობრუნდნენ
 უკან და მიაშურეს რომაელებთან
 შესაერთებლად; არ ითაკილეს
 იმათთან თავის შეფარება, ვისთა-
 ნაც წინათ ერთად დარაზმვას
 აყოვნებდნენ. როდესაც ორივე ერთ-
 მანეთის ახლოს მივიდოდა, არც
 ერთი არ იწყებდა ბრძოლას, არა-
 მედ თითოეული მათგანი ხან უკან
 იხევდა, როდესაც მოწინააღმდე-
 გეებს იერიში მოჰქონდათ, ხან თვი-
 თონ შეუტევდა ხოლმე თუ ისინი
 უკან იხევდნენ, და ამ დახევასა და
 კვლავ-შეტევაში და ხშირ-შირ
 ცვლილებებში მათ კარგა დიდი
 დრო დახარჯეს.

რომაელთა ჯარში იყო ერთი
 კაცი, სახელად არტაბანი, ტომით
 პერსარმენიელი, რომელიც კარგა
 ხნის წინათ გადავიდა რომაელთა
 ქვეშევრდომ არმენიელების მხარე-
 ზე, — უბრალოდ კი არა, არამედ
 ას ოცი კარგი მეზრძოლი სპარსე-
 ლის მოკვლით რომაელებს მათლა-
 მი დიდი ერთგულება დაუმტკიცა.
 ის ხომ გამოცხადდა არმენიელთა
 მაშინდელ სარდალთან, ვალერიან-
 ნესთან, და მოსთხოვა მიეცა მისთვის
 ორმოცდაათი რომაელი; რომ აუსრუ-
 ლეს, რასაც ითხოვდა, ის წავიდა
 პერსარმენიელების ქვეყანაში მდებ-
 არე სიმაგრისაკენ. აქ ის მისი
 მხლებლებითურთ მიიღეს სიმაგრის
 ცველმა სპარსელებმა, ასოცმა

οὐπω ἐνδύγων ὄντα ἔτι δὴ μετα-
 πορευθεὶς τὴν πολιτείαν νεωτερί-
 ζει. ἔ δὲ τοὺς τε εἰκοσι καὶ ἑκα-
 τὸν κτείνοντας καὶ ξύμπαντα ληϊσά-
 μενος τὰ ἐν τῷ φρουρίῳ
 χρήματα, μεγάλα ὑπερφυῶς ὄντα,
 παρὰ Βαλεριανὸν καὶ τὸ Ῥωμαί-
 αιν στρατε μα ἤλθε, πιστός τε
 σφίσι ἀπ' αὐτοῦ φανείς Ῥω-
 μαίοις τὸ λοιπὸν ξωνεστράτευεν.
 οὗτος Ἀρταβάνης ἐν ταύτῃ τῇ
 μάχῃ δύο ξὺν αὐτῷ τῶν Ῥωμαίων
 στρατιωτῶν ἐπαγόμενος ἐν μετ-
 αιχμίῳ ἐγένετο, οὐ δὴ ἀφίκοντο
 καὶ τῶν πελεμίων τινές. ἐφ' οὖς
 Ἀρταβάνης ὀρμήσας, τῶν Περσῶν
 ἕνα, ψυχῆς τε ἀρετῆς καὶ σώματος
 ἀλκῆς ἐπιεικῶς μέγαν, τῷ δόρατι
 εὐθύς ἔκτεινεν, ἔκ τε τῷ ἔππου
 ῥίψας προσουδίξει χαμαί. τῶν δὲ
 τις βαρβάρων παρὰ τῷ πεπτωκότι
 ἐστῶς ζίφει κατὰ κόρρης τὸν Ἀρ-
 ταβάνην ἐπάταξεν, οὐ καιρίαν
 πληγὴν. ἄτερός τε τῶν τῷ Ἀρ-
 ταβάνῃ ἐπισπομένων, Γότιθος γέ-
 νος, τοῦτον δὴ τὸν ἄνδρα, τὴν
 χεῖρα ἔτι ἐν τῇ τοῦ Ἀρταβάνου
 κεφαλῇ ἔχοντα, κατὰ λαγόνῃ
 ἐπιτοχῶν τὴν εὐώνυμον διεχρή-
 σατο. καὶ οἱ χίλιοι τοῖς ξυμπε-
 πτωκόσιν ἐκπεπληγμένοι ὀπίσω
 ἐχώρουν, τὸν τε Χοριάνην σὺν
 τῷ ἄλλῳ Περσῶν τε καὶ Ἀλανῶν
 στρατῷ ἔμενον καὶ οὐκ ἐς μακ-
 ρὰν ἀνεμίγνυντο σφίσι.

Ἦδη δὲ καὶ οἱ ἀμφὶ Γουβάζην
 καὶ Δαγισθαῖον πεζοὶ ἐς ἑπτεῖς
 τοὺς σφετέρους ἀφίκοντο καὶ ἡ

კაცმა, რომელთაც არ იცოდენ,
 რომ ის გადაუღდა თავის ქვეყანას
 და გულში სხვა ზრახვები აქეს.
 იმან კი დახოცა ეს ას ოცი კაცი,
 გაძარცვა სიმაგრის მთელი ქონება,
 რომელიც ძალიან დიდი იყო, და
 მოვიდა ვალერიანესთან და რომა-
 ელთა ჯართან და, რადგან ის
 ამიერიდან მათთვის სანდოდ ჩნდა,
 რომელებთან ერთადაც ლაშქრობ-
 და ხოლმე. ამ ბრძოლის დროს ეს
 არტაბანი ორი რომელი ჯარის-
 კაცის თანხლებით ორივე ჯარის-
 შუა შვეიდა, სადაც მოწინააღმდე-
 გეებიდანაც მოსულ იყვნენ ზოგიერ-
 თები. არტაბანი გაემართა მათ
 წინააღმდეგ და უმაღვე მოკლა
 ჰოროლით ერთი სპარსელთაგანი,
 კაცი თვალსაჩინო. როგორც სუ-
 ლიერი სივაჟაკით ისე სხეულის
 სიმტკიცით, მოსხლიტა ის ცხენი-
 დან და მიწაზე დაანარცხა. ხოლო
 ერთმა ბარბაროსთაგანმა, რომე-
 ლიც მოკლულის გვერდით იდგა,
 მახვილით დაჭრა არტაბანი თავ-
 ში, მაგრამ არა სასიკვდილოდ.
 მეორე კანისკაცმა, არტაბანის
 მხლებლებიდან, ტომით გუთმა,
 მარცხენა გვერდში ჩასცა ამ კაცს.
 რომელსაც არტაბანის თავზე ჰქონ-
 და ხელი მძიმოქნეოი, და მოკლა
 იგი. და ის ათასი კაცი გაბრუნდა
 უკან, მომხდარი ამბებით თავზარ-
 დაცემული, და ელოდენ ხორიანეს
 სპარსელთა და ალანთა დანარჩენი
 ჯართოვრით და მალე შეუერთდენ
 მათ.

ხოლო გუბაზისა და დავისთეს

μάχη ἐν χερσὶν ἀμφοτέρωθεν ἦν. τότε δὴ Φιλήγαγός τε καὶ Ἰωάννης, ἐλάσσοις εἶναι ἢ ἐνεγκεῖν ἐπιούσαν τὴν τῶν βαββάρων ἵππον οἰόμενοι μάλιστα ἐπεὶ ἀπέγνωσαν τὴν Λαζῶν δύναμιν, ἀπὸ τῶν ἵππων ἀποθορόντες ταυτὸ πρῶτον ἀναγκάζουσι Ῥωμαίους τε καὶ Λαζοὺς ἅπαντας. ἐς φάλαγγά τε ὡς βιβητάτην ταξάμενοι πεζοὶ μειωπηδὸν ἀντίοι τοῖς πολεμίοις ἐστῆσαν ἅπαντες, τὰ δόρατα ἐπανατεινόμενοι σφίσι. οἱ δὲ βάρβαροι οὐκ ἔχοντες ὅ τι γένωνται (οὔτε γὰρ ἐπιθραμεῖν πεζοῖς γε οὔσι τῆς ἐναντίας ἐδύναντο οὔτε αὐτῶν ξυστραξάσαι τὴν φάλαγγα εἰς τὴν ἴσχυ) ἐπεὶ αὐτοῖς εἰ ἵπποι τὰς τε τῶν δοράτων αἰχμαῖς καὶ τῶ τῶν ἀσπίδων πικτάγω ἀχθόμενοι ἀνεχάτιζον, ἐπὶ τὰ τόξα ἔβλεπον ἅπαντες, ἐλπίδι θαρσύνοντες ὡς πληθεῖ βελῶν ῥᾶστα τοῖς πολεμίοις ἐς φυγὴν τρέφονται. καὶ Ῥωμαῖοι εἰς Λαζοὺς ἅπανσι ταυτὸ τῆς ἐπιούσης. ἑκατέρωθεν τε συχνὰ ἐς ἀλλήλους τριξήματα ἦεν, ἐκ τε ἀμφοτέρων πολλοὶ ἐπιπτόν. ἦέροισι μὲν οὐκ καὶ Ἄλανι μάλιστα συνεχῆ τὰ βέλη πολλῶ ἔτι μάλλον ἢ εἰ ἐναντίοι ἀφίσταν, ἀλλ' αὐτῶν τὰ πολλὰ [ἐς] τὰς ἀσπίδας ξυββαίνεν ἀποκρούεσθαι. ἐν τούτῳ δὲ τῶ πολεμῶ Χοριάνη τῆς Περσῶν ἄρχοντι βεβλήσθαι ξυββῆ. ὑφ' ἑσσομέντο! οὐτος ἀνήρ βληθείη, φανερόν οὐδενί. γέγονε τῆς γὰρ

ქვევითა ჯარები მივიდენ თავიანთ ცხენოსნებთან და ორივე მხრით დაიწყო ხელჩართული ბრძოლა. მაშინ ფილეგაგემ და იოანემ, რომელნიც ფიქრობდენ, რომ უძლეური იყვნენ და ბარბაროსთა ცხენოსანი ჯარის შემოტევას ვერ გაუძლებდენ, რადგან საკმაოდ გაიცნეს ლაზთა ძალა და მისი იმედი არ ჰქონდათ, ჩამოხდენ ცხენებიდან და აიძულეს რომაელები და ლაზები ასევე მოქცეულიყვნენ ყველანი. ორმა ფალანგით დარაზმული ქვევითა ჯარები მტრის პირისპირ დადგენ და დაუმინხეს მათ ჰოროლები. ბარბაროსებმა არ იცოდენ რა ექნათ (რადგან ქვევითად მყოფი მოწინააღმდეგისთვის, არც შეტევა შეეძლოთ არც მათი ფალანგის დაშლა), ვინაიდან ჰოროლთა წვერებით და ფარების ხმაურით შეწუხებული ცხენები ყალბხე დგებოდენ, და ყველამ მიხედა მშვილდს და აღინთო იმედით, რომ ისრების სიმრავლით მალე აოტებდენ მტრს. რომაელებიცა და ლაზებიც, ყველანი, ასევე მოიქცნენ. ორივე მხრიდან ხშირ-ხშირად მოდიოდა ისრები, ორივე მხრით ბევრი ეცემოდა. სპარსელები და ალანები, რასაკვირველია, გაცილებით უფრო მეტ ისრებს უშვებდენ, ვიდრე მოწინააღმდეგეები. მაგრამ მრავალი ისარი ფარს ხვდებოდა და უკუვარდებოდა. ამ ომში სპარსთა მთავარი ხორიანეც დაიჭრა, ხოლო გამოურკვეველი იყო, თუ ვინ და-

τινι ἐκ τοῦ ὀμίλου τῶν ὀστρακτος
 ἐς τε τοῦ ἀνθρώπου τὸν ἀρχένο-
 παγεις εὐψωρὸν αὐτὸν διεχρή-
 σατο, ἐνόησεν τε θανάτω ἀνδρὸς ἢ
 τε μάχη ἐκλίθη καὶ πρὸς τοὺς
 Ῥωμαίους ἢ νίκη ἐχώρει. ὁ μὲν
 γὰρ ἐκ τοῦ ἵππου ἐς τὸ ἔδαφος
 ἐπὶ στόμα πεσὼν ἔκειτο, δρόμῳ
 δὲ πολλῶ ἐπὶ τὸ χαράκιμα οἱ
 βάρβαροι ἦεσαν, οἱ τε Ῥωμαῖοι
 ξὺν τοῖς Λαζοῖς ἐπιστόμενοι πολ-
 λούς ἔκτεινον, ἐλπίδα ἔχοντες
 αἰρήσειν αὐτοβυεῖ τὸ τῶν ἐναν-
 τίων στρατόπεδον. ἀλλὰ τις τῶν
 Ἀλανῶν [ἐς] εὐψυχίας πέρι καὶ
 σώματος ἰσχύος <εὐ> ἦκων, το-
 ξεύειν τε συχνὰ ἐφ' ἐκάτερα δια-
 φερόντως ἐξεπιστάμενος, ἐς τοῦ
 χάρακος τὴν εἰσοδὸν στενοτάτην
 οὖσαν εἰστήκει, ἐμπόδιος τε τῆς
 ἐπιουσί παρὰ δόξαν ἐπὶ πλεῖστον
 ἐγένετο. Ἰωάννης δὲ, ὁ τοῦ Θω-
 μά παις, μόνος ὡς ἀγχοτάτω παρ'
 αὐτὸν ἦκων ἐξαπιναιῶς τὸν ἀν-
 θρωπον δόρατι ἔκτεινεν, οὕτω τε
 Ῥωμαῖοι καὶ Λαζοὶ τοῦ στρατο-
 πέδου ἐκράτησαν. καὶ τῶν βαρ-
 βάρων πλείστοι μὲν αὐτοῦ διεφ-
 θάρησαν, οἱ δὲ λοιποὶ ἀπεκομίσ-
 θησαν ἐς τὰ πάτρια ἦθη, ὡς ἐκά-
 στω δυνατὰ γέγονεν. αὕτη μὲν
 οὖν ἡ Περσῶν ἐσβολὴ ἐς γῆν
 τὴν Κολχίδα γενομένη ἐς τοῦτο
 ἔτελεύτα. καὶ ἄλλη δὲ Περσῶν
 στρατιὰ τὸς ἐν Πέτρῳ φραυρὸς
 τῷ τε τῶν ἐπιτηδείων πλήθει
 καὶ πᾶσι τοῖς ἄλλοις ἐπιρρώσαντες
 ἀνεχώρησαν (H a u r y II, 518-525).

ჭრა ეს კაცი. მოხდა ისე, რომ ისა-
 რი, ვისლაც მიმართულეებით რომ
 მოდიოდა, ჩაერჭო მას პირდაპირ
 კისერში და მოკლა იგი; ერთი კა-
 ცის სიკვდილმა ბრძოლის ბედი
 გადასწყვიტა და გამარჯვება რომ-
 ძაელების მხარეს დარჩა. ცხენიდან
 მიწაზე პირქვე დაცემული იღვა ის
 და ბარბაროსები დიდის სიბრბი-
 ლით გაემართნენ თავის ბანაკისა-
 კენ; რომაელებმა ლაზებთან ერ-
 თად ბევრი ამოყლიტეს და იმედი
 ჰქონდათ, რომ პირველი იერიშის-
 თანავე გაანადგურებდნენ მოწინა-
 აღმდეგეთა ბანაკს. მაგრამ ერთი
 ალანთაგანი ვაჟკაცობით და სხეუ-
 ლის ძალით გამოჩენილი, რომელ-
 საც იშვიათად კარგად ეხერხებო-
 და სხვადასხვა მხრით ისრების
 ხშირი სროლა, დადგა ბანაკის მე-
 ტად ვიწრო შესავალში და, ყო-
 ველგვარი მოლოდინის გარეშე, შეა-
 ბრკოლა შემომსვენნი. იოანე, თო-
 მას შვილი, მარტო მიუახლოვდა
 მას მოულოდნელად და ჰოროლით
 მოკლა ის, და ამრიგად რომაელებმა
 და ლაზებმა ხელთ იგდეს ბანაკი-
 ძალიან ბევრი ბარბაროსი ექვე
 იქმნა მოკლული, ხოლო დანარჩე-
 ნებმა თავს უშველეს სამშობლო
 ქვეყანაში, რამდენადაც ეს თი-
 თოეულისათვის შესაძლებელი იყო.
 ასე დამთავრდა სპარსელების ეს
 შემოსევა კოლხეთის ქვეყანაში. და
 სპარსელთა დანარჩენი ჯარიც გა-
 ბრუნდა უკან, მის შემდეგ რაც
 მან გაამაგრა პეტრაში მყოფი
 მკველი რაზმები დიდძალი სანო-
 ვაგით და ყველა საჭირო საგნით.

აფხაზთა განდგომა.

Ἐν τούτῳ δὲ τότε ξυνηχέθη γενέσθαι. Λαῖοι Δαγισθαίων ἐς βασιλέα διέβαλλον, ἐς Βυζάντιον ἵκοντες, προδοσίαν τε καὶ μηδισμὸν ἐπιφέροντες. Πέρσαι γὰρ αὐτὸν ἰσχυρίζοντο ἀναπεισθέντα σὺ βεβουλῆσθαι, καταπεπτωκότος τοῦ Πέτρας περιβόλου ἐπιβατεῦσαι, τοὺς τε πολεμίους μισλάκους μεταξὺ φάμμου ἐμπλησαμένους καὶ αὐτῶν τὰς ἐπιβλάς ἀντὶ λίθων ποιησαμένους τοῦ περιβόλου ὅσα καταπεπτῶκει ταύτη κρατῶνασθαι. ἔλεγόν τε ὡς Δαγισθαῖος, εἴτε χρήμασιν εἴτε ὀλιγωρίᾳ ἐς τοῦτο ἡγμένους, τὴν ἐπιθεσίαν ἐς ἕτερόν τινα χρόνον ἀπέθετο, καὶ τοῦ καιροῦ τὴν ἀκμὴν ἐν τῷ παραυτίκα μεθῆκεν, ἥς γε οὐκέτι ἀντιλαβέσθαι οἶός τε ἐγγόνει. αὐτὸν οὖν βασιλεὺς ἐν τῷ αἰκήματι καθείρξας ἐτήρει. Βασσαν δέ, ἐξ Ἰταλίας σὺ πολλῶ ἔμπροσθεν ἤκοντα, στρατηγὸν Ἀρμενίων καταστησάμενος ἐς Λαζικήν πέμπει, ἀρχεῖν ἐπαγγείλας τοῦ ἐνταῦθα Ῥωμαίων στρατοῦ. σὺ δὲ καὶ Βενίλος, ὁ Βούζου ἀδελφός, ξὺν στρατῷ ἦδη σταλείς ἔτυχε καὶ Ὀδόναχός τε καὶ ἔ Βάβας ἐκ Θράκης καὶ Οὐλίγαγος Ἐρουλος γένος. Ὅτε Ναβέ-

IV, 9. აი, ასე მოხდა ეს. ლაზები მოვიდნენ ბიზანტიონში და დააბეზლეს მეფესთან დაგისთე: მას ისინი გამცემლობას და მედიზმს¹ აბრალებდნენ. ისინი ამტკიცებდნენ, რომ მან, სპარსელების მიერ ჩავონებულმა, არ მოინდომა შეტევა, მიუხედავად იმისა რომ პეტრას გალავანი დაეცა, და მტრებმა ქვიშით აავსეს ტომრები, ჩაალაგეს ისინი ქვების მაგიერ და ასე გაამაგრეს გალავანი იმ ადგილას, სადაც ის დანგრეული იყო. თქვეს მათ ისიც, რომ დაგისთემ—მოსციდვით თუ დაუღვევრობით ჩაიღინა ეს—გადადვა შეტევა სხვა დროისთვის და ხელიდან გაუშვა მაშინდელი მოხერხებული დრო, რომლის დაბრუნება უკვე შეუძლებელი შეიქმნა. მეფემაც ის სატუსალოში ჩაამწყვდია და მცველები მიუჩინა; ხოლო ბესსა, რომელიც ცოტა ხნის წინათ იტალიიდან დაბრუნებულიყო, არმენიელთა სტრატეგოსად დაადგინა და ლაზიკეში გააგზავნა: მას დაავალა იქ მყოფი რომაელი ჯარის სარდლობა. იქვე გაგზავნილ იქმნა ჯარითურთ ბუზეს ძმა ვენილე, ოდონაქე, ბაბა თრაკელი და ულიგაგე, ტომით ერული². ნაბედე კი ჯარით შეიჭრა ლაზიკეში და სხვა ისეთი:

¹) მედიზმი (μηδισμος)—მიდთა ე. ი. მიდიელთა მომხრეობა.

²) „ბუზეს ძმა ვენილე, ოდონაქე, ბაბა თრაკელი და ულიგაგე, ტომით ერული“: აქ მოხსენებული პირები არიან ცნობილი ბიზანტიელი სამხედრო მთლვაწეები: ბუზე (Βουζης) თრაკიელი 528 წელს ველიზარის-

θης ἐσφαλῶν ἐξ Ἀαζιῶν στρατῶ
 ἄλλο μὲν τι λόγιον ἀξιον ὑμῶν
 ἔδρασαν, Ἀβασχοῖς δὲ ἀποστᾶσι
 ἀπὸ τῆ Ῥωμαίων καὶ Ἀαζῶν ἐπι-
 χωριάσας τῆ στρατιᾶ ταύτης, παῖ-
 δας τῶν ἐν σφίσι λεγόμεν ἐξή-
 κοντα ἐν ἑμήρων λόγῳ πρὸς ὑ-
 τῶν ἔλαβε. τότε δὲ ποιούμενος
 ὁ Ναβέδης ὄνομα πάρεργον, καὶ
 Θεοδώραν Ὀψίτην ἑταίρησασαν

ღირსშესანიშნავი არაფერი მოუ-
 მოქმედია, ხოლო ამ ჯარითურთ
 ჩადგა რომაელებისა და ლაზებ-
 სიგან განდგომილ აფხაზთა ქვეყა-
 ნაში¹ და ხელთ იგდო მათგან მძევ-
 ლებად სამოცი ბავშვი, წარჩინე-
 ბულთა გვარებიდან. მაშინ ნაბედ-
 მა სხვათაშორის აფსილეთში ჰპო-
 ვა და ხელთ იგდო თეოდორა, თა-
 ნამეცხედრე ოფსიტესი (რომე-

თან ერთად იბრძოდა სპარსელების წინააღმდეგ მინდუოსში (Μινδουσε), ნიზიბინის
 მახლობლად (BP I, 13; ბიზანტიელები ამ ბრძოლაში დამარცხდნენ); 529 წელს
 მონაწილეობა მიიღო ველიზარის სარდლობით წარმატებით წარმოებულ ომში
 დარასთან (BP I, 13—14). სიტტას გარდაცვალების შემდეგ (539 წ.) ბუზე გაიგ-
 ზავნა არმენიაში და სპარსელებთან ომის განახლებისას (540 წ.) დანიშნულ იქნა
 აღმოსავლეთის სტრატეგოსად (magister militum per Orientem). ამ ომის დროს;
 542 წელს, ის შეუერთდა ბიზანტიელთა მთავარ სამხედრო ძალას, ველიზარის
 სარდლობით (BP II, 20).—უკანასკნელად ბუზეს ვხვდებით 554 წელს კოლხიდაში,
 სადაც ის ბესსასთან და მარტინესთან ერთად საომარ ოპერაციებს ხელმძღვანელობს
 («სარდლობენ ბესსა, მარტინე და ბუზე, კაცნი წარჩინებულნი და მრავალი
 ბრძოლის გადამხდელნი»: Agathias II, 18; Dindorf HGM II, 210, 30—32; იხ. ავ
 რეთვე Agathias III, 6; HGM II, 244 შდ).—ბუზეს ძმა ვენილე (Βενίλες), რო-
 მელიც ჩვენს ნაწყვეტში იხსენიება, ბიზანტიელების მიერ პეტრას აღების შემდეგ (551
 წელს) ხელმძღვანელობს ულიგაგესთან ერთადერთ ნაწილს ბიზანტიელთა 12-ათა-
 სიანი, მაგრამ ორ ნაწილად გაყოფილი, ჯარისა, რომელიც არქეოპოლისის მახლო-
 ბლად («მდინარე ფაზისის შესართავთა აქეთ») იბრძვის (იხ. ქვემოთ BG III, 13).
 —ოღონაქე 551 წელს ბაბა თრაკელთან ერთად მეთაურობს არქეოპოლისის ციხე-
 ში დაბანაკებულ სამათას ბიზანტიელს (BG VIII, 13) და დიდის წარმატებით
 დაიკავს ამ ციხეს.—ბაბა თრაკელი ამის გარდა 555 წელსაც მეთაურობს
 ბიზანტიელთა ჯარს კოლხიდაში (Agathias III, 19; HGM II, 270).—ულიგაგე,
 ტომით ერული, იგზავნება გსნდგომილი აბაზგების წინააღმდეგ ოპერაციების სა-
 წარმოებლად (ამის შესახებ იხ. წინამდებარე თავში). გარდა ამისა ულიგაგე ვენი-
 ლესთან ერთად, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, არქეოპოლისის მახლობლად არის
 დაბანაკებული.—იგივე ულიგაგე (Ουλιγαγγος) 554 წელს კოლხიდაშია (Agathias
 III, 6; HGM II, 245..

¹) ნაბედეს წარსული მოღვაწეობიდან პროკოპისავე საშუალებით ვიცით
 შემდეგი: 541 წელს ის ხოსროს მიერ დანიშნულ იქნა ნიზიბინის მცველი რაზმის
 უფროსად და, ბიზანტიელების (თვით ველიზარის) აზრით, სპარსელებს შორის
 წარჩინებითა და სახელგანთქმულობით ხოსროს შემდეგ პირველი კაცი
 იყო (BP II, 18). 543 წელს პერსარმენიაში მთავარსარდლის თანამდებობა უჭი-
 რავს (BP II, 24) და სოფელ ანგლონთან (დუბიოს—დვინის მახლობლად) დაამარ-
 ცხებს ბიზანტიელებს (BP, II, 25).

(ὅς ἐγεγόνει Γουβάζου μὲν φείτος, Λαζῶν δὲ βασιλεύς) εὐρών ἐν Ἀφιλίαις εἶλεν, ἕς τε τὰ Περσῶν ἡθῆ ἀπήνεγκε. Ῥωμαία δὲ γένος ἡ γυνὴ ἐτύγχανεν οὐσα, ἐπεὶ ἐκ παλαιοῦ οἱ Λαζῶν βασιλεῖς ἕς Βυζάντιον πέμπυντες βασιλέως τε γνῶμη ξυγιόντες ἕς κίθός τισι τῶν ἀπὸ τῆς συγκλήτου βουλῆς γοναίχως ἐνθῆνδε γαμειάζ ἐκομίζοντο. καὶ Γουβάζης ἀμίλει Ῥωμαίας γυναικὸς ἐγεγόνει γένος. ἕτος δὲ ἔνεκα οἱ Ἀβασγοὶ οὕτως ἕς ἀπόστασιν εἶδον, ἐγὼ δηλώσω.

Ἐπειδὴ βασιλεῖς τούς σφετέρους καθείλιν, ἡπέρ μοι ἔναγχος δεδιήγηται. στρατιῶται Ῥωμαίων πρὸς βασιλέως στελλόμενοι ἐπεχωρίαζόν τε αὐτοῖς ἐκ τοῦ ἐπὶ πλείστον καὶ προσπεισθαι τῇ Ῥωμαίων ἀρχῇ τὴν χώραν ἡξίουν, κινά τε αὐτοῖς ἄττα ἐπέταττον. εἶσπερ Ἀβασγοὶ βιασιτέρους οὖσιν, ἀτεχνῶς ἤχθοντο. δεῖσαντες οὖν μὴ Ῥωμαίων δούλοι τὸ λοιπὸν ἔσονται, τούς ἀρχοντας αὐτοῖς κατεστήσαντο σφίσι Ὀψίτην μὲν ὄνοια ἕς τῆς χώρας, τὰ πρὸς ἀνίσχυντα ἦλιν, Σκεπαρῶν δὲ ἕς τὰ πρὸς ἑσπέραν. ἕς ἀγαθῶν γὰρ ἐκπεπωκότες ἀπγγωσιν τὰ πρότερον δόξαντα σφίσι μοχθηρὰ εἶναι τῶν ἐπιγενομένων ἄτε πονηριτέρων ὄντων, ὧς τὸ εἶκός,

ლიც გუბაზის ბიძა იყო, ლაზთა მეფე¹), და სპარსთა ქვეყანაში წაიყვანა. ეს ქალი ტომით რომაელი იყო, რადგან ძველითგანვე ლაზთა მეფეები ბიზანტიონში გზავნიდნენ ელჩებს და მეფის თანხმობით უნათესავდებოდნენ დარბაზისაკანთ, და მოჰყავდათ იქედან ქალები ცოლებად. ასე რომ, ცხადია, გუბაზი შთამომავლობით რომაელი ქალისაგან იყო. თუ რის გამო განდგენ ეს აბაზგები, ახრავი ნათელვყოფ.

როდესაც მათ თავიანთი მეფეები მოსპეს, როგორც ეს ჩემ მიერ ახლახან იყო მოთხრობილი², რომაელთა ჯარსკაცები, კეისრის მიერ წარგზავნილები, მათ ქვეყანაში იდგენ ხოლმე ძალიან ხშირად და მათ უნდოდათ ეს ქვეყანა დაემორჩილებიათ რომაელთა ძალებებისათვის, და მათ ახალ-ახალ რაღაც ჩესებს უმყარებდნენ. ამ ძალადობის გამო აბაზგები პირდაპირ აუტანელ მდგომარეობაში ჩავარდნენ. იმის შიშით, რომ ამიერიდან რომაელთა მონებად არ გამხდარიყვნენ, მათ კვლავ დაიყენეს თავისთვის მთავრები, აღმოსავლეთის ნაწილისათვის ოფსიტე სახელად, ხოლო დასავლეთისათვის სკეპარნა. ისინი რომ სასოწარკვეთილებაში ჩავარდნენ, ის, რაც წინათ ეგონათ რომ საზარელი იყო, გასცვალეს მომავალზე.

¹ ოფსიტე (Οψιτης) — ლაზთა მეფე, წათე I-ის ძმა და გუბაზის ბიძა (მდ. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია I, 182). სხვა პირია ქვემოთ, ამავე თავში, მოხსენებული აფხაზთა მთავარი ოფსიტე.

² BG VIII, 3 (იხ. ზემოთ გვ. 157).

ἀντηλλάσσοντο, δυνάμιν τε ἀπ' αὐτοῦ τὴν Ῥωμαίων δειμαίνοντες Πέρσαις ὡς λαθραϊότατα πρ.σέ.χώρησαν. ἄπερ ἐπεὶ βασιλεὺς Ἰουστινιανὸς ἤκουσε, Βέσσαν ἐκέλευε στράτευμα λόγου ἄξιον ἐπ' αὐτ.ὺς στείλαι. ὁ δὲ π.λλοὺς ἀπολεξάμενος τοῦ Ῥωμαίων στρατοῦ, καὶ ἄρχοντας ἐπ.στήσας αὐτοῖς Οὐλίγαγόν τε καὶ Ἰωάννην τὸν Θάμᾶ υἱόν, αὐτίκα ἐπὶ τοὺς Ἀβασγούς ναυσὶν ἐπεμψεν. ἐτύγχανε δὲ ἄτερος μὲν τῶν ἐν Ἀβασγούτῃς ἡγουμένων, Σκεπαρναῶς θνητῶν, ἐν Πέρσαις τινὰ διατριβὴν ἔχων. μετὰπεμπτος γὰρ θλίψ.πρότερον παρὰ Χοσρόην ἀφίκτο. ὁ δὲ δὴ ἔτερος, τὴν Ῥωμαίων μαθίων ἐφοδον, τοὺς τε Ἀβασγούς ἀπαντας ἤγειρε καὶ ὑπαντιάζειν διὰ σπυρδῆς εἶχεν.

Ἔστι δὲ χῶρος μετὰ τοὺς Ἀψιλίας ἕρους ἐν τῇ ἕς τὴν Ἀβασγίαν εἰσόδῳ τοῖσδε ἕρος ὑψηλὸν ἐκ τῶν Καυκασίων ἀρχόμενον καὶ κατὰ βραχὺ ἐλασσόμενον. τε καὶ ὑπολήγον ὥσπερ τις κλίμαξ κατατείνει καὶ τελευτᾷ ἐς τὸν Εὐξείνιον Πόντον. καὶ φρούριον μὲν ἐχυρώτατόν. τε καὶ μεγέθους περὶ ἄξι.λογώτατον ἐκ π.λαιῶν Ἀβασγοῖ ἐν τῇ ὑπαρξίᾳ τοῦ ἕρους τούτου ἐδείμαντο. οὗ δὴ καταφεύγοντες ἐκκρούουσιν αἰεὶ τὰς τῶν πολεμίων ἐφ.δ.υς, σὺδαμῆ ἐχό.τιων τὴν δυσχωρίαν βιάζεσθαι. μία δὲ εἰσόδος εἰσάγ.υσά ἐστὶν ἕς τε τὸ φρούριον τοῦτο καὶ ἐς τὴν ἄλλην

მგრამ ცხადია უფრო საზარელზე, ამის გამო რომელთა შიშით სპარსელებს მიეკედლნენ სრულიად ფარულად. როდესაც ეს იუსტინიანე მეფემ გაიგო, უბრძანა ბესასს დიდძალი ჯარი გაეგზავნა მათ წინააღმდეგ. ხოლო ამან რომელთა ჯარიდან გამოარჩია ძრავალი, სარდლებად დაუდგინა მათ ულიგაგე და იოანე, თომას ძე, და მაშინვე ნავებით გაგზავნა ისინი აბაზგების წინააღმდეგ. აბაზგთა ერთი წინმძღოლთაგანი, სახელად სკეპარნა, სპარსეთში იმყოფებოდა: ცოტა ხნის წინათ ის ხოსროსთან დაებარებიათ და იქ წასულიყო. ხოლო მეორემ რომ შეიტყო რომელთა შემოტევის შესახებ, შეკრიბა ყველა აბაზგები და გადაწყვიტა შეხვედროდა მვირს.

აფსილიის საზღვრების შემდეგ აბაზგიის შესავალში ასეთი ადგილია: მაღალი მთაა გადაჭიმული, რომელიც კავკასიის მთებიდან იწყება და თანდათან ეშვება, როგორც კიბე, და ევქსინის პონტოსთან თავდება. ამ მთის ძირში აბაზგებს ძველადვე აუშენებიათ უმტკიცესი სიმაგრე ღირსშესანიშნავი სიდიდის. აქ შეხიზნულები მუდამ იგერიებენ მტრის შემოტევას, რომელსაც არსად არ შეუძლია ამ ძნელი ადგილის გადალახვა. ერთი შესავალი გზა მიდიოდა ამ ციხეშიც და აბაზგების დანარჩენ მიწაწყალზეც და იგი წყვილ წყვილად მიმავალთათვის ძნელად გასავლენ

Ἄβασγῶν χώραν, ἥπερ ἀνδράσι
 σύνδου ἐρχομένοις ἀπόρευτος τυ-
 χάνει οὐα. μηχανή γάρ οὐδεμία
 ἐστὶν ἐτι μὴ κατ' ἀνδρά καὶ μό-
 λης πεζεύοντα ἐνθένδε ἰέναι. τῆς
 τε ἀτραποῦ ταύτης ὑπέρκειται
 φάραγξ ἐσάγαν ἰκλήρα ἐκ τοῦ
 φρουρίου διήκουσα μέχρι ἐς τὴν
 θάλασσαν. φέρεται δὲ καὶ προ-
 σηγορίαν τῆς φάραγγος ἀξίαν ὁ
 χώρος, ἐπεὶ αὐτὸν ἑλληνίζοντες οἱ
 τῆδε ἀνθρώποι τὰ Τραχέαι καλοῦ-
 σιν. ὁ μὲν οὖν Ῥωμαίων στόλος
 μεταξὺ ἑρίων τῶν τε Ἀβασγῶν
 καὶ τε Ἀψιλίων, κατέπλευσεν,
 Ἰωάννης δὲ καὶ Οὐλίγαρος ἐς
 τὴν γῆν τοὺς στρατιώτας ἀποβι-
 βάσαντες πεζῇ ἐχώρουν, οἱ τε ναῦ-
 ται καὶ ἀκάτους ἀπάσαις παρὰ
 τὴν ἥλινα πῶ στρατῷ εἶποντο.
 ἐπειδὴ δὲ τῶν Τραχέων ὡς ἀγχε-
 τάτω ἐγένοντο, ἐξωπλισμένους τε
 ἑρῶσιν Ἀβασγούς ἀπαντας καὶ
 τῆς ἀτραποῦ ὑπερθεῖν, ἥς ἄρτι
 ἐμνήσθη, κατὰ τὴν φάραγγα ὄλην
 ἐν τάξει ἐστῶτας, ἀμηχανία τε
 πολλῇ εἶχοντο θέσθαι τὰ σφίσι
 παρόντα σὺδαμῇ ἔχοντες ἕως ἐν
 αὐτῷ πολλὰ λογισάμενος Ἰωάννης
 ἄχεσιν τινα τοῦ κακοῦ εὐρε. τὸν
 γάρ Οὐλίγαρον ξὺν πῶ ἡμίσει τοῦ
 στρατοῦ ἐντάσθη εἰσάσας αὐτὸς
 τοὺς ἄλλους ἐπαγόμενος τὰς ἀκά-
 τους ἐπλήρου. ἐρέσσοντές τε χῶ-
 ραν τὸν τῶν Τραχέων περιηλθόν τε
 καὶ διέβησαν ὄλην καὶ κατὰ νῶ-
 τας τῶν πολεμίων ταύτη ἐγένοντο.
 ἄρσαντες οὖν τὰ σημεῖα ἐς αὐτούς

ლი იყო. არავითარი შესაძლებ-
 ლობა არ არის იქ გასვლისა, თუ
 არა კაცად-კაცადად და ისიც ფე-
 ხით. ამ გზას ზედ ადგას ნაპრალო
 მეტად საზარი, რომელიც ციხი-
 დან ზღვამდეა გადაჭიმული. თვით
 ადგილიც ამ ნაპრალის შესაფერ-
 სახელწოდებასაც ატარებს: იქაუ-
 რი მცხოვრებლები ელლინურად
 მას „ტრაქეას“ უწოდებენ. რო-
 მელთა სტოლი აბაზგებისა და
 აფსილელთ საზღვრებს შუა ჩავიდა,
 ხოლო იოანემ და ულიგაგემ გა-
 დმოსხეს ჯარები ხმელეთზე და
 ფეხით გასწიეს, მეზღვაურები-კა-
 მთელი თავისი ხომალდებით ნაპირ-
 ნაპირ მისდევდნ ჯარს. როდესაც
 ისინი ტრაქეას მიუახლოვდნ,
 დაინახეს აბაზგები, ყველანი შე-
 იარაღენულნი, რომელნიც იმ გზის
 ზემოთ, რომელიც ახლახან მოვი-
 ხსენიე, მთელი ნაპრალის გასწვრივ
 იდგნ დარახმულნი, და დიდ გა-
 ჭირებაში ჩავარდნ, რადგან ვერ
 გარკვეულიყვნნ შექმნილ მდგომა-
 რეობაში, ვიდრე იოანემ დიდი ჩაფი-
 ქრების შემდეგ არ გამოძებნა ერთი
 საშუალება ამ უბედურების ჩინა-
 აღმრიგ. ულიგაგე ნახევარი ჯარი-
 თურთ იქ დასტოვა და თვითონ
 წაიყვანა დანარჩენები ხომალდებ-
 ზე. მათ გასტურეს, მოუარეს, და
 გაიარეს მთელი ადგილი ტრაქეისა
 და მოექცნნ მტერს ზურგით. მაშინ
 ამართეს მათ დროშები და გას-
 წიეს მტრის წინააღმდეგ. აბაზგებ-
 მა რომ დაინახეს, რომ მტერი
 მათ ორივე მხრით მოაწვა, ველარ

ήεσαν. Ἀβασγοὶ δὲ τῆς πλε-
 μίους σφίσιον ἑκατέρωθεν ἐγκειμέ-
 νους ἰδόντες ἐς ἀλκὴν μὲν οὐ-
 κἄτι ἐβλεπον, οὐδὲ τὴν τάξιν ἐφύ-
 λασσόν, ἐς ὑπαγωγὴν δὲ ξὺν πολ-
 λῇ ἀκοσμίᾳ τραπόμενοι πρόσω-
 ἐχώρουν, οὕτω τῷ δέει καὶ τῇ
 ἀπ' αὐτοῦ ἀμηχανίᾳ συμπεδιζό-
 μενοι ὥστε οὕτε τὴν πατρίαν
 σφίσι δυσχωρίαν ἔτι διαγινώσκειν
 ἐδύναντο ρῦτε πη εὐπετῶς ἐνθέν-
 δε ἵεσαι. Ῥωμαῖοι δὲ αὐτοῖς ἑκα-
 τέρωθεν ἐπισπόμενοι τε καὶ κα-
 ταλαβόντες πολλοὺς ἔχτειναν. ὁρό-
 μῳ τε ξὺν τοῖς φεύγουσιν ἐς τὸ
 φρουρίον ἀφικόμενοι ἀνακεκλιμένης
 ἔτι ἐπιτυχάνουσι τῆς ταύτης πυ-
 λίδος, οἱ γὰρ φύλακες ἐπιθειναι-
 τὰς θύρας οὐδαμῇ εἶχον, ἀλλὰ
 τοὺς φεύγοντας ἔτι ἐδέχοντο. τῶν
 τε φυγόντων τοῖς διώκουσιν ἀνα-
 μιχθέντων ἐπὶ τὰς πύλας ἵενται
 ἅπαντες, οἱ μὲν ἐπιθυμίᾳ τοῦ σώ-
 ζεσθαι, οἱ δὲ τοῦ τὸ φρού-
 ριον ἐξελεῖν. ἀνακεκλιμένας οὖν
 τὰς πύλας εὐρόντες συνεισέβαλον
 ἐς ταύτας ἀλλήλους. οἱ γὰρ πυ-
 λῶροι οὕτε διακρίνειν ἀπὸ τῶν πο-
 λεμίων τοὺς Ἀβασγοὺς εἶχον οὕτε
 τὰς πύλας ὑπερβιαζομένου τοῦ ὁμί-
 λου ἐπιτιθέναι. καὶ οἱ μὲν Ἀβασ-
 γοὶ ἄσμενοι ἐντὸς τοῦ περιβόλου
 γυμνόμενοι ξὺν τῷ φρουρίῳ ἤλίσκον-
 το, Ῥωμαῖοι δὲ τῶν ἐναντίων κέ-
 κρατηκέναι οἰόμενοι πόνῳ δυσκο-
 λωτέρῳ ἐνταῦθα ὁμίλουν. τῶν γὰρ
 οἰκῶν συχνῶν τε οὐσῶν καὶ οὐ
 πύλων διεχουσῶν ἀλλήλων, ἀλλὰ

შესძლეს წინააღმდეგობის გაწევა,
 ვერც სიმწყობრე შეინარჩუნეს და
 დიდის უთავბოლოობით უკან დაი-
 ხნეს დიდ მანძილზე; ისე დაუბნია
 თავგზა შიშმა და ამით გამოწვე-
 ულმა უმწყობრამ, რომ ვერც თა-
 ვიანთი მშობლიური ადგილის
 გარჩევა შესძლეს და ვერც იქიდან
 როგორმე ადვილად გამოსვლა.
 ხოლო რომაელები მათ ორივე
 მხრივ დაედევნენ, შეიპყრეს და
 ბევრიც მოკლეს. ოტებულებთან
 ერთად სიბრძლით რომ მივიდნენ
 ციხეში, იქაური კარიბჭე ღია და-
 ხვდათ. მცველებს თურმე ვერ
 მოეხერხებიათ კარების დახშვა,
 არამედ გამოქცეულებს ხედებოდენ.
 ოტებულნი და მათგებელნი ერთ-
 მანეთში იყვნენ არეული და ყვე-
 ლანი კარებისაკენ მიისწრაფოდნენ:
 ერთნი გადარჩენის სურვილით,
 ხოლო მეორენი ციხის ასაღებად.
 კარები გაღებული რომ იპოვეს,
 შიგ შეცვივდნენ ერთიერთმანეთზე.
 მეკარენი ხომ ვერ ახერხებდნენ
 ვერც აბაზგების გარჩევას მტრი-
 საგან, ვერც კარების დახშვას
 ბრძოს მოწოლის გამო. და გახა-
 რებული აბაზგები გალავნის შიგ-
 ნით რომ აღმოჩნდნენ, ციხესთან ერ-
 თად იქმნენ ხელში ჩავდებულნი,
 ხოლო რომაელებს ეგონათ, რომ
 უკვე სძლიეს მოწინააღმდეგე, მაგ-
 რამ იქ უფრო მძიმე გასაჭირში
 აღმოჩნდნენ. ეს იმიტომ, რომ რა-
 დგან სახლები ხშირ-ხშირი იყო
 და ერთიმეორეს დიდი მანძილით
 კი არ იყო დაშორებული; არამედ

καὶ τρόπον τείχους πανταχόθεν
 συμπεφραγμένων, Ἄβασγ-ι ἐξ αὐτὰς
 ἀναβάντες καὶ σθένει παντὶ ἀμυ-
 νόμενοι, τοὺς περλεμίους κατὰ κορυ-
 φὴν ἔβαλλον, πόνω καὶ φέβω καὶ
 τῷ ἐξ παιδῶν τε καὶ γυναῖκας ἐλέφ
 καὶ τῆ ἐνθύνδε ἀπορίᾳ ἐχόμενοι,
 ἕως Ῥωμαῖς ἐμπρῆσαι τὰς οἰκίας
 ἐξ ἔννοιαν ἤλθε. πῦρ τοίνυν αὐταῖς
 πανταχόθεν ἀνάψαντες τοῦ ἀγῶ-
 νος παντάπασι τούτου ἐκράτησαν.
 Ὁπίτης μὲν οὖν, ὁ τῶν Ἄβασγῶν
 ἄρχων, ξὺν ὀλίγοις τισὶ φυγεῖν
 ἴσχυσεν, ἕξ τε Οὐννοὺς τὺς πλη-
 σιοχώρους καὶ ὄρος τὸ Καυκά-
 σιον ἀνεχώρησε. ταῖς δὲ δὴ ἄλ-
 λοις ἢ ξὺν ταῖς οἰκίαις ἐξηγθρα-
 κωμένοις τετεφρῶσθαι ξυνέβη, ἢ
 ὑπὸ ταῖς τῶν περλεμίων γεγενῆσθαι
 χερσίν. ἐζώργησαν τὲ Ῥωμαῖοι
 καὶ τὰς τῶν ἀρχόντων γυναῖκας
 ξὺν γόνω παντὶ, τῶν τε φρουρίσιν
 τὸν περίβολον ἐξ ἔδαφος καθεῖλον
 καὶ τὴν χώραν ἔρημον κατεστή-
 σαντο ἐκ τοῦ ἐπὶ πλείστον. Ἄβα-
 σγοῖς μὲν οὖν τὰ τῆς ἀπεστασεως
 ἐξ τοῦτο ἐτελεύτη, ἐν δὲ Ἀψι-
 λίοις ἐγένετο τάδε (Haury II,
 525—530).

კედლის მსგავსად ყოველმხრივ შე-
 მოზღუდული, აბაზგები ზედ ავი-
 დენ და მთელი ძალღონით იცაფ-
 დენ თავს და დაუშინეს მტერს.
 ზევიდან, როგორც გაჭირებისა
 და შიშის გამო, ისე ბავშვებისა და
 ცოლების შებრალებისა და აუტა-
 ნელ მდგომარეობაში ჩავარდნის
 გამო; ბოლოს რომაელებს აზ-
 რად მოუვიდათ ამ სახლებისა-
 თვის ცეცხლი წაეკიდათ. მართ-
 ლაც ყოველმხრივ ცეცხლი ზოსდეს
 სახლებს და სრული გამარჯვებულ-
 ნიც გამოვიდენ ამ ბრძოლაში.
 ოფსიტემ, აბაზგთა მთავარმა, რამ-
 დენიმე კაცით მოახერხა გაქცევა
 და გაემართა მეზობელ ჰუნებში და
 კავკასიის მთებში. ხოლო დანარ-
 ჩენები ან ფერფლად იქცენ გადამ-
 წვარ სახლებთან ერთად, ან
 მტრის ხელში ჩავარდენ. რომაე-
 ლებმა დაატყვევეს მთავართა ცო-
 ლები მთელი მათი შთამომავლო-
 ბითურთ, ციხის გალავანი კი მი-
 წასთან გაასწორეს და მთელი მი-
 წაწყალი უდაბნოდ აქციეს. ასე
 დაბოლოვდა აბაზგების განდგომა.
 ხოლო აფსილების ქვეყანაში შემ-
 დევი მოხდა.

1) შევსებულ „ქართლის ცხოვრებაში“ შეტანილია შიო მღვიმელის „ცხო-
 რებიდან“ ამოღებული (საბინინი, სპ. სამოთხე, გვ. 236) ერთი ცნობა, რო-
 მელიც ეხება ბიზანტიელთა ლაშქრობას აფხაზეთის საზღვარზე განდგომილ ერ-
 თერთი ტომის წინააღმდეგ. ამ ცნობაში კვითხულობთ: «უამსა მას ოდეს თვთ-
 მპყრობელი იუსტინიანოს, მეფე ბერძენთა, ჰბრძოდა კერძოთა ოვსეთისათა; საზ-
 ლვარსა ავაზგ ასსა, ნათესბესა ტასკუნთასა (ქ. ცხ. აქაც და ქვევითაც „ხასკუნთა“),
 რამეთუ ექმნა მათ განდგომილება, მაშინ მოძღუანა (საბ. მოუძღუანა) ნიქი-
 დიდი იუსტინიანოს ფარსმანს, ქართუელთა მეფესა, და ევედრა რათა შეეწიოს
 მკედრობასა მისსა, ყოვლითა ძალითა თჳსითა, და ბრძოლა უყოს ტასკუნთა. ის-
 მინა უკუე ფარსმან ვედრება ბერძენთა მეფისა და დაუტევა ევაჯრე. მცველ სამეფ.

ავშილების განდგომა.

Ἀφίλοι μὲν ἐκ παλαιοῦ κα-
τήκοι Λαζῶν τυγχάνουσιν ἕντες·
ἔστι δὲ τι φρούριον ἐν ταύτῃ τῇ
χώρῃ ἔχυρὸν μάλιτσα, Τζιβιλῆν
αὐτὸ καλοῦσιν οἱ ἐπιχώριοι. τῶν
δὲ τις ἐν Λαζαῖς λεγίμων, Τερ-
δέτης ὄνομα, ἔσπερ εἶχε τὴν τοῦ
καλσυμένου μαγίστρου ἀρχὴν ἐν
τούτῃ τῷ ἔθνει, Γουβάζῃ τῷ τῶν
Λαζῶν βασιλεῖ προσκεκρυμμένως τε
καὶ χαλεπῶς ἔχων, Πέρσαις ἄμο-
λόγησε λάθρα τοῦτο δὲ ἐνδῶσειν

VIII 10. აფსილები ძველითგანვე
ლაზთა ქვეშევრდომები არიან. ამ
ქვეყანაში არის ერთი ციხე, მე-
ტად მტკიცე, ადგილობრივი მცხო-
ვრებლები მას წიბილეს უწოდებ-
ენ. ლაზთა შორის ერთმა წარჩი-
ნებულთაგანმა, სახელად ტერდეტ-
მა, რომელსაც ეგრეთწოდებული
მაგისტროსის ძალაუფლება ეპყრა
ამ ხალხში და რომელიც ლაზთა მე-
ფე გუბაზთან წაჩხუბებული იყო
და მასთან უკმაყოფილება ჰქონდა.

ფოსა (ქ. ცხ.: „სამეფოსა“) თვსსა. ხოლო თვთ უკუე წარვიდა, და შეწვენითა
ლუთისათა დაიმორჩილა ნათესავი იგი ტასკუნთა, და მთავარი მათნი ყოველნი
შეპყრობილნი წარავლინა წინაშე იუსტინიანესსა. მერმე (ქ. ცხ.: მერე) მოიქცა
თვსსავე (ქ. ცხ.: თვსადვე) სამეფოდ» (ქ. ცხ. კონსტანტინის გამ. I, 227; ს ა ბ ი
ნ ი ნ ი 236). შიოს ბიოგრაფიაში შეტანილი ეს ცნობა საჭიროებს ზოგიერთ გან-
მარტებას. იქ მოხსენებული «კერძოთა ოვსეთისაჲა, საზღვარსა ავაზგიასსა, ნა-
თესავსა ტასკუნთასა» მეტად ბუნდოვან გამოთქმას წარმოადგენს: ტასკუნთა ტომი
უცნობია (ბ რ ო ს ე ს შესაძლებლად მიანიხი მისი დაკავშირება კონსტანტინე პორ-
ფიროგენეტის მიერ De adm. imp. 42 თავში მოხსენებულ Καζαჯია სთან: H. de
la G. I 212); «კერძონი ოვსეთისანი» (თუ აქ „ალანეთი“ არაა) არ შეიძლება
ყოფილიყო «საზღვარსა ავაზგიასსა» და ამიტომ საფიქრებელია, რომ აქ ტექსტი
იყოს დამახინჯებული. მეორე მხრით, ამ ცნობის ისტორიული ხასი: თის უარყოფ-
ა და მისი ლეგენდარულად ჩათვლა თუნდაც იმ მოსაზრებით, რომ ამ დროს
ივერიას მეფეები აღარ ჰყავს (532 წლიდან იქ სპარსელები ბატონობენ) და, მაშა-
ლადავე, იუსტინიანე «ფარსმანს, ქართულთა მეფეს», დახმარებისათვის ვერ მი-
მართავდა, ჩვენ შეუძლებლად მიგვაჩნია. ვინაიდან იუსტინიანეს (527-565 წწ.)
ერთერთ ლაშქრობაზე შემკველი ცნობა ასურელ მამათა—და კერძოდ შიოს—სა-
ქართველოში მოღვაწეობის დროს (VI საუკუნის შუა წლებს) კარგად ეფარდება
(შდ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია I³, 342) და გარდა ამისა
აფხაზთა საზღვრებში 550 წელს, პროკოპის ზემოთ მოყვანილი ცნობით, მეტად
მძლავრ შეტაკებას ჰქონია ადგილი ლაზ-ბიზანტიელებსა და მათგან განდგომილ
აფხაზებს შორის, საფიქრებელია, რომ, როდესაც სიტყვამ მოიტანა, შიოს „ცხო-
რების“ აღმწერელმა იუსტინიანეს (ე. ი. შიოს თანამედროვის) დროინდელი ეს
ამბავიც მოიხსენია. ძნელი საფიქრებელია, რომ ქართულ ცნობაში მოხსენებული
ლაშქრობა, რომლის დროს იუსტინიანეს იბერიისათვის მიუშართავს დახმარების
გამოსათხოვად, ისეთ ეპიზოდს ეხებოდეს, რომელიც იუსტინიანეს დროინდელ
ლაშქრობათა აღწერს, პროკოპი კესარიელს, გამორჩა. მაშასადამე, ჩვენი
ცნობა აფხაზეთში მომხდარ ამბებს ეხება და, რამდენადაც «ავაზგია» (Αβαζγία)

τὸ φροῦριον, στρατεύματ' τε
 Περσῶν ἐπαγόμενος ἐπὶ ταύτῃ τῇ
 πράξει ἐξ Ἀψιλίαν¹ ἦει. καὶ ἐπεὶ
 ἄγγιστα τῶν φρουρίου ἐγένοντο,
 πρῶτερῆσθε αὐτὸς ἦν τοῖς ἐπομέ-
 νοις οἱ Λαζοὶς ἐντὸς τῶν περιβόλου
 ἐγένετο, ἐπεὶ οἱ τὸ φυλακτῆριον
 ταύτῃ ἔχοντες ἀπιστεῖν τῷ Λαζῶν
 ἄρχοντι οὐδ' αὖτ' εἶχον, οὐδ' αὖτ' ἐξ
 αὐτὸν ὑποψία ἔχόμενοι. οὕτω τε
 ἀφ' ἰσχυροῦ τὸ Περσῶν στρατεύματ'
 τῷ φρουρίῳ ἔτερπτότ' ἔδεδῆατο.
 καὶ ἀπ' οὐτῶν Μῆδοι οὐ Λαζο-
 κῆν μόνον, ἀλλὰ καὶ Ἀψιλίαν¹

ფარულად აღუთქვა სპარსელებს,
 რომ ამ ციხეს გადასცემდა; ის კი-
 დეც წამოუძღვა სპარსთა ჯარს და
 აფსილიაში გაემართა ამ საქმის
 შესასრულებლად. როდესაც ისინი
 ციხეს მიუახლოვდნენ, თვითონ მისი
 მხლებელი ლაზებითურთ დაწი-
 ნაურდა და გალავნის შიგნით შე-
 ვიდა, რადგან ამ ციხის მკველ
 რაზმს არ შეეძლო არ ნდობოდა
 ლაზთა მთავარს. და როდესაც სპარ-
 სთა ჯარი ციხესთან მივიდა, ტერ-
 დეტმა ის შეუშვა. ამიტომ მიღებს
 ეგონათ, რომ მათ არა მხოლოდ

ბერძნული ფორმა, ის ბერძნული წყაროდან მომდინარეობს. და, როგორც პროკოპი კესარიელის მოთხრობაში აფხაზთა წინააღმდეგ ლაშქრობის აღწერა მოცემულია მათი მოსახლდრე აფსილების ტერიტორიის მდებარეობის აღწერასთან დაკავშირებით, ისე იმ ბერძნულ წყაროში, საიდანაც ქართული ცნობა მომდინარეობს, მოსალოდნელია ყოფილიყო ისეთი გამოთქმა: საიდანაც ქართველს გაეკეთებია «კერძოთა აფსილიეთისათა»; საზღვარსა ავაზგიასსა», რაც შემდეგ დაშინჯდა გამოთქმად «კერძოთა ოვსეთისათა».

გამოთქმა «ოვსეთისათა» აქ გამართლებული იქნებოდა იმ შემთხვევაში, რომ აქ «ოვსეთად» ალანთა ქვეყანა იგულისხმებოდა. მაგრამ, ვინაიდან, ჩვენის აზრით, ქართველი ბიოგრაფოსის ცნობა ბერძნულიდან მომდინარეობს; ძნელი საფიქრებელია, რომ იმ მწერალს, რომელმაც ბერძნული ფორმა Ἀψαζία დასტოვა, „ალანთა ქვეყანა“ «ოვსეთად» შეეცვალა: აქაც ის «ალანეთს» დასტოვებდა.

რაც შეეხება იმის შესაძლებლობას, რომ «ქართულთა მეფეს» (ან „მთავარს“) აღნაზრება აღმოეჩინა ბიზანტიელებისათვის, იმ დროს როდესაც ქართლში სპარსელები ბატონობდნენ და ბიზანტიასა და სპარსეთს შორის საომარი ომებ-რაციები იყო გაშლილი (პეტრა სპარსელებს უჭირავთ და რომელ სტრატეგოსს ბესსას ალყა აქვს მისთვის შემორტყმული), ამის შესახებ შემდეგს მივუთითებთ. ქართველი ისტორიკოსის ცნობით სპარსელთა ბატონობა ქართლში (ფართო გაგებით) VI საუკუნის შუა წლებში არ ვრცელდება მთელს აღმოსავლეთ საქართველოზე: «ფარსმან დაუწერა მას (ე. ი. სპარსთა მეფეს) მორჩილება და მსახურება, და წარვიდა სპარსთა მეფე. მიერითგან განიყუნეს ნათესავნი ვახტანგ მეფისანი, რამეთუ შვილნი დაჩისანი ჰსახურებდეს სპარსთა, შვილნი მირდატისნი დაადგრეს მორჩილებასა ბერძენთასა» (მ. მ. დდფ. ქ. ცხ. გვ. 187), ხოლო რამდენიმე წლის შემდეგ «შვილნი ბაკურისნი დარჩეს მთიულეთს კახეთისასა და ნათესავნი მირდატისნი, ვახტანგის ძისანი, რომელნი მთავრობდეს კლარჯეთს და ჯავახეთს. ოგინი დარჩეს კლდეთა შინა კლარჯეთისათა. სხუა ყოველი ქართლი, სომხითი და ასფურავანი დაიპყრეს სპარსთა და ჰბრძოდეს ბერძენთა» (იქვე, გვ. 190).

¹) Ἀψιλίαν L.—²) Τερπότης K.

ἔχουσαι τότε πρὸς αὐτῶν ὄντοι. οὐτε δὲ Ῥωμαῖοι οὐτε Λαῶνοι ἀσ-
 χελίᾳ τῇ ἀμφὶ Πέτρα τε καὶ τῶ
 Μήδων στρατῶ πιεζόμενοι Ἀψι-
 λίοις ἐπαμύνειν ἔσχον. ἦν δὲ τις
 γυνή τῶ ἄρχοντι τοῦ ἐντάϋθα φυ-
 λακτηρίου, Ἀψιλία γένος, τῆν
 ὄψιν εὐπρεπῆς μάλιστα. ταύτης
 θε τῆς γυναικὸς ἐκτόπως ἐρασ-
 θείς ἐξαπιναιῶς ὁ τοῦ Περσῶν
 στρατεύματος ἄρχων. τὰ μὲν πρῶ-
 τα πειρᾶν ἤρξατο, ἔπειτα δὲ, ἐπεὶ
 οἱ πρὸς τῆς γυναικὸς οὐδὲν προε-
 χῶρει, βιάζεσθαι μελλήσει αὐ-
 τὴν οὐδεμιᾶ ἐνεχείρησεν. οἷς δὴ
 δξὺ θυμωθεὶς ὁ τῆς γυναικὸς
 ἀνὴρ, αὐτὸν τε νύκτωρ καὶ ταύς
 ξὺν αὐτῶ ἐς τὸ φρούριον, εἰσελη-
 λυθότας ἅπαντας ἐκτείνε παρανά-
 λωμα τῆς τοῦ ἄρχοντος ἐπιθυμίας
 γεγενημένους, καὶ τὸ φρούριον, ἔσ-
 χεν αὐτός. Ἀβίλιοι¹ τε Κόλχων
 διὰ τοῦτο ἀπέστησαν, ἐπικαλοῦν-
 τες ὅτι δὴ σφᾶς πρὸς Περσῶν
 κακουμένους προσποιεῖσθαι ὀυ-
 δαμῆ ἤθελον. ἀλλὰ Γουβζίλης Ῥω-
 μαίων χιλιούς καὶ Ἰωάννην τὸν
 Θωμᾶ υἱόν, οὐπερ ἔναγχος ἐπεμ-
 νήσθη, ἐπ' αὐτούς ἐπεμφεν. ὅσ-
 περ αὐτούς πολλὰ τιμᾶσσεύων
 ἐπαγαγέσθαι ἀμαχτηὶ ἔσχε καὶ
 Λαζῶν κατηκόους κατεστήσατο
 αὐτοῖς. τὰ μὲν οὖν ἀμφὶ τε Ἀψι-
 λίοις καὶ Τζιβίλῃ¹ τῶ φρουρίῳ τῆδε
 ἐχώρησεν (Haurgy II, 530—532).

ლაზიკე, არამედ აფსილიაც თავის
 ხელში იგდეს. არც რომაელებს და
 არც ლაზებს არ შეეძლოთ დახმა-
 რება გაეწიათ აფსილებისათვის.
 ვინაიდან ისინი პეტრასთან ძარიან
 შევიწროებული იყვნენ მიდთა ჯა-
 რის მიერ. იმ მცველი რაზმის
 უფროსს ცოლი ჰყავდა, ტო-
 მით აფსილი, გარეგნობით მეტად
 მშვენიერი. სპარსთა ჯარის მთავა-
 რი მყისვე სიყვარულით აღიგზნა
 ამ ქალისადმი და ჯერ იწყო ცდა
 ნიღბით რაეთანხმებია იგი, ხოლო
 შემდეგ, როდესაც ამ ქალთან ვე-
 რათერს გახდა, გადაწყვიტა დაუ-
 ყოვნებლივ ძალა ეხმარა მასზე.
 ამით მეტად აღშფოთებულმა ქა-
 ლის ქმარმა ის და მასთან ერთად
 ციხეში შემოსულები ყველანი მო-
 კლა ღამით, რომელნიც, ამიერიე,
 მთავრის ვნებიანობის მსხვერპლნი
 შეიქმნენ, და ციხე თვითონ იგდო
 ხელთ. აფსილები ამიტომ კოლხებს
 გალაულდგენ და ამბობდენ, რომ
 კოლხებმა არ ისურვეს დახმარება
 აღმოეჩინათ მათთვის, როდესაც
 ისინი სპარსელების მხრით განსა-
 ცდელში იყვნენ ჩაყენებული. მაგ-
 რაც გუბაზმა გაგზავნა მათ წინა-
 აღმდეგ ათასი რომაელი და იოანე,
 თომას ძე, რომელიც ახლახან მო-
 ვისხენიე: იმან თავი მოუქონა მათ
 და უბრძოლველად შესძლო და-
 მორჩილება და ისინი კვლავ ლაზ-
 თა ქვეშევრდომები გახდნენ. აი,
 ასე წარიდართა აფსილებისა და წიბილის შესახები საქმეები.

1) Τζιβίλω L.—ხემათაც 183,5; Τζιβίλων L, Τζιβίλων K. აგათონა (IV, 15)
 ამ ციხეს უწოდებს το φρούριον το Τιβέλεος (HGM II 315, 32).

ბრძოლა პეტრასთან 550 წელს.

[თავში მოთხრობილია, 550 წელს რომ იუსტინიანემ პეტრე პატრიკიოსი გააგზავნა ხოსროსთან საზავო მოლაპარაკებისათვის და კონსტანტინეპოლში რომ ხოსროს ელჩად იზდიგუსნა ჩამოვიდა თავისი ამალითურთ და იუსტინიანესთან მოლაპარაკება გამართა].

Ἐν μὲν οὖν Βυζαντίῳ ταῦτα ἐπράσσετο. Βέσσαις δὲ παντὶ τῷ Ῥωμαίων στρατῷ Πέτρας ἐς πλείο-
 κίαν καθίστατο. Ῥωμαῖοι μὲν οὖν ἀμφὶ τὸ τεῖχος διώρυσσον, ἵνα δὴ καὶ Δαγισθαῖος τὰ πρότερα τὴν διώρυχα πεπειρημένος τὸν περίβολον ταύτη καθεῖλεν. ἔτσι δὲ δὴ ἐνέκα ἐς τὸν αὐτὸν χῶρον ᾠρυσσαν, ἐγὼ δηλώσω. οἱ τὴν πόλιν τὸ ἐξ ἀρχῆς ταύτην δειμάμενοι, ἐπὶ πέτρας μὲν ἔθεντο ἐκ τοῦ ἐπὶ πλείστον τὰ τοῦ περιβόλου θεμέλια, ἐνιαχῆ δὲ καὶ ὑπὲρ χύματος αὐτὰ ξυμβαινε κείσθαι. ἦν δὲ τις τοῦ τεύχους μοῖρα ἐς τῆς πόλεως τὰ πρὸς ἐσπέραν οὐ λίαν εὐρεία, ἣς δὴ ἐκατέρωθεν ἐπὶ πέτρας τινὸς σκληρᾶς τε καὶ ἀμυγᾶνου τοῦ περιβόλου τὰ θεμέλια ἐτεκτίναντο. ταύτην τοῖνον τὴν μοῖραν Δαγισθαῖος τε τὰ πρότερα καὶ τανῦν Βέσσαις διώρυσσον ἐμίως οὐκ ἐφείσθη τῆς τοῦ χωρίου φύσεως σφίσι περαιτέρω εἶναι, ἀλλὰ τὸ τῆς διώρυχος μῆκος συμμετρούσης τε αὐτοῖς καὶ πρυτανευσούσης εἰκότως. ἦνίκα οὖν Πέρσαι μετὰ τὴν Δαγισθαῖου ὑπαγωγὴν τὸ καταπέπτωκὸς τοῦτο τοῦ τεύχους ανοικοδομησασθαι ἤθελον, οὐ κατὰ τὰ πρότερα τὴν οἰκοδομίαν πεποι-

VIII 11. ასე მიმდინარეობდა საქმეები ბიზანტიონში. ბესსას კი რომაელთა მთელი ჯარით პეტრასთვის ჰქონდა ალყა შემორტყმული. რომაელებმა გამოთხარეს კედელთან, იქ, სადაც დაგისტემაც წინათხრილი გაკეთა და გალაენის ისნაწილი აიღო. თუ რატომ გამოთხარეს იმავე ადგილას, ახიჯი განვმარტავ. ეს ქალაქი რომ თავდაპირველად აუშენებიათ, გალაენის საძირკველი მეტწილად კლდეზე დაუფუძნებიათ, ხოლო ზოგან საძირკველი ტაგრუცზე დებულა. იყო ერთი ნაწილი კედლისა, ქალაქის დასავლეთით, არც თუ ძალიან ფართო, რომლის ორივე მხრით ერთ ოღრო-ჩოღრო და მოუხერხებელ კლდეზე გალაენის საძირკველი იყო აგებული. სწორედ ეს ნაწილი გამოთხარა წინათ დაგისტემ და აგრეთვე ბესსამაც ახლა, ვინაიდან ადგილის ბუნება ფართო გასაქანს კი არ აძლევდა ამათ, არამედ თხრილის სიგრძეს უზომავდა მათ და ბუნებრივად განსაზღვრავდა. როდესაც დაგისტეს გაბრუნების შემდეგ სპარსელებმა გადაწყვიტეს კედლის ამ დანგრეული ნაწილის კვლავ აგება, იმათ, წინანდებურად კი არ ააგეს, არამედ შემდეგნაირად: და-

ηγται, ἀλλὰ τρόπῳ τοιῷδε. ἀχλὺ-
 κος τὸν κενωθέντα ἐμπλησάμενοι
 χῶρον δοκοὺς παχείας αὐτοῦ ὑπερ-
 φεν ἐθεντο, ἄσπερ ἐνδελεχέστατα
 ξύσαντες ἑμαλάς τε παντάπασι κα-
 ταστησάμενοι ἔξευξαν μὲν ἕξ ἀλ-
 λήλας ἐς μέγα τι εὖρος, κρηπίδα
 δὲ αὐτὰς ἀντὶ φεμελίων ποιησά-
 μενοι τοῦ περιβόλου καθ' ὑπερφεν
 αὐτῶν ἐτεκμήναντο τὴν οἰκοδομίαν
 ἐμπείρωσ. ὅπερ οὐ ξυνέντες Ῥω-
 μαῖοι ἐνερθεῖν τῶν φεμελίων
 πειεῖσθαι τὴν δῶρυχα ῥοντο,
 καὶ τὸν χῶρον κενώσαντες ἕλον
 ἐκ τῶν δοκῶν, ὧν περ ἐπεμνήσθη
 ἀρίτως, ἐπὶ πλείστον τῆς γῆς
 τὸν μὲν περιβόλον κατασεισάσαι
 κατὰ πολὺ ἰσχυσαν, μοῖρά τε
 αὐτοῦ ἐξαπινάκιως κατεπεπτῶ-
 κει, οὐ μόντοι οὔτε πη ἐπὶ θά-
 τερα τὸ πεπτωχὸς τοῦτο ἐκλίθη
 οὔτε τις αὐτῶ τῶν λίθων ἐπι-
 βολῆ ξυνεταράχθη, ἀλλ' ἀκραί-
 φῆς ἕλον εὐθεία τινὶ καταβάσει
 ὥσπερ ἐκ μηχανῆς, ἐς τὸν κενω-
 θέντα χῶρον καταβάν ἔστη, καὶ
 τὴν οἰκίαν ἐφάλασσε χῶραν, οὐκ
 ἐς ὕψος ὅσον τὰ πρότερα, ἀλλ' ἕξ
 τι ἦσσαν, κενωθέντος οὖν πικτὸς
 τοῦ τῶν δοκῶν ἔγερθεῖν χῶρου
 ὑψιζάνειν αὐτὰς ἐνταῦθα ἔν τῇ
 ὑπὲρ αὐτὰς οἰκοδομίᾳ πάσῃ ξυ-
 νέβη. τοῖς δὲ Ῥωμαίοις αὐτῶ ὡς
 ἐσβατὸν ἐγεγόνει τὸ τεῖχος. ὁ
 γὰρ τῶν Περσῶν ἕμιλος, ἡνίκη
 πολὺς ξὺν τῷ Μερμερόῳ ἐνταῦθα
 ἦλθε, μέγα τι χρεῖμα τῇ πρόσθεν
 οἰκοδομίᾳ ἐνθήμενοι ὑψηλὸν ἐσά-

ცალიერებული ადგილი ააიხსეს.
 ქვიშით, მის ზემოთ დაალა-
 გეს მსხვილი ბოძები, რომლებიც
 ზედმიწევნით ვააშალიშინეს და
 სრულიად სწორად დადგენილი
 ექ | ც ო ო დ | ს ო ო ო ო ო და,
 ამრიგად რომ გამოიყენეს ეს ბო-
 ძები ბალავერად ნაცვლად გალავ-
 ნის საძირკველისა, მათ ზემოთ
 ააშენეს ნაგები. რომაელებმა ეს არ
 იცოდნენ და ეგონათ, რომ საძირ-
 კვის ქვემოთ გაჰყავდათ თხრილი,
 და, მთელი ადგილი რომ დააცა-
 ლიერეს იმ ბოძების ქვევით, რომ-
 ლებიც ახლახან მოვიხსენიე, შეს-
 ძღეს ძალიან შეერყიათ თითქმის
 მთელი ზღუდე, მისი ნაწილი კი
 ერთბაშად ძირს დაეცა, მაგრამ
 ისე, რომ დაცემული ნაწილი არც
 მეორე მხარეს მიაწვა, არც ქვათა
 წყობა შეირყა მის გამო, არამედ
 ის დაცალიერებულ ადგილში დაე-
 ცა მთლიანად და შეურყენელად
 ერთგვარი პირდაპირი დაშვებით,
 თითქოს მანქანის საშუალებითო,
 და დაიჭირა თავისივე საკუთარი
 ადგილი, მართალია არა ისეთ სი-
 მაღლეზე, როგორც წინათ, არამედ
 უფრო ნაკლებზე. მოხდა ისე, რომ
 როდესაც მთელი ადგილი ბოძე-
 ბის ქვეშ დაცარიელდა, ეს ბოძები
 მთელი მათზე აგებული შენობი-
 თურთ იქვე დაეშვა. ხოლო რომ-
 მაელებისთვის კედელი შეუვალი
 შეიქმნა, ვინაიდან სპარსელთა დიდ-
 მა ბრძომა, — მერმეროესთან ერთად
 იქ ხომ დიდძალი სპარსელობა
 მისულიყო, — წინანდელ ნაგებობას

γαν τὸν περίβολον ἔτεκτῆσαντο. Ῥωμαῖοι μὲν οὖν, ἐπειδὴ τοῦ περιβόλου τὸ κατασεισθὲν αὐτοῖς ἐστηκὸς εἶδον, διηποροῦντό τε καὶ ἀμηχανία πολλῇ εἶχοντο. οὐτέ γάρ διορυσσεῖν ἔτι ἠδύναντο, ἐς τοῦτο ἀποκεκριμένης τῆς κατώρουχας σφίσι, κριῶ τε χρῆσθαι οὐδαμῇ εἶχον, ἐπεὶ ἐν μὲν τῇ ἀνάγναι: ἐπιχομάχουν, ἡ δὲ μηχανὴ αὐτῇ ἐφέλκεσθαι οὐχ οἶα τέ ἐστιν. οὐ μὲν ἔν χωρίῳ ἑμαλῆ τε καὶ ἄλλαν ὑπέφ.

Τύχη δὲ τὴν ξυνεκύρησεν ἐν τούτῳ τῇ Ῥωμαίων στρατῷ εἶναι βαρβάρων τῶν Σαβείρων¹⁾ ὄλιγους τινὰς ἐξ αἰτίας τοιαύτας. οἱ Σάβειροι ἔθνος μὲν ἐστὶν Οὐννικόν, φηγεται δὲ ἀμφὶ τὰ Καυκάσια ὄρη, πάμπλου πληθὸς μὲν ἐσῆγαν ὄντες, ἐς ἀρχὰς δὲ πολλὰς ἐπιεικῶς διηρημένοι. τούτων δὲ τῶν ἀρχόντων οἱ μὲν τινὲς εἰσι τῇ Ῥωμαίων αὐτοκρατορίᾳ, οἱ δὲ τῇ Περσῶν βασιλείᾳ ἐκ παλαιῶν γινώριμοι. τοῖν τε βασιλείοις ἑκάτερος χρυσίον εἰσάγει τακτὸν τοῖς αὐτοῦ ἐνσπόνδοις προΐεσθαι, οὐκ ἐπέτειον μέντοι, ἀλλ' ἠγίκα ἂν ἐς τοῦτο αὐτὸν ἡ χρεία ἐνάγοι. τότε οὖν Ἰουστινιανὸς βασιλεὺς τῶν Σαβείρων τούς οἱ ἐπιτηδεύουσ ἐς τὴν ὀμαιχιμῶν παρακαλῶν ἐστειλέ τινα τὸν τὰ χρήματα περ' αὐτοὺς κομιῶντα. ὁ δὲ (πολεμίων γὰρ μεταξὺ) ἔντων

¹⁾ σαβείρων ἢ ἰβητῶν καὶ ἰβητῶν.

ბევრი მიაშენა და ძალიან მაღალი ზღუდე ააგო. რომაელებმა რომ დანახეს, რომ ზღუდის შენდრეული ნაწილი კვლავ გაიმართა, ველარსფერი გააწყვეს და სასოწარკვეთილებას მიეცნენ, რადგან მათ არც გამოთხრა შეეძლოთ უკვე, ვინაიდან გვირაბი ვერც ჩამოეგრათ, და არც კედლის მანქანის გამოყენება, ვინაიდან ისინი დაქანებულ ფერდობზე უკედლავდნენ, მანქანა კი შეიძლება მითრეულ იქნეს დავალებულსა და სრულიად სწორად აღიღას.

რალაც შემთხვევით რომაელთა ამ ჯარში მოხვედრილა რამდენიმე ბარბაროზი საბირი შემდეგი მიზეზის გამო. საბირები ჰუნთო ტომია, ისინი ცხოვრობენ კავკასიის მთების მახლობლად და მეტად მრავალრიცხოვანნი არიან და გაყოფილი არიან საკმაოდ ბევრ სამთავროდ. ზოგიერთი ამ მთავართაგან რომაელთა თვითმპყრობელს დაახლოვებია ძველთაგანვე, ზოგი კიდევ სპარსთა მეფესა. თითოეულ ამ მეფეთაგანს ჩვეულებად ჰქონდა თავისი მოკავშირეებისათვის განსაზღვრულ ოქროს ბოძება, მაგრამ არა ყოველწლიურად, არამედ როდესაც ამას საჭიროება მოითხოვდა. მაშინ იუსტინიანე კესარმა თხოვნით მიმართა საბირებს, რომლებიც მას მოკავშირეებად ესაჭიროებოდა, და გაუზავნა მათ ერთი კაცის ხელით ფული. ამ კაცმა კი ვერ შესძლო. თავისუფლად მისულიყო კავკასიის მთებში

ἐς ὄρη τὰ Καυκάσια ἵεναι ζῦν
 τῷ ἀσφαλεῖ ἄλλως τε καὶ χρή-
 ματα ἐπαγόμενος οὐδαμῆ εἶχεν)
 ἀφικνεῖται μὲν παρὰ τε τὸν Βέσ-
 σαν καὶ τὸ Ῥωμαίων στρατόπε-
 δον, ὅπερ ἐς τὴν Πέτρας πολι-
 ρίαν καθίστατο, παρὰ δὲ τοῖς
 Σαβείροις πέμψας ἐκέλευσεν αὐ-
 τῶν τινὰς ὅτι τάχιστα τοῖς τὰ
 χρήματα ληψιμένους παρ' αὐτὸν
 ἴκειν, οἳ τε βάρβαροι τρεῖς ἀπο-
 λεξάμενοι τῶν ἐν σφίσι ἀρχόν-
 των, ζῦν ὀλίγοις τισὶν ἐς Λαζι-
 κὴν εὐθὺς ἔπεμψαν· οἳ δὲ ἐν-
 ταῦθα γενόμενοι ζῦν τῷ Ῥωμαί-
 ων στρατῷ ἐς τὴνδε τὴν τειχο-
 μαχίαν κατέστησαν. οὗτοι ἐπεδῆ
 Ῥωμαίους εἶδον ἀπογόντας τε
 καὶ ἀπορουμένους τὸ παρὸν θέσ-
 θαι, μηχανὴν τινὰ ἐπετεχνήσαν-
 το; οἷα οὔτε Ῥωμαίων οὔτε Περ-
 σῶν τι, ἔξ οὗ γέγονασιν ἀνθ-
 ρωποι, ἐς ἔννοιαν ἦλθε, καί τοι τεχ-
 νιστῶν μὲν πολὺς ὄμιλος ἐν ἑκατέρᾳ
 πολιτείᾳ γέγονέ τε ἀεὶ καὶ τα-
 νῶν ἔστιν. ἐς χρεῖαν δὲ πολλάκις ἐς
 τὴν πάντα αἰῶνα κατέστησαν τῆς
 μηχανῆς ἑκάτεροι ταύτης, ἐς ἐρύ-
 ματά [τε] τειχομαχοῦντες ἐν χω-
 ρίοις σκληροῖς καὶ δυσβάτοις τισὶ
 κείμενα· ἀλλ' αὐτῶν οὐδενὶ τὸ
 εὐχθύμημα τοῦτο γέγενηται, ἢ περ
 τούτοις δὲ τοῖς βαρβάροις τανῶν
 γέγονεν· οὕτως ἀεὶ προϊόντι τῷ
 χρόνῳ συγγεωτερίζει τῶν πραγ-
 μάτων τὰς ἐπινοίας φιλεῖ τῶν
 ἀνθρώπων ἢ φύσις. κριὸν γὰρ αὐ-
 τοσχεδιάζουσιν οἱ Σαβείροι οὗτοι,

და ფულიც მიეტანა, ვინაიდან
 შუაში მტრები იყვნენ გაბავონი-
 ბერი, და მოვიდა ბესსასთან და
 რომეელთა ჯართან, რომელიც პეტ-
 რას გარემოცვას აწარმოებდა.
 მიუგზავნა საბიროებს და სთხოვა
 ზოგიერთ მათგანს, რომ მალე მი-
 სულიყვნენ მასთან და მიეღოთ
 ფული; ბარბაროზებმაც გამოარ-
 ჩიეს თავიანთ მთავრებს შორის
 სამი და რამდენიმე მხლებელი-
 თურთ პირდაპირ ლაზიკეში გამო-
 გზავნეს. ესენი რომ ნივიდენ იქ,
 რომეელთა ჯართან ერთად ზღუდის
 მბრძოლობაში ჩაებნენ. როდესაც
 ამათ დაინახეს, რომ რომეელები
 გაჭირებაში არიან და არ იციან,
 როგორ უშველონ შექმნილ მდგო-
 მარეობას, გამოიგონეს რაღაც მან-
 ქანა, რის მსგავსიც არც რომეელ-
 თაგან და არც სპარსელთაგანს
 ვისმე—მას აქეთ, რაც აღამიანები
 არსებობდენ,—აზრად არ მოსვლია,
 თუმცა ორივე სახელმწიფოში ყო-
 ველთვის დიდი ყოფილა რიცხვი
 რსტატებისა და ახლაც არის-
 თითოეულ ამ ქვეყანას ხშირად გა-
 მოუყენებია ყოველ ჟამს მანქანა,
 მკაცრ და ძნელმისაველ ადგილებ-
 ში მდებარე სიმაგრეთა ზღუდეებს
 შებრძოლებიან; მაგრამ არც ერთს
 მათგანს აზრად არ მოსვლია ის,
 რაც მაშინ ამ ბარბაროზებმა ქმნეს:
 ჟამთა მსვლელობაში მუდამ ასე
 სჩვევია აღამიანთა ბუნებას ახალ-
 გამოგონებათა მოპოვება. ეს საბი-
 რები იყენებენ ზღუდის მანქანას
 არა ისე, როგორც ამას ჩვეულებ-

οὐχ ἤπερ εἰώθει, ἀλλὰ καινουρ-
 γήσαντες ἐτέρῃ τῇ τρόπῳ. οὐ γὰρ
 δοκούς ἐς τὴν μηχανὴν ταύτην, οὐκ
 ὀρθίαι, οὐκ ἐγκαρσας ἐμβέβλη-
 νται, ἀλλὰ ῥάβδους παχεῖας τινὰς
 ἐς ἀλλήλας ξυνδέοντες, καὶ αὐτὰς
 ἀντὶ τῶν δοκῶν πανταχόμῃ ἐναρ-
 μοσάμενοι, βρυσαὶς τε τὴν μηχαν-
 νὴν καλύψαντες εἰς τὸ τοῦ κριοῦ
 διεσώσαντο σχῆμα, μίαν δοκὸν
 μόνην, ἥπερ εἴθισται, κατὰ μέσην
 τὴν μηχανὴν ἀναρτήσαντες χαλα-
 ραῖς τισιν, ἥσπερ τὸ ἄκρον ὄξύ-
 γεγεννημένον καὶ σιδήρῳ περικα-
 λυφθὲν ὥσπερ βέλους ἀκίς ἐμελλε
 συχναῖ κατὰ τοῦ περιβήλου ἐμ-
 βάλλεσθαι. οὕτω δὲ κοφὴν τὴν
 μηχανὴν ἀπειργάσαντο, ὥστε οὐ-
 κέτι αὐτὴν πρὸς ἀνδρῶν τῶν ἔνδον
 ὄντων ἐφέλκεσθαι ἢ διωθεισθαι
 ἀναγκαιὸν εἶεν, ἀλλ' ἀνδρες
 τεσσαράκοντα, εἰ καὶ τὴν δοκὸν
 ἀνασφύριον τε καὶ κατὰ τοῦ περι-
 βήλου ἐμβάλλεσθαι ἐμελλον, ἔνδον
 τῆς μηχανῆς ὄντες καὶ ὑπὸ τῶν
 βρυσῶν καλυπτόμενοι ἔφερον
 τὸν κριὸν ἐπὶ τῶν ὤμων
 οὐδενὶ π.νφ. τρεῖς μὲν οὐ-
 τοι οἱ β' ῥάβδοι μηχανὰς τοιαύ-
 τας ἐργάσαντο, τὰς δοκοὺς ξύν
 τῷ σιδήρῳ ἐκ τῶν κριῶν ἀφελ-
 μένοι, οὐδ' ὀρθοὶ Ῥωμαῖοι ἐν παρα-
 σκευῇ ἔχοντες οὐκ οἶδ' ἂν ἦσαν
 ἐς τὸ τεῖχος ἐφέλκειν ὑποδόντες
 δὲ αὐτῶν ἑκάστην οὐχ ἦσσαν ἢ
 κατὰ τεσσαράκοντα στρατιῶται
 Ῥωμαῖοι ἀριστοὺς ἀπολεχθέντες
 ὡς ἀγχοτάτω τοῦ τεύχους εἶεντο.

რივ აქვს ადგილი, არამედ სრუ-
 ლიად ახალი წესით. ამ მანქანაში
 ისინი ბოძებს, კი არ სდებდენ,
 სწორად ან მრუდედ, არამედ ერთ-
 მანეთთან გადაბმულ მსხვილ ჯოხებს
 და ბოძების ნაცვლად ყველგან
 ამათ მოაწყობდენ, მთელ მანქანა-
 საც ტყავით დაფარავდენ და ამ-
 ნაირად მალავდენ ზღუდის მანქანას;
 მხოლოდ ერთ ბოძს ჩამოჰკიდებდენ
 მანქანის შუაში, როგორც ეს ჩვეუ-
 ლებრივი იყო, ფომფლე ჯაჭვებით
 და ბოძის ბოლო, გაწვეტიანებული
 და რკინით მოფენილი, ხშირ-ხში-
 რად უშენდა ზღუდეს, ვითარცა ის-
 რის წვერი. იმდენად მსუბუქი გა-
 მოჰყავდათ მათ მანქანა, რომ უკვე
 კი აღარ იყო საჭირო იქაურ კაცებს
 ეთრიათ და ეზიდათ ის, არამედ
 ორმოცი კაცი, რომელსაც უნდა
 აეწია ბოძი და ესროლა ზღუდის
 წინააღმდეგ, მანქანის შიგნით რომ
 იმყოფებოდენ და ტყავით იყენენ
 დაფარული, სრულიად შეუწყუხებ-
 ლად წაიღებდენ ზღუდის მანქანას
 შიგნით. ამ სამმა პარბაროზმა
 გააკეთა ასეთი მანქანები, ბოძები
 რკინითურთ იმ ზღუდის მანქანებს
 გამოაცალეს, რომლებიც რომე-
 ლებს ჰქონდათ უკვე დამზადებული
 და კედელთან მოთრევა კი არ შე-
 ეძლოთ: თითოეული ასეთი მანქანა
 ჩიბარა სულ ცოტა ორმოცმა რომ-
 მელმა ჯარისკაცმა, სავანებოდ
 დარჩეულმა, რომლებსაც ის ზღუ-
 დესთან ახლოს მიიტანეს. თითოეუ-
 ლი მანქანის ორივე მხარეს იდ-
 გენ სხვა მეომრები, რომელთაც

ἑκατέρωθεν δὲ μηχανῆς ἐκάστης ἕτεροι ἴσταντο, τεθωρακισμένοι τε καὶ κράνεσι τὰς κεφαλὰς ἐς τὸ ἀκριβὲς κεκαλυμμένοι καὶ κοντοὺς ἔχοντες, ὥν περ τὰ ἄκρα σιδηροῖς ἀγκιστροειδέσιν ἐρήρειστο, τούτου δὲ παρεσκευασμένων αὐτοῖς ἕνεκα, ὅπως, ἐπειδὴν ἡ τοῦ χριστοῦ ἐς τὸν περιβόλον ἐμβολῆ ξυγχέη τὰς τῶν λίθων ἐπιβολὰς, τοῦτοις δὲ τοῖς κοντοῖς περιαιρεῖν τε τοὺς ξυγχεομένους τῶν λίθων καὶ ἀπορρίπτειν δυνατοὶ εἶεν. Ῥωμαῖοι μὲν οὖν ἔργου εἶχοντο καὶ τὸ τεῖχος ἤδη συχνῆς ταῖς ἐμβολαῖς κατεσειετο, οἱ δὲ τῶν μηχανῶν ἐφ' ἐκότερα ὄντας τοῖς ἀγκιστροειδέσι κοντοῖς τῶν λίθων τοὺς ξυνταρασσομένους ἀπὸ τῆς κατὰ τὴν οἰκονομίαν ξυνηχῆς ἐρρίπτουν, ἀλώσεσθαι τε ἡ πόλις αὐτίκα δὴ μάλα ἐπίδοξος ἦν. οἱ δὲ Πέρσαι ἐπενόουν τάδε. Ξυλιον πύργον, ὡς περ αὐτοῖς ἐκ παλαιοῦ παρεσκευάστο, καθυπερθεῖν τοῦ περιβόλου ἐτίθειντο, ἀνδρῶν ἐμπλεῶν τῶν ἐν σφίσι μαχιμωτάτων, ἦλοις τε σιδηροῖς καὶ θώραξι τὰς τε κεφαλὰς καὶ τὸ ἄλλο σῶμα περιβαλόντων. ἀγγεῖα δὲ θεοῦ τε καὶ ἀσφάλτου ἐμπλησθέντες καὶ φαρμάκου, ὡς περ Μιδιοὶ μὲν νάφθαν καλοῦσιν, Ἑλληνας δὲ Μηθεῖας ἔλαιον, πυρὶ τε ταῦτα ὑφάψαντες ἐπὶ τὰς μηχανὰς τῶν κριῶν ἐβαλλον, ὡς περ ὀλίγου ἐπιπράναι πύργου ἐδέξαν, ἀλλ'

აბჯარი ჰქონდათ ასხმული და თავი ჩათხუტით დაფარული ზედმიწევნით და ეჭირათ. შუბები, რომელთა ბოლოები ანკესისებურ რკინებს ეკრდნობა; ეს კი მათ იმის გულისთვის ჰქონდათ დამზადებული რომ, როდესაც მანქანის სროლა კედელზე ქვათა წყობას შეარყევდა, ამ შუბების საშუალებით შესძლებოდა მათ შერყეული ქვების განთავისუფლება და ამოძრობა. ასე მოჰკიდეს ხელი საქმეს რომაელებმა და კედელიც ხშირი რტყმისაგან ინძროდა, მანქანათა ორსავე მხარეს მდგომნი კი ანკესისებური შუბებით აძრობდნენ შენდებულ ქვებს შენობის წყობიდან და სრულიად მოსალოდნელი იყო, რომ ქალაქი მაშინვე აღებულ იქნებოდა. ხოლო სპარსელებმა ასე მოისაზრეს: ზღუდის ზემოთ მათ დადგეს ხის კოშკი, რომელიც ძველადვე დაემზადებიათ, აავსეს ის საუკეთესო მებრძოლებით, რომელიც შექურვილი იყვნენ რკინის ლურსმნებით და აბჯრით თავზედაც და დანარჩენ სხეულზედაც. მათ აავსეს ქოთნები გოგირდით, ასფალტით და ერთი საწამლაკით, რომელსაც მიდიელები ნავთას ეძახიან, ელიინნი კი მედეას ზეთს, მოუკიდეს მათ ცეცხლი და ესროდნენ ზღუდის მანქანებს, რომლებიც—ცოტა დააკლდა—თითქმის ყველა გადაიწვა. მაგრამ მანქანებთან მდგომნი, როგორც ნათქვამი იყო, განუწყვეტლად იგერიებდნენ ნასროლს იმ შუბების საშუალებით,

οὐ παρά ταύτας, ὡσπερ μοι ἐρρή-
θη, ἐστῶτες, τοῖς κοντοῖς, ὡν-
περ ἐπεμνήσθη ἀρτίως, ἐνδελε-
χέστατα περιαιροῦντες τὰ βαλλό-
μενα καὶ περικαθαίροντες, ἅπαντα
ἐς τὸ ἔδαφος ἐκ τῶν μηχανῶν
εὐθύς ἐρρίπτουν. οὐκ ἐπὶ πολὺ
δὲ πρὸς τὸ ἔργον τοῦτο ἀνθ' ἑξείν
ὑπώπτεισιν. τὸ γὰρ πῦρ οὐ προσ-
φάσειεν ἐνεπίμπρῃ αὐτίκα, εἰ μὴ
εὐθύσῳρον ἀποβληθείη. ταῦτα μὲν
οὖν ἐπράχσατο τῆδε.

Βέσπας δὲ αὐτὸς τετραρακισμέ-
νος καὶ ἕκταν ἐξοπλίσας τὸ στρα-
τευμα πολλὰς ἐς τὸ πεπτωκὸς τοῦ
τείχους προήγε. καὶ λέγω τσοσῶ-
τον παραθαρρύνας, ἕσον μὴ ἀμ-
βλῦναι τοῦ καιροῦ τὴν ἀκμήν, ἔρ-
γοις τῆς παρακαλεύσεως τὰ
λοιπὰ ἐνειμεν. ἀνὴρ γὰρ πλέον
ἢ ἐβδομήκοντα γεγονῶς ἔτην καὶ
παντάπασιν ἕξωρος ὡν ἦδη πρῶ-
τος ἐπέβη τῆς κλιμακος. ἐνταῦθα
μάχη καὶ ἀρετῆς ἐπίδειξις γίνε-
ται Ῥωμαῖοις τε καὶ Πέρσαις.
οἷαν ἔγωγε κατὰ τοῦτον τὸν χρό-
νον σὺδαμῆ οἶμαι ξυνερχομένην.
τὸ μὲν γὰρ βαρβάρων πληθὺς εἰς
δισχιλίους καὶ τριακοσίους ἔσχηται,
Ῥωμαῖοι δὲ ἐς ἑξακισχιλίους
ἐτήγγανον ὄντες. καὶ αὐτῶν ἕκα-
τέρωθεν ὅσοι οὐ διεφθάρησαν
τραυματῆται σχεδὸν τι γεγονάσι
πάντες, ὀλίγοις τε λίαν ἐπ'
ἀμφοῖς τοῖς σώμασι περιεῖναι
ξυνέβη.

რომლებიც ახლახან მოვიხსენიე-
სულეთავედნენ და უმაღვე მიწაზე
გადმოჰყრიდენ ხოლმე ყველაფერს,
მანქანებში ჩაცვივულს. მაგრამ
მათ დიდ ხანს ვერ გაუძლეს ამ
საქმეს; ვინაიდან ცეცხლი, სადაც
კი წაედებოდა, მაშინვე წაეკი-
დებოდა ხოლმე, თუ ის მაშინვე
არ იქნებოდა უკუგდებული. აი ასე
იყო საქმე.

ხოლო ბესსამ, თვითონაც რომ
შეიჭურვა და მთელი ჯარი რომ
შეაიარალა, მრავალი კიბე მიუყე-
ნა ზღუდის დაცემულ ნაწილს და
სიტყვით რომ აღაფრთოვანებდა
იმდენად, რომ შემთხვევის ძალა
არ შეესუსტებინა, დანარჩენი წა-
ქეზების საქმეებს მიანდო. ის ხომ
სამოცდაათ წელზე მეტის იყო და
სრულიად დაძაბუნებული, მაგრამ
პირველი შეუდგა კიბეს. აქ რომაე-
ლებსა და სპარსელებს შორის გაი-
მართა ისეთი ბრძოლა და ვაჟ-
კაცობის გამომჟღავნება, რომლის
მსგავსაც ამ ჩვენს დროში, ვფიქ-
რობ, არ ჰქონია ადგილი. ბარ-
ბაროსთა სიმრავლე ორიათას სამას
ულრიდა, ხოლო რომაელები ექვს-
ათასამდე იყვნენ. და ამათგან,
ორივე მხრით, ვინც არ დაიღუპა,
თითქმის ყველანი დაჭრილნი აღ-
მოჩნდნენ, ხოლო ძალიან მცირეო-
დენი უვნებელი სხეულით გადარ-
ჩა.

სეზგი მაკალათია.

კოლხური ღიდრაქმა *.

ქართული საუფსთამცოდნობისათვის უაღრესი მნიშვნელობა აქვს კოლხური ფულის საფუძვლიან შესწავლას. ამ ფულის გარკვევა არა ერთ ნუმისმატიკოსს უცდია¹, მაგრამ ამ ნუმისმატიკოსების შრომებში მეცნიერულად შესწავლილი და დადგენილი არ არის მისი ვარიანტების სხვაობა, წონა, შენადნობის შემადგენლობა, თვითღირებულება და სხვა, რომ შესაძლებელი იყოს კოლხური ფულის იმდროინდელი ღირებულებისა და ეკონომიური მნიშვნელობის წარმოდგენა. ამასთანვე მის უშუბლზე ამოჭრილი „ხატი“-ს ასახსნელად გამოყენებულია სრულიად უნიადაგო „ეგვიპტური“ ზღაპარი. ნუმისმატიკის ისტორიიდან ჩვენ ვიცით, რომ, როდესაც ლიდის სამეფოში მე-VII ს. ქრ. წ. ფული პირველად მოიჭრა, ის არაჩვეულებრივი სისწრაფით გავრცელდა იმდროინდელ კულტურულ ქვეყნებში. ფულის უპირატესობა ეკონომიურ ურთიერთობაში ერთობ საგრძნობი იყო და ამიტომ უკვე მე-V საუკ. ქ. წ. აღმოსავლეთისა და დასავლეთის დაწინაურებულ ქვეყნებში იჭრებოდა და ტრიალებდა ადგილობრივი ფულები².

ამ მხრივ სხვებს არც ძველი კოლხეთი ჩამორჩენია, რომელსაც მეზობელ ქვეყნებთან მჭიდრო ეკონომიური ურთიერთობა ჰქონ-


*) მოხსენებულია საისტ.-საეთნოგრაფიო საზოგადოების საჯარო კრებაზე 1929 წლის 1 თებერვალს.

1) Victor Langlois, Es ai de classification des Suites monétaires de la Géorgie, Paris, 1860, გვ. 11-13; B. Head, Historia Numorum, Oxford 1911, გვ. 495; E. A. Пахомов, Монеты Грузии, часть I, СПб. 1910 г. გვ. 6-8.

2) A. K. Марков, Древняя нумизматика, часть I, СПб. 1901 г. გვ. 17-21; B. Head, op. cit. Introduction § IV; M. Ernest Babelon, Catal. des mon. grec.; les Perses Achéménides, Paris 1893: იხილეთ Introduction.

და, განსაკუთრებით შავი ზღვის პირას მდებარე საბერძნეთის ახალ-შენებთან.

ამიტომ კოლხეთშიაც იკრებოდა ადგილობრივი ვერცხლის-ფული, ნუმიზმატიკაში კოლხურად ¹ წოდებული. კოლხური ფული სხვადასხვა ზომისა და წონისაა, რაზედაც დამყარებელი იყო მისი ფულადი თვითღირებულება. წვრილი კოლხური ფულები ჩვენში უამრავია აღმოჩენილი ², მსხვილი კი იშვიათად ჩნდება ³. ჩვენი მიზანია ამ მსხვილი კოლხური ფულის აღწერა და გარკვევა (იხ. სურ. 1).



სურ. 1.

AR. D.—20—21 mm., სისქე 2—4 mm. მისი წონა 8,705 gr.

AS. ამოკვეთილია გრძელთმიანი ქალის თავის პროფილი, რომელიც რკალშია ჩასმული.

¹) ეს აიხსნება იმით, რომ ასეთი ფულები ჩნდება მხოლოდ დასავლეთ საქართველოში, ძველი კოლხეთის ისტორიულ ფარგლებში, აღმოსავლეთ საქართველოში კი ის იშვიათია. რაც შეეხება მეზობელ ქვეყნებს, რომლებთანაც კოლხეთს კულტურულ-ეკონომიური კავშირი ჰქონდა, კოლხური ფულები იქაც არ აღმოჩენილა. ეს გარემოება ჩვენის აზრით იმით უნდა აიხსნებოდეს, რომ ძველად უცხოეთის ფულებს საზოგადოდ ყველგან ადნობდნენ, და მათგან შემდეგ ადგილობრივი ფული იკრებოდა (A. Марков, op. cit., გვ. 105—115).

²) უკანასკნელი დროის აღმოჩენათა შორის აღსანიშნავია 1928 წ. ხონის მაზლობლად, სოფ. ნახახულევში ნაპოვნი ასეთი წვრილი კოლხური ფულით სავსე თიხის ქილა (დაცულია სახელ. უნივერ. ნუმიზმატ. კაბინეტის კოლექციაში; ეს კოლექცია ამჟამად საქ. მუზეუმშია გადმოტანილი). 1929 წ. ასეთივე წვრილი კოლხური ფულები, რიცხვით 109 ცალი, აღმოჩნდა სოფ. დაბლაგომში (სამტრედია) და დაცულია საქარ. მუზეუმში № 20—29/1—109.

³) ჩვენს მუზეუმებში ასეთი მხოლოდ ოთხი ცალი მოპოვება: ერთი ცალი ინახება საქარ. მუზეუმის ნუმიზმატ. კაბინეტში № 15—28/1, რომლის სურათი და აღწერილობა აქვეა მოყვანილი. (სურ. 1); მეორე ცალი ინახება ტფილ. უნივერ. ნუმიზმატ. კაბინეტის კოლექციაში, განყ. I, № 26/1; და ორიც ქუთაისის მხარეთმცოდნ. მუზეუმში, რომელიც ნაპოვნია სოფ. ჯუმში (ზუგ. მაზრა) ე. ჯაბუას მიერ.

RS. ორ კვადრატში პირისპირ ამოჭრილია იმავე ქალის შომ-
კრო პროფილი (იხ. სურ. 1).

თავისი წონით ეს ფული უდრის ბერძნულ დიდრაქმას და შეი-
ცავს ექვს ობოლს (ბჰილტე)¹. მაგრამ კოლხური ფულის წონა ბერძ-
ნულის მსგავსად დროთა ვითარებაში იცვლებოდა. მაგალითად, კოლ-
ხური წვრილი ფულები 1,888 გრ.—2,284 გრ. იწონის და ბერძნული
ფულების აღრიცხვის ამათუიძ ძველი სისტემის ერთეულის შეფარ-
დებით უდრიდა $\frac{1}{2}$ დრაქმას=3 ობოლს. კოლხური დიდრაქმაც ასეთ
ცვლილებას განიცდიდა, მაგალითად, ქუთაისის მუზ. 2 ც. დიდრა-
ქმა იწონის 9,603 გრ. და 9,160 გრ. ტფილ. უნივერ. ნუმიზმატ. კა-
ბინეტისა კი იწონის 10,316 გრ. და ეთანაბრება ბერძნული ფულის
ეგრეთწოდებულ სპარსულ-აქემენიდურ სისტემას². ამგვარად ირკვე-
ვა, რომ ძველ კოლხეთში იჭრებოდა და ტრიალებდა ნახევარდრაქ-
მიანი და ორდრაქმიანი ვერცხლის ფულები. არსებობდა თუ არა
იქ ამაზე უკნინესი და უდიდესი ერთეულის ფულები, ამაზე გარკვე-
ული პასუხის გაცემა, სათანადო საბუთების უქონლობის გამო, ძნე-
ლია. ყოველ შემთხვევაში ორდრაქმასთან ერთად ადვილი შესაძლებე-
ლია ერთდრაქმიანი კოლხურიც ყოფილიყო გავრცელებული. ამის
დადასტურება კი შეუძლია მხოლოდ მომავალ აღმოჩენებს.

ახლა საინტერესოა გამოვარკვიოთ კოლხური ფულის შენადნო-
ბის პროცენტული შემადგენლობა და მისი ფულადი თვითღირებუ-
ლებაც. უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ მხრივ კოლხური ფული ისეთსავე
ცვალებადობას განიცდიდა, როგორც საზოგადოდ ძველი აღმოსავ-
ლეთისა და დასავლეთის ქვეყნების ყველა სისტემის ფულები. ფუ-
ლის შენადნობის პროცენტული შემადგენლობის ცვლას ოქრო-ვერ-
ცხლის მარაგის შეიცირების გარდა იწვევდა აგრეთვე სხვადასხვა
ხასიათის ეკონომიური კრიზისები, რომელთა შესანელებლად აღი-
დებდნენ ფულის არსებულ ლიგატურას, და ეს პროცესი ზოგჯერ
ფულის გაყალბებამდისაც კი მიდიოდა³.

კოლხური ფულის შენადნობი შეიცავს სპილენძსა და ვერ. ჰლს.
შათი პროცენტული შემადგენლობა ასეთია⁴:

Ag. 34.31%—35.50%

Cu 64.64%—65.45%

1) E. M. Придик, Греческие и римские монеты, СПб. 1905 г., გვ. 6.

2) E. M. Придик, op. cit., გვ. 6.

3) A. K. Марков, op. cit., გვ. 61—77.

4) ეს ანალიზი შესრულებულია ს.მ.უ.ს. სამეცნიერო ქიმიურ-ტექნიკური ან-
ტიტიტის ლაბორატორიაში 19/XII—1928. ანალიზი № 1185.

აქიდან ჩანს, რომ კოლხური ფულის შენაღობში დაახლოვებით ერთი მესამედი ვერცხლია, დანარჩენი კი სპილენძი.

თუ ჩვენ ახლა ამ კოლხურ ფულს ძველ ბერძნულ დრაქმას შევეუფარდებთ¹, შეგვიძლია მისი დაახლოვებითი თვითღირებულების გარკვევა (ი. წვრილი ნახევარდრაქმიანი კოლხური უღრიდა 12 კაპეიკს, აქ აღწერილი დიდრაქმა კი—48 კაპეიკს).

როდის არის მოჭრილი ეს კოლხური დიდრაქმა? საზოგადოდ უნდა აღინიშნოს, რომ კოლხური ფულები უცხოეთის ფულებთან იშვიათად ჩნდება. ცნობილია მხოლოდ ერთი შემთხვევა სურამში, სადაც ის აქემენიდურ „დარიკ“-თან (521—330 წ. ქ. წ.) აღმოჩნდა²; მაგრამ მოჭრის ტექნიკისა და ზოგი დამახასიათებელი ნიშნის მიხედვით კოლხური დიდრაქმა უნდა მივაკუთვნოთ საფასთა ისტორიის პირველი პერიოდის (700—480 წ. ქ. წ.) უკანასკნელ ეპოქას³. დიდრაქმა მოჭრილია და არა ჩამოსხმული. შუბლის ხატის პროფილს მონახულობის პრიმიტივობასთან ერთად ახასიათებს ცხვირის მოგრძო მოყვანილობა. მის სიძველეს განსაკუთრებით მოწმობს ზურგის ჩაღრმავებული ორი კვადრატი „quadratum incusum“, რომელიც დამახასიათებელია ამ პირველ პერიოდში მოჭრილი ფულებისათვის⁴. ამ კვადრატს ის ტექნიკური დანიშნულებაც ჰქონდა, რომ ჩაქუჩის დაკვრის დროს მოსაჭრელი ფულის გულგულა ყალიბიდან არ ამოვარდნილიყო.

მე-V საუკ. დასასრულიდან ამ კვადრატში ათავსებდნენ შუბლის შემცივრებულ ან სხვა რაიმე სიმბოლურ გამოსახულებას. ამგვარ ფულებს მეცნიერებაში ეწოდება «numi incusi»⁵. კოლხური ეს დიდრაქმაც ეკუთვნის ძველი ფულების ასეთ ტიპს და უნდა დათარიღდეს 5—4 საუკ. ქ. წ.⁶

რაც შეეხება შუბლის ხატის დეტალებს, მას თავისი მოხაზუ-

1) Брокгауз и Ефрон, Энциклоп. словарь кн. 16, გვ. 765. იხ. სიტყვა „დრაქმა“.

2) J. Bartholomaei, Lettres numismatiques et archéologiques, relat. à la Transcaucasie. 1859. გვ. 63.

3) B. Head, op. cit., Introduction, § VIII.

4) B. Head, op. cit., fig. N° 88, 111—123, 159, 169, 193, 203, 210, 218, 219, 259, 312, 326 და სხვა: E. Babelon, op. cit. Pl. III, VIII, XI, XIII და სხვა.

5) A. K. Марков, op. cit., გვ. 51—52; A. von Sallet, Münzen und Medaillen, Berlin, 1898, გვ. 2—5.

6) ამასთანვე ზურგის ორი კვადრატი შესაძლებელია იმის მაჩვენებელიც იყოს, რომ ფული ორდრაქმიანია.

ლობითა და სტილია, სრულიად შემთხვევით უკავშირებენ ეგვიპტურ ხელოვნებას¹, და ამის საბუთად მოყავთ ჰეროდოტეს ცნობები კოლხებისა და ეგვიპტელების ნათესაობის შესახებ².

ამ ჰიპოთეზის სრული უნიადაგობა ნათელი იქნება, თუ კოლხურ ფულს ძველი საბერძნეთის ახალშენებში და მცირე აზიაში მოკრილ პირველი პერიოდის ფულებს შევადარებთ. ამ არქაულ ფულებს, როგორც კოლხურ დიდრაქმას, ახასიათებს ხატის პროფილ-



სურ. 2.

თან ერთად ცხვირის მოგრძო მოყვანილობა, რომელიც ხელოვნების განვითარების მიხედვით თანდათანობით მოკლდება; სახეც ამავე დროს უფრო სწორსა და ლამაზ გამომეტყველებას ღებულობს³. ანალოგიურ მოვლენებს ვხედავთ კოლხურ ფულებზედაც, სადაც პროფილის უცვლელობის გვერდით დროთა განმავლობაში იცვლებოდა ცხვირისა და სახის მოხაზულობა. (იხ. სურ. 2) ასეთ ცვალებადობას, სა-


1) V. Langlois, op. cit., გვ. 12—13; E. A. Пахомов, op. cit. გვ. 7. ამ თეორიის უსაფუძვლობა გაკვირით აღნიშნა თავის სარეცენზიო წერილში პახომოვის „Монеты Грузии“-ს შესახებ ა. ო რ ე შ ნ ი კ ო ვ მ ა, რომელმაც კოლხური ფულები მათი სტილის მიხედვით სამართლიანად დაუკავშირა ბერძნულ არქაულ ფულებს (იხ. «Нумизм. сб.», т. I, Москва 1911 г., გვ. 665). მაგრამ ე. პ ო ხ ო მ ო ვ ი თავის საპასუხო წერილში ისევ მოძველებულ „ეგვიპტურ“ თეორიას ასაბუთებს (იხ. E. A. Пахомов, Несколько слов о происхождении рисунка „Колхидок“. Батум 1911 г.).

2) Herod. Hist. II, 104—105; В. Латышев, Изв. Греч. и Римск. писателей о Скифии и Кавказе, т. I, გვ. 8 და 434.

3) В. Head, op. cit. Fig. N°N° 207, 120, 92, 86, 50, 24, 77, 86 და სხვა.

ხვითი ხელოვნების განვითარების გარდა, უმთავრესად იწვევდა ფულის ყალიბის ხშირი გაცვითა და მისი ხელახლა დამზადება¹.

ამგვარად ზარათუხანის ტექნიკის და ხელოვნების პროცესების პარალელური განვითარება ორივე შემთხვევაში იძლეოდა ერთგვარი ტიპისა და სახის ფულებს და ამიტომ კოლხური ფულებიც საზოგადოდ ჰგვანან არქაულ ბერძნულს², განსაკუთრებით კი სირაკუზის ტეტრადრაქმას³.



სურ. 3.

კოლხური წვრილი ფულის, ნახევარდრაქმის, ზურგის ხარის თავის პროფილის ანალოგიებს (იხ. სურ. 3) ჩვენ ვხედავთ: სიბარისის, მაკედონიის, ლესბოსის, ლიდიისა და სხვა ფულებზე⁴. თვით ეგვიპტეში, ნილოსის მიდამოებში, მე-V—IV ს. ქ. წ. ტრიალებდა ბერძნული არქაული ტიპის ფულები, რომელთა წაბაძულობის ფულებსაც ადგილობრივი ხელისუფლება ჭრიდა⁵.

ამიტომ სრული უაზრობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ კოლხებს ეგვიპტური ხელოვნების წაბაძულობის ფულები ეჭრათ იმ დროს, როდესაც იქაც ათინური ყაიდის ფულები ტრიალებდა; და არ ესარგებლათ შავი ზღვის პირას მეზობლად მდებარე იმავე ბერძნული ახალშენების ფულის ნიმუშებით.

ერთი სიტყვით, ამ შედარებიდან ირკვევა, რომ კოლხეთის სამეფოში მე-V ს. ქ. წ. დროიდან იჭრებოდა და ადგილობრივ ტრიალებდა ბერძნული ყაიდის, ფორმისა და წონის ფულები. სამწუხაროდ ამ კოლხური ფულების შესახებ ძველ მწერლებს ცნობები არ მოეპოვებათ, რომ შესაძლებელი იყოს საკითხის ზედმიწევნით გარკვევა:

ახლა უნდა გადავიდეთ კოლხური ფულის ორივე გამოსახულებ-

1) A. K. Марков, op. cit., გვ. 51.

2) B. Head, op. cit., fig. N°N° 24, 77, 86 და სხვა.

3) B. Head, op. cit., გვ. 171, fig. 9; Alfred von Sallet, Münzen und Medaillen, Berlin, 1898, გვ. 9.

4) B. Head, op. cit., fig. 291, 44. 120, 248, 252, 312 და სხვა; E. Babelon, op. cit., Pl. V და XX.

5) E. Babelon, op. cit., Introduction, გვ. LVI-LIX; Pl. VIII, XI.

ბის ამოკითხვაზე და პირველყოვლისა გამოვარკვიოთ, თუ ვისი პროფილი უნდა იყოს მის შუბლზე ამოკვეთილი? მეცნიერებაში უკვე გარკვეულია, რომ ალექსანდრე დიდის გამეფებამდე მოჭრილ ფულებზე ათავსებდნენ მხოლოდ ადგილობრივ ღვთაებათა გამოსახულებებს: ათინას, აპოლონის, არტემიდის, აფროდიტეს, დემეტრეს, დიონისეს, ზევსის და სხვათა პორტრეტებს¹, რომლებიც ითვლებოდნენ ამათუიმ ქალაქის, ახალშენის, სამეფოს, მეურნეობის დარგის და სხვათა მფარველებად. შემდეგ კი დაიწყეს თვით მეფეების, მაგისტრატებისა და იმპერატორების პორტრეტების მათ მიერვე მოჭრილ ფულებზე მოთავსება. ეს პორტრეტები კი იცვლებოდა მათზე გამოხატული პირების ცვლასთან ერთად.

ამ მხრივ კოლხური ფულის შუბლზე გამოსახული ადამიანის პროფილს მთელი თავისი არსებობის მანძილზე არავითარი არსებითი ცვლილება არ ეტყობა, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ეს ადგილობრივი ღვთაების ხატია და არა რომელიმე მომაკდავი მეფის პორტრეტი. ამასთანავე ეს ქალღმერთია, რომელსაც ახასიეთებს გრძელი და გაშლილი თმა. ასეთივე სტილის პროფილი და გაშლილი თმა ახასიათებს სირაკუზის ტეტრადრაქმას, რომელიც წარმოადგენს ღვთაება არტემიდის არქაულ გამოსახულებას². არტემიდის კულტი³, როგორც მინდვრის, ტყის, წყაროების, ნადირის, ნაყოფიერების, შემდეგ მთვარისა და სხვათა მთავარ ქალღმერთისა, ძლიერ გავრცელებული იყო ძველ ქვეყნებში, რომლებიც მის გამოსახულებას ფულებზედაც ათავსებდნენ.

ქართულ მითოლოგიაში გრძელი თმა ახასიათებს ამ არტემიდის (დიანას) შესატყვის ღვთაებას ტყის დედოფალს, რომელსაც მეგრელები „ტყაში მათა“-ს (ტყის მეფე) უწოდებენ⁴, სვანები დალს⁵,

¹) B. Head, op. cit., Introduction, § VIII, IX. ფულებზე ამოჭრილი ამ ღვთაებათა ხატი წარმოადგენდა სახელმწიფოს ერთგვარ ბეჭედს, რომელიც თავდები იყო ფულის მართაწონილობისა და ლითონის სიწმინდის (A. K. Марков, op. cit., გვ. 24).

²) B. Head, op. cit., გვ. 171—172.

³) Roscher, Lexikon der gr. und röm. Mythologie s. v. Artemis (I, 558 ff.); Д. П. Шантепи—Де-ля-Сосей, История религии т. II, Моск. 1899 г. გვ. 245—294; Д. Фрэзер, Золотая ветвь, вып. I, 1928 г. გვ. 166—168.

⁴) И. Тепцов, Из быта и верований мингрельцев: СМОМПК, XVI, I, გვ. 12.

⁵) ეგნ. გაბლიანი, ძველი და ახალი სვანეთი, ტფილ. 1925 წ. გვ. 35—36.

აფხაზები „აჟეიფშაა“-ს¹, აღმოსავლეთ საქართველოში კი ნადირთ პატრონს ან ტყის ანგელოზს². ჩვენს ხალხურ რწმენაში ტყის ეს დედოფალი წარმოდგენილია ოქროს-გრძელთმიან ლამაზ ქალად, რომელიც ტყისა და ნადირის მფარველია. რომ ამ ტყის დედოფალის—არტემიდის კულტი და ტაძარიც მართლაც კოლხეთში ძველად არსებულა, ამას მოწმობენ ძველი მწერლებისა³ და ქართველი მემპტიანის ცნობებიც ქართველი მემპტიანის თქმით აწყურში ყოფილა ბომონი საკერპო, „რომელსა შინა იმსახურებოდეს ბილწნი ღმერთნი მათნი არტემი და აპოლონ“⁴.

ამგვარად ირკვევა, რომ ძველ კოლხეთში აპოლონთან ერთად არსებულა მისი დის არტემის შესატყვისი ქალღმერთის ადგილობრივი კულტი, რომელიც დღეს ჩვენში ზოგადად ცნობილია, როგორც ტყის დედოფალი და ნადირთა პატრონ ანგელოზი. მისი საკუთარი სახელის ერთერთი ფორმაც შესაძლებელია სვანურ დალში იყოს შემონახული, რომელიც ასეთივე ოქროს-გრძელთმიანი ქალღმერთია.

ჩვენი აზრით ამ გრძელთმიან „ტყაში მათა—დალი“-ს ხატი უნდა იყოს, ფულის მართაწონილობისა და ვერცხლის სიწმინდის თავდებად, კოლხურ ფულებზე ამოჭრილი.

ამის გარდა კოლხური წვრილი ფულის ზურგზე ჩვეულებრივად

¹) Н. Джанашия, Религиозн. веров. абхазов: *Хр. Вост.* т. IV, вып. I, Пгр. 1915 г. გვ. 107—108; Д. Гулия, Божество охоты и охотничий язык у абхазов, Сух. 1926 г.

²) ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. I გვ. 89.

³) Diodori Sic. Bibliotheca historica (Латышев, op. cit., т. I, вып. II, გვ. 469). საზოგადოდ უნდა აღინიშნოს, რომ ძველი მწერლები კოლხეთისა და შემდეგ იბერიის აღწერის დროს იქაურ ღმერთებს ადგილობრივი სახელით კი არ იხსენიებენ, არამედ თითოეულ მათგანს კულტის მსგავსების მიხედვით აძლევენ შესატყვისი ბერძნული ღმერთის სახელს; მაგალითად, მზისას—აპოლონს უწოდებდნენ, ტყისა და ნადირისას—არტემიდა (ქართული არტემი), ბრძოლისას—არგესს და სხვა. ამიტომ ჩვენ არ ვიცით, ძველ კოლხეთში თუ რა ადგილობრივი სახელს ატარებდა ის ქალღმერთი, რომელსაც ბერძნები არტემიდს უწოდებდნენ.

⁴) მ. ბროსე, ქართლის ცხოვრება, წ. I, 1849 წ. გვ. 44. რომ ძველი მწერლებისა და ქართველი მემპტიანის ცნობებით არტემის (მთვარე) და მისი ძმის აპოლონის (მზე) კულტი და ტაძარი წარმართობის დროს ჩვენში მართლაც არსებულა, ამას ადასტურებს აგრეთვე 1899 წ. ყუბანის ოლქში აღმოჩენილი ერთი ვერცხლის ფიალა (φιάλη), რომელზედაც დაცულია ასეთი შესანიშნავი ბერძნული წარწერა: „Απρίλλωνος Ἰγυε ὄνοσ εἶμι τῆμ φάσι—მე ვარ (ვეკუთვნი) აპოლონ წინაძელოს, რომელიც ფაზისშია (ან ფაზისელის-ფოთელის), და ეს ფიალა დათარიღებულია მე-V საუკ. ქ. წ. (იხ. *И. Арх. К.*, вып. I, 1901 г. გვ. 99—100. სურ. 18. М. И. Ростовцев, Скифия и Боспор, Пгр. 1925 г. გვ. 571):

ხარის თავია გამოსახული (იხ. სურ. 3), რომელიც ქვეყნის მეურნეობის მთავარი დარგის, მესაქონლეობის თუ მიწათმოქმედების მაჩვენებელია. საზოგადოდ, როდესაც ძველი ქვეყნები ნატურალური მეურნეობიდან ფულად მეურნეობაზე გადავიდნენ თავიანთი მოჭრილი ფულების ზურგზე ათავსებდნენ მეურნეობის იმ ნაწარმოების გამოსახულებას, რომლითაც ესათუის კუთხე მდიდარი იყო და რომელიც მათ მთავარ სავაჭრო საქონელს წარმოადგენდა. მაგალითად, პირუტყვით მდიდარ ქვეყნებში ფულის ზურგზე ათავსებდნენ: ხარის, ცხენის, აქლემის და სხვათა გამოსახულებას; სადაც მიწათმოქმედებას მისდევდნენ, იქ პურის თავთავს, ყურძნის მტევანს, ზეთისხილს და სხვა¹. ზოგჯერ კი ათავსებდნენ მეურნეობის დამახასიათებელ რომელიმე იარაღის სიმბოლურ ნიშნებსაც. თვით ფულის პირვანდელი სახელწოდებაც ამ სავაჭრო (სავალუტო) საქონლის ეკვივალენტია. მაგალითად, ძველი ბერძნული „χρῆμα“ მრავლ. „χρῆματα“, ნიშნავდა პირუტყვს, მიწის ნაყოფს და სხვ.² ფულის აღმნიშვნელი ძველი ლათინური ტერმინი „pecunia“-ც პირუტყვს ნიშნავდა³. ასეთივე მნიშვნელობით იხმარებოდა ძველ ქართულში „ხვასტაგი“⁴, რასაც მოწმობს აგრეთვე კოლხურზე ამოჭრილი ხარის ეს თავიც.

მაგრამ ფულის ზურგის გამოსახულებას, საზოგადოდ, იმავე დროს ერთგვარი საკრამენტალური კავშირიც ჰქონდა მისსავე შუბლზე აღბეჭდილი ღვთაების კულტთან, რომლის მფარველად ეს ღვთაება ითვლებოდა. ქალღმერთი არტემიდი-დიანა ცნობილია, როგორც ტყისა და პირუტყვის მფარველი ღვთაება, და ამიტომ ხარი მის კულტთან დაკავშირებით ფულებზედაც იყო ამოჭრილი⁵.

კოლხური „ტყაში მათა-დალიც“ ასეთივე ტყის მეფე და ნადირთ პატრონია, ამიტომ კოლხურ ფულებზე ხარის თავის გამოსახულებასაც ერთგვარი რიტუალური დანიშნულებაც უნდა ჰქონოდა. და ამ ეკონომიურ-სარწმუნოებრივი გაგებით უნდა აიხსნებოდეს კოლხური ხვასტაგის ზურგზე აღბეჭდილი ხარის თავის მნიშვნელობაც.

¹) B. Head, op. cit., fig. 4, 14—18, 22, 35—40, 91—96, 207—210 და სხვა; L. A n s o n, Numismata Graeca, Summary and plates of part III, Agriculture, Lond. 1911 r. Pl. I—XXX.

²) A. K. М а р к о в, op. cit., გვ. 29—38.

³) A. K. М а р к о в, op. cit., გვ. 39—46.

⁴) მ. ბ რ о ს ე, ქართლის ცხოვრება წ. I, 1849. გვ. 30; საბა-სულხან ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, გვ. 395 (იხ. ხვასტაგი.—საქონელი და საყოფელი).

⁵) B. H e a d, op. cit., Fig. 206; Roscher, op. cit., გვ. 568 (იხ. სურ. Artemis Tauropolos).

S. MAKALATHIA.

DIE KOLCHISCHE DIDRACHME.

Die kolchische Münze gehört der ältesten Periode der Münzgeschichte an. Sie wurde von 5. vorchristlichen Jahrhundert ab geprägt und war in d. alten Kolchis (dem heutigen Westgeorgien), in seinen geschichtlichen Grenzen genommen, im Umlauf. Die kleinen kolchischen Münzen, die Halbdrachmen (Abb.—2), sind öfters gefunden worden, die grössern aber, die Didrachmen, stellen eine Seltenheit dar.

Zu den Eigentümlichkeiten der kolchischen Didrachme (Abb.—1) gehören neben der Primitivität der Prägungstechnik zwei vertieften Quadrate,—„Quadratum incusum“—, die mit den verkleinerten bildlichen Darstellungen der Vorderseite ausgefüllt sind. Deswegen gehört diese Didrachme zu den ältesten Münzen des Typus von „numi incusi“ und muss mit dem 5—4. Jahrhundert v. Chr. datiert werden. An deren Vorderseite ist eine langhaarige Göttin dargestellt, deren Profilumriss eine Stylverwandtschaft mit den Göttinnen der archaischen griechischen Münzen, besonders aber mit der archaischen Darstellung der Artemis an der syrakusischen Tetradrachme verrät. In der georgischen Mythologie charakterisiert das lange Haar eine der Artemis korrespondierende Göttin, die Waldkönigin Dali, die bis in die Gegenvart hinein in Georgien als Wald- und Wildbeschützerin betrachtet wird. Und diese Dali soll man, unseren Erachtens, als die Bürgschaft für das Vollgewicht und die Probeinheit an den kolchischen Münzen dargestellt haben.

Was nun das Bild des Stierkopfs (Abb.—3) an den kleinen kolchischen Münzen angeht, so ist dasselbe für die Naturalwirtschaft charakteristisch, bei welcher die Wertberechnung nach dem Vieh geschieht, ja selbst die altgeorgische Bezeichnung dieser Münzen „chwastagi“ gleich dem griechischen „χρήματα“ und dem lateinischen „pecunia“ so viel, wie „Vieh bedeutet“.

8. ბოჭორიძე.

რაჭის ისტორიული ძეგლები *.

11. ქვედა-უოშხა ¹.

ქვედა-უოშხას ჯვარცმის ეკლესია ერთნავეიანი შენობაა, 8,8×4 მ., ნაგები ნაწილობრივ შირიმისა და ნაწილობრივ ტინის თლილი ქვისა და კირისაგან; დვას მარტო კედლები, სახურავ-გადახდილი (გადაუხდიათ 1930 წლის გაზაფხულზე); იატაკი ფილაქნით არის დაგებული. ეკლესია განახლებულია: კედლები შიგნით და გარეთ გალესილია კირით; კარი აქვს სამხრ. და დას., სარკმელი აღმ. 1, სამხრ. 1, დას. 1 და ჩრდ. 1, სულ. 4. ტრაპეზის ადვილი დაფარულია ფიცრის მასალით, სამკვეთლო კედელშია გამოღებული. კარ-სარკმელი და კედლები მრავლად არის შემკული ჩუქურთმიანი ქვებით: ზოგი ქვა მთელია და თავის პირვანდელ ადგილასა დევს (მაგ. კარსარკმელი); უმეტესი ნაწილი კი ნატეხია და უწესრიგოდ არის მიწყობილი (ალბათ განახლების დროს) სხვადასხვა ადგილას, სახელდობრ: გარეთ — სამხრ. მხარეს (კარს და კედელს) აქვს 18 ქვა; აღმ. მხარეს (სარკმელს და კედელს) — 8; ჩრდ. მხარეს (კედელს) — 2; დას. მხარეს (კარ-სარკმელ-კედელს) — 18; შიგნით — სამხრ. მხარეს (კარს) — 2; ჩრდ. მხარეს (კედელს) — 2; დას. მხარეს (კარს და კედელს) — 2.² ეს ქვები შემკულია სხვადასხვანაირი სახეებით — ხვეულებით, ჯვრებით და სხვა, და ყველა შესანიშნავი ხელობისაა, ჩრდ. სარკმელი ძველად

*) იხილეთ საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტომი V, გვ. 163 შდდ.

1) ესა და რამდენიმე სხვა სოფელი წერილის წინა რიგში ანუ ნაწილში (იხ. საქ. მუზეუმის მოამბე, ტ. V, გვ. 163—222) უნდა ყოფილიყო დაბეჭდილი, მაგრამ გამორჩა, ვინაიდან მათი აღწერა შედგენილ იქნა არა პირველ მოგზაურობათა დროს, ე. ი. 1924—1927 წლებში, არამედ დაგვიანებით — 1930 წელს.

2) აღრიცხვა დაახლოვებითია; კარქვეშ შესაძლებელია სხვა ჩუქურთმიანი ქვებიც იყოს და ისინი შემდეგში გამოჩნდეს. ზემოაღნიშნული რიცხვი მხოლოდ ის არის, რაც დღესა ჩანს.

არ უნდა ყოფილიყო სრულებით; იგი ეკლესიის განახლების დროს უნდა იყოს გაყვანილი; იმავე დროს უნდა იყოს გადიდებული აღმ., სამხრ. და დას. სარკმელები.

ეკლესიის სამხრ.-აღმ., ყორის გარეთ, ორ ადგილას არის რალაც ძველი შენობიდან დარჩენილი კედლის ნანგრევი.

ამავე სოფელში არის ორი სალოცავი: ერთი „საგოლგოთო“, მეორე „საელიო“. „საგოლგოთო“ სალოცავი მდებარეობს ეკლესიის ზევითა ნაწილში, მცირე ტყიან ადგილას, სადაც სხვათა შორის დგას ორი მოზრდილი ცაცხვის ხე: აქ დღესასწაული — „გოლგოთობა“ სკოდნიათ აღდგომის მეორე დღეს. „საელიო“ სალოცავი მდებარეობს „საგოლგოთოს“ ზევით, სოფლის თავში მცირე ტყიანსავე ადგილას, სადაც სხვათა შორის დგას ოთხი ურთხელის ხე (დიდი 1, პატარა 3); აქ „ელიობას“ ძველად თემობა ანუ სათემოდ დასხდომა სკოდნიათ.

12. ტოლა.

ტოლას არის ორი ძველი ეკლესია: ერთი მაცხოვრისა, პირველ ტოლას ანუ პირველ უბანს, და მეორე სამებისა, მეორე ტოლას.

1. მაცხოვრის ეკლესია ერთნავიანი შენობაა, $6,3 \times 4,7$ m., ნაგები შირიმის ქვისა და კირისაგან (ჩრდ. და სამხ. კედლების ზედა ნაწილები ნაგებია რიყის ქვით). დგას მარტო კედლები, რომლებიც შიგნით და გარეთ გალესილია კირით. სახურავის უდიდესი ნაწილი გადახდილია, დარჩენილი ნაწილი კიდევ სულ დამპალია; იატაკად აგია სწორპირიანი ქვა. ეკლესიას კარი აქვს სამხრ. და დას., სარკმელი აღმ. 1, სამხრ. 1, დას. 1. ტრაპეზი საკურთხევლის შუაშია, სამკვეთლო კედელშია გამართული. საკურთხეველში არის ორი თახჩა (ერთი სამხრ., მეორე ჩრდ.).

ეკლესიას გარეთ, დას. მხარეს, კარის ასწვრივ აქვს ქვა ძველი ფორმის ჯვრის გამოსახულებით; უკანასკნელის ასწვრივ კიდევ კედელშივე ცხვრის (?) თავის გამოსახულებაა.

2. სამების ეკლესია ერთნავიანი შენობაა, $5 \times 3,8$ m., ნაგები კლდის ქვისა და კირისაგან. დგას მარტო კედლები, სახურავა გადახდილი. საკურთხევლის აღმ. ნაწილი სწორკუთხედიანია; კედლები შიგნით და გარეთ გალესილია კირით. კარი აქვს სამხრ., დას. და ჩრდ., სარკმელი აღმ. 1, დას. 1. ტრაპეზი საკურთხევლის შუაში ყოფილა, დღეს იგი ნახევრად დაქცეულია; სამკვეთლო კუთხეშია გამართული; საკურთხეველშივე არის პატარა თახჩები; შუა ეკლესი-

აში, ჩრდ. კედელში არის მოზრდილი თახჩა. ეკლესიას გარეთ, დას. კარის ზემოთ, აქვს ქვა ძველი ფორმის ჯვრის გამოსახულებით.

13. ლაღიში.

ლაღიშის წმ. გიორგის ეკლესია ერთნაგვიანი შენობაა, $7 \times 4,1$ m., ნაგები შირიმის თლილი ქვისა და კირისაგან; თალი ძველად ქვიტკირისა ჰქონია, რაც ცხადად ჩანს სამხრ. და ჩრდ. კედლების გადმოწეული თავებიდან, ხოლო შემდეგ, ალბათ დაქცევის გამო, ფიკრისა გადაუყვანიათ, ჰხურავს ყავარი, რომელიც ადგილ-ადგილ დამპალია; იატაკად დაგებულია თლილი ქვა; კარი აქვს სამხრ., დას. და ჩრდ.; სამხრ. კარს გარედან, მარცხენა ძირა ნაწილში უდევს ჩუქურთმიანი ქვა, რომელიც მოყოლილი უნდა იყოს აქ ეკლესიის განახლების დროს. სარკმელი არის: აღმ. 1, სამხრ. 1, დას. 1. ტრაპეზი შუა ეკლესიაშია გამართული; სამკვეთლო კედელშია გამოღებული; საკურთხეველში არის ორი თახჩა (ერთი სამხრ., მეორე ჩრდ.). ეკლესია მოხატული ყოფილა; მხატვრობისა დღეს ნაშთი-ღა არის: საკურთხეველის კონქში დახატულია ვედრება; მაცხოვარი და ღვთისმშობელი შენახული არიან წელამდე, ნათლისმცემელი კი სულ მოცილებულია. მხატვრობის კვალი მოჩანს აგრეთვე ჩრდ. და დას. კედლების ზევითა ნაწილებში; დანარჩენ ადგილებში კი მხატვრობა სულ მოსპობილია.

ეკლესია შიგნით დაზიანებულია: მისი იატაკი შეძრულია; ვილაც ბოროტმოქმედებს ამ უკანასკნელ წლებში ჩრდ.-დას. კუთხესთან გაუთხრიათ აკლდამები, ალბათ განძის პოვნის მიზნით; ადამიანის ძვლები მალაა ამოყრილი.

ეკლესიას დას. შირიმის ქვისგანვე მიშენებული აქვს საქალებო, $3,2 \times 5,2$ m.; მისი სახურავი დამპალია და დღეს ნახევრად ღია არის; კარი აქვს დას. და აღმ. (უკანასკნელი ეკლესიაში შედის). დას. კარის თავზე დევს ქვა სწორხაზოვანი ჯვრის გამოსახულებით (წრეში); მის ზევით საქარეზე არის ქვა მაცხოვრის გამოსახულებით; უკანასკნელის მარჯვნივ (ორი ქვის დაშორებით) და მარცხნივ (გვერდზევე) კიდევ ორი ქვაა გაშლილი ხელის გამოსახულებით¹.

ეკლესიას სამხრ. და ჩრდ. ჰქონია რალაც შენობები; დღეს მათი კვალი-ღაა დარჩენილი: სამხრ. მხარეს შენახულია საძირკველი, ხოლო ჩრდ. მხარეს—გარეთ გამოწეული კედელი; ამ გამოწეულ კედელზე

¹) ხელის გამოსახულება ოსტატების ნიშანია; აშით ისინი თავიანთ ნაშრომ-ნამუშავარს აღნიშნავდნ.

მალა დევს სამი მოზრდილი ქვა და ერთი მცირე (ნატეხი) ¹; ოთხივეზე ნაქანდაკეებია მთავარანგელოზები მედალიონებში (თითოეულზე თითო); ქანდაკება ორ ქვაზე კარგად არის შენახული; მესამეზე და მეოთხეზე კი მთავარანგელოზებს მხრებქვევითი ნაწილი დაზიანებულ აქვთ.

იმავე (ჩრდ.) მხარეს აღმ. კუთხესთან დევს ხის ჯვარი, $2,81 \times 1,91 \times 0,16$ m., დაშლილი.

იმავე (ჩრდ.) მხარეს, ეზოში დგას დიდი ცაცხვის ხე. ეკლესიას გარშემო გალავანი ჰქონია; დღეს იგი ნანგრევად არის; შესავალი კარი აქვს დას.-ით. გალავნის გარეთ, აღმ. მხარეს დგას ბზის ხეები.

ს ი ძ ვ ე ლ ე :

1 (ქ. 2772). მძივი, დიდი ზომის, 1 ცალი. შენიშვნა: მძივი ეკლესიაში გათხრილ აკლდამიდან უნდა იყოს ამოღებული.

14. გორისუბანი.

გორისუბნის წმ. ბარბაღეს ეკლესია ერთნავიანი შენობაა, $5,2 \times 3,3$ m., ნაგები შირიმის თლილი ქვისა და კირისაგან; სახურავი სულ გადახდილი აქვს; თალი კარგად არის შენახული; კედლები შიგნით და გარეთ გალესილია კირით; კარი აქვს სამხრ. და დას., სარკმელი—აღმ. 1, სამხრ. 1, დას. 1. ტრაპეზი მოშლილია, სამკვეთლო თახჩაშია გამართული; აღმ. კედელს მალა დატანებული აქვს ორი ქვევრი ხმისათვის; სამხრ. ნაწილში არის პატარა თახჩა.

ეკლესია მოხატული ყოფილა; დღეს მხატვრობისა მხოლოდ ნაშთი-ლა არის; ჩრდ. კედელზე დახ. ნაწილში მოჩანს ქალის (?) თავი, დაზიანებული: შენახულია მარტო პირისახის მარცხენა მხარე და შუბლის ზევითი ნაწილი, სხვა გამქრალია. მხატვრობის კვალი შერჩენილა აგრეთვე ეკლესიის გარეთაც, დას. კედელზე, ჩრდ. ნაწილში; აქ შენახულია მხოლოდ წითელი ფერი.

ეკლესიას ჩრდ. მიდგმული ჰქონია რალაც შენობა; ახლა მისი მხოლოდ საძირკველი-ლა მოჩანს.

ეკლესიის ჩრდ.-დას. არის ნანგრევი; აქ აღმოჩნდა ჩუქურთმიან-წარწერიანი ქვა, $27 \times 87 \times 14$ cm., რომელიც ძველად კარიბჭის თავზე უნდა დებულყო; უკანასკნელი ახლა დანგრეულია; ქვა ნახევარწრის ფორმისა არის; ზევითა ნაწილში აქვს შესანიშნავი ჩუქურთმა,

¹) ეს ქვები ვილაც პირის მივრ დაცვის მიზნით უნდა იყოს ამოღებული.

ხოლო ქვევითა ნაწილში კი ასომთავრული წარწერაა. სამწუხაროდ, ძველადვე ვიღაც უფიც ოსტატს მისთვის ძირა ნაწილი შეუჭრია და სხვა ფორმა მიუცია. ამ შეჭრისაგან წარწერა თითქმის სულ განადგურებულია: მოსპობილია მთავარი ადგილი მთლად (სტრიქ. მე-3 და მე-4); გარდა ამისა ქვას მარჯვენა გვერდი მოტეხილი და დაკარგული აქვს.

წარწერა:

- 1 სოსოგ¹ნმცხ²ბრიო და მთბ³რიო ყ⁴თა ს⁵ატ⁶რ
- 2 (მძლ)⁷რთა და ყ⁸თა წ⁹თა (ი)¹⁰თა მძრთა
- 3¹
- 4

იკითხება: სოსო (?) განმა(ჯხოველებელო და მელო-ბელო ყოველთა საუკუნეთაო მოძღვართა და ყოველთა წმიდათა ლოცვითა მადლითა

წარწერა პალეოგრაფიულად ეკუთნის მე-XI ს-ს; იგი ძლიერ ემსგავსება ნიკორწმიდისა და პატარა ონის ეკლესიების დას. კარის თავის წარწერებს.

ეკლესიის დას.-სამხრ. კუთხის გასწვრივ, ეზოში, 6—7 მეტრის მანძილზე დევს საფლავის ქვა, 60×29×27 cm., რომელზედაც გამოსახულია ძველი ფორმის ჯვარი. ქვას ზევითა (თავის) ნაწილი მოტეხილი უნდა ჰქონდეს.

ეკლესიის აღმ. მხარეს არის კლდე გამოქვაბული.

15. ბარეული.

ბარეულის „დედა-ღვთის“ ეკლესია ერთნავიანი შენობაა, 4,5×3,2 m., ნაგები შირიმის თლილი ქვისა და კირისაგან. დგას მარტო კედლები, ისიც ნაწილობრივ დაქცეული. კარი აქვს სამხრ., დას., და ჩრდ.; ტრაპეზი კედელზეა მიდგმული.

ტრაპეზს თავზე ადევს ქვა, 15,5×63×50 cm.; მას ქვედა ნაწილი მოტეხილი და დაკარგული აქვს; ქვის წინა პირზე გამოსახულია 5 წმიდანი, მდგომარე თითოეული ცალკე კამარაში, დაზიანებული წელს ქვევით (ქვის მოტეხისა გამო); აწერიათ ხუცურად: პირველს—წ¹ა|თ²|ე (წმიდაა თევდორე), მეორეს—წ³ა|მ⁴|., მესამეს—წ⁵ა|კ⁶., მეოთხეს—წ⁷ა|ნ⁸ე და მეხუთეს—წ⁹ა|ღ¹⁰ე.

1) არა ჩანს, თუ რამდენი ასო უნდა აკლდეს მე-3 და მე-4 სტრიქონებში.

ს ი ძ ვ ე ლ ე .

1 (ქ. 2771). ვერცხლზე (?) ნაჭედი რომელიღაც წმიდანის ხატის ნაშთი ¹: ფიცარი, 40×30,5 cm., აშიები — მთელი 2 ც., ნატეხი 7 ც., სულ 9 ცალი ², მთელ აშოასა და ზოგიერთ ნატეხზე ყვავილების ქედოილი სახეებია, ხოლო ორ ნატეხზე, რომელიც შეადგენს ძირა აშოის ნაწილს, არის დაზიანებული ასომთავრული წარწერა (მისი დასაწყისი მოცილებულია და დაკარგული):

მონ ³ სასოებით მოსაყსა | ში^ა | ში^რს | ჯ^ვს | ში^ა |

ი კ ი თ ხ ე ბ ა ; სასოებით მოსაყსა შენსა ზაქარი-
ას კვტას შვილსა ჰეოხ მეყავ დღესა მას განკითხვისასა.

ძეგლ ეკუთნის მე-XV ს-ს.

ეგების ეს ზაქარია კვტას შვილი იყოს ის ზაქარია, რომელიც მოხსენებული უოფილა ბეთლევის ეკლესიის მთავარი ხატის წარწერაში, (იხ. ბეთლევი, სიძველენი).

16. მიქარწმიდა.

მიქარწმიდის ეკლესია ქვიტკირის შენობაა ახალი დროისა.

ს ი ძ ვ ე ლ ე , აღმოჩენილი ეკლესიის ეზოში (დას. ყორეში) 1929 წელს.

1 (ქ. 2776). წარწერიანი ქვა, 20×42 cm., დაზიანებული: ზე-
ვითი ნახევარი მოტეხილი და დაკარგული აქვს; იგი დარჩენილი
უნდა იყოს ძველი ეკლესიიდან; ნაწერია გაკრული ხუცურით.

- 0
- 1
- 2 ა ზ ხ 3 ის
- 3 დამან და ჯ^რ და გ^რ და სო(თ)[ი]დით
- 4 ა გ^რიწ^რდითა ავაშინეთ წ^რი ისი
- 5 იკისიაჲ საიოცაჲდ ჰავრონთ
- 6 ჩ^რნთა და თაჲისა ჩ^რნისა და ყ^რითთა ძ[მ]
- 7 თა ჩ^რნთა აზნაურთა მთაჲითა დასა(რ)
- 8 ოცაჲდ ყვირთა და ნათესაჲთა ჩ
- 9 [წ]თათჲის (ა და) ს-რთ ჩ^რნთამშობითათჲის
- 10 . . . (თონ)ს დაისა. კისვ(ით) . . . ძ (ონ)

¹) ძეგლი გაუნადგურებიათ 1929—30 წლებში.
²) ფიცარი დაცულია ადგილობრივ ეკლესიაშივე, ხოლო აშიები ქუთ. მუზ. ში.
³) დაზიანებულია დაახლ. 7—8 ასო-ნიშანი.
⁴) აქამდე ერთი ნატეხია, ამის შემდეგ მეორე.

17. ხვანჭკარა.

ხვანჭკარას არის ორი ძველი ეკლესია—ღვთისმშობლისა და გოლგოთისა.

1. ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია (ყიფიანების უბანში) დგას სოფლის თავს კლდეებით შემოზღუდულ ადგილას; ძველი ერთნავიანი შენობაა, $7,8 \times 3,2$ m., ნაგები შირიმის თლილი და კლდის სწორპირიანი ქვისა და კირისაგან, განახლებული: ახლო წარსულში. დღეს ნანგრევად არის: სახურავი მოხდილია, კედლებს გარეთა პერანგი შემოცლილი აქვს, დას. კედელი, კარ-სარკმელი და ტრაპეზი დანგრეულია. საკურთხეველში არის ორი თახჩა (ერთი სამხრ., მეორე ჩრდ.); აქვე კედელში, შალა, დატანებულია ორი ქვევრი ხმ. სათვის.

ეკლესია მოხატული ყოფილა; მხატვრობა ნაშთად-ღა არის: საკურთხეველის კონქში მოჩანს ორი პირის (მაცხოვრისა და ნათლისმცემლის?) მუხლქვევითი ნაწილი; დანარჩენ ადგილებში მხატვრობა სულ მოცილებულია.

ეკლესიას გარშემო ჰქონია გალავანი, რომელიც დღეს ნანგრევად არის.

ეკლესიის აღმ. კლდეზე არის ზედა და ქვედა ციხეები, დას.ითაც არის ზედა-ციხე, ჩრდ. კიდეე „ნაციხვარი“ (კოშკი).

2. გოლგოთის ეკლესია ერთნავიანი შენობაა, $5,7 \times 3,8$ m., ნაგები შირიმის თლილი ქვისა და კირისაგან; ჰხურავს ყავარი, რომელიც ნახევრად დამპალია; სახურავი (თალის მაგიერი) ფიცრისა აქვს; კარი არის სამხრ. და დას.; სარკმელი—აღმ. 1, სამხრ. 1, დას. 1; უკანასკნელი (დას.) ახლაა ამოგებული. ტრაპეზი კედელზეა მიდგმული; საკურთხეველში არის 2 თახჩა (ერთი სამხრ., მეორე ჩრდ.).

18. ჩორჯო.

პატარა ჩორჯოს „საყიორის“ წმ. გიორგის ეკლესია ერთნავიანი შენობაა, $5,7 \times 3,2$ m., ნაკერი შირიმის ფილი ქვისა და კირისაგან. ჰხურავს ყავარი, რომელიც ნაწილობრივ დამპალია. სახურავი (თალის მაგიერი) ფიცრისა აქვს; კედლები შიგნით და გარეთ გაღესილია კირით; დას. კედელს გარეთ, საქარესთან, უდევს ქვა, რომელიც შემკული ყოფილა ჩუქურთმით; დღეს იგი ძლიერ დაზიანებულია: ჩუქურთმის ნაშთი შერჩენია მხოლოდ ძირა მარჯვენა კუთხეში. ეკლესიას კარი აქვს სამხრ. და დას.; სარკმელი—აღმ. 1, სამხრ. 1.

ტრაპეზი კედელზეა მიდგმული. საკურთხეველში არის ორი დიდი თახჩა: ერთი სამხრ., მეორე ჩრდ.; უკანასკნელში სამკვეთლო უნდა ყოფილიყო გამართული. აქვე, მაღლა, კედელში დატანებულია ორი ქვევრი ხმისათვის.

ეკლესია გაუტეხიათ 1930 წ. მაისში; წაუღიათ სიძველეები:

1. ვერცხლზე ნაჭედი წმ. გიორგის ხატი, 25×20 cm., (დაახლ.), შემკული 2 თვლით.

2. ზარი.

ეკლესიის ეზოში დგას მრავალწლოვანი ხეები: ურთხველი 7, ცაცხვი 3, მუხა 6.

გამოდმა ჩორჯოს არის ასეთივე ხეები: საელიოზე—ურთხველი მრავლად, სამების ახალი ეკლესიის ეზოში 3 ცაცხვი, საჯვარზე—ცაცხვი მრავლად.

19. ბოსტანა.

ბოსტანის ეკლესიის სიძველენი:

1 (ქ. 2141). შარხვანი, $30 \times 24 \times 8$ cm., ეტრატზე ხუტურად ნაწერი, დაზიანებული, ბოლოში ფურცელნაკლები.

2 (ქ. 2142). დავითნი, ქალაღზე ხუტურად ნაწერი, დაზიანებული, ფურცელნაკლები.

20. საკეცია.

სიძველენი, აღმოჩენილი სოფლის მახლობლად, მიწაში.

1 (ქ. 1897). თიხის საცრემლე, დიდი 1 ცალი.

2 (ქ. 1898). „ „ მცირე 1 ცალი.

3 (ქ. 1899). ბრინჯაოს რგოლები და სხვა, მთელი და ნატეხი, სულ 24 ცალი.

4 (ქ. 1900). რკინის ხანჯალი 3 ცალი.

5 (ქ. 1901). ცული 1 ცალი.

6 (ქ. 1902) რკინის შუბის წვერი 4 ცალი.

7 (ქ. 1903). რკინის რალაც იარაღი 2 ცალი.

8 (ქ. 1904). მძივი 3 ცალი.

21. ღვიარა.

ღვიარას არის ორი ეკლესია: ერთი ჯვარცმისა, ძველი; მეორე—წმ. თევდორესი, ახალი.

1. ჯვარცმის ეკლესია ერთნავიანი შენობაა, $6,4 \times 3,7$ მ., ნაგები შირიმის თლილი ქვისა და კირისაგან. დგას მარტო კედლებზე; შენობას სახურავიდან მარტო ნაშთიღა შერჩენია ადგილადგილ. შიგნით საკურთხევის აღმ. ნაწილი ძირს სწორკუთხედიანია, ხოლო 3 მ.-ს სიმაღლეზე ტრომპით (?) მრგვალდება. ეკლესიას კარი აქვს სამხრ. და დას., სარკმელი აღმ. 1, სამხრ. 1; აღმ. სარკმელზე შემკულია (ძირა ნაწილში) ცხვრის თავების (ორი) გამოსახულებით. ტრაპეზი კედელზეა მიშენებული, სამკვეთლო კუთხეში ყოფილა გამართული, იგი დღეს მოშლილია, საკურთხეველშივე არის ორი პატარა თახჩა.

ეკლესიის აღმ. და ჩრდ. დგას ბზის ხეები.

ეკლესიის დასწვრივ, ძირს, სერზე არის ციხის ნანგრევი.

2. წმ. თევდორეს ეკლესია ქვიტკირის შენობაა მე-XIX ს.-სა; ძველად ამ ადგილას ყოფილა ამავე სახელობის საჯვარე.

სიძველენი:

1 (ქ. 2778). ხის ჯვარი, $55,3$ (ტარითვე) $\times 28,5$ cm., ირგვლივ ვერცხლით შეჭედილი და შემკული ჭედილი ხატებით და 5 მოზრდილი თვლით (წინა მხარეს), დაზიანებული.

2 (ქ. 2779). ვერცხლზე ნაჭედი წმ. თევდორეს ხატი $1, 21 \times 17,3$ cm.; წმ. თევდორე ცხენზე მჯდომარეა; იგი შუბით გამირავს ვეშაპს; მას თავზე აწერია: წი თე (წმიდაი თევდორე).

ხატს ქვედა ამის ადგილას აქვს ხუტური წარწერა, რომელიც ყურადღებას იპყრობს პირუტყუმ ანუ პირშებრუნებით ნაჭედი ასოებით.

1. ქე გე . . ქებ. (?).

ადგილობრივი მცხოვრების, სიძველეთა დაცვის რწმუნებულის სიმონ გიორგის ძე დარახველიძის სახლს ალაყაფის კარის თავზე უდევს ხის კოჭი, შემკული ჯვრისა, მზისა და სხვა სახეებით.

ღვიარას მთაში, სოფლიდან 3 ვერსის დაშორებით, ნაძვანარ ადგილას, ადგილობრივ პირთა ცნობით, არის „სოჩბის“ წმ. გიორგის ეკლესია, ნაგები შირიმის ქვისა და კირისაგან. ამ ეკლესიიდან წამოღებული სიძველე—ვერცხლზე ნაჭედი წმ. გიორგის ხატი უკანასკნელ ხანამდე დაცული ყოფილა წმ. თევდორეს ახალ ეკლესიაში (სოფლად); ხოლო უკანასკნელ წლებში იგი გაუნადგურებიათ; დღეს მისგან დარჩენილია (თევდორეს ეკლ.-იაში) მხოლოდ ცალიერი ფიცარი, $39 \times 29,7$ cm. თვით „სოჩბის“ ეკლესიაში დღესაც და-

1) ადგილობრივ მას წმ. გიორგის ხატი ეწოდება.

ცული ყოფილა ლახტი, ზრო ანუ ესრის წვერი და სხვა ნივთები, რომელთა მუზეუმში გადმოტანა იკისრა ადგილობრივმა რწმუნებულმა ს. დარახველიძემ.

22. კლდისუბანი.

კლდისუბანს არის ორი ეკლესია: ღვთისმშობლისა და „ციხის“ წმ. გიორგისა.

1. ღვთისმშობლის ეკლესია დგას ქვედა სოფელს, მდ. რიცეულის¹ მარცხენა მხარეს. აგებულებით იგი გარედან წააგავს სამნავიან ბაზილიკას, ხოლო შიგნით კი წარმოადგენს სამ შენობას: ერთს დიდ ეკლესიას (დღეს შუა ნაწილი), შედარებით ახალს; მეორეს—პატარა ეკლესიას (სამხრ. ნაწილი), ძველს და მესამეს—გალერიას თუ რაღაც გრძელ შენობას (ჩრდ. ნაწილი), დიდი ეკლესიის თანამედროვეს (?). სამივე ეს შენობა ცალცალკე ნაწილს წარმოადგენს, ისინი ორგანულად არ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული; პირველი ორი კარგად არის დაცული, მესამეს კი დას.-ის მხარე დაქცეული აქვს. ყველა ნაგებია შირიმის² თლილი ქვისა და კირისაგან, თაღები ქვიტკირისა აქვთ, ჰხურავთ ყავარი.

დიდი ეკლესია (შუა ნაწილი) ერთნავიანი შენობაა, 10×4,2 m.; შიგნით გალესილია კირით; თალი კარგად არის შენახული; კარი აქვს დას., სამხრ. და ჩრდ. (უკანასკნელი ორი გვერდის შენობებში გადის); სარკმელი—აღმ. 1, დას. 1; ტრაპეზი საკურთხეველის შუაში დგას. საკურთხეველში არის ორი დიდი თახჩა: ერთი ჩრდ., მეორე სამხრ.; ჩრდ. თახჩაში სამკვეთლო უნდა ყოფილიყო გამართული, სამხრ.-ისაში სალარო.

პატარა ეკლესიაც (სამხრ. ნაწილი) ერთნავიანი შენობაა, 7,3×3,3 m.; მას კარნიზებად აქვს მოთეთრო ქვა, შემკული ჩუქურთმით; სამხრ. კედელში (გარედან) დატანებულია ჩუქურთმიანი სვეტის ორი ნატეხი; ერთი კარის მარჯვნივ, მეორე მარცხნივ; კარის ძირსაც დევს ამგარივე ქვა; იგი პირით შიგნით არის შებრუნებული და მასაც ჩუქურთმა უნდა ჰქონდეს; ყველა ეს ნატეხები ეკლესიის განახლების დროს მოჰყვებოდნენ აქ. კარი ეკლესიას აქვს სამხრ. და ჩრდ. (უკანასკნელი დიდ ეკლესიაში გადის); სარკმელი—აღმ. 1, დას.

1) ვახუშტი ამ წყალს სადმელის-ხევს უწოდებს (ვახ., საქ. გეოგო., ბრ. გამ., 374); ს. სადმელი აქვე მებობლად მდებარეობს.

2) შირიმის ქვას ადგილობრივ უწოდებენ: სპონტიოს, სპონტიკის, პონტიკის და ანოტიკის ქვას.

1. საკურთხეველი ორი საფეხურით არის აშაღლებული შუა ეკლესიიდან. კანკელი ქვიტკირისაა: შენახულია კედელი სიმაღლით 1 m.; მას აქვს მხოლოდ აღსავლის კარი. კანკელის წინა პირი შემკულია ყოფილა ქვის სვეტებით და კამარებით, რომლებიც დღეს თითქმის სულ დანგრეულია; ესენია:

1 ქვის სვეტი, $118 \times 22 \times 21$ cm., ოთხკუთხი, შემდ. ყვავილთა სახეებით.

2 " " $118 \times 21 \times 20$ " " " " "

3 " " $92 \times 18 \times 17$ " " " " "

4 " " 63 cm. სიმაღლით, მრგვალი.

5 " " 53 cm. " "

6 აღსავლის ქარის კაზარის ქვა, $68 \times 117 \times 13$ cm., სადა.

7 კამარის ქვა, $65 \times 97 \times 11$ cm., შემკული ჩუქურთმით.

8 " " $58 \times 75 \times 11$ cm. " "

ამ ქვებიდან პირველი ნომრით აღწერილი თავის პირვანდელადგილას დგას—ჩრდ. კუთხეში, მეორე გადმოქცეულია და თავის ადგილასვე გდია, დანარჩენი კი ყველა დას. კედელთან აწყვია (შიგნით).

ტრაპეზი კედელზეა მიდგმული; სამკვეთლო აღარა ჩანს სად იყო; საკურთხეველში არის თახჩა.

გალერიიდან თუ რალაც გრძელი შენობიდან (ჩრდ. ნაწილი) მთლიანად შენახულია მხოლოდ აღმ. ნაწილი, დას. ნაწილისა კი მარტო ნაწილია ჩანს. შენახული ნაწილი ზომით არის $4,3 \times 2,1$ m.; კარი აქვს დას. და სამხრ. (უკანასკნელი დიდ ეკლესიაში გადის); სარკმელი—აღმ. 1.

სიძველენი:

1. ფიცარზე ნახატი ჩვილედი ღვთისმშობლის ხატი, $28,4 \times 21,2$ cm., შეჭედილი ვერცხლით, რომელიც დაფერილია ოქროს წყალში და შემკული 21 თვლით (აკლია 1 თვალი) და მარგალიტის და სადაფის მძივებით. ხატის ზედა აშიასა და მარჯვენა გვერდის აშიის ზევითა ნაწილზე ყვავილოვანი სახეებია გამოყვანილი, ხოლო იმავე მარჯვენა გვერდის აშიის ქვედა ნაწილი, ძირა და მარცხენა გვერდის აშიები კი უჭირავს ასომთავრულ წარწერას.

ღვთისმშობელს აწერია: ყ^დ წ^ა (ყოვლად წმიდა), ყრმას—ძე^ლა (ძე ღვთისა).

აშიების წარწერა იწყება მარჯვენა აშიიდან (სტრ. 1), მერმე გადადის ძირა აშიაზე (სტრ. 2) და ბოლოს თავდება მარცხენა აშიაზე (სტრ. 3):

1) ასო ლ თავდაღმა ზის.

1. ძქ. ძსი. ყდქ. სხვ. მოჟ
2. ძდძიქვხთნამძმცხრძ
3. ა ჩმაასთნდრსოხთდსხრდსიანიჟა

იკითხება: ქწ ესე ყოვლად წმიდის ხატი მოჰქედე მე ჯავახ¹ თანამეცხედრემან ჩემმა ასთნდრ (?) საოხათ და სახსრად სულისა ჩვენისა.

2. სპილენძის ლანგარი მხედრული წარწერით: ძ. სვივის... ცხოვრისა. არის ვინც მოიპაროს. ისიმც. ჩისხაჟს. ძქს. უკზ.

ქორონიკონი უდრის 1739 წელს.

შენი შენა: ორივე ზემოაღწერილი სიძველე დაცულია ადგილ. მცხოვრების აკაკი გიორგისძე მხეიძის სახლში.

3 (ქ. 2770). ბრინჯაოს ჩაფრასტი ანუ ღილი სარტყლისა, შემკული ცხოველთა სახეებით, დაზიანებული.

2. „ციხის“ წმ. გიორგის ეკლესია დგას კლდის კუთხის შვირე წვერზე ზედა სოფლიდან 1 ვერსის დაშორებით; მას აღმ. დაქანებული კლდე აქვს, სამხრ. ოღნავი ვაკე და ისევ დაქანებული კლდე, დას. შედარებით საკმაოისი კლდიანი ვაკე და ჩრდ. პატარა კლდე და ძირს ვაკე: გზა შეუდის ჩრდ.-დას. მხრიდან; იგი ერთნავეიანი შენობაა, 5,6×3,55 m., ნაგები შირიმის თლილი ქვითა და კირისაგან; დგას მარტო კედლები, რომლებიც შიგნით და გარეთ გაღესილია კირით: აღმ. კედელი გარღვეულია ფანჯრის ხაზზე ზევიდან ქვევით. ეკლესიას ჰქონია ფიცრის სახურავი და ჰხურებია ყავარი, რომელიც გადაუხდია ქარს; იატაკად დაგებულია ცემენტი; კარი აქვს სამხრ. და დას., სარკმელი—აღმ. 1, სამხრ. 1. ტრაპეზი კედელზე ყოფილა მიდგმული, ახლა დანგრეულია. საკურთხეველში არის ორი თახჩა.

ეკლესიას გარშემო ჰქონია გაღავანი (ციხე?); შესაძლებულია ამის გამო ეწოდება მას სახელი „ციხისა“. ეკლესიის აღმ. და ჩრდ. არის ბზის ტყე, რომელიც დაუზიანებიათ უკანასკნელ ხანს.

ადგილობრივ პირთა გადმოცემით ეკლესიასთან სკოლიათ თემობა გიორგობას (ნოემბრის 10-ს) და ელიობას (ზაფხულში): „ჯერ აქ დასხდებოდენ თემად და მერმე სოფელში ჩავიდოდენ და იქ თემობდენ“-ო. ღამის-თევა სკოლიათ გიორგობას.

სიძველენი:

1 (ქ. 2769). რკინის ზრო ანუ ისრის წვერი—15 ცალი.

¹) ადგილობრივი მცხოვრები იაშვილები ჯავახს თავიანთ წინაპრად თვლიან.

23. სადმელი.

1. სადმელის თემის ეკლესიების სიძველენი, წამოღებული ადგილ. გლექომის საწყობიდან:

1 (ქ. 1878). ბეჭდები—

ა. თელიანი პირადი ბეჭედი წარწერით თვალზე.

ბ. დაბალი ლითონის თელიანი ბეჭედი 8 ცალი.

გ. " " უთვლო " 2 ცალი.

2 (სსსმ). დაბალი ლითონის თელიანი ბეჭედი—1 ცალი.

3 (ქ. 1879). ა. თელიანი საყურე 2 ცალი; ბ. მძივები 4 ცალი.

4 (ქ. 1881). ა. სპილენძის ფული რუსუდან დედოფლისა 1 ცალი; ბ. სპილენძის ფული აღმოსავლური 1 ცალი.

5 (ქ. 1880). ფიცრის კიდობანი, შემკული ჩუქურთმიანი სახე-ებით, ფეხმოტეხილი.

2. სადმელის საჩების ეკლესიის სიძველე, დაცული ადგილ. მცხოვრების ივანე სიმონისძე ჩიტალაძის სახლში:

1. დაბალ ვერცხლზე ნაჭედი წმ. გიორგის ხატი, 17,5×14 სმ. (გადაკრული ფიცარზე), შემკული 2 დიდ-პატარა თვლით. წმ. გიორგი მჯდომარე ცხენზე.

ხატი დაბალი ხელოვნებისაა, ეკუთნის მე-XVIII ს-ს.

3. სადმელის მცხოვრების დიანოზ. კერესელიძის მიერ შემო-წირული სიძველე:

1 (ქ. 1888). რომაული ვერცხლის ფული 1 ცალი.

24. ამბროლაური.

ამბროლაური მოხსენებული აქვს ვახუშტის თავის გეოგრაფიაში; იგი წერს: „ამბროლაურს ყოფილა სასახლე აწინდელთა მეფეთა ადგილის შემკობილებისა-თვის“-ო (გეოგრ. 374). სასახლისა დღეს ნაშთიც აღარ არის, ისტორიული ადგილი კი, სახელდობრ, დღევანდელი სკოლის ეზო და მიდამო ახლაც ისევ შემკულია ბუნე-ბით და საუცხოვო სანახაობას წარმოადგენს ზაფხულში; ეს არის მცირე, ოდნავ ამალღებული ლამაზი და მშვენიერი ვაკობი, რომელ-ზედაც დგას ორი მრავალსაოკუნოვანი შესანიშნავი ცაცხვის ხე: ერთი (დას. მხარეს) კოშკით და მეორე (აღმ. მხარეს) ეკლესიის ნანგრე-ვით. აღწერ ამ ძეგლებს.

ცაცხვის ხეები დგას ეზოს შუა გულში ერთი აღმ., მეორე დას. აღმ. მდგომი ცაცხვის ხის ძირას, ჩრდ. არის სწორი ქვა, ზომით

2,6×1,77×0,12 m., დადებული ოთხ მრგვალ დაბალ ფეხზე. მეორე, დას. მდგომი ცაცხვის ხის სამხრ. არის შეორე სწორი ქვა, ზომით 3×1,37×0,31 m., დადებული აგრეთვე ოთხ მრგვალ დაბალ ფეხზე. ორივე ეს ქვა მაგიდის მაგვარია და საზაფხულო სუფრად უნდა ყოფილიყო (?) მეფის სასახლის წინ, რომელიც (სასახლე) აქვე, მახლობელ მიდამოში იქნებოდა.

ცაცხვის ხეების დას. დგას ქვიტყირის კოშკი ოთხკუთხი ფორმისა.

ცაცხვის ხეების აღმ. არის ღვთისმშობლის (?) ეკლესიის ნანგრევი. ეკლესია უკანასკნელ ხანამდე მთელი ყოფილა. იგი დაუნგრევიათ 1925 წელს¹. დღეს მის ადგილას მხოლოდ ნანგრევი-ლა არის 1 m.-ს სიმაღლისა. ეკლესია ერთნავიანი შენობა ყოფილა, 10,4×5,9 m., ნაგები თლილი მოთეთრო ქვისა და კირისაგან. ნანგრევის გარშემო არის კარ-სარკმლიდან ჩამოყრილი შესანიშნავი ქვები, სახელდობრ:

- 1 დას. კარის-თავის ქვა, 1,83×1,03×0,23 m., ნახევარწრის ფორმისა, შემკული ჩუქურთმითა, ჯვრის გამოსახულებით და წარწერით, მარცხენა მხარე დაზიანებული (მომტვრეული აქვს ორი ნატეხი, რომელიც იქვე ინახება).
- 2 იმავე კარის სიმაღლის ქვა, 1,8×0,58×0,33 m., შემკული ჩუქურთ.
- 3 " " " " 1,8×0,52×0,31 " " "
- 4 სამხრ. კარის თავის ქვა, 0,98×1,55×0,25 m., ნახევარ წრის ფორმისა, შემკული ჩუქურთმითა, ჯვრის გამოსახულებით და წარწერით.
- 5 იმავე კარის სიმაღლს ქვა, 1,79×0,45×0,22 m., შემკული ჩუქურთ.
- 6 " " " " 1,79×0,48×0,38 " " "
- 7 სარკმლის ქვა, 1,08×0,71×0,31 " " "
- 8 ქვა, 76×57×16 cm., შემკული ჩუქურთმით.

წარწერები:

1. პირველი ნომრით აღწერილ დას. კარის-თავის ქვას აქვს წარწერები²:

¹; განათლების სახ. კომისარიატის სიძველეთა, ხელოვნების და ბუნების ძეგლთა დაცვის განყოფილების მიერ 1925 წელს გამოცემულ ბიულეტენში ხსენებული ძეგლის დამაქცეველად ჩემ მიერ გაუგებრობით დასახელებული იყო აკაგილ. თემალმასკომის თავმჯდომარე სერაპიონ ფანჯიკიძე (№ 2, გვ. 5). როგორც შემდეგ გამოირკვა, ეს პირი ამ საქმეში უდანაშაულოა და ბიულეტენის ცნობა ამ პირის მიმართ შეცდომად უნდა ჩაითვალოს.

²) RVA, XII, 61—62.

ჯვრის თავზე¹ ასომთავრულად—

1 ჯ'ი ქ'ი ძ'ია მგ'თა

ანუ: ჯვარი ქრისტესი ძლევა მტერთა².

ჯვრის ქვევით³ მხედრულად—

1 ქ'ი⁴: ადიდნის⁵: ოთ'ნ': ორთაყი: შინა: ცხორიბათა მიეთეთ:

მიეთე

2: გიორგი: და: თანა: მიცხიდრი: მისი: დედოფარი: დედოფარი: თამარ

3: და ძინი: მათნი: ადიქსანდრი: ჩოსვომ: და მამუაი⁶: ანდა: უკუნისამდი: ა'ნ:

2. მეოთხე ნომრით აღწერილ სამხრ. კარის-თავის ქვაზე არის მხედრული წარწერა⁷:

1 [ქ'ი ადიდნ] მიეთე გიორგი ს.ო [ალოშენა] იკრისია

2 [იხი] ყოყიად: წმიდისა: ო'თის: მშობდისა: საოხად: სუი

3 სა მისისათვის⁸

ბროსე ფიქრობს, რომ წარწერაში მოხსენებული მეფე არის იმერეთის მეფე გიორგი II⁹, რაც შეცდომაა; ეს არის მეფე გიორგი მე-III (მეუღლით თამარით და შვილებით: ალექსანდრე, როსტომ და მამუკაი), რომელიც მოხსენებულია გელათისათვის მიცემულ ორ შეწირულების წიგნში—1604¹⁰ და 1630 წლ.¹¹

ადგილობრივ პირთა ცნობით ეკლესიაში იატაკზე ყოფილა ადგილის უკანასკნელ მეპატრონეთა მაჩაბელთა გვარის ერთერთი წევრის საფლავის ქვა. ეკლესიის დანგრევის დროს განუზრახავთ მისი ახდა და საფლავის გათხრა: ქვა გაუტეხიათ, მაგრამ შერმე თავი გაუნებებიათ და დღეს იგი ნანგრევების ქვეშ არის მოყოლილი. სიძველე:

1 (ქ. 1886). ფიცარზე ნახატი დვთის მშობლის ხატი, 26,5×20

¹) იქვე, 62.

²) წარწერას ბროსე შეცდომით კითხულობს: „ჯი.უ. ძისა მეოხ დ.“-დ (იქვე).

³) იქვე, 61.

⁴) ბროსე შეცდომით კითხულობს: „ჭი“-დ (იქვე).

⁵) ბროსე: ადიდნ (იქვე).

⁶) იკითხება: მამუკაი; ბროსე შეცდომით კითხულობს: „მამია“ს (იქვე, 62).

⁷) იქვე, 62.

⁸) ამ ნაწერიდან ბროსეს მარტო მერვე სტრიქონის ორი სიტყვა აქვს გადმოწერილი, სახელდობრ: „ღვთისა მშობლისა“ (იქვე); იგი აზბობს, წარწერა გადასულია და მარტო ეს მოვიკითხეთ (იქვე).

⁹) იქვე.

¹⁰) საეკლ. საბ., I, 36; ქრძნ. II, 434.

¹¹) საეკლ. საბ., I, 48.

ცმ., შექედილი ვერცხლით, ოქროს წყალში დაფერილი და შემკული 62 დიდ-პატარა თვლითა და წვრილ მსხვილი მარგალიტით (აკლია თვალისა და მარგალიტიც); ხატთან ინახება სხვა, რომელიც ხატის 1 თვალი. ხატს ქვედა ნაწილში აზიის ადგილას აქვს ასომთავრული წარწერა.

1. ძწ ოწ: და წწო: ამზროლაჟრისა: ოწის: მშობწრო: დაიცოჟ: ორთაჟი: შწა: ცხოჟრბწთა.

2. მამკობი და შიქომწირჟი თიქიწი მთჟრწხისკწში ჟათაწიძი: სჟიწონ:

იკითხება: ქწ ღმერთო და წმიდაო ამზროლაულისა ღვთის მშობელო, დაიცევ ორთავე შინა ცხოვრებათა: მამკობი და შემომწირველი თქვენი მთავარებისკობოში ჟათაწიძე სჟიწონ.

წარწერა ყურადღებას იპყრობს დამწერლობის მხრივ: მასში ორ ადგილას ა-ს ნაცვლად ნახმარია ჟ, რომელიც აქ გადმოცემულია შავად.

ხატი ეკუთნის მე-XVII ს-ს. წარწერაში მოხსენებული მთავარებისკობოში სჟიწონ ჟათაწიძე ამ ხანის პირი არის. იგი მოხსენებულია რუსეთის ელჩების ტოლოჩანოვისა და იეველევის აღწერილობებში რამდენიმე ადგილას; ის არის ძმა მოლარეთ-უხუცესის ლომკაც ჟათაწიძისა¹, მას აქვს სასახლე და ფიცრული ეკლესია მთავარანგელოზის სახელზე კრიხულას აქეთ მდ. რიონთან; იგი იწვევს ელჩებს ეკლესიაში, სადაც ისინი ნახულობენ: 1. დროშა-ჯვარს ანუ მღვდელმთავრის წინსაძღოლს, შექედილს ვერცხლით და შემკულს თავში ოქროს ჯვრითა და თვალმარგალიტით და 2. ღვთისმშობლის ხატს, შექედილს ოქროთი და შემკულს ძვირფასი თვლებით². ამ სიძველეთაგან პირველი დღეს არსადა ჩანს, ხოლო მეორე შესაძლებელია იყოს ზემოაღწერილი ღვთისმშობლის ხატი, რომელიც ოქროსი კი არ არის, როგორც ამას ელჩები სწერენ³, მაგრამ ოქროს წყალში კი არის დაფერილი.

იგივე მთავარებისკობოსი სიწონი ხელს აწერს იმერეთის მეფის ალექსანდრე მე-III 1651 წლის საფიცრის წიგნს⁴.

ადგილობრივი რაიადმასკომის სახლი ფიცრას შენობაა, მრავალთვალი, ჩამოტანილი ძველად (1900 წლებში) ს. სხვაგვადან; იგი განახლებულ-გადაკეთებული უნდა იყოს. მას აქვს შესანიშნავი ჩუ-

1) ტოლ., 189.
 2) იქვე, 123.
 3) იქვე.
 4) იქვე, 195, 189, 190.

ქურთმიანი ხეები, სახელდობრ: აიენის სვეტი, შეღებილი წითლად— 7 ცალი; სიგრძის კოჭი, შეღებილი თეთრად, სახლის წინა მხარეს, მაღლა— 2 ცალი; ისეთივე კოჭები, შეღებილი წითლად, სახლის გარშემო, ძირს— 7 ცალი; სულ ერთად 16 ცალი. პირველი 9 (7+2) ზე საუცხოო ხელის ნამუშაურია. ეკუთნიან მე-XVI—XVII სს

25. იწა.

იწის ეკლესიის სიძველე:

1 (ქ. 1387). ვერცხლზე ნაქედი მთავარანგელოზების ხატი, გადაკრული ფიცარზე, $34,5 \times 25,5$ cm., ძლიერ დაზიანებული. მთავარანგელოზებს თავზე აქვთ ასომთავრული წარწერები: წა მქლ, ანუ. წმიდაჲ მიქელ და წი გბლ, ანუ წმიდაი გაბრიელ.

ხატს მარჯვენა მხარეს აშიის ადგილას დაკერებული აქვს ვერცხლის ფურცელი ასომთავრული წარწერით; ეს ფურცელი სხვა ხატიდან უნდა იყოს აღებული, რასაც ამტკიცებს ის, რომ მისი ორნამენტები სხვა არის, ხოლო ხატის არისა და აშიებისა კი სხვა.

საკერებლის წარწერა:

1 . . . რო: ში: ცოდვი: ხი(გ)იან

იკითხება: . . . რო (?) შეიწყალე ცოდვლი ხუტულ (თუ ხუტლუ?) აბქაშიძე?!

26. ხოტევი.

ხოტევის მაცხოვრის ეკლესია ახალი დაქცეულია; იგი ერთნა-ვიანი შენობა ყოფილა, ნაგები 1676 წელს თლილი ქვისა და კირისაგან, მოხატული შიგნით; მისთვის ადრევე სახურავი მოუხდიათ, ხოლო 1924 წლის გაზაფხულის დამლევს ის საძირკვლამდე დაუნგრევიათ. 1925 წელს ეკლესიის ნანგრევში მრავალ ქვას შერჩენილი ჰქონდა მხატვრობა, რომელიც მეტად ცოცხალი ჩანდა. 1927 წელს პირქვე დაცემულ ქვათა შორის ვიპოვე დას. და სამხრ. კარის წარწერიანი ქვები¹, რომლებიც საგანგებო ოქმით ჩაეაბარე ადგილ. ხელისუფლებას დასაცავად. მიუხედავად ამისა, ისინი 1927—1928 წლებში მაინც ადგილ. სკოლის შენობისათვის შეუჭმარებიათ: 1930 წელს არც ერთი მათგანი თავის ადგილას აღარ აღმოჩნდა; ყველა შენობაშია დაფარული ერთის გარდა, რომელიც პირით გარეთ დევს. ეს ქვებია:

¹) წარწერები მოყვანილი აქვს ბროსეს, მაგრამ შეცდომებით: (RVA, XII, 50—61), რომელთაგან მე აღვნიშნავ მხოლოდ ზოგიერთს.

1. დას. კარის თავიდან ჩამოგდებული ქვა 0,71×1,38 მ., მხედრული წარწერით ¹:

- 1 † ზოი სამებით | დადაგებულო | მიუწრომელო | და გარი | შერმოქწირი-
ლო | სივყაყო ² | და | [ძარი]
- 2 დათანარსო ³ | მამისა | და სულისა | წმიდაისაო ⁴ | მაცხოვარო | პირო ⁵
მლოთისაო | რათა | ვიგუდით | და | [აღვა]
- 3 შინეთ | იკრისა | ეს | შინი | ჩვენ | წილუკიძემ | მერაბ | და | თანა |
მეცხერდემ | ჩვენმა | ჩიჯაყძის ⁶ | [და]
- 4 რმა | სახსრადა | და საოხათ | სულისა | ჩვენისათვის | და ძეთა |
ჩვილთა]
- 5 გორგის | და | ქაიხოსროს | წასმართებრთ ⁷ | აღვაშინეთ | და | დაჯახა-
ვინეთ | და | შვიამაჯეთ | ხავითა | და | ჯგ
- 6 არითა | და | წიგნითა | მაცხოვარო | ხოვყვისაო | ვაძარი | შინი | და-
შვიწირი | ჩემის | ცოდვირის |
- 7 სულის | შესანდობლათ | კინი | და | მცირი | შესაწირაჟი | ესე | ვინ-
ცა | შენდობა | გვიბრძნო[თ] ⁸
- 8 ლმერამნ ⁹ | თქვენც | შეგინდაოს ¹⁰ | თქვენი | ცოდვანი | აღიშენა
იკრისა | ესე | ქვა | სამას
- 9 სამოცდა | ოთხსა ¹¹

ქორონიკონი უღრის 1676 წელს.

2. სამხრ. კარის თავის წარწერა ¹² ყოფილა სამ ქვაზე: კარის თავზე მდებარესა, მის მარცხნივ მცირე ნაჭერ ქვასა და კარის მარცხენა სვეტსა ანუ საყრდენ ქვაზე (უკანასკნელზე ზევითა ნაწილში) — ამ ქვებიდან პირველი გატეხილია ექვს (თუ მეტ) ნაწილად (ნანგრევიდან ამოვიღე 3 დიდი და 1 პატარა ნატეხი; ვერ ვიპოვე 2 წვრილი ნატეხი); მეორე მცირე ქვა არა ჩანს, ხოლო მესამე მთელია. წარწერა მხედრულივე არის; შეიცავს სულ 16 სტრიქონს: მათგან

- 1) RVA, XII, 60.
2) უნდა იყოს: სიტყვაო.
3) უნდა იყოს: და თანაარსო.
4) უნდა იყოს: წმიდისაო.
5) ასო პ ყველგან ჰ-ს მაგვარად არის ნაწერი.
6) უნდა იყოს: ჩიჯაყაძის.
7) უნდა იყოს: წასამართებლათ.
8) უნდა იყოს: გვიბრძნოთ.
9) უნდა იყოს: ლმერთმან.
10) უნდა იყოს: შეგინდოს.
11) აქ და ქვევითაც პუნქტირებაზეებით აღნიშნულია სამი წერტილი...
12) RVA XII, 60—61.

12 სტრ.-ნი ნაწერია პირველ ქვაზე და დანარჩენი 4 სტრ.-ნი (13—16) მეორე და მესამე ქვებზე. ზომა პირველი (გატეხილი) ქვისა (ყველა თავისი ნატეხებით) $0,61 \times 1,4$ m., მესამისა — $1,63 \times 0,7$ m.

წარწერა:

- 1 (ი) [ჰ]ი | მაცხოვარო | [გვიღრი | ვარ | მი | მერაბ |]¹ შენის | ღი-
ღებ[ით]
- 2 ჩვიტ | გვართა | ი[ონდათ] | ეს | რ[ა]ქა | მ(რ)ა[ვ]ლი | კიღის | კი-
ღებ[ით]
- 3 მეცა | შვიდავი | მრვი | არც | მვირ(თ)ა | გრდავირებით
- 4 ლ | აწ | ნახეთ | (რ)ა | ვიღ | კამრწვირ(მ)ან სოთრისა | ანშიდავით.
- 5 ი | პირვირ | ოღიშა | დავიბყარ | მამვირ | მივე | ბვირი ა
- 6 მვირვი | აი | რვი | სამვირვი | ყოვირან | მ(ო)ვირვი | მვირი ა
- 7 იწროთას | აიათ | ხონამღის | ლ ხონიც | [შ]ივან | ვრი ა
- 8 ლ აწ | ნახეთ | ესე | სოთვირ | თუ | როგო[რ:] ბინღის | თვირია ა |
- 9 ი | მი | ლავიანმა² | ვამვირდა | რვიან | [ო]ვით³ | დოვირთიანმა ნ
- 10 სრვი | მას⁴ | მონებდა | ივიყანა | დი[ბ]ყარო⁵ | მრვიკამიანმა ნ⁶
- 11 სწორ | თუვირვირან | ხვირვითვი | მან | კვივიანმა | ლ ხრვირვიანმა ნ⁷
- 12 ლ | ნახე[თ] | რა | თყო | სოთვირვიან | ამ მუხანთმან | შიანმა ნ
- 13 [ი] | შვირვირად |]⁸ | მვირღიდა⁹ | მასწავლა | მნივობა | ყოვირ | წესებ ი
- 14 [ნახეთ | სოთვირ]ისა | სივირვი | სიშვირ | ყოთვირვი | ესებ ი
- 15 [არ | მიანი]ა] წვირვირსა | თარიღს | თვირვირესებ ი
- 16 ლ არვის ვათავივირვის წვირთ ვიხ დანვირესებ ი¹⁰

ი კ ი თ ხ ე ბ ა :

ქ. ჰე მაცხოვარო, გვედრი ვარ მე მერაბ შენის დიდებით,
ჩვენ გვართა ქონდათ ეს რაქა მრავალი კიღის კიღებით;
მეცა შევმატე მრავალი არც მტერთა გარდაკიდებით.

1) სწორ ფრჩხილებში ჩასმული ოთხი სიტყვის ადგილი ქვას მოტეხილი და დაკარგული აქვს, ტექსტი აღდგენილია ბროსსეთი.

2) ბ რ ო ს ს ე: დადიანი (RVA, 60).

3) ბ რ ო ს ს ე: ღვითთ (იქვე).

4) ბ რ ო ს ს ე: სრულ-მან (იქვე).

5) ბ რ ო ს ს ე: დიმიყარო (იქვე).

6) ბ რ ო ს ს ე: მრავალ უამიან-მან (იქვე).

7) ბ რ ო ს ს ე: ბრძლიან-მან (იქვე).

8) სწორ ფრჩხილებში ჩასმული დასაწყისი ნაწილი ამა (მე-13) და შემდეგი ორი სტრიქონისა (მე-14 და 15) ყოფილა დაწერილი მეორე (დაკარგულ) ქვაზე; მე აღვადგინე ბროსსეთი.

9) ბ რ ო ს ს ე: მზარდიდა-მან (იქვე 61).

10) ბ რ ო ს ს ე: და ნაკუნესები (იქვე).

და აწ ნახეთ რა ვქენ ყრმაწვილმან სოფლისა ანზიდაებით.

ქ. პირველ ოდიშსა დავიბყარ მამული მეტად ბევრია,
მერმე აქ ჩემი სამეკიდრო ყოვლგან მოვშალე მტერია;
იწროთას აქათ ხოჯამდის და ხონიც შიგან ერია;

და აწ ნახეთ ესე სოფელი, თუ როგორ ბინდის ფერია.

ქ. მე დადიანმა გამზარდა ლევან ღვთივ დოვლათიანნან,
სრულ მას მონებდა ქვეყანა, დაიბყრო მრავალყმიანმან;
სწორ უპოველმან ხმელეთზე, მან ჭკვიანმან და ხრმლიანმან,

და ნახეთ, რა უყო სოფელმან ამ მუხანათმან ზიანმან.

ქ. შვლურად მზრდიდა, მასწავლა ზნეობა, ყოვლი წესები,
ნახეთ სოფლისა სიცრუე, სიზმარ ყოფილი ესები;
არ მიაჩნია წყეულსა უარეს უკეთესები,

და არავის გაუთავდების; წავალთ გლახ დანაკუნესები.

ორივე ზემოთმოყვანილ წარწერას ახასიათებს ანმეტობა.

ხოტევეშივე არის ძველი შესანიშნავი ციხე (შდ. ვახუშტი, გეოგრ. 374); მისი ერთი ნაწილი უკანასკნელ წლებში (1925—26) აღდილობრივ მცა ივრებლებს სახლის საშენებელ მასალად დაუნგრევიათ.

27. აგარა.

აგარის ეკლესია ჭვიტკირის ერთნავიანი შენობაა, ახალი დროის.

სიძველე:

1 (ქ. 1926). ვერცხლზე ნაქედი წმ. გიორგის ხატის ნაშთი—ფიციარი, 126,5 cm. × 75,5 cm., რომელსაც შექედილობიდან შერჩენია მხოლოდ ერთი ნაგლეჯი ძირა ნაწილში და მარჯვენა და მარცხენა აშიები; ნაგლეჯი შემკულია ჭედილი სახეებით და ასომთავრული წარწერით, აშიები კი ჭედილი მცირე ხატებით: მარჯვენა—ღვთისმშობლისა და იოანე მახარებლისა, მარცხენა—ნათლისმცემლის ხატით. ფიცირიდან აგლეჯილია და ცალკე ინახება შექედილობის ერთი ნაწილი ოთხ დიდ და ხუთ მცირე (სულ 9) ნაჭრად, რომელნიც შემკული არიან აგრეთვე ჭედილი სახეებით. ხატი გაუნადგურებიათ 1923—1924 წლებში.

წარწერა:

1 წო. გი. შიქყი. იფნ.

2 უიქიქ. მოძღვნი. სბა

3 მისი. შიქი. მოსიქი გა

4 ვშიქ. წო. გი. უშიქიქ.

5 ამუას. დაჟითსა.

იკითხება: წმიდაო გიორგი, შეიწყალე ევნუქიძე მოძღვარი საბა, მისი შვილი ზოსიმე, გავაშელი; წმიდაო გიორგი, უშველე მამუას, დაეითსა.

ძეგლის ნაშთი და წარწერა ეკუთნის მე-XVI—XVII სს.

28. სალხინო.

სალხინოს (ჭიჭინაძიანთ უბანი) ნასაჯვარევი მღებარეობს მღ. შაორის მარჯვენა მხარეს, ლბნიდან 1 ვერსის დაშორებით. ძველად აქ ეკლესია ყოფილა. ადგილი მშვენიერია და შესაძლებელია ამ ადგილას იყო ვახუშტის მიერ მოხსენებული სასახლე მეფეთა, რომლის შესახებაც იგი წერს თავის გეოგრაფიაში: „აგარის... კევის შესართავს ზევით არს შაორი: აქა ყოფილა საზაფხულო სასახლე აწინდელთა მეფეთა, ადგილის შვენიერებისა-თვის, კეთილ-აგარაკოვანი“-ო (გეოგრ., 374). ეკლესიას ჩვენამდე არ მოუღწევია; იგი დანგრეული და მიწა-გადაფარებული ყოფილა. ეს ნანგრევი 1925—1926 წლებში გაუთხრია ადგილ. მცხოვრებ ანტონ ივანესძე ჭიჭინაძეს, მისი მასალა (ქვა) წაუღია და თავისი საცხოვრებელი სახლი აუშენებია. დღეს აღნიშნულ ადგილას პატარა ქვებისა და კირის მეტი აღარაფერი ყრია. ხსენებული პირის ეზოში 1927 წელს ვნახე კანკელის შესანიშნავი ჩუქურთმიანი ქვები, რომლებიც ჯერ შენობაში დადებული არ იყო. მიუხედავად ორგზის გაფრთხილებისა, რომ ქვები დატული უნდა ყოფილიყო და რომ საბოლოო დასაცავად ისინი გადატანილ იქნებოდნენ ნიკორწმიდას, მას ერთი ფიქალი ბუხრის თავზე დაედვა „კალმის ქვა“-დ¹, ხოლო მეორე ფიქალი კი კალატოზ ბიჭია ივანესძე ქემოკლისძეს გაეტეხა და ერთ სვეტთან ერთად თავის სახლში წაეღო ს. თლულს. 1930 წელს ადგილობრივ დამხვდა მართო ორი სვეტი და ერთი სვეტის ნატეხი, რომელიც გადავიტანე ნიკორწმიდას და მოვათავსე ეკლესიაში. დანარჩენი ქვების იქვე გადატანა დაევალა ნიკორწმიდის სიძველეთა დაცვის რწმუნებულს ნ. კანდელაკს და ადგილობრივ ხელისუფლებას. ეს ქვებია:

კანკელის ფიქალი და სვეტი (იხ. სურ. 1) ².

1 ფიქალი, ქვედა მარცხენა კუთხე-ატეხილი, 89×91,5 cm.

2 „ „ ძლიერ დაზიანებული, 64×63.

1) „კალმის ქვა“ ეწოდება ბუხარზე „ფიტხის“ (გამოწეული ქვის) ზევით მდებარე ქვას.

2) სურათი გადაღებულია ჭიჭინაძის ეზოში 1927 წელს, როდესაც ქვები ჯერ ისევ მთელი იყო. აღწერილი არიან მარჯვნიდან მარცხნივ: ჯერ ფიქალები, მერმე სვეტები.

3 სვეტი, 104×15,5 cm.

4 „ დაზიანებული, 64×13,5 cm.

5 სვეტის ნატეხი, 43×14 cm.

6 სვეტი, დაზიანებული, 84×14 cm.

ჩუქურთმა შესანიშნავი ნამუშავარია და ეკუთნის მე-XIV—
XV სს.

29. თლული.

თლულის „ტეხისის“ წმ. გიორგის ეკლესია ერთნავიანი შენობაა¹, ნაგები თლილი ქვისა (ნაწილობრივ შირიმია) და კირისაგან, გადაკეთებული მე-XIX ს-ში (მომატებულია დას. ნაწილი და მასთანავე აშენებულია სამრეკლო). ზომით არის 13 (მარტო ძველი ნაწილი 8)×4 m.; საკურთხევლის ნაწილი გარეთ სამწახნაგოვანი არის, შიგნით კი ნახევარ-მრგვალი, კარი აქვს სამხრ. და დას. ეკლესია ძლიერ დაუზიანებიათ 1924—1925 წლებში: მოუხდიათ მისთვის ყავარი, აუყრიათ ქვის იატაკი, მოუშლიათ ფიცრის კანკელი, ადგილიდან დაუძრავთ ტრაპეზის მთლიანი ქვა, შემკული შესანიშნავი ჩუქურთმით და სხვა.

ეკლესიას გარეთ, ჩრდ. მხარეს, თაბაშირის მაგვარი ნივთიერებით შეღესილ კედელზე აქვს დაზიანებული ასომთავრული წარწერა. ეს ნივთიერება თავისი ბუნებით ძლიერ ემსგავსება ძმუისის თავის „მთასაყდრის“ (წმ. გიორგის ეკლ.) კანკელის ნივთიერებას.

წარწერა: ჩ-ო გი ში, ანუ: წმიდაო გიორგი შეიწყალე (თუ შეეწიე?)

შიგნით ეკლესია მოხატული ყოფილა; შენობის გადიდების დროს (მე-XIX ს-ში) იგი ნაწილობრივ კერით შეუღესიათ და დღეს მხატვრობა მხოლოდ საკურთხევლის ნაწილს და ჩრდ. კედელს-ღა. შერჩენია.

— საკურთხევლის ჩრდ. ნაწილში კირის ქვემოდან მოსჩანან მღვდელმთავრები და სხვ.; საკურთხევლის ტრიუმფალური კამარის ზევით დახატული არიან ანგელოზები.

ჩრდ. კედელზე დახატული არიან: პარველ რიგში, თალის ახლოს (აღმ.)—ჯვარცმა; მე-II რიგში: პირველ (აღმ.) ყალბ კამარაში

1) ეკლესია აღწერილია 1926 წელს; დღეს იგი აღარ არსებობს: 1927 წელს ახალგაზრდობას დაუქცევია ის კედლების გახვრეტის საშუალებით; მისი მასალა წაუღიათ და ადგილ. 4-წლედ ი სკოლის საძირკველი აუშენებიათ; ამ საძირკველს დაყოლილი აქვს ჩუქურთმიანი ქვები, სახელდობრ: აღმ. 1, სამხრ. 1, დას. 2, სულ 4:

საქართველოს მუზეუმის მოამბე, VII.

—გარდამოხსნა, მეორე (დას.) ყალბ კამარაში—აღდგომა, მე-III რიგში, პირველ ყალბ კამარაში—წმიდანები: კოზმან, დამიანე, პანტელეიმონ. ზემოაღწერილ სუჟეტებს და ხატებს წარწერები მრგვლოვანი ასომთავრული აქვს.

პილასტრზე, ზევიდან ქვევითამდე, დახატული არიან წმიდანები 6, მე-7—ძირს, ძლიერ დაზიან.; წარწერები მათ ბერძნულად აქვს.

სარწმუნოებრივი შინაარსის მხატვრობის გარდა არის კიდევ სხვა სურათებიც, სახელდობრ:

ჩირდილოეთის კედლის მე-III რიგის მეორე (დას.) ყალბ კამარაში დახატულია ორი პირი: მამაკაცი და მანდილოსანი; პირველი დასავლეთით, მეორე აღმოსავლეთით; მათ აქვთ მხედრული წარწერა: 1. წულუკიძე | მერაბ |; 2 თანა | მეცხედრე | მისი | ანიკა |. ესენი პირით ერთმანეთისაკენ არიან მიქცეული, ცალი ხელით უჭირავთ ეკლესიის მოდელი (მერაბს მარცხებით, ანიკას მარჯვენით) და მეორე აპყრობილი აქვთ სავედრებლად მაცხოვრისაკენ, რომელიც დახატულია ეკლესიის მოდელის თავზე და ორივე ხელით აკურთხევს მათ. ეს პირნი, თანამეცხედრენი ეკლესიის აღმაშენებელნი თუ დამხატვინებელნი უნდა იყვნენ. მათ შუა დგას ორი ახალგაზრდა; მერაბისაკენ მდგომს აწერია მხედრულად: გიორგი; მეორის წარწერა დაზიანებულია.

მერაბ წულუკიძე მე-XVII ს-ს პირია, მხატვრობაც იმავე ს-ს ეკუთნის და ეკლესიაც იმავე ხანის აშენებული უნდა იყოს (?).

მერაბ წულუკიძე თავისი თანამეცხედრითა და შვილებით გიორგით და ქაიხოსროთი მოხსენებულია ხოტევის აწ საძირკვლამდე დაქცეული ეკლესიის წარწერაში (იხ. ზემოთ ხოტევი). ეს წარწერა საბუთს გვაქლევს ვიფიქროთ, რომ მერაბ-ანიკას ქვემოთ მეორე ახალგაზრდას წარწერა, რომელიც დღეს დაზიანებულია და აღარ იკითხება, „ქაიხოსრო“ უნდა ყოფილიყო.

ეკლესიის სიძველე, დაცული ადგილობრივ გლეხკომში.

1. ვერცხლის ბარძიმი მხედრული წარწერით: † შამგწირე მე ბეჩუნამ კობახიძემ წმინდის გიორგის ტეხისას ბარძიმი ესე ჩემთვის და ჩემის | მეუღლის თნათი ¹ (sic) ბუხრაშვილის ქალის. სულის საოხათ და ვინც ეს ჩვენი შეწირული ბარძიმი გამოსწიროს წმინდის (sic) გიორგის | ტეხისოს ² (sic) მათ მორეთ მოსლას ჩვენი ცოდვის ნაცლათ განიკითხოს ქრისტეს წინაშენ.

ეკუთნის მე-XIX ს-ს დასაწყისს.

1) უნდა იყოს: თინათინ.

2) უნდა იყოს: ტეხისას.

30. წკადისი.

წკადისის წმ. გიორგის ეკლესია ერთნავიანი შენობაა, $6 \times 3,6$ მ., ნაგები შირიმის ქვისა და კირისაგან; თალი ფიცრისა აქვს; ჰხურავს ყავარი; კედლები შიგნით და გარეთ გალესილია კირით; კარი აქვს სამხრ. და დას.; სარკმელი აღმ. 1, სამხრ. 1, დას. 1; ტრაპეზი კედელზეა მიდგმული, სამკვეთლოც კედელთან არის გამართული. საკურთხეველში არის ორი პატარა თახჩა (ერთი სამხრ., მეორე ჩრდ.). საკურთხეველისავე მაღლა გადებულ „ღირე“სა და „სათავ“ ს და დას. კარებთან თალისათვის შედგმულ ბოძს აქვთ ხაზოვანი კრილობები.

ს ი ძ ვ ე ლ ე.

1. ზარი, დაახლ. 30 გირვ. (გატანილია სკოლაში სკოლის ზარად).

31 ველევი.

ველევის ეკლესია ქვიტკირის შენობაა ახალი დროისა.

ს ი ძ ვ ე ლ ე:

1 (ქ. 2198). ბრინჯაოს ჩაფრასტი ანუ ღილი სარტყლისა.

32. ბეთლევი.

ბეთლევის ღვთისმშობლის ეკლესია¹ ერთნავიანი შენობაა, $5,2 \times 3,2$ მ., ნაგები ქვიტკირისაგან; ჰხურავს ყავარი; გარედან გალესილია კირით; კარი აქვს სამხრ. და დას.; სარკმელი—აღმ. 1, სამხრ. 1, დას. 1; ტრაპეზი კედელზეა მიდგმული; სამკვეთლოს ადგილი არა ჩანს.

შიგნით ეკლესია მოხატულია, მხატვრობას წარწერები ასომთავრულად აქვს.

საკურთხეველის კონქში დახატულია ვედრება. მაცხოვარს თავთან აწერია: (ი)ꝛ | xꝛ; ღვთის მშობელს—დედაჲ | ღიꝛსა; ნათლისმცემელს—[წჲ იწე] ნთლს: | (მც)|[მწლი]; მთავარანგელოზთაგან ერთს აწერია: მქლ, მეორის წარწერა დაზიანებულია. პირველ რიგში (ძირს) დახატულია 6 მღვდელმთავარი, მათგან 3 სარკმლის მარჯვნივ, 3 მარცხნივ; აწერიათ: სარკმლის მარჯვნივ, პირველს— .:წჲ

¹) ეკლესია აღწერილია 1926 წელს; 1930 წელს იგი დაზიანებული აღმოჩნდა. სამხრ. და ჩრდ. კედლების მთავარი წარწერები (იაშვილისა და იოანე კვიციანისა) დღეს მცირე ნაშთად-ღა შერჩენილან. ეკლესია კრების სახლად გაუმართავთ, რასაც მიუყენებია ასეთი ზარალი.

ინე | ოქრო | პი(რ)ი:., მეორეს — :.წ.ე. გრიგოლ:.,¹ მესამეს —
 [.:წ.ე.:] კაპიტოლ:—; სარკმლის მარცხნივ, პირველს —:წ.ე ბა(სი)
 [ლი:., მეორეს —: წ.ე (ათა)ნ(ა)(სი):—, მესამეს —:წ.ე სეფ. .
 . . . ; ოქროპირს, გრიგოლს, ბასილს და ათანასეს ხელთ უჭი-
 რავთ გრავნილები, დაწერილი მრგვლოვანი ასომთავრულით, ხოლო
 დანარჩენთ (კაპიტონს და უკანასკნელს—დაზიანებულს) კი წიგნები-

ტრაპეზზე წინა მხარეს (დასავლ.) დახატულია ჯვარი წარწე-
 რით $\frac{... \text{I}^{\text{C}} | \text{X} \sim \text{C} : -}{\text{ჯ}^{\text{ნი}} | \text{ქ}^{\text{ნი}}}$ ანუ: $\text{I} \eta \theta \sigma \zeta \text{X} \rho \iota \sigma \epsilon \tau \zeta$
 ჯვარი ქრისტესი

თალის ჩრდილოეთ მხარეს დახატულია რომელიღაც სუჟეტი,
 დაზიანებული, და ჯვარცმა, ძლიერ დაზიანებული; სამხრეთის მხარეს
 —ხარება და შობა, ორივე დაზიანებული.

ჩრდ. კედლის პირველ რიგში დახატულია 6 მოციქული (მედა-
 ლიონებში); მათგან პირველი და მეექვსე დაზიანებულია წარწერე-
 ბით, დანარჩენებს აწერიათ: მეორეს —:წ.ე.: ანდ(რია):—, მესამეს —
 :.წ.ე.: (ბართლო)(მ.):, მეოთხეს —:წ.ე.: მარკოზ|:, მეხუთეს —წ.ე.:
 სწიმე|ონ:— . მე II რიგში დახატულია: პირველი საერო პირი (იხ. ქვ.),
 მეორე სასულიერო პირი (იხ. ქვ.), მესამე —[წ.ე.] გ.ი (წმიდაა გი-
 ორგი), ცხენზე, ძლიერ დაზიანებული; მეოთხე დიდებული (იხ. ქვ.)
 მეხუთე—უკანასკნელის შვილი (იხ. ქვ.).

სამხრ კედლის პირველ რიგში დახატულია 7 მოციქული (მე-
 დალიონებში); მათგან მეორე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე დაზიანე-
 ბულია წარწერებით, დანარჩენებს აწერიათ: პირველს —[წ.ე] პეტრ[ე],
 მესამეს —:წ.ე თომა. მე-II რიგში დახატულია: პირველი—მღვდელ-
 მთავარი :.წ.ე , . . . , მეორე—ეკლესიის აღმასწავლებელი (იხ. ქვ.),
 მესამე—წ.ე ეკტრინა, მეოთხე—წ.ე თეკლა, მეხუთე—:წ.ე: ირინ|[ა].
 თეკლას და ირინას მხრებს ქვევითი ნაწილი ჩამოგლეჯილი აქვს კე-
 დელში კარის გამოღების გამო. მეექვსე (დას. კუთხესთან)—:წ.ე:
 ბრბრა.

დას. კედლის პირველ რიგში დახატულია მირქმა, დაზიან.;
 მე-II რიგში²—: წ.ე: დიტრი:—(წმიდაა დიმიტრი), ზის ცხენზე,
 გმირავს ვეშაპს; :.წ.ე | კ.ე, (წმიდაა კვირიკე), : წ.ე : | ივლიტა :.
 და წ.ე: აოდი|მოს: . | მლდე|ლს:—

სარწმუნოებრივი შინაარსის მხატვრობის გარდა არის კიდევ
 სურათები სხვადასხვა პირთა, სახელდობრ:

1) აქაც და ქვემოთაც ბევრგან ქარაგმა ზედმეტად ანუ უმნიშვნელოდ ზის.
 2) მე-II რიგი აღწერილია სამხრ. თიდან ჩრდ.თის მიმართულებით.

1. სამხრ. კედლის მე-II (ძირა) რიგში, კედელთან ახლოს, შლვდელმთავრის მარცხნივ (დას.) დახატული ყოფილა ეკლესიის აღმაშენებელი, დაჩოქილი; დღეს მისი ნაშთი-ლა მოჩანს: შენახულია თავის ნაწილი, ცხვირზემო, შემდეგ — მარჯვენა ხელი, გაპყრობილი აღმ.-თისაკენ, გვერდები (მცირედ) და მუხლქვემო ნაწილი ფეხამდე. იგი უფრო მანდილოსანსა ჰგავს (?); მას თავის ზევით აქვს დაზიანებული წარწერა:

... (რი): იასშვილი | სა ...
ნისა: რისაგან | ალი(ღ)შენა: ილი(ღ) | ს(ი)ა: (ს~ხ)ისა: (მ~ა) [:ბ(ი)თ(ღ)მ(ღ)ნისა:]
ლოთის: მშობილსა ... : იქს: რვა:—

იკითხება:

... ლი იასშვილი სა ...
ნისა, რომლისაგან აღეშენა ეკლესია სახელსა ზედა ბეთლემისა ღვთის მშობლისა, კორონიკონსა რვა, ე. ი. 1493 წელს.

2. ჩრდ. კედლის მე-II (ძირა) რიგში დახატული არიან შემდეგი პირნი (მდგომარენი): პირველი (საკურთხეველთან)—ყრმა, მეორე — ქართლის მთ.-ეპისკოპოსი.

მთ.-ეპისკოპოსის აწერია:

..ქარ(ღ)თისა, [მთა]((ღ)არ [:ღ] შსაშ[ი] და : ია : წ[ღ]ლიწა[ღსა:] |
ილი[ს]არ(ღ) მს: ჯუარის | შმა: კვ[ღ]ასშვილი | იღ |

იკითხება: ქართლისა მთავარეპისკოპოზი და ია წელიწადსა ელუსარემის (sic) ჯუარის მამა კვტასშვილი იოანე.

მთ.-ეპისკოპოსის სურათი ძლიერ დაზიანებულია: შენახულია მისი სახის მარჯვენა ნაწილი, მხრები და მარცხენა გვერდი წელამდე, დანარჩენი მოცილებულია.

ყრმას აწერია: ..ძმის: წილი[ი] მათი: მაქარია[.].

ყრმას ორივე ხელი აპყრობილი აქვს გულთან წელის ქვევით, მარჯვენა მხარე მოცილებულია. მისი წარწერიდან ჩანს, რომ იგი ძმისწულია მთ.-ეპისკოპოსისა და იქნებ უკანასკნელის შემდეგ (დას.) დახატული საერო პირისაც (თაყასი), რადგანაც წარწერა ამბობს: „ძმის წული მათი“ო.

მესამე დახატულია წმ. გიორგი (იხ. ზევ.); მეოთხე—დიდებული წარწერით:

..თაყა: კვ[ღ]ა(ს)[შვი]ლი: და: (იორი)[ი](თ)[:] (შ)იღნი: მი(ს)[ნი:]
შნს: ქნ: ლნ: ან:—

იკითხება: თაყა კვტასშვილი და უთრუთ შვილნი მისნი შეიწყალნეს ქრისტემან ღმერთმან, ამინ.

ამ პირს ხელები აღმ.-თისაკენ აქვს გაპყრობილი; იგი ძლიერ დაზიანებულია წელთან და ფეხებთან.

მეხუთე დახატულია ახალგაზრდა: ..შიდა:—მას ხელები აღმ.-თისაკენ აქვს გაპყრობილი; შენახულია მისი მარტო წელზევითი ნაწილი; იგი შვილი უნდა იყოს თაყასი.

დას. კედლის მე-II (ძირა) რიგში დახატული არიან შემდეგი პირნი (მდგომარენი) ¹: პირველი—ქალი. ..ისპა[ი]ნ:—, მას ხელები გულთან აქვს აპყრობილი; იგი ძლიერ დაზიანებულია წელთან და ფეხებთან. მეორე—წმ. დამიანე (წელამდე), რომელიც მარჯვენა ხელით აკურთხევს ისპანეს; მის (დამიანეს) მარჯვნივ არის წარწერა:

წ^ა: დამიანე შიქწყი. | სუი: . ის პაქინსი:—

მესამე და მეოთხე დახატული არიან ყრმანი (მესამე ისპანის მარჯვნივ, მეოთხე კარებთან): ..ასათ:—, ..უიარი ²:—, მათ ხელები გულთან აქვთ აპყრობილი; მესამეს მარჯვენა გვერდი და ფეხები დაზიანებული აქვს.

პირველი, მესამე და მეოთხე ნომრით აღწერილი პირნი თაყასივე შვილები უნდა იყვნენ.

დას. კარებში დახატული არიან მამაკაცები, მდგომარე, ხელაპყრობილი; მარჯვნივ, სამხრ. კედელზე—მაშქირა| თონჯაქისიქ:—მარცხნივ, ჩრდ. კედელზე—მიქია:| სინაქსიქ:.

ძველად ეკლესიას გარეშემო გალავანი ჰქონია, ღღეს მისი საძირკველილა მოჩანს.

როგორც ზემოთხსენილი სამხრ. კედლის წარწერიდან ირკვევა, ეკლესია აშენებულია და მოხატული მე-XV ს-ში, სახელდობრ 1493 წელს.

ორალელისძე—კვიტაშვილების ნატყუარი სასისხლო სიგელი 1473 წლ. იხსენიებს მლ.-მონ. იოანეს და მის ძმებს: თაყას, გიორგის, ასათს, სულას და საგინას ³. ამათგან იოანე და თაყა ალბათ ზემოაღწერილ ჩრდ. კედელზე დახატულ იოანეს და თაყას გულისხმობს.

ს ი ძ ვ ე ლ ე ნ ი :

1 (ქ. 2197). ეკლესიის მთავარი სიძველის—ოქროს ფურცელზე ნაჭედი „ბეთლემის“ ღვთისმშობლის ხატის ნაშთი: ხატის ზურგიდან ჩამოცვივნილი რალაც ნივთიერებათა ნაღულის ნატეხები ღვთის-

¹) აღწერილია ჩრდ.-თიდან სამხრ.-თის მიმართულებით.

²) წარწერებში ასოები ო და უ ერთნაირად არის დაწერილი—კუდით ძირს, ასე რომ შესაძლებელია სიტყვის პირველი ასო იყოს ო და არა უ, მაშინ სიტყვა წაიკითხება: თლარ.

³) საქ. სიძვ. III, № 462, გვ. 435—439.

მშობლის ხელისა, ტანისამოსისა, ყრმის თავისა და სხვ. გამოსახულებით—ერთი მცირე გროვა. ხატი, ზომით 45×35 cm. (დაახლ.), შემკული ყოფილა სამი დიდი იაგუნდით და ასომთავრული წარწერით; იგი გაუნადგურებიათ 1926 წლ. სექტემბერ-ოქტომბერში; ნაშთი გაბნეული იყო იატაკზე.

ადგილობრივმა მკვიდრმა მასწ. ალექსანდრე კვიციანიძემ აღმოაჩინა, რომ მას დიდი ხნის წინათ პალეოგრაფიული სისწორით გადმოუღია ხსენებული ხატის წარწერა, რომელიც შემდეგ ამოუკითხვინებია ვილაც გენათელი ბერისძეთის; ეწერათ: „ეს ხატი შემამწირავს ზაქარია კვიციანიძისა“ ო. დღეს ეს წარწერა ხსენებულმა პირმა ველარ იპოვა თავის ქალაქში. ზაქარია კვიციანიძის გვხვდება აგრეთვე ბარეულის დედა-ღვთის ეკლესიის ხატიდან დარჩენილ წარწერაში (იხ. ბარეული).

2 (ქ. 2199). სახარება-სამოციქულონი, ხუცურად ნაწერი, დამწერი, დაზიანებული, ფურცელ-ხაკლები.

3 (ქ. 2200). რომელიღაც საეკლესიო წიგნის ნაშთი, ეტრატზე ნაწერი ხუცურად, 3 ფურცელი.

4 (ქ. 2201). ჟამნი, ხუცურად ნაწერი, დაზიანებული, ფურცელ-ნაკლები.

33. შხივანა.

შხივანას მაცხოვრის ეკლესიის სიძველენი:

1 დაბალ ვერცხლზე ნაჭედი მაცხოვრის ხატი, გადაკრული ფიცარზე, 37,2×27 cm.; მაცხოვარს თავთან აწერია ასომთავრულად: იო იქ,

ხატს ქვედა აშის ადგილას აქვს მხედრული წარწერა:

ქ ჩყნ: შხივანას: ცხოვრებმან: სუთიძემან: დიმიტრის: ძიმა: | ბე-
ჯანამ: ისი: მაცხოვრის: ხავი: შიგამიჯი: ჩიშის: ბიძიბის: შიმწილობით:
რომ ძიღიათაც: ჩიჩნი: იყო: | საოხად: ჩიჩნთა: . . . |

ეკუთნის მე-XIX ს-ს დასაწყისს.

2 (ქ. 2196). წმ. გიორგის ხატი ბრპენისა, 16×9,7 cm., წმ. გიორგი მჯდომარეა ცხენზე და წუზრით ვეშაპს გმირავს. ხატს ზევითა და ქვევითა ნაწილში აქვს სომხური ასომთავრული წარწერა:

ზევითა ნაწილში¹—

1) წარწერა ამოიკითხა და თარგმნა პ. რ. ლ. მელიქსეთ-ბუგმა. რისთვისაც მას გულითად მადლობას ვუცხადებ.

1 ხიხიძე გ. ხ. სს. ა.ს.

2 ს-ჩ. აკაშვილი ფ-ხ. ფხიძე

ქვევითა ნაწილში —

3 რ-ქ. ჯაჭვიძე ი-ბ. ს.ს.

იკითხება:

1 ხააიძე გ. ხ. აა. აა. (?)

2 ა-რ. აკაშვილი გ-რ. ფხიძე

3 რ-ქ. ჯაჭვიძე ი-ბ. ს.ს.

თარგმანი:

1 ?

2 წმიდა მოწამე ქრისტესი გიორგი

3. წელსა სომეხთასა 1146 ამინ.

სომხური წელთაღრიცხვა 1146 უდრის 1697 წელს.

3 (ქ. 2202). ჟამის წირვის ნაშთი, 34×21 cm., ეტრატზე ხუცურად ნაწერი.

4 (ქ. 2203). ვასილ დიდის წირვის წესი, გადაწერილი ხუცურად ვინმე სვიმონის მიერ (აქვს მინაწერი) მე-XVIII ს-ში; დაზიანებული.

34. კვირიკეწმიდა.

კვირიკეწმიდის წმ. კვირიკე და იულიტეს ეკლესია სამნავიანი ბაზილიკაა, 9,25- (საკურთხევლამდე 5,7)×6,4 m., ნაგები თლილი ქვისა (ნაწილობრივ შირიმით) და კირისაგან. ჰხურავს ყავარი. თალი დაბჯენილია ორ სვეტზე. მთავარი აფსიდის საკურთხევლისა აღმოსავლეთით გამოწეულია გარეთ ხუთ წახნაგად; კარი აქვს სამხრეთით და დასავლეთით, სარკმელი—აღმ.-ით 4. სამრ.-ით 1 და დას.-ით 1.

1924—1925 წლ. შემდეგ ეკლესია დაცალიერებულია მთლად.

ეკლესიას აქვს წარწერები:

I. დასავლეთის კედლის სარკმლის თავზე ოდნავ ჩრდილოეთით, მხედრულად:

..ამისა: ამჟი

ნებღისა: ცოდნისა

გაიანის: შიქნოს:

ლთმან ამინ:

წარწერა პალეოგრაფიულად ეკუთნის მე-XVI—XVII სს.

II სამხ. კარის თავზე ჩუქურთმით გამოსახული ჯვრის გარეშემო არის ხუცური წარწერა გაკრული ხელით, რომელიც ძნე-

ლად იკითხება. დროის უქონლობის გამო იგი გასარკვევი და ამოსაკითხი დამრჩა. მოვიყვან მხოლოდ რამდენიმე ადგილს:

სახე	კ . .
ლითა	ცია . .
ლთისა	სქემა
ითა ესე
ეკლესია
. ვ . . ე
. კორო
. ილ	ხე
ეს	ესე ეკლ
.	ესია
.
.
.

დასავლეთის კედლის წარწერის მიხედვით ეკლესია აშენებული უნდა იყოს მე-XVI—XVII ს-ში.

ეკლესიის აღმ.-სამხრ. 50 მ-ის დაშორებით არის ციხის ნანგრევი, რომელიც უნდა იყოს ვახუშტის მიერ მოხსენებული კვიტაშვილის ციხე (გეოგრ. 374). ეკლესიიდანვე დას.-სამხრ., ძირს, 4 ვერსის დაშორებით კლდის წვერზე არის სხვა ციხისა თუ კოშკის ნანგრევი.

35. ზემო კრიხი.

ზემო კრიხს არის მთავარანგელოზის ეკლესია¹, იგი მე-XVII ს-ში დაუთვალე რეზიდათ რუსეთის ელჩებს ტოლოჩანოვს და

¹) ცენტრარქივში დაცულია შეწირ. წიგნი, მიცემული ბატონ რუსუდანის მიერ ამ ეკლესიისადმი 1752 წელს; იქ ვკითხულობთ (ქარაჯმა გაზნნილია): „... (დაზიან.) ასულმან ბატონმან რუსუდან და ძემან ჩემმან გრიგოლ და ვახტანგ გყადრეთ და შემოგწირეთ თქვენ კრიხს მთავარანგელოზის საყდარს ფონჯავიძის ბეგარა ათანასეს და თამაზას რაიც ემართოს ჩინი ბეგარი ყოვლის ფერი სანთლის ფასათ შემოგწირავს. ეს ჩვენი შემოწირული ბეგარა თქვენს საყდარს არ მოეშალოს“ (ც.-არქ, ფ. 226, № 1593).

კრიხი მოხსენებულა აკრეთვე გრიგოლ კ-ხის მიერ ბიჭვინთისადმი მიცე-

იველევს, რომლებიც წერენ ¹: „მდინარე კრიხულას იქით (გალმა) მთაზე დგას ქვის ეკლესია, კარგი მშვენიერი, მიქელ მთავარანგელოზის სახელობისა“ ². ეკლესია ნაგებია თლილი ქვისა და კირისაგან; იგი ერთნაფიანი შენობაა, 13,4×5,7 m.; სამხრ. აქვს კარიბჭე სამწირველოთი (უკანასკნელნი გაერთიანებული არიან ერთმანეთთან; კარიბჭის დას. მხარე ამოგებულია); ჰხურავს ყავარი. ეკლესიას კარიბჭის სამხრ. და დას.; საკურთხეველის ნაწილი გარეთა მხრიდან ხუთწახნაგოვანია, შიგნით კი ნახევარ-მრგვალი. სამხრ. კარის თავი, კარიბჭის კარი და თალი და სამწირველოს სარკმელი შემკულია შესანიშნავი ჩუქურთმიანი ქვებით; მათში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს კარიბჭის თალი: იგი აწყობილია ძვირფასად ნამუშავარი ქვებისაგან. ჩუქურთმიანი ქვები ეკლესიას შიგნითაც აქვს სვეტის თავებად, საკურთხეველის ჩრდ.-დას. კედლის (კანკელთან) ძირს, იატაკთან, კედელში (პირით დას.-თისაკენ) დატანებულია ქვის ქანდაკება დათვისა და ორი ბელის თავებისა, რომლებიც გადმოცემით დაუხოციან ამ ადგილშივე ყოფილ უდაბურ ტყეში ეკლესიის აშენების წინ. ტრაპეზი დღეს ეკლესიის შუაშია. ეკლესია განუახლებიათ 1884 წელს: დას. ნაწილისათვის სიგრძე მოუმატებიათ ძველი საქალების შემოერთებით; ამ განახლების დროს ნაწილი წარწერიანი და ჩუქურთმიანი ქვებისა გაუთლიათ და კედლებისათვის შეუხმარებიათ. ეკლესიის თალი გამსკდარია, სახურავი დაზიანებულია.

წარწერების პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით და ხელოვნების თვალსაზრით ეკლესია თავის სამწირველოთი ეკუთნის მე-X—XI სს.

გარედან ეკლესიას აქვს წარწერები ქვებზე ³; მათში დას. კემულ შეწირ. შიგნში, მე-XVII ს-სა, სადაც ვკითხულობთ (ქარაგმა გახსნილია): „ჩვენ . . . ჩრდილოეთისა და აფხაზეთისა კათოლიკოზმან ლორთქიფანიძემ ბატონმან გრიგოლ ვიგულსმოდგინეთ . . . გკადრეთ და ზოგიძღვენით მცირე ესე შესაწირავი: . . . კრიხს სასახლე: კვირტას შკლის დარისპანისაგან შეწირული ერთი მოსახლე კაცი გუბერიძე კელოსანი სეხნია და მისი ძმები. იონა შ-ქარი და დათუა კელოსანი. მეორე. მოსახლე გიორგი და ჴოშიტა. მესამე მოსახლე გოჩია და მისი შკლი პაატა. მეოთხე მოსახლე პაატა და მისი შკლები გიორგი და თამაზა და ძმის წული მისი კაცია. მეხუთე მოსახლე მესხა გიორგი და მისი შკლები რაიც ამას ხვით წერილ არს მათის სარჩოთი ტყით წყლით აგარაკით სავენაკით შესავლით და გასავლით უძებრით და საძებრიანთ“ (ც. არქ., ფ. 226, № 5029).

¹) ამონაწერი მომყავს თარგმანით.

²) ტოლ., 122.

³) ს. კაკაბაძეს გადმოღებული აქვს წარწერები, მაგრამ შეცდომებით; გარდა ამისა მას აღნიშნული არა აქვს, თუ რომელ კედელზე არის ესათვის წარწერა (საიხ. ტ. კრ., IV, 106—107).

დღისა დაძრულია თავისი პირვანდელი ადგილიდან. წარწერები არის ასომთავრულიც და ნუსხა-ხუცურიც; ასომთავრული ნაწერია მსხვილი ხელით და საკმაო ჩაღრმავებით, ხოლო ნუსხური საშუალო ხელით და ოდნავი ჩაღრმავებით (უკანასკნელისა ზოგიერთი ასო და სტრიქონიც კი თითქმის არ მოჩანს). ეს წარწერები არის:

1. ჩრდ. კედელზე აღმ. მხრისაკენ ქვაზე მრგვლოვანი ასომთავრულით ¹—

ო¹ოგას²ენი |სოვცისათ²ეთაისასა ³

იკითხება: ოფალო, გაოვსვენე სოვცისა ფეთაისასა.

2. იმავე კედელზე, პირველი წარწერის მარცხნივ, დას.ით ქვაზე მრგვლოვანი ასომთავრულით ⁴—

ო¹ოგოვ¹ს¹ეფინ¹ს¹ოვცისამ¹ე¹იღაჲსა

იკითხება: ოფალო, გაოვსვენე სოვცისა შვილაჲსა.

3. იმავე კედელზე სარკმლის ქვევით მდებარე ქვაზე ზევითა ნაწილში არის ასომთავრული წარწერა, ქვევითა ნაწილი კი შემკულია ფოთლისა თუ ყვავილის სახის ჩოქურთმით. სწორედ იმავე წარწერის გაგრძელებაა დას. კარის მარცხნივ მდებარე ქვაზე, რომელიც დაცილებული და გადატანილი უნდა იყოს თავისი პირვანდელი ადგილიდან ეკლესიის განახლების დროს ⁵—

წ¹ნომთა¹ჟ¹ჩანგ¹ღ¹ზნო¹შ¹ე¹თმო¹ნა¹თქ¹ნით¹ე

იკითხება;

წმიდანო მთავარანგელოზნო, შეიწყალეთ მონა თქვენი თევდორე (თუ თეოფილე?)

4. დას. კედელზე სამხრ. კუთხისაკენ ქვაზე ასომთავრულით ⁷—

[წ¹ნომთ]რაგ¹ღ(მ) | [ნ]ო¹ჟ¹ეფ¹ | აიშ¹—ე

იკითხება: წმინდანო მთავარანგელოზნო, კვიტაი შეიწყალეთ.

1) საისტ. კრ., IV, 106.

2) ასო ფ-ს შემდეგ არის რაღაცა კვალი ამოფხვილის მაგვარად, ვგონებ ასო არ უნდა ყოფილიყო.

3) ს. კაკაბაძე: ფედისასა (საისტ. კრ., IV, 106).

4) საისტ. კრ., IV, 106.

5) იქვე.

6) ს. კაკაბაძე: მთავ-რ ანგ-ლოზნო (იქვე).

7) საისტ. კრ., IV, 106.

8) დამწერს, ვგონებ, სიტყვის შემოკლება სდომებია; ამისთვის ჯერ დაუწერია ასო ტ, მაგრამ მერმე იგი მთლად ამოუშლია და სიტყვის ყველა ასოები დაუწერია; ტ-ს მარჯვენა და ძირა ხაზები დღესაც მშვენივრად მოჩანს, მხოლოდ ამოშლილია მისი მარცხენა (მუტლის) მხარე.

5. სამწირველოს სამხრ. კედელზე სახურავთან ახლოს ქვაზე ასომთავრულად¹—

წმნომთჳრა(ნ)[გ]ლოზნოაღნომდბ(ღ)[ი][თ]რნი²³

იკითხება: წმინდანო მთავარანგელოზნო, ადიდეთ მადიდებელი თქვენი

პირველი, მე-2, მე-3 და მე-5 ნომრით აღწერილი წარწერები ერთი ხელით არის ნაწერი.

6. იმავე კედელზე, სარკმლის მარცხნივ მღებარე ქვაზე ხუცურად⁴—

სახეღითა ღთისაღითა მი ჳღ ჩიმიღთა კაღავოზოღითა შიღსნი-
ჩიღამას იღისა ჳღღრამაი⁵

იკითხება: სახელითა ღუთისაღითა მე კვირიკე (თუ კირილე) ჩემითა კალატოზობითა შევსწირე ამას ეკლესიასა ჳეღრამაი.

ზემოთმოყვანილი ყველა წარწერები (1-6) პალეოგრაფიული თვალსაზრისით ეკუთნის მე-X-XI სს..

7. იმავე კედელზე სარკმლის მარცხნივევ არის ხუცური წარწერა ორ ქვაზე (პირველზე 2 სტრ.-ნი, მეორეზე დანარჩენი), ნაწერი წვრილად ოღნავი ჩაღრმავებით—

ღღსახეღითაღთისაღითაღსღ | ჳღღღღაღღღღღღღღღღღღ | სოღღღღ(ა)ღღღ-
ღღღღღღღღღღ | ჳღღღღღღღღღღღ(ღ⁶)ღ(ღ⁷) | საღ⁸ნოღასაღაღღღღღ | მიღსღღღ
ღღღღღღღღღღ | ჳღღღღღღღღღღღღ

იკითხება: ჳ სახელითა ღუთისაღითა ესე კელი დავწერეთ ჩვენ კრი-
ხმან სოფელმა, ვინცა ნაწირავი გაჳკოთოს, საბერო და ვიღსაჩნო (?) და
საღაღღღღღ (?) არა მიღსღღღღ; კროღია ღუთისა პირითა, ვინცა მიღსღღღ.

წარწერა პალეოგრაფიულად ეკუთნის მე-XI ს-ს; იგი წარმოადგენს პირობის ხელწერილს, დადებულს ხალხის მიერ; ის მეტისმეტად ძვირფასი ძეგლია; სამწუხაროდ ორი ადვილის გამოუცნობელობა ხელს უშლის მისი შინაარსის სრულ გამორკვევას. აქ აღენიშნავ მხოლოდ ერთს: საყურადღებოა, რომ წარწერაში პირობის ხელწე-

¹) ს ა ი ს ტ. კ რ., IV, 106.

²) ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე უკანასკნელ ორ სიტყვას სწერს: მდბ[ელნი. შენნი]... (ი ქ ვ ე).

³) ეს ადგილი ქვაზე რაღაც იარაღით ჳანგებ არის ამომტვრეული; იგი, ადვილ. მცზოვრებ სიღ. ფანჯავიძის გაღმოცემით, მოუშლიათ კვიტაშვიღებს (ვე-
ღეღეღღღ): „ხალხსა და ადვიღს იჩემებღენ“ ო.

⁴) ს ა ი ს ტ. კ რ., IV, 107.

⁵) ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე: კედრამდი (ი ქ ვ ე).

⁶) ო) ასო დაზიანებულა. კითხვა საღჳკოა.

⁷) შესაძღებელია ღ ი ყ ო ს.

რილის აღსანიშნავად სწორედ იგივე ტერმინი—„კელი“-ა ნახმარი, რომელიც ჩემ მიერვე 1924 წელს ს. მეჯვრისხევეში აღმოჩენილი რამინისა და გიორგის ხელწერილში 923-926 წლისა (სა ისტ. მოამბე, 1925 წ. I, 96-100).

8. მე-7 წარწერის ქვევით იმავე (მეორე) ქვაზე არის მხედ-რული წარწერა სამ სტრიქონად, რომელიც წვრილად არის ნაწერი, გადასულია და არ იკითხება.

9. მე-7-8 წარწერების მარცხნივ ქვაზე არის მინაწერი ხუცურად: წმიდაო.

10. იქვე, აღმ. კუთხესთან ორ, ერთმანეთს გვერდით მდებარე, ქვაზე არის ხუცური წარწერა ოთხ სტრიქონად, რომელიც არ იკითხება: იგი, ჯერ ერთი მეტისმეტად წვრილად და ოდნავი ჩაღრმავებით არის ნაწერი; მეორეც, მას სკრის ქვის კვეთისაგან დაჩნეული ირიბად მიმავალი ხაზები.

11. სამწირველოს აღმ. კედელზე არის მინაწერი ასომთავ-რულად: წხო მთერ (წმინდანო მთავარ...).

12. კარიბჭის დას.-სამხრ. კუთხეში დას. მხრიდან არის მინაწერი ხუცურად: საჟსა გიორგის (სულსა? გიორგისასა).

13. თვით ეკლესიის სახრ. სარკმლის მარჯვნივ თავდაყირა დადებულ ქვაზე არის რალაც ნიშნები.

შიგნით ეკლესია მოხატულია, მხატვრობა შენახულია მალღა ნაწილში, ძირა ნაწილი კი დაზიანებისა გამო ნაწილობრივ შეეთ-რებულია კირით. წარწერები მხატვრობას საზოგადოდ ასომთავრულად აქვს გარდა ჩრდ. კედელზე დახატული მთავარანგელოზისა და მესამე და მეოთხე დიდებულებისა, რომელთაც ხუცურად აწერიათ.

საკურთხეველი: კონქში დახატულია ვედრება. მაცხოვარს მარცხენა ხელში უჭირავს გაშლილი წიგნი, დაწერილი ასომთავრულად, პირველ რიგში—მღვდელმთავრები, მდგომარენი, დაზიანებულნი: მარჯვნივ 3, მარცხნივ 3, სულ 6.

ტრიუმფალური კამარის თავზე დახატულია ხარება; თვით კამარაზე გამოყვანილია ძვირფასი სახეები. საკურთხეველის გვერდების აღმ. კედელზე, პირველ რიგში—წმინდანები, მდგომარენი, დაზიანებულნი: მარჯვნივ 1, მარცხნივ 3, სულ 4. მე-II რიგშიაც წმინდანები, მდგომარენი: მარჯვნივ წმ. ეკატერინე და წმ. ბარბარე, მარცხნივ რომელიღაც წმინდანი, დაზიანებული და წმ. მარინა.

თალი: ჩრდ. მხარეს დახატულია ამალღება და ნათლისღება, უკანასკნელი ძლიერ დაზიანებულია; სამხრ. მხარეს—შობა ქრისტესი და ფერისცვალება, ორივე დაზიანებული.

ჩრდ. კედელი: პირველ რიგში დახატულია ანგელოზები, მხრებამდე; მე-II რიგში — ჯოჯოხეთის წარმოტყვევნა (გადაღის კუთხეზე აღმ.-ით) და ჯვარცმა.

სამხრ. კედელი: პირველ რიგში — ორი წმინდანი, მხრებამდე; მე-II რიგში — წმინდანები: კედელზე 2, სარკმელში 2, სულ 4; დას. ნაწილა დაზიანებულია.

საეკლესიო შინაარსის მხატვრობის გარდა არის კიდევ სხვა პირთა სურათებიც, სახელდობრ:

1. ჩრდ. კედლის მე-II რიგში, საკუთხეველის ახლოს დახატულია მთავარანგელოზი, მდგომარე პირით დას.-ისაკენ; მის მარჯვნივ დგას ოთხი დიდებული (ორი მის მახლობლად და ორი პილასტრის დას.) პირით და ხელგაპყრობით მისკენ (მთავარანგელოზისაკენ). პირველს აწერია ასომთავრულად¹: ისი არს; მას ხელში ეკლესიის ძოდელი უნდა სჭეროდა, მაგრამ სწორედ ეს ადგილი დღეს დაზიანებულია, ამ (პირველ) დიდებულსა და მთავარანგელოზს შუა (ხელგებთან) ყოველა ხუცური წარწერა, რომელიც ძლიერ დაზიანებულია: [[მთაჲ|არ|ანგ|ილო|შო]...²|..... აიღო:—; მათ-სავე ფეხებთან არის ხუცური წარწერა³:

1 [მო]იხვა: წი. ისი: იკი

2 სიი: დიკანოზობასა:

3 გი: კორცანისძისა⁴:

4 ასისთობასა: ინი:

5 რომისძისასა:

6 და: ინი: დიკისძისა[სა:]

7 ში: წი: მთაჲ:

8 ანგილოშო

9 ამისა: მ(ო)ხა[გ]

10 [გ]ისა: ი(ი)⁵

11

იკითხება: მოიხატა წმიდა ესე ეკლესიაი დეკანოზობასა გიორ-

¹) საისტ. კრ., IV, 107.

²) აქ წარწერის ადგილი დაზიანებულია (პირით არის შეღვსილი) და არა ჩანს, რამდენი სტრიქონი აკლია წარწერას; ბოლოში შენახულია უკანასკნელი სტრიქონების ნაწილი.

³) საისტ. კრ., IV, 107.

⁴) ს. კაკაბაძე: «კორცანისძისა» (იქვე).

⁵) უკანასკნელ ორ სიტყვას ს. კაკაბაძე წერს: „მხატვარსა: ჩუბინის-ძესა“ (იქვე).

გი კორცანაისძისასა¹, ასისთავობასა იოანე ლომაისძისასა და იოანე დევისძისასა; შეიწყალენ, წმიდანო მთავარანგელოზნო, ამისა მოხატვისა ჩუ

მეორე დიდებულს აწერია ასომთავრულად²: ესე არს ფაჩიანი; მესამეს ხუცურად³: ესე: არს: მოგ'ანი; მეოთხეს ხუცური წარწერიდან შერჩენია მხოლოდ რამდენიმე ასო: და.

2. სამხრ. კედელზე საკურთხეველთან ახლოს დახატულია ორი საერო პირი; ისინი პირით დას.-ისაკენ არიან მიქცეული; შენახულან მარტო წელზევით, დანარჩენი მოცილებული აქვთ; წარწერებიც არ შერჩენიათ.

მხატვრობა ეკუთნის სე-XI ს-ს.

სიძველენი:

ეკლესიის სიძველეთათვის ზემოხსენებული რუსეთის ელჩები წერენ: „ეკლესიაში ხატები სამკაულებიანია; წმინდანის სახე და სამოსი და ხატის აშიები ნაქედია ვერცხლზე და დაფერილია ოქროს წყალში, ხოლო შარავანდედები ადგილობრივ ხატებს ოქროსი აქვს, შემკული მინანქრით (ტოლოჩ. 122-133). დღეს ხსენებული ვერცხლზე ნაქედი და ოქროცურვებული ხატების მინანქრიანი ოქროს შარავანდედები სულ აღარსადა ჩანს, ხოლო თვით ხატებიდან დარჩენილია ნაშთი, სახელდობრ:

1 (ქ. 1882). ფიცარზე ნახატი მიქელ მთავარანგელოზის ხატი, შექედილი ვერცხლით, 91×72 см. (მაქსიმ. ზომით), მხატვრობა მოცილებული, ნახევრად დამწვარი, დამტვრეული; ვერცხლის შემკულობა ბევრ ადგილს აგლეჯილი დაკარგული აქვს; შერჩენია 6 თვალი, დანარჩენი აკლია. მთავარანგელოზს თავზე აქვს ასომთავრული წარწერა: მძრ.:|მთ'რნ|გღმ|ი.:, ანუ მიქელ მთავარანგელოზი.

2 (ქ. 1883). ვერცხლზე ნაქედი ჩვილედი ღვთისმშობლის ხატი გადაკრული ფიცარზე, 27×23 см., ფიცარი და თვით ხატიც ძლიერ

1) ადგილობრივი მცხოვრების სილიბისტრო ფანჯავიძის ცნობით ეკლესიას ჩრდ.-აღმ.-ით აკრავს სახნავი მიწა დაახლოვებით 3 ქვევამდე, რომელიც ეკუთვნის ფანჯავიძეებს (თვით სილიბისტროსაც და სხვებსაც) და რომელიც დღეს კორსანეულს უწოდებენ. ამ სიტყვაში ზემოხსენებული გვარი უნდა იკითხებოდეს.

2) საისტ. კრ., IV, 107.

3) იქვე.

4) ასო გ-ს ქვედა შემობრუნებული ნაწილი 1926 წელს კედელზე უკვე ატეხილი იყო და თავის ადგილასვე იდგა; 1930 წელს იგი აღარ აღმოჩნდა: ჩამოვარდნილა და დაკარგულა.

5) ს. კაკაბაძე: «შოგაი (თუ ყოგაი?) (საისტ. კრ., IV, 107).

დაზიანებულია; ვერცხლის ფურცელი ბეგრ ადგილს აგლეჯილი და დაკარგული აქვს; შერჩენია 4 თვალი, დანარჩენი აკლია.

3 (ქ. 1884, 1885). წმ. გიორგის ხატები ბრპენისა, 14,5×9 cm., 2 ცალი, წმ. გიორგი მჯდომარეა ცხენზე, შუბით ვეშაპს ჰგმირავს. ხატი შემკულია ბერძნულ-სომხური ასომთავრული წარწერებით; ბერძნული წარწერა მოთავსებულია ხატის ზევითა ნაწილში, სომხური ძირა ნაწილში (ა) და მარჯვენა მხარეს (ბ).

ბერძნული წარწერა:

1

2 ΜΕΓΑΚΑΝΑΗΝ V.C

3 ΗΑΑΗΑΜΗC 1712

სომხური წარწერა:

ა. 1. *ԿԱՆԱՆ ԲԱՆԵ ԱՏԱՄ ՏԱՂԱ*

2. *ՔՈՐԿԵ ՔԻ ՄԻ ԳԵՈՐԳԱ ԶԱԿՍ*

ბ. 3.

4. *ԿԱ .*

ბერძნული წარწერის მიხედვით ძველი ეკუთნის 1712 წელს.

4 (ქ. 2147). რომელიღაც საეკლესიო წიგნი ხუცურად ნაწერი ფურცელნაკლები, დაზიანებული.

36. გორი.

გორის წმ. გიორგის ეკლესია ერთნავიანი შენობაა ახალი დროისა; ნაგებია ქვიტკირისაგან; კედლები შიგნით და გარეთ გალესილია კირით; კარი აქვს სამხრ. და დას.; აღმ. კედელს გარედან დატანებული აქვს ცხვრის თავის ქანდაკება ქვისა, რომელიც ძველი ეკლესიიდან უნდა იყოს დარჩენილი. ძველი ეკლესიიდანვე დარჩენილია ტრაპეზი, რომელსაც წინა პირად (ძირა ნახევარი) უდევს შესანიშნავი ჩუქურთმიანი ქვა მკირე სვეტიან-სახურავიანი შენობის გამოსახულებით.

სიძველენი:

1. ვერცხლზე ნაჭედი წმ. გიორგის ხატი, 22,5×16,5 cm. (გადაკრული ფიცარზე), შემკული ფოთლის სახეებიანი აშიებით, გამოტანილი ძველად „საელიოს სალოცავი“-დან ეკლ. დას., მკირე სერზე), წმ. გიორგი ცხენზე მჯდომარეა; ჰგმირავს ვეშაპს. ხატი ძლიერ დაზიანებულია: მისი მარჯვენა ძირა ნაწილი (ცხენის თავი მკერდამდი) სულ აგლეჯილია და დაკარგული.

ხატს აქვს წარწერები ასომთავრულად:

1) წმ. გიორგის თავზე—

წჁ: გრ, ანუ წმიდაა გიორგი.

2) ძირა აშიაზე—

1 ძქჁ: გო¹რსა: მ²თრო: მოხ: დამთ

2 რჟი: იქ²მნ: მოს³ჟს: შქნსა: შქ⁴რ

3 (ნ⁵ს)ი(d) [ღსა] ბსიღისა:.

იკითხება: ქ წმიდაა (?) გორისა მთავარო მეოხ და მფარველ ექმენ მოსავსა შენსა მურნუსიძესა(?) ბასილსა.

3) მარცხენა აშიაზე—

წჁ გორგ: შ⁶ქყი: ჯრქსიქ: გრგვი.

იკითხება: წმიდაა (?) გიორგი, შეიწყალე კარიკისძე⁷ (თუ კარკიასძე⁸) გიორგი.

წარწერებში ყურადღებას იპყრობს ზოგიერთი ასოების (ო, შ) პირუკუღმა დამწერლობა და ზოგიერთ შემთხვევაში ორი ასოს ბუნის გაერთიანება (ე და ქ, ო და ს).

ძეგლი დაბალი ხელოვნებისაა და ეკუთნის მე-XVII-XVIII სს.

2. ტილოზე ნახატი და ფიცარზე გადაკრული წმ. გიორგის ხატი, 46×35,3 cm.; წმ. გიორგი ცხენზე მჯდომარეა; ჰგმირავს ვეშაპს; მას თავზე აწერია ასომთავრულად: წჁ გრ, ანუ წმიდაა გიორგი.

ეკუთნის მე-XVIII ს-ს.

3. ფიცრის კარედი ხატიდან დარჩენილი შუა ნაწილი, უკარებო, 31,4×23,2 cm.; დახატულია სამი მდგომარე პირი, მათში შუაში მაცხოვარი, გვერდებზე წმინდანები (?), დაზიანებულნი (მხატვრობა ძირა ნაწილში სულ მოცილებულია).

4. (სსსმ.) ბრინჯაოს კერპი ქალის გამოსახულებით, ამოღებული ალბათ ეკლესიის მახლობლად მიწის თხრის დროს.

1) ასო ო ამა და მეორე სტრიქონშიაც ყველგან პირუკუღმა ზის.
2) ე-სა და ქ-ს ბუნები ერთმანეთთან არის შეერთებული.
3) ო-სა და ს-ს " " " "
4) უ ო-ს მსგავსად არის დაწერილი—კუდით მაღლა.
5) თუ სიტყვის აღმოკითხვა მართალია, მაშინ შესაძლებელია მას კავშირი ჰქონდეს მურნუსიძეთა გვართან, რომელი გვარიც დღესაც არსებობს ს. იწა-ში (10 კომლზე მეტია).
6) ასო შ პირუკუღმა ზის.
7) გვარი კარიკისძე გვხვდება ქცხ-ში მე-XI ს-ში (მარ. დედ. ვ., 254გ).
8) გვარი კარკიასვილი (იგივე კარკიასძე) გვხვდება წილკნელის სარგოს გარიგების წიგნში მე-XVII ს. (სა ის ტ. მ., 1925 წ., II, 2130).

37. ხიმში.

ხიმშის წმ. გიორგის ეკლესია ერთნაევიანი შენობაა, $6,4 \times 4$ cm., ნაგები შირიმის თლილი ქვისა და კირისაგან; მას დას.ით მიშენებული აქვს (ახალ ხანაში) საქალებო (ზომა საქალებოთივე— $10,8 \times 4$ m.); ამ მიშენებისას ეკლესიის დას. კედელი კამარად გადაუკეთებიათ (საქალებოსთან გასაერთიანებლად). ჰხურავს ყავარი, რომელიც საქალებოს ნახევრად გადახდილი აქვს. თალი ძველად ქვიტკირისა უნდა ჰქონებოდა; შემდეგ, ალბათ დაქცევის გამო, ფიცრისა გაუკეთებიათ (ძველადვე); მისი საყვავე და ერთი გარდიგარდმო გადებული (აღმ.) კოჭი შემკულია ჩუქურთმით. კედლები შიგნით და გარეთ გაღესილია კირით. კარი აქვს ჩრდ. და დას.; სარკმელი—აღმ. 1, სამხრ. სანათური 1, სარკმელი 2 (ეკლ.-იას 1, საქალებოს 1); ტრაპეზი კედელზეა მიდგმული; მისი წინაპირი შემკულია შესანიშნავი ჩუქურთმიანი ქვით, $60 + 60$ cm.; თავზე დიდი ქვა ადევს, სამკვეთლოც კედელზეა მიდგმული. საკურთხეველში არის ორი მცირე თახჩა (ერთი სამხრ., მეორე ჩრდ.); იქვე მალლა კედელში დატანებულია ორი ქვევრი ხმისათვის.

სიძველენი:

1 (ქ. 2777). ფიცარზე ნახატი ღვთისმშობლის დასაკეცი ხატი, $7,8 \times 6,4$ cm., ძლიერ დაზიანებული.

2 (ქ. 2835). კონდაკი, ხუცურად ნაწერი, დაზიანებული, დაშლილი. ფურცელ-ნაკლები; მე-XVIII (?) ს-სა.

წიგნს აქვს მინაწერები ხუცურად:

ა. იოანე ოქროპირის წირვის ბოლოს ტექსტის გადამწერისავე ხელით წითურად—**ღო შ`ქ საბრიო | კსვაგი ა`ნ ან**

ბ. სხვა ფურცლის მეორე გვერდის ბოლოს იმავე ხელით შავად: **მოიხსენე ო` მონა შ`ნი ესტატე.**

გ. სხვა ფურცლის წინა გვერდის ბოლოს, ძირა აშიაზე, სხვა მელნით—**ღო მოიხსენე ლეკვა ბიწაძე ცოცხლით ცხოვნებით დღენ-გრძელობით ცოდვანი მისნი ღ`ნ შეუ|ნოს ა`ნ:—**

დ. იმავე (გ) ფურცლის მეორე გვერდის მარჯვენა აშიაზე სხვა ხელით—**მოიხსენე | ო` მაისა | შვილი და | თუა.**

ე. სხვა ფურცლის წინა გვერდის ძირა აშიაზე სხვა მელნით: **ღ`ო მოიხსენე გოჩელია ტაბიტაძე ცოც|ხლით ცხოვნებით დღენ-გრძელობით ცო|ღვანი მისნი ღ`ნ შეუ|ნდოს ა`ნ: — : — : —**

ვ. სხვა ფურცლის წინა გვერდის ძირა აშიაზე: **ღ`ო მოიხსენე**

ძალღუა ქათამაძე ცოცხლით | ცხონებით დღეგრძელობით ცოდვანი
მისნი | ღნ შეუნდოს ან : — : — : —

ზ. წიგნის უკანასკნელი ფურცლის მეორე გვერდზეა ტექსტის
ბოლოს გადამწერისავე ხელით: უცებად ' წერისათნ ნუ მაგნებთ
ძმანო: ქართულს კონდაკზედ გადმოვსწერე რაცა დედასა | ეწერა
არა დამიკლიარა: —

ღო მოიხსენე ესტატე კუჭაძე ან: ვინცა | შენდობა² გვიბრ-
ძანოთ ღნ თქვე | ენცა მოგიხსენოს | ან : —

3 (ქ. 2836) სადღესასწაულო, ხუცურად ნაწერი, თავში ფურ-
ცელ ნაკლები; მე-XVIII ს-სა.

წიგნს აქვს ანდერძი (ა) და მინაწერი (ბ) ხუცურად:

ა. უკანასკნელი ფურცლის წინა გვერდზე, ტექსტის ბოლოს
ტექსტის გადამწერისავე ხელით:

მი უღირსმნ | იირო დიაკონ მნ მოძღუარის ძიმნ გაბაონე | იმნ
ოსი აღუქრი (sic) საღოესა | სწაურო ისი: | მაგრამ ჯირთ გა | მოუცვიდ
ვიყუ ხუცურის წირი | სა. და არც დედა | ნი მაქუნდა კით | იღ ვიბიკონიანი |
წაიკა ძირ მიდ | უა ვასწორი. და | ა (sic) თუ შიკუიდი | ბური იხილოთ |
რძმი რიმი ბრადი | არა რის დედანს | დააბრადით და | მი შინდობა მორ | ძანი
(sic) აღმომიოთ | ხვირო რა შნდაცა შინდობა იყოს | რა სასჯილისასა: — |
აღიქრა თთუქ | სა ივნისსა. მ: | ქს აქათ: რიჯ: ღო მიდხინე მი:

ბ. იმავე ფურცელის მეორე გვერდზე სხვა ხელით: ღო ახმარე
ერისთვისძეს იოანეს ეს | წიგნი კეთილ ცხოვრებასა შინა ამინ.

4 (ქ. 2837). ჟამნი, ხუცურად ნაწერი, დაწიანებულია, ფურ-
ცელნაკლები.

38. წესი.

წესი ვახუშტით არის „დაბა კარგი“ (გეოგრ. 376). აქ არის
ხუთი ეკლესია³, ერთი ციხე და ერთი ციხის ნანგრევი. ეკლესიები
შემდეგია: 1. ველიეთის წმ. გიორგისა. 2. კვარციხის მთავარანგელო-
ზისა. 3. წმ. გიორგის ეკლესიის ნანგრევი, წოდებული წმ. მარინედ.
4. ბარაკონის ღეთისმშობლისა და 5. ბარაკონისავე ძველი ეკლესიის
ნანგრევი. ციხეები არის—6. მინდა ციხე და 7. ნინიას ციხის ნან-
გრევი.

აღწერ ჯერ ეკლესიებს, შემდეგ ციხეებს.

1) 2) ა-ს ნაცვლად ნახმარია დ, რომელიც აქ გადმოცემულია შავად.

3) უვაროვა აღწერს მხოლოდ ოთხ ეკლესიას; ჩემ მიერ მე-3 ნომრით
აღწერილი ძველი მას გამოტოვებული აქვს (MAK IV, 120-122).

1. ველიეთის წმ. გიორგის ეკლესია¹ დგას სოფლის დას.-ით, კლდეზე; იგი ქვიტიკირის ერთნავიანი შენობაა, 5,7×7 m, განახლებულ-გადაკეთებული ახლო ხანში, გალესილი შიგნით და გარეთკირით.

სიძველენი:

1 (ქ. 2724) ვერცხლზე ნაქედი წმ. გიორგის ხატის ნაშთი—12 მოზრდილ და 18 წვრილ ნაგლეჯად. ხატი ზომით ყოფილა 25×18 cm. (დაახლ.). მას 1925-1927 წლებში ანთებული სანთლისაგან ცეცხლი გასჩენია: ფიცარი დამწვარა და ვერცხლის ფურცელი დაჰყუდტილ-დანაწილებულა. ნაშთის მიხედვით წმ. გიორგი ცხენზე მჯდომარეა, ცხენის ქვეშ დიოკლეთიანე (?) ყოფილა განრთხმული, ხატს ჰქონია ორი ასომთავრული წარწერა: 1. წმ. გიორგის წინ, მარჯვნივ (შენახულია ორი ნაგლეჯა: ერთი 6,7×5 cm.) და 2. ხატის წინა ნაწილში (შენახულია მარცხენა ნახევარი - 4×12,7 cm.)².

პირველი წარწერა³:

[წო] | გწი | [შწ] | ყღი | კვ | ჩი | სის⁵

იკითხება: წმინდაო გიორგი, შეიწყალე კევი წესისაჲ.

მეორე წარწერა⁶:

1 იღო: მღოხ: რ: მოწ⁷ი

2 კიოსათ: შთიჩგესდგჳს⁸

3 (ო): ც⁹ნდდ: მჭღი: მნ.: მღს: ლ¹⁰თ

იკითხება: ელო მეოხ და მოწ

კელოსანთა (?) შოთა (?) ჩიკოტასძესა (?) ზჯსს (?) ო
ცინაძე (?) მკედელს ზენონს (?) შეუნდოს ღმერთმან.

ძეგლი კარგი ხელის ნამუშავეარია.

2 (ქ. 2725), ოდიკი 1822 წლისა, დახეული.

1) ვახ., საქ. გეოგრა., ბრ. გამ., 376; MAK-IV, 120, 122. არის საბუთი რომლითაც მარიაჲ დედოფალს ამ ეკლესიისათვის შეუწირავს თამაზ ხიდიშელი-მისის ცოლშვილით 1800 წელს (საეკლ. საბ., II, 118).

2) 1930 წელს ეს ნატეხი გატეხილი და დაზიანებული აღმოჩნდა.

3) წარწერის პირველი და მე-3 სტრიქონები აღდგენილია ვარაუდით; მეორე სტრიქ. დაწერილია პირველ ნაგლეჯზე, მე-4-7 სტრიქ.—მეორეზე.

4) ას ყ პირუკულმა ზის.

5) ორივე ს პირუკულმა ზის.

6) წარწერის პირველი და მე-2 სტრიქონები მოთავსებულია ძირა აშის-ადგილას და ნაქედია მსხვილი ასოებით, ხოლო მე-3 სტრ. უაღვილოზის გამო-გამოდის აშის მაღლა, პირველი სტ.-ს ზევით, და ნაქედია საშუალო ზომის ასო-ებით.

7) 8) 9) ასო წ, ს, ც, პირუკულმაჲ.

3. ზარი¹, დაახლ. 2-3 ფუთი.

4 (ქ. 2192). რკინის ლახტი, ექვსფრთედი; ორი ფრთა მოტეხილი აქვს.

2. „კვარციხის“ მთავარანგელოზის ეკლესია ქვიტკირის შენობაა ახალი დროისა², სიძველეები არა აქვს რა.

3. წმ. გიორგის ეკლესია, წოდებული წმ. მარინედ³, დგას სავარდიის გორაკზე ანუ ვარდისუბანში, ფილიპე გოცირიძის ეზოში. იგი ერთნავიანი შენობაა, 5×3,1 m., ნაგები ქვიტკირისაგან; დღეს ნანგრევად არის; დგას მარტო კედლები ისიც ნაწილობრივ დაქცეული; კარი აქვს სამხრ. და დას., სარკმელი აღმ.; დას. კარის ზევით არის ქვა ასომთავრული წარწერით:

1 ქ. მრჯიტა: მწმთა: ყყის: ძიიღრბა⁴ ხოლო: მინ:

2 გარდამავი: მათ: ყრთასა: ზ: სასოებო:

3 ჩემო: მთჯრ: მოწმყო: გვი: აწ: მი:

4 შნდა: მაჯღრნი: გოცირიძე: პაავა: ვი

5 მობ. იკრისიასა შნსა

იკითხება: ქ მრავალთა მოწამეთა ყვეს ძლიერება, ხოლო შენ გარდამატე მათ ყოველთასა, ზი სასოებო ჩემო, მთავარ მოწამეო გიორგი, აწ მე შენდა მავედრი გოცირიძე პაატა გიმკობ ეკლესიასა შენსა

წარწერა ეკუთნის მე-XVI-XVII სს. და ეკლესიაც იმავე ხანისა უნდა იყოს.

4. ბარაკონის ღვთისმშობლის ეკლესია დგას ერისთვიანთ ეზოში; იგი გუმბათიანი შენობაა (MAK IV, 120), 15,8×12,1 m., ნაგები თლილი ქვისა და კირისაგან; კედლები შიგნით და გარეთ გალესილია კირით; კარი აქვს სამხრ., დას. და ჩრდ.; სარკმელი: აღმ. 5, სამხრ. 3, დას. 5, ჩრდ. 3, გუმბათს 12. კარ-სარკმელი და კარნი-ზები შემკულია ჩუქურთმით; აღმ. კედელზე გამოქანდაკებულია დიდი ჩუქურთმიანი ჯვარი. კანკელი ფიცრისაა, მე-XVIII ს-სა; იგი

1) ზარი 1926 წელს ეკლესიასთან იყო ხეზე ჩამოკიდებული; 1930 წლის გაზაფხულს იგი ჩამოუხსნიათ და უტილ-ნედლეულად გადაუზაგანიათ ქუთაისს, სადაც ის აღარ აღმოჩნდა.

2) უვაროვას დროს აქ ფიცრის შენობა ყოფილა (MAK IV, 121), ეს პირი ეკლესიის სახელს დამახინჯებით სწერს „Гвард-цехе“-დ.

3) ეკლესია აღწერილია 1926 წელს; 1930 წელს იგი დაზიანებული აღმოჩნდა: მისი სამხრ.-დას. ნაწილი დაუნგრევიათ სახლის საშენებელ მასალად, წარწერიანი ქვაც ძირს ჩამოუგდიათ; უკანასკნელი დღეს ეკლესიის შიგნით ინახება.

4) დამწერს ეს სიტყვა გამორჩენია და სტრიქონის თავზე დაუმატებია.

ექვსრიგია. როგორც წარწერიდან ჩანს, ეკლესია აღშენებულია რაჭის ერისთავის როსტომის მიერ 1753 წელს.

ეკლესიას აქვს წარწერები:

I. დას. კარის თავზე (RVA 64-65): ქვა გატეხილია ორად (ზევიდან ქვევით); წარწერის პირველი სტრიქონი ნაწერია მხედრულად, მათგან სიტყვები კზი ბესარიონ თხზულად; ხოლო სტრიქონები 2-11 თხზული ასომთავრულით (ყოველი სიტყვის შემდეგ უზის სამი წერტილი:).

- 1 ქ: მხრეველი¹ ქვისა კზი ბესარიონ ძმა ერისთვისა ქს 1753
- 2 ქწ² ქმნილ³ ნაშობო იოაკიმისო რომლისა შორის
- 3 იშუამოა⁴ სიბრძნემან მამისამან დადაიკარვა შენ შორის სიმაღლემან
- 4 ღთაებისამან და ხორც შესხმულ იქმნა მცხებელი ხ ღთცხებული და მყის
- 5 მყოფად იქმნეს სამნივე ესე მიღება მყოფობა და განმღთობა⁵ სიტყვისა ღა დაესრეთ გ
- 6 ულის ხმა იყოფები წა⁶ ქალწულად ამისთვის შენ დაძისა შენისა მიერ თიხა ზელ
- 7 ილმან რაჭის ურისთავმან როსტომ აღვაგე ეკლესია⁷ რძენი დედისა⁸ ჩემისანი ილაღვიდეს
- 8 ჩემთვის დადამადგინეს მე მცველად ვენახთა შინა დასავენახე ჩემი ვერა დავიცევ თვინიერ
- 9 მფარველობისა შენისა ამისთვის მცევ⁹ დამფარვედ თანა მეცხედრით ჩემით¹⁰ წულუკიდის¹¹ ასუ
- 10 ლით მარიამით დაპირმშო ძით ჩემით გიორგით დასასოძით მეოღლით დაასულით ჩემით
- 11 ანა მელანია დაეფემიათურთ დღესა მას მარჯულ მსაჯულობისასა ამინ ქს აქეთ ქკს ჩღნგ.

¹) ბ რ ო ს ე: გამხრეველი (RVA 64-65)

²) „ წ (იქვე, 64)

³) „ მართალ (იქვე)

⁴) „ იშუაყუა (?) (იქვე).

⁵) „ განმღვთაება იქვე)

⁶) „ წმიდად (იქვე).

⁷) ბ რ ო ს ე ს ა ქ დამატებული აქვს სიტყვა: შენი (იქვე).

⁸) ბ რ ო ს ე: მამისა (იქვე).

⁹) „ მიცევ (იქვე 65).

¹⁰) „ თანა მეცხედრით ჩემი“ს მაგირ: თანა-მეცხედრითურთ (იქვე).

¹¹) „ წულუკიდის (იქვე).

II სამხრეთის კარის თავად მდებარე ქვაზე მხედრულად¹ ყოველი სიტყვის შემდეგ უზის სამი წერტილი:

- 1 ქ ზეცისა ძალთა ერისთავთა ღთის დედას მიწისათა
- 2 ერისთავი ძალისებრთა შრომათა კინიუძღუნის მრთმელებ და უნი
- 3 ვთოსა ცეცხლისა მტვირთვლსა ნივთი ნივთსა მისი მის- მიერთა მისდა²
- 4 აღვამკობ რათა ნივთსა შორის მყობისა ჩემისა ქმნილთა ნაცოდებთა შენდო
- 5 ზა. მოვილო და განხრწნადთა წილ წარუალნი ვპოვო აწ რომელნი³ ამას ჩვენ
- 6 სა ნაშრომსა განიცდიდეთ რლთა გიყვარსთ⁴ ღთის მშობელი მარიამ ესრთ გვ
- 7 ავეღრუთ ქერაბინთა⁵ უმაღლესო ქრისტეს საყდარო სა- ყდრისა ამის აღმაშენებელი
- 8 ერისთავი როსტომ აბრაჰამის წიალთა განსვენებული ჰყავ და ვა სიხარულისა მიზეზ ხარ
- 9 დედოფალო გამოუთქმელითა საუკუნოსა სიხარულითა მა- რადის ახარე.

III ჩრდილოეთის კარის თავად მდებარე ქვაზე მხედრულად⁶ (ყოველი სიტყვის შემდეგ უზის სამი წერტილი)

- 1 ქ⁷ აგემებდ სძესა ყთა არსთა მზ
- 2 რდელსა ქალწულო ქმნილთა უაღრეს უწმინდესო ტაძ- რისა ამგ
- 3 ედ⁸ ამგე⁹ ძე შენი და მშენად მჩენი ჩემი იესო ღთი ოხად მიღვაწე
- 4 ერისთავს როსტომს მეუღლით თვისით ნაშობით მისით ძით და ასულით სხეულ

¹) „ იქვე 63.

²) ბ რ ო ს ე: მისდა (იქვე).

³) „ რომელთა (იქვე).

⁴) ბ რ ო ს ე: გიყვარს (იქვე).

⁵) „ : ქერაბინთ (იქვე).

⁶) იქვე 63-64.

⁷) ბ რ ო ს ე ს ქ გამოტდვებული აქვს (იქვე, 63):

⁸) ბ რ ო ს ე: ამგებელი (იქვე).

⁹) „ : ააგე (იქვე).

5 ით სულით მრჩობლთ ცხოვრებათა უვნებლად გვეფარვედ
და დღესა დიდსა მარჯვენით მდგომ¹ მყავ²

IV აღმოსავლეთის მხარის ზედა სარკმლის თავზე, მარცხნივ,
მცირე ჯვრის ქვეშ მხედრულად³

5 ბძან

6 ეთ⁸

ქ⁴. ამისი⁵ ოსტატი⁶

2 შულავრელი

3 აეთანდილ ვინც⁷

4 ნახოთ შენადობა (sic)

ეკლესიაში კანკელის წინ, სამხრ. მხარეს, იატაკზე არის საფ-
ლავის ქვა, 2,36×1,3 m., შემკული გარეშემო ჩუქურთმით, ხოლო
გულში მხედრული წარწერით:

წიღსა | ჩლოფ-სა | ღოდსა ამას ძეგში | მდებარე არს იკქ | ღისსა ამის
აღმა | შინებელი ჩაქის | ღრისთაჲი სხვათა | თუროს-ვომი ნიგა | ჩად განსას-
ფინებ | ღად საუჯროდ | იყოს ხსენება | მისი ამინ.

წარწერა ეკუთნის 1766 წელს.

ეკლესიაშივე, დასავლ. ნაწილში, ჩრდ. სვეტი დასავლ., ოდნავ
მარჯვნივ იატაკზე არის სხვა საფლავის ქვა, 1,68×0,66 m.; საფ-
ლავი შეძრულია; იგი გაუთხრიათ 1928 წელს. ქვის ზევითა ნაწილ-
ში ჯვარია გამოსახული, ხოლო მის ქვევით არის მხედრული
წარწერა:

ქ სათიდაჲსა: ამას შა მდებარე თის მიძღვადის ასუღი მ⁹არიამ
მემც | ხიერი ჩაქის (?) ღრისთაჲის ანვონის ღიყაჲ განცხრომასა და სიხა-
რუღში ქრით და თაჲი | თ და სამის ჩემის. სასურჯიღის ძით და ღიყაჲ
ღირე აქამდმდე: მგ: წიღი და მიჲქ | თარი საწუთოსა ამას მიწადეჲ საწ-

1) ბროსე: მდგომარე (იქვე, 64).

2) „ : ყავ (იქვე).

3) იქვე, 63

4) ბროსეს ქ გამოტოვებული აქვს (იქვე).

5) ბროსე: ამის (იქვე).

6) „ : უბტატი (იქვე).

7) შესაძლებელია „ვინც“-ას მაგიერ ეწეროს: ვინა. ბროსე კითხულობს
ვინ (იქვე).

8) მე-5-ე და მე-6-ე სტრიქები უადგილობის გამო გადატანილია ზევით,
პირველი სტრიქონის თავში.

9) ასო მ ასომთავრულით არის დაწერილი.

ყარობიდან და ვინცა ინიბოთ აღმოკითხვა შენობა მიზნადნით და თქნ-
ცა შეგინდოს ონ ამინ, ჩაკე: ჩილსა: ნოიბრის კა

წარწერა ეკუთნის 1826 წელს.

სიძველენი:

1 (ქ. 2718). ხის ჯვარი (MAK IV, 121), 2,13×10,5 m., შე-
ქედილი წინა მხარეს ვერცხლით (ოთხ დიდ და სამ პატარა ფურ-
ცლად), რომელზედაც ქედილი ხატებია მაცხოვრისა, ღვთისმშობლი-
სა, ნათლისმცემლისა, წმ. გიორგისა და სხვა, დაზიანებული (ძირა
ვერცხლის ფურცელი მოცილებულია და დაკარგული)¹.

ხატებს აწერიათ—1. ჯვარცმას (ჯვრის გულში): თავზე—იწ
ქე მწ: ჰრთა, ანგელოზებს—მთფრანგი, ღვთისმშობელს—ყრ: წე
ონის მშვი, იოანეს—იწ მხი; 2. მაცხოვარს (ჯვრის ზევეთა ნაწილ-
ში)—ივ ქე, მის წიგნში სწერია—მე ვრნთქიქი სოთქიქი სიქიქი
3. ანგელოზს (მე-2 ნომრით აღწერილის ქვევით)—მიქრ; 4.
ღვთისმშობელს (მარჯვენა მხარზე, განაპირას)—M P Θ Y. 5. წმ.
გიორგს განკითხვას (მე-4 ნომრით აღწერილის მარცხნივ)—წე გი:
აქა: იაოკრივიანე (sic): წეს: გის: განიკითხეს 6. წმ. გიორგის
ძელზე დაკრვას (მარცხენა მხარზე, გულისაკენ)—წე გი, აქა: წექ:
გი: ძიღმიდა: დაქრს. 7. ნათლისმცემელს (მე-6 ნომრით აღწერილის
მარცხნივ, განაპირას)—იწ ნათილ~ცი. 8. წმ. გიორგის (ჯვრის ქვევი-
თა ნაწილში, გულთან ახლოს)—წე გი. 9. წმ. გიორგიზე ლოდის
დადებას (მე-8 ნომრით აღწერილის ქვევით)—იოი: რომი: დას-
დქქ: მქრდს: წაწ: გი: სპრობიქს. 10. წმ. გიორგის კირში
ჩაგდებას (მე-9 ნომრით აღწერილის ძირს)—აქა: წიდა: გი: კირში
ჩაგდეს.

მე-9 ნომრით აღწერილი ხატის (წმ. გიორგის მკერდზე ლო-
დის დადების) ქვეშ არის ასომთავრული წარწერა (RVA 64)

წაწ: გი: მქ: ოქრომქიქი: მმნი: მეცხერიითქა.

იკითხება: წმიდაო გიორგი, შეიწყალე ოქრომქედელი მამანე
(?)² მეცხერიითქა

ძველი ეკუთნის მე-XII ს ს.

გადმოცემით ჯვარი გადმოტანილია გელათიდან.

2 (ქ. 1905), ხის ჯვარი (MAK IV, 121), 43,5×21,5 cm.,

¹ ჯვრისათვის შექედილობა ჩამოუხსნიათ ერთხელ 1923 წელს (იგი მერმე
ისევ დაუჭედიათ), მეორედ—1927—1928 წლებში (მაშინ დაკარგულა მე-8 ვერც-
ხლის ფურცელი); დღეს ის ახლად არის დაჭედილი ჯვარზე.

² ბ რ ო ს ე: მმნი (იქვე).

³ მასვე ეს სიტყვა ფრანგულად ამოკითხული აქვს მამანი-დ (იქვე).

შემკული ჯვარცმისა და სხვა ხატებით, ათონის ხელოვნებისა. ეკუთვნის მე-XIX ს-ს.

3. რქის ჯვარი, $17 \times 9,5$ cm., შემკული ჯვარცმისა და სხვა ხატებით.

4 (ქ. 2719). ფიცარზე ნახატი ჩვილდი ღვთისმშობლის ხატი (MAK IV, 121), $50,5 \times 39,7$ cm., შემკული ვერცხლის აშიებით და შარავანდედით, რომელთაც უზის 35 მადნის თვალი (აკლია 3 თვალი), 17 დიდი-პატარა ფერადი თვალი, 7 მინანქრიანი წრე (აკლია 1 წრე) და მარგალიტის მძივები (აკლია). ხატს აწერია: M^{CP} Θ^Y 1.

5 (ქ. 2720). მინაზე ნახატი ჯვარცმის ხატი, 46×36 cm., გატეხილი 4 დიდ და 4 წვრილ ნატეხად; ზის ხის ჩარჩოში.

6 (ქ. 2721). ფიცარზე ნახატი ღვთისმშობლის ხატი, 27×19 cm., შემკული ვერცხლით (აშიების მხარეს) რომელზედაც ყვავილებია გამოსახული. ხატს აწერია: M^{CP} Θ^Y Γ^{HC} x^C.

7 (ქ. 2722) ფიცარზე ნახატი წმ. ესტატეს ხატი, 37×30 cm., დაზიანებული; აწერია: წ^ე. იესთავი.

8 (ქ. 2723). გარდამოხსნა, 64×74 cm., ოქრომკედით ნაკერი, ჩვეულებრივი წარწერით სლავურ ენაზე.

9². დაფარნები (?), ოქრომკედით ნაკერი - 3 ცალი, ხატებს სლავურად აწერიათ.

10 (ქ. 1906). ხელსახოცი, ძვ. ხელოვნებისა, დაზიანებული; მე-XIX ს-სა.

11 (ქ. 2763). აღსარების სიები.

12. ხის საწივზე, ძველი ხელოვნებისა.

13. ხის სასანთლე, ძველი ხელოვნებისა, 3 ცალი.

14. ხის სკივრი, ძველი ხელოვნებისა³.

ბ. ბარაკონის ძველი ეკლესიის ნანგრევი (MAK IV, 121) დგას გუმბათიანი ეკლესიის აღმ.-ჩრდ. კუთხის გასწვრივ; იგი ერთნავიანი შენობაა, $6,4 \times 3,2$ m., ნაგები შირიმის ქვისა და კირისაგან; დღეს ნანგრევად არის; დგას მარტო კედლები უთალოდ; შიგნით ნანგრე-

1) 1925 წელს ხატზე ჩამოკიდებული იყო: ძველი აღმოსავლური ფული-ოქროსი (?) 1 ცალი და ბეჭდები 10 ცალი; 1930 წელს არც ერთი მათგანი ადგილას აღარ აღმოჩნდა; ყველა დაღუპა ლა.

2) მე-3 და მე-9 ნომრებით აღწერილი ს. ძველები (რქის ჯვარი და დაფარნები) 1925 წელს ეკლესიაში ინახებოდა; 1930 წელს იგიინი ადგილას აღარ აღმოჩნდა; ორივე დაკარგულია.

3) ძველად ეკლესიაში ყოფილა: 1) ფილონი, ნაკერი ოქრომკედით, შემკული ვერცხლის სამკაულებით, მოტანილი საბერძნეთიდან და 2) ხატებიდან დარჩენილი თვლები, ერთი მცირე კოლოფი. ესენი დაკარგულა 1895 წელს.

ვით არის სავსე. უვაროვა იხსენიებს ეკლესიას და მის კანკელს (იქვე), დღეს კანკელიდან აღარაფერი დარჩენილა; ადგილობრივ პირთა ცნობით, მისი (კანკელის) შესანიშნავი ორნამენტური თაბაშირის ფიქალები ადრევე ვიღაც რუსს ძალადობით მოუხსნია და რუსეთში წაუღია, ეჭვი არ არის იმავე უვაროვას დავალებით.

ხის ჯვარი რომელსაც იხსენიებს დასახელებული პირი, ეკლესიაში აღარ აღმოჩნდა.

ეკლესიის დას.-სამხრ. არის ზუბაშვილების სამარხი; აქ უნდა იყვნენ დასაფლავებულნი (?) ცნობილი მესტამბენი რომანოზ და მისი შვილი დავით; დღეს მათი წარწერა არსადა ჩანს.

6. ბარაკონის ღვთისმშობლის ეკლესიის გასწვრივ, ჩრდ.-აღმ., მცირე მანძილის დაშორებით, მდ. ლუხუნის მარცხენა მხარეს, წესისავე უბნის „მოჯალაბეები“-ს ზევით კლდოვან გორაკზე დგას ისტორიაში კარგად ცნობილი შესანიშნავი მინდა ციხე¹. ვახუშტი წერს: „ლუხუნის აღმოსავლით კიდის მაღალს კლდის გორასა ზედა და რიონის ჩრდილოდ არს ციხე მინდა, მაგარი და აუღებელი მტრისა-გან, და ვის უპყრავს ციხე ესე, არს ერისთავი რაჭისა: ამ ციხისავე ძირს კოშკი დგას ლუხუნის კიდესა ზედა მცველად წყლისა-თვის“-ო (გეოგრ. 376, 378). ციხე ნაგებია ქვიტკირისაგან; იგი დღესაც კარგად არის დაცული; შესავალი კარი აქვს სამხრ. მხრიდან. ციხის შიგნით არის ერთნავეანი ეკლესია, 3,5×2,8 m., ნაგები ქვიტკირისაგანვე.

7. წესშივე ვახუშტი იხსენიებს ნინიას ციხეს: „აქავ წესს), რიონის კიდე ზედ, არს ნინიას ციხე, კლდესა ზედა შენი“-ო (გეოგრ. 376). ასეთი სახელი ადგილობრივ არც ერთ ციხეს არ შერჩენია, ხოლო ადგილმდებარეობის მიხედვით ეს უნდა იყოს სოფლის მთავარ უბანში, ფოსტის შენობის მახლობლად, კოტე ზურაბისძე მისაშვილის ეზოში მოყოლილი, რიონის კიდეზე მდგარი, ციხე, რომელიც დაუნგრევიათ 1915 წლებში; დღეს მისი ნანგრევი-ღა არის. ციხეში ძველად ეკლესიაც ყოფილა.

წესის მცხოვრებ ანეტა ფირანის ასულის ზუბაშვილის ნიერ შემოწირული სიძველენი:

1 (ც.-არქ., ფ. 234, № 162). მესტამბე რომანოზ ზუბაშვილის წერილი; მიწერილი გაიოზისადმი 1796 წელს, დაბეჭდილი მხედრული ასოებით ერთ ფურცელზე (წინა გვერდზე).

¹ ტოლ., 113, 184. უვაროვა ამ ძეგლს იხსენიებს Лухумский (sic) замок-ად ანუ ლუხუმის (უნდა იყოს ლუხუნის, მდ. ლუხუნიდან) ციხე-კოშკად და მისი ნამდვილი სახელი (მინდა-ციხე) კი აღნიშნული არა აქვს (МАК IV, 120).

34×20,4 cm., დაზიანებული (მარჯვენა მხარე მოხეული და დაკარგული აქვს, რის გამოც ტექსტს აკლია); სასვენ ნიშნად ადგილ-ადგილ ნახმარია წერტილი. დაბეჭდილია ზუბაშვილის მიერ თავის ახლად გამართულ სტამბაში, მოზდოგს, 1796 წელს; იგი ამონაბეჭდს უნდა წარმოადგენდეს.

ტ ე ქ ს ტ ი

(იხ. სურ. ამ წერილის ბოლოში).

[უკმართლ¹ მორწუნესსა და უკკეთლ მსახურესსა და ქრისტეს მოყვარესა უკთვიმპყ[რობელესსა] დიდსა კელმწიფესა ჩვენსა გვრგვინოსანსა და ყდ ამიღლებულსა. ეკატერინა [ალექსეევნ]ასა იმპერატრიცასა და თვთ მპყრობელსა ყოსისა რუსეთისასა და სხუათა მეფეთ მეფესა] კელმწიფესა და მფლობელსა. მოეც ლთო კეთილდღეობითი მშვიდობიანი [მეფობა] და ცხოვრება და ყოელი კეთილი შემწეობა. მტერთა ზნ ძლევა და დევნა. [დაიცევ ი]გი მრავალ ჟამერ:

[მათს უკმაღლ]ესობასა² კელმწიფესა და წმიდათა მმართველთა სინოდ(თა) მისთა: [დადგინებულთა] ერთა თვისთათვის სულიერ მწყემსად და უფლად: ყდ უსამღვდელო[ესო არქი](ერ)[ო] გაიოზ. მწყემსო კეთილო და უფალო მწყემსთაო.

[საღმართო] მადლი თქვენი. უხმარსა გონებასა და სიტყვასა ჩემსა:

[მწყემსო კეთილო. წარწყმედულთა ცხოართა: აჰა მგელთაგან შეცთომილი უხმარი მონა. [რომელი გ]ახლდი მათის უმაღლესობის საქართველოს მეფის ირაკლის ერთი უკანასკნელი [და ყოველთა] უნარჩევესი მოსამსახურე მუხთალმან სოფელმა და უპირომან გარდმომადლო [და დამაბნ]ივა ვნ ცხოვარი და განმაშორა მწყალობელსა ბატონსა მეგობართა და თვი[სთა გამომტ]ყორცა ვნ მშვილდმან ისარი მსწრაფლ დაუყოვნებელად ამ უცხოობასა შნ განმაგდო. ყოვლის ნიეთისა და საზღოსაგან ცარიელ ქმნილი: მოწყალემან ლთნ მი[ზეზთა მიზე]-[ზე]მან იესომ სახიერმან, და დედამან მისმან მარიამ. მშიერთა გამამზდელმა შიშველთა სამოსელმა. ჩემთვის ნუგეშად აღმოგაჩინათ. და მიტვირთეთ შეცთომილი ცხოარი] ნუგეში მეციით და მრქვი მე არა მნებაეს უქმ ყოფნა შენიო. წარვედ და იქმოდე [საქმესა ჩ]ემსა და რომელიც სამართალი იყოს მიგცე შენ. დავემორჩილე ბრძანებასა: [თქვენსა და] დავიწყე მუშაკობა დაღვასრულე³ ბრძანება თქვე-

¹; სიტყვა აღდგენილია ზუბაშვილის მართლწერის მიხედვით.

²) სიტყვა აღდგენილია ზუბაშვილის მართლწერის მიხედვით.

³) უნდა იყოს: და აღვასრულე.

ნი: დარა¹ დავმალე ვეცხლი ქვეყანია² სიღრმესა ად აღნადგინებით მოვართვი ყდ უსამღვდელოესობასა თქვენსა დაიხილეთ წინა მდებარე წერილი ესე ნატვფრი პრობა. და თუ უმეცნიერესი გონება თქვენი გაჰშინჯავს მრავალსა ნაკლულევენებასა აღმოაჩენს ბეჭედსა ამას შინა. მაგრამ მოწყალეებით შემინდევით თვით თქვენი ყოვლად უსამღვდელოესობა მიმოწმებს რომ რომელიც ამ კელოვნების საკადრისი ასოს მოსაჭრელი იარაღა არა მქონდა. მეორე ესა რომ ჩემნი ამხანაგნი რომელნიც პირველსა მათის უმაღლესობის სტამბასა შინა ვიმყოფებოდით იგინი ჩვეულებისებრ ჩემთანა არა იღვწიდნენ. თუმცა წერილისა ასოსა წარწამადგინებელი იქაც მე გახლდი მაგრამ ჩამომსხმელნი მწერალნი დაზგის მმრთველნი მჭედავნი სხვანი გაკლდნენ. და აწ ესე ყოველნი კელოვნებანი სტამბისა ამის მარტოჩან ვიმუშავე და განვმართე საბეჭდავი ესე და არცა გონება ჩემი ჩეჰთანა არა იყო შემოკრებული დიდის მწუხარებისაგან ვითარცა მმართებს. სამკვიდროს მოვშორდი და ამა სიღარიბესა და უცხოებასა³ შინა ვიმყოფებოდი. განსაჯეთ თუ ვთარი⁴ გონება დაუწყნარებელი ცხოვრება მექნებოდა: ესეცა მოხსენდეს ყოვლად უსამღვდელოესობასა თქვენსა სამპირნო არს სტამბისა ამის თუმცა მზათ გასწავლებულთა მბეჭდავთა ინებბთ⁵ მოყვანასა უმჯობესი იქნების: თუ არ ინებბთ და უსწავლელთ კაცთ განაწესებთ ისიც ნება თქვენია ახლავ ინებბთ⁶. რომ ისწავლონ რამე მწერალმან წერა მბეჭდავთა ბეჭდვა ყოველთა თავთავისი საქმე ვასწავლო. და მე განმათავისუფლოთ და თუ სხვას წერილს ინებბთ რასმე საცა გახლდები მიბძანეთ და მზა გახლავარ სამსახურსა შინა. დაუყოვნებელად აღვასრულებ ბრძანებასა თქვენსა ყოვლად უსამღვდელოესო მეუფეო.

ქეს აქეთ ჩ ლ ჟ ვ თვესა ოკდომბერსა ად გაიმართა და დაიბეჭდა სტამბა ესე მოზდოგის ქალაქს კელითა მესტამბე რომანოზ ზუბაშვილისათა.

წერილს აქვს მინაწერები:

1. მარჯვენა აშიაზე (ძირა ნაწილში)—
- მოწიფილი არს და უკეთუ მაა ჩმდა
- მომართ სარწმუნო | არს და მი
- (ხსნა);|

1) უნდა იყოს: და არა.
 2) უნდა იყოს: ქვეყანისა.
 3) უნდა იყოს: უცხოობასა.
 4) უნდა იყოს: ვითარი.
 5) უნდა იყოს: ინებბთ.
 6) უნდა იყოს: ინებბთ.

მინაწერი წერილის ავტორს რ. ზუბაშვილს უნდა ეკუთვნოდეს.

2 ძირა აშიაზე (მარცხენა ნაწილში). მინაწერი გათხუპნულია და არ იკითხება.

წერილს დაზიანებისა გამო უკანა მხარეს გადაკრული ჰქონდა ქალაქის ნახევები, რომელთაგან ორი სხვა რომელიღაც წერილის ნაშთი აღმოჩნდა (ზომით არის 8,3X9,6 სტ.).

აი მისი ტექსტი:

გელ-თში დარია მონახონს კოლოფი | აბარია იმაჩი მაქეს სამი
თამასუქის წიგ | ნები თეთრის სჯულის კანონი სმა | რთლის წიგნი
ერთი აბაზის ქალა | ლდი წინდები პიკები შა(ლ)ის ნაჭერი წვ | ივისა-
ცმელი რუვა პეტერა ფირფიტებისა | ცაფები (ეწყო) რალაც წიგ-
(ნები) (დეს ამაში) | ერთი კარდალი ორი ბოთლი | ერთი დიდი
მეორე პეტ(ე)რა ორი ძ(ველ) | ჩოხები ძველი ჩოხები მომიტანე | რუ-
სული წიგნი კონდაქ | ი (მომიტანე) | და ძველი (ძ)ო

წერილი შეიცავს მოზდოგში ქართული სტამბის დაარსების ისტორიას. იქ სტამბის დაარსება განუზრახავს ცნობილ მოღვაწეს გაიოზს, რომელსაც მისი (სტამბის) გამართვა დაუვალეზია ტფილისიდან ლტოლვილ ცნობილ მესტამბე რომანოზ ზუბაშვილისათვის. უკანასკნელს შეუსრულებია გაიოზის დავალება: ჩამოუსხამს ასოები, მოუწყვია საქმე, დაუბეჭდავს თავისი წერილი და ნიმუშად ანუ სინჯად („ნატვფრი პრობა“) წარუგზავნია გაიოზისათვის, რომლისაგანაც მოელის განკარგულებას საქმის თაობაზე. ე. ი. აქ ვხედავთ სტამბის დასაწყისს ანუ მის დაარსებას. ეს ფაქტი უდიდესი მნიშვნელობისაა. ამ მხრივ წერილი მეტისმეტად ძვირფას და მრავალ მხრივ საინტერესო ძეგლს წარმოადგენს; იგი აშუქებს ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიის რამდენსამე საკითხს, რომელიც დღევანდლამდე ბურუსით იყო მოცული.

თავდაპირველად, წერილი არკვევს მოზდოგის სტამბის საკითხს. დღემდე გარკვეული არ იყო, არსებობდა მართლა მოზდოგში ქართული სტამბა, თუ არა? ზოგიერთი მკვლევარი აღიარებდა არსებობას, ზოგი კი უარჰყოფდა¹. არ იყო ამისთვის არავითარი ნამდვილი დამამტკიცებელი საბუთი. დღეს კი ხსენებული წერილი, მოზდოგის სტამბაში დაბეჭდილი პირველი ფურცელი—სინჯი, საესებით ნა-

¹) მკვლევართა უმრავლესობა პირველი აზრისა იყო, უმცირესობა კი მეორისა; უკანასკნელთაგან დავასახელებ განსვენ. დ. კარაიჭაშვილს (იხ. მისი ქართ. წიგნის ბეჭდვის ისტ., 62).

თელს ჰფენს საკითხს: ააშკარავენს მოზღოგში ქართული სტამბის არსებობის ფაქტს.

შემდეგ, წერილი იძლევა ცნობას (ნიმუშს), თუ რაგვარი იყო თავისი ფორმა-მოყვანილობით მოზღოგის სტამბის შრიფტი, რომლის არც ერთი ასო დღემდის ცნობილი არ იყო¹.

ეს საკითხი კი ვგონებ არკვევს გაიოზის გრამატიკის დაბეჭდვის ადგილსაც. ამ გრამატიკის მხედრული შრიფტი ძლიერ ემსგავსება წერილის შრიფტი; ოდნავი განსხვავების ელფერი, რომელიც მას ემჩნევა, ქალაღდის სხვაობის ბრალი უნდა იყოს. თუ არ მივიღებთ მხედველობაში გრამატიკის ხუცური ასოებით დაბეჭდილ ნაწილს, რომლის შესამოწმებლადაც ჯერჯერობით სხვა რაიმე წყარო არა გვაქვს, მარტო მხედრული შრიფტის შედარება საბუთს გვაძლევს ვთქვათ, რომ ხსენებული გრამატიკა მოზღოგის სტამბაში უნდა იყოს დაბეჭდილი.

უკანასკნელ, წერილს სხვა მხრივაც დიდი მნიშვნელობა აქვს; მასში ნათლად ჩანს იმ დროის პოლიტიკური მდგომარეობა. საქართველო გავერანებული ყოფილა (1795 წლ. აოხრების შემდეგ); ამ გავერანებას არა ერთი და ორი მკვიდრი გადაუტყორცნია უცხოეთს, მათ შორის სტამბის გამმართველი რ. ზუბაშვილიც.

წერილი, როგორც ზევითაც აღვნიშნე, მიწერილია სტამბის დამაარსებელ გაიოზისადმი; უკანასკნელი არის ცნობილი გაიოზი, მოზღოგის ეპისკოპოსი²; ეს პირი, როგორც წერილიდან ჩანს, სტამბის დაარსების ხანაში მოზღოგის გარეთ უნდა ყოფილიყო.

წერილის ავტორი რომანოზ ზუბაშვილი ცნობილი ისტორიული პირია. ქართული წიგნის ბეჭდვის საქმეში მას დიდი ღვაწლი მიუძღვის. თავდაპირველად იგი მოღვაწეობს ტფილისს, მერმე მოზღოგს, შემდეგ ქუთაისს და ბოლოს წესს. მის მიერ დაბეჭდილია მრავალი წიგნი. ტფილისს, ქუთაისს და წესს დაბეჭდილი წიგნების უმრავლესობა ტნობილია, ხოლო მოზღოგისა კი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ გაიოზის გრამატიკას, რომლის დაბეჭდვის ადგილიც დღემდის გამოურკვეველი იყო, არც ერთი. ეს დანაკლისი რამდენადმე ზემომოყვანილმა წერილმა შეავსო.

საქართველოდან მოზღოგს ზუბაშვილი, როგორც ეს წერილი-

1) აღნიშნული შრიფტი საუცხოვო მოყვანილობისაა და დღევანდელი ხმაურებისათვისაც კი ნისალბია.

2) ცენტრარქივში დაცულ კირიონის პირადი არქივის ფონდში არის საქმე (№ 19—გაიოზ, მთ.-ეპ. ასტრახანისა), საიდანაც ჩანს, რომ გაიოზი მოზღოგის ეპ.-სად ყოფილა 1793-1799 წლებში (კირ. ფ.—236, № 19, ფურც. 21).

დან ირკვევა, უნდა გადასულიყო ალამაჰმადხანის მიერ ტფილისის აოხრების (1795 წლ.) შემდეგ, როდესაც სხვათა შორის განადგურებულ იქნა მისი სტამბაც (მის ამავე ხანს რუსეთის გადასვლას უჩვენებს განსვენ. დ. კარიჭაშვილიც: „ქართ. წიგნის ბეჭდვის ისტ.“ გვ. 112); წერილში იგი ემდურის ქვეყნის სიმუხთელეს, მის სიავეს და თავის უმწეო მდგომარეობას შემდეგი გულსაკლავი სიტყვებით მოგვითხრობს: „საქართველოს მეფის ირაკლის ერთი უკანასკნელი . . . მოსამსახურე მუხთალმან სოფელმა და უპირომან გარდმომადგლო [და დამაბნეივა ვა ცხოვარი და განმაშორა მწყალობელსა ბატონსა მეგობარსა და თვი[სთა. გამომტყუორცა ვა მშვილდმან ისარი მსწრაფლ დაუყოვნებელად ამა უცხოობასა შა . . . გონება ჩემი ჩემთანა არა იყო შემოკრებული დიდის მწუხარებისაგან . . . სამკვიდროს მოეშორდი და ამა სიღარიბესა და უცხობსა შინა ვიმყოფებოდი განსაჯეთ თუ ვთარი გონება დაუწყნარებელი ცხოვრება მექნებოდა“ო და სხვა.

შემდეგში ზუბაშვილი ისევ საქართველოს უბრუნდება. 1803 წელს სოლომონ მეორის მოწოდებით იგი გადმოდის ქუთაისს; იქ აწყობს სტამბას და ბეჭდავს წიგნებს. ბოლოს, 1810 წელს ქუთაისიდან გადადის წესს, სადაც განაგრძობს იმავე საქმეს; 1811 წელს წესს დაბეჭდილი გამოკრ. სადღესასწაულოს შინაბეჭდიდან ირკვევა, რომ იგი გარდაცვლილა ამ 1811 წელს. მისი ჩამომავლობა დღეს იმავე წესს ცხოვრობს ¹.

¹) აქვე უნდა შევეხო რომანოზ ზუბაშვილის გვარშთამოებას. ამ პირის ჩამომავალი დღეს იწერებიან ზუბოვებად; ხალხი მათ მეორე გვარსაც უწოდებს — მესტამბიშვილებს. ისინი თავიანთ თავს რუსის ჩამომავლად თვლიან, ეს ახრი, ე. ი. ზუბაშვილის რუსული ჩამომავლობა, როგორც ეს დ. კარიჭაშვილიც აღნიშნა (ქართ. წიგნის ბეჭდვის ისტ.), ლეგენდა უნდა იყოს. ხსენებული პირი (დ. კარიჭაშვილი) ამას იმ გარემოებითა ხსნის, რომ „რომანოზ ზუბაშვილი სოლომონ მეორემ გამოიწვია რუსეთიდან, სადაც ცხოვრობდა ქართლიდან 1795 წლია შემდეგ წასული. რუსეთში ყოფნისას რომანოზი და მისი ოჯახის წევრები რუსულს ისწავლიდენ, ზოგ რუსულ ჩვეულებებსაც შეითვისებდენ და გვარსაც რუსულ დაბოლოებებს (ზუბოვი) მისცემდენო“-ო (იქვე, 112-113). ეს შემცდარია: რომანოზ ზუბაშვილი არც რუსეთში ყოფნის დროს და არც საქართველოში დაბრუნების შემდეგ არსად გვარს არ იცვლის და ყველგან (თავის დაბეჭდილ წიგნებში) თავის თავს რომანოზ ზუბაშვილად, ან რაზმაძე რომანოზ ზუბაშვილად აცხადებს (იხ. ზემოთ დაბეჭდილი წერილი, აგრეთვე ქუთაისის და წესს დაბეჭდილი წიგნების შინაბეჭდები). შემცდარია აგრეთვე პ. გუგუშვილიც, რომელიც ფიქრობს, რომ „შესაძლებელია ზუბაშვილი ერეკლეს დროს საქართველებული რუსი ყოფილიყო“-ო (ქართ. წიგნი 1629-1929, 95-76, შენ. 7). ზუბაშვილი რუსი რომ ყოფილიყო, იმ დროს, როდესაც მაღალ წრეებში დიდი მიდრეკილება იყო თავიანთი გვარები რუსული დაბოლოვებით შეეცვალათ (ამილახოროვი, კობულა-

2 (ქ. 2726). სპილენძის ყალამდანი, დაზიანებული.

წესის თემის აღმასრულ. კომიტეტის მდივნის ანთიმოზ ელბაქიდის მიერ შემოწირული.

1 (ქ. 1889) სოფელ იწაში ძველად გზის გაყვანის დროს აღმოჩენილი აღმოსავლური ფული ვერცხლისა—1 ცალი.

წესის მცხოვრებ ფილიპე გოცირიძის მიერ შემოწირული:

1 (ქ. 2204). განკითხვა ქრისტესი. დაბეჭდილი სურათი, ძველი რუსული სტამბისა; ძლიერ დაზიანებული.

მეკვრეთი.

მეკვრეთის ეკლესიის ნანგრევები მდებარეობს მდ. ლუხუნის ხეობაში, ს. ლიხეთის ჩრდ. 1 ვერსზე; ხეების სერულისა და ხეორის შესართავთან, გორის დაბალ კალთაზე; ბუნებით მშვენიერ ადგილას. ხსენებული ლუხუნის ხეობის „შენობა“-ს ანუ მოსახლეობას იხსენიებს ვახუშტი თავის გეოგრაფიაში, რომელიც სწერს: „ყოფილა ლუხუნის კეობა-ზედ შენობა დიდი, არამედ აწ. მტერობისა-გან სვანთა არღა-რა და ოკერ არს“ (გეოგრ. 376).

ეკლესია ერთნავიანი შენობაა, 10×5,8 m., რომელსაც სამხრ.,

ვი, შალიკოვი და სხვ.), რუსი ქართულად არ შესცვლიდა თავის გვარს, ეს ერთი მეორეც, რომანოზს რომ რაიმე ნათესაობა ჰქონოდა რუსებთან ან რუსეთთან, მაშინ იგი რუსეთში გადასვლით ასე დამწუხრებული არ იქნებოდა, როგორსაც მას ვხვდავთ მის წერილში; იგი საშინლად სწუხს და ჰგოდებს თავის სამშობლოს და ცილებას: „მუხთაღმან სოფელმა . . . განმაშორა . . . მეგობართა და თვისთა . . . [გამომტ]ყორცა . . . ამა უცხოობასა შა . . . სამკვიდროს მოვშორდი“-ო, ე. ი. „თვისი“ მას საქართველოში ჰყავს; რუსეთი მისთვის „უცხოობა“-ა და საქართველო კი „სამკვიდრო“; ცხადია, რომ იგი ქართველია შთამომავლობით.

რუსის შთამომავლობის ლეგენდა უნდა შეექმნა რომანოზის შთამომავლობას. მაგრამ როდის და რა საფუძვლით? საფიქრებელია, რუსეთის საქართველოში გაბატონების პირველ ხანაში, ოოდესაც, როგორც ეს ხევიტაც აღვნიშნე, ზოგიერთ წრეებში არსებობდა რუსული მიმართულება ანუ ლტოლვა-მიდრეკილება რუსეთისადმი. მას საფუძვლად დაუდებდენ რომანოზის რუსეთიდან დაბრუნების ფაქტს, რომელსაც გადააკეთებდენ რუსეთიდან მოსულად და სხვ. გარდა ამისა, ლეგენდის შემქმნელ პირს; ეჭვი არ არის, გაგონილი ექნებოდა რუსეთის დიდი მოხელის გრაფ ზუბოვის ვინაობაც და ალბათ მისი თანამოგვარეობა პატივად მიიჩნია და შექმნა ეს ლეგენდა.

აი რით უნდა აევხნათ ზუბაშვილების რუსობის ყალბი ისტორია.

ზუბაშვილის ზუბოვთან დაკავშირება რც ენათმეცნიერული მხრით არის მაინც და მაინც საჭირო. ზუბა ქართული ძირისაა: ლეჩხუმში არის სოფელი ზუბი; ცნობილია სახელი ზუბიტა; გარდა ამისა ძველადვე არსებობს გვარი ზუბიაშვილი, რომელიც გვხვდება 1714 წლის საბუთებში (ც.—არქ. ფ. 226, №№ 5452, 5453, 5455) და სხვა.

საქართველოს მუზეუმის მოამბე, VII.

დას. და ჩრდ., მიშენებული აქვს გალერიები. დღეს შენახულია მხოლოდ ეკლესიის კედლები და ჩრდ. გალერია¹ დაზიანებული თაღით (დას. ნაწილი ჩაქცეული აქვს), დანარჩენი ნაწილისა კი მხოლოდ ნანგრევებია მოჩანს. ეკლესიის კედლები დაფარულია სურთით; იატაკი 1 მ.-ზე ნანგრევით არის სავსე. უფრო მეტი ნანგრევია ჩრდ. გალერიაში. ეკლესია ნაშენია ტინის სწორპირიანი და შირიმის თლილი ქვისა და კირისაგან; შირიმი შეხმარებული აქვს კარსარკმელს, კუთხეებს და პილასტრებს; კარი აქვს სამხრ., დას., ჩრდ., სარკმელი შერჩენილია მარტო აღმ. მხარეს. საკუთხეველში არის ორი მცირე თახჩა.

ეკლესია მოხატული ყოფილა; მხატვრობა დღეს ნაშთად და არის; ჩრდ. კედელს კირზე ემჩნევა მხატვრობის კვალი: შენახულია წითელი მკრთალი ფერები.

ეკლესია დაუზიანებიათ 1929 წელს: იგი უნგრევეთა და მისი მასალა უზიდიათ ლიხეთის სკოლის ასაშენებლად. განსაკუთრებით დანგრეულია სამხრ. და დას. კარები და აღმ. სარკმელი.

ხსენებული ნანგრევებიდან წაღებულ და სკოლის ადგილას დაგროვილ ქვებში სიძველეთა დაცვის ადგილ. რწმუნებულს მასწ. ამბერკი ჯაფარიძეს უპოვია შირიმის ქვა, 50×73, 5×18 სმ., შემკული ზევითა და გვერდის აშეების ადგილას ჩუქურთმით, ხოლო გულში ხუცური წარწერით, ძლიერ დაზიანებული: ბევრი ადგილი ამომტვრეულია, გარდა ამისა ქვის ბუნებრივი ღრუებიც ძლიერა სკრის წარწერას².

წარწერა:

- 1 ს:
- 2 (კო)ს
- 3 თ
- 4 საიოცაჟაძე
- 5 რ. ნ(გკ)ისაჩნის
- 6 ათჰს. (ცს). თი
- 7 აჟ (ი)კით|ხ|კით

ეკლესიის დას. არის დიდ შენობათა ნანგრევები, სადაც ბერების საცხოვრებელი ბინები უნდა ყოფილიყო; ძველად აქ მონასტერი ყოფილა.

1) ძველი აღწერილია ჩემ მიერ 1930 წლ ს ზაფხულს.
 2) შირიმის ქვა წარწერა-ჩუქურთმისათვის სრულიად უეარგისია და ამგვარ ქვებზე ასეთები ძლიერ იშვიათადაც გვხვდება.

ეკლესიასა და სხვა შენობებს გარშემო გალავანი ჰქონია, მისი დღეს ნაშთი-ლა მოჩანს. აქვე არის დიდი ხნის ტყე, რომელსაც ურე-
ვია ბზის ხეებიც.

40. აბარი.

აბარის თემის სიძველეთა დაცვის რწმუნებულის მასწ. ამბერკი
ჯაფარიძის მიერ გადმოცემული, ს. ხივშს მიწაში აღმოჩენილი სიძ-
ველენი:

- 1 (ქ. 2681). ბრინჯაოს მცირე იარაღი, ორპირი, 2 ცალი.
- 2 (ქ. 2682). ბრინჯაოს ზრო (ისრის წვერი), 1 ცალი.
- 3 (ქ. 2683). რკინის ზრო (ისრის წვერი), 2 ცალი.
- 4 (ქ. 2684). ბრინჯაოს ცული, 1 ცალი.
- 5 (ქ. 2685). ბრინჯაოს ცული, ყუამოტეხილი, 1 ცალი.
- 6 (ქ. 2686). ბრინჯაოს სამკაული, გატეხილი სამად, 1 ცალი.
- 7 (ქ. 2687). ბრინჯაოს ქინძისთავი, 1 ცალი.

აბარის მცხ. ფილიპე როსტომისძე ლობჯანიძის მიერ შემოწი-
რული სიძველენი, აღმოჩენილი აბარსავე ადგილ „დაბილა“-ში:

- 1 (ქ. 2678) ბრინჯაოს რალაც ნივთი (რგოლები).
- 2 (ქ. 2676). ბრინჯაოს რალაც ნივთი ცხვრის თავის გამოსა-
ხულობით.
- 3 ვ. 2680). ბრინჯაოს ნივთის ნატეხი.

41. მუხლი.

მუხლის მცხოვრებ ზაქარია ანდრიასძე ალღაძის მიერ შემო-
წირული სიძველე:

- 1 (ქ. 2773). ბრინჯაოს ზოდი 30 გირვ.-მდე, აღმოჩენილი მდ.
ბარულას პირას 1929 წელს.

პავლე ინგოროყვა.

ძველ-ქართული წარმართული კალენდარი

მე-5--8 საუკუნეების ძეგლებში.

წერილი პირველი.

VI

თვეების ძველ-ქართული სახელები, მათი თანამიმდევრობა.
და თარიღები.

(გაგრძელება *)

6. «მარჩბივი»-ს ზოდიაკოს თვე.

«ვარდობის თთუჲ», როგორც გამორკვეული იყო, უდრიდა „კურო“-ს ზოდიაკალურ ნიშანს, იწყებოდა 21 აპრილიდან (როდესაც მზე შედის, „კურო“-ს ზოდიაკოში), ხოლო სრულდებოდა 21 მაისს (როდესაც მზე დასტოვებს „კურო“-ს ზოდიაკოს).

ამ-რიგად, შემდეგი თვის ფარგლები არის «მარჩბივი»-ს (ანუ, რაც იგივეა, „ტყუბი“-ს) ზოდიაკალური ნიშანი, რომელიც უშუალოდ მისდევს „კურო“-ს ზოდიაკოს. ეს შემდეგი თვე მაშასადამე იწყება 22 მაისიდან (როდესაც მზე შედის ამ მომდევნო ზოდიაკოს „მარჩბივი“-ს ნიშანში), ხოლო დასრულდება 21 ივნისს (როდესაც მზე დასტოვებს „მარჩბივი“-ს ზოდიაკოს ნიშანს).

თუ რა სახელწოდებას ატარებდა ძველ-ქართულად ეს თვე, რომელიც „მარჩბივი“-ს ზოდიაკალურ ნიშანს უდრიდა (ე. ი. შეიცავდა ციკლს: 22 მაისიდან 21 ივნისამდე), — გამოურკვეველი რჩება. როგორც ცნობილია, ძველ-ქართული წარმართული კალენდარის

*) იხ. საქ. მუხ. მოამბე ტ. VI, გვ. 373 შდდ.

თვეების სახელწოდებათა ერთი მთლიანი სია არ მოღწეულა; ჩვენ ვიციით მხოლოდ საერთო ზოდიაკალური სისტემა, რომელიც საფუძვლად უდევს ძველ-ქართულს წარმართულს კალენდარს, ხოლო ცალკე თვეების სახელების გამორკვევა გვიხდება სხვადასხვა წყაროებში გაბნეული ცალკეული ცნობების მიხედვით. ხოლო ისეთი ძველ-ქართული ტექსტი, სადაც მოხსენებული იყვის ეს თვე, რომელიც ამ ციკლს (22 მაისი—21 ივნისი) შეიცავდეს, ჯერჯერობით აღმოჩენილი არაა.

სულხან-საბა ორბელიანი ფიქრობდა, რომ ძველ-ქართული სახელწოდება თვისა, რომელიც „მარჩბივი“-ს ზოდიაკალურ წრეს უდგება; იყო: „მარიალი“. მაგრამ სულხან-საბა თარიღის დადგენაში სცდება. როგორც თავის ადგილას იქნება გამორკვეული, «მარიალი» ეს იყო პარალელური სახელწოდება «მიჰრაკანი»-ს თვისა, და სულ სხვა თარიღს შეიცავდა, სახელდობრ ციკლს 19 თებერვლიდან—20 მარტამდე. (იხ. ამის შესახებ ქვემოთ, თავი: „წარმართული ქართული კალენდარის თვეების პარალელური სახელწოდებანი: § 1 «თთუჴ მარიალისა»»).

7. «თთუჴ ქუელთობისაჲ».

ძველ-ქართულ ძეგლებში ჩვენ გვხვდება საკალენდრო ტერმინები „ქუელთობაჲ“ და „თთუჴ ქუელთობისაჲ“. პირველი ტერმინი—„ქუელთობაჲ“—აღნიშნავს გარკვეულ დღეს (და არა თვეს). მეორე ტერმინი—„თთუჴ ქუელთობისაჲ“, როგორც ამას თითონ სახელწოდებაც გვიჩვენებს, თვეს აღნიშნავს.

ამის მიხედვით, „ქუელთობაჲ“ რაღაც მნიშვნელოვანი დღესასწაულის სახელი ყოფილა, რომლის სახელწოდება გავრცელებულა იმ თვეზე, რომლის ფარგლებშიაც სრულდებოდა ეს დღესასწაული.

ეს თვის სახელის ამნაირი წარმოება, რასაკვირველია, მოულოდნელს არას შეიცავს. გარდა ქუელთობის-თვისა, წარმართული ხანის ზოგიერთი სხვა თვის სახელიც ანალოგიურად არის ნაწარმოები. ასე, ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი იმის შესახებ, რომ არსებობდა წარმართული დღესასწაული „ვარდობაჲ“, ხოლო თვე, რომლის ფარგლებშიაც სრულდებოდა ეს დღესასწაული, იწოდებოდა „თთუჴ ვარდობისაჲ“.

ეს რადიკია. თვის სახელების წარმოება მთავარი საკულტოდღეების სახელებისაგან, წარმართული ხანიდან გადმოვიდა ქრისტიანულ ეპოქაშიაც. ასე,—დღეობა იოანეს შობისა 24 ივნისს, აქედან „ივანობის-თვე“; დღეობა „კვირიკობა“—აქედან „კვირიკობის-თვე“; დღეობა „მარიამობა“—აქედან „მარიამობის-თვე“; დღეობა „ენკენია“—აქედან „ენკენიის-თვე“; დღეობა „გიორგობა“ აქედან „გიორგობის-“

თვე“ (გრიგოლ ხანძთელის ბიოგრაფიაში : „გიორგი-წმიდობისა თთუც“); დღე „ქრისტეს შობა“—აქედან „ქრისტეს-წობის თვე“.

მაგრამ ანალოგია „ვარდობასა“ და „ქუელთობას“ შორის კიდევ უფრო შორს მიდის. ისევე როგორც „ვარდობის“ წარმართული დღესასწაული ქრისტიანულ ხანაში ქრისტიანულ კულტს დაუკავშირეს და ასეთი ოდნავი სახე-შეცვლით „ვარდობის“ დღესასწაული ერთხანს კიდევ შეინახა, — „ქუელთობის“ წარმართული დღესასწაულის მიმართაც ამ-რიგადვე მიქცეულან; „ქუელთობის“ დღეობა არ მოსპობილა მაშინვე, არამედ აქაც მომხდარა მისი ნაწილობრივთა ქრისტიანიზირება, და ასეთის შეცვლილის სახით იგი კიდევ შერჩენილა ერთხანად.—

თუ სახელდობრ რა დღეობას წარმოადგენდა წარმართულ ხანაში „ქუელთობაჲ“, და რა ცვლილებანი განიცადა მან ქრისტიანულ ეპოქაში, ამ კითხვას ჩვენ ისევ დაუბრუნდებით, აქ კი შევხებით თარიღის საკითხს.

ძველ-ქართული მწერლობის ძეგლებიდან—„თ თ უ ც ქ უ ე ლ თ ო ბ ი ს ა ჲ“ მოხსენებულია ქრისტეფორეს მარტვილობის პირველ ვერსიაში, ხოლო დღე „ქუელთობაჲ“ პროკოპის მარტვილობაში.

ჯერ მეორე ძეგლის, პროკოპის მარტვილობის ჩვენებას განვიხილავთ.

პროკოპის მარტვილობის შესავალში ვკითხულობთ:

„წელსა პირველსა დევნულებისა ჩვენისასა, უწინარეს რვისადლისა ქუელთობისასა“¹.

მოთხრობის ბოლოში ეს თარიღი უფრო სრულად, შემდეგის სახით არის გადმოცემული:

„დღს ოთხშაბათი იყო, მერვს [უწინარეს] ქუელთობისაჲ, უწინარეს რვისა ჟამთა იულისისათა—რომელსა ჰრქუიან ჰრომაებრ, პირველსა წელსა ჩუენისა დევნულებისასა“².

1) იხ. ხელნაწერი საქართველოს მუზეუმისა № 535, გვ. 176 ბ, და ხელნაწერი სიძველეთა მუზეუმისა № 95, გვ. 951.—აღვნიშნავთ აქვე, რომ ხელნაწერში № 535 ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს ორთოგრაფიული თავსებურობანი, კერძოდ დიალექტიზმი—„ო“-ნისა და „უ“-ნის შენაცვლება („დევნოლებისა“, „ქუელთობისასა“ და სხვანი). ქვემოთ ჩვენ ასეთს უბრალო ორთოგრაფიულ ვარიანტებს აღაო აღვნიშნავთ.

2) იხ. ხელნაწერი № 535, გვ. 176 ბ, და ხელნაწერი № 95, გვ. 953.—პირველ ხელნაწერში (№ 535-ში), რომელიც ძირითადად ხელნაწერს წარმოადგენს, ტექსტიდან: „და დღს ოთხშაბათი იყო, მერვს [უწინარეს] ქუელთობისაჲ, უწინარეს რვისა ჟამთა იულისისათა—რომელსა ჰრქუიან ჰრომაებრ, პირველსა წელსა ჩუენისა დევნულებისასა“—გამოშვებულია პირველ შემთხვევაში სიტყვა.

რომ შესაძლო გახდეს ამ თარიღების განმარტება, საჭიროა შევხებით პროკოპის მარტილობის უცხოურ ვერსიებს.

პროკოპის მარტილობა — ბერძნულს, ლათინურს და აღმოსავლურს ჰაგიოგრაფიულ ძეგლებში ჩვეულებრივ მიეკუთვნება ივლისის თვეს (8-ს ან 7-ს რიცხვს) და მხოლოდ ორს ვერსიაში (ერთ

„უწინარეს“ (ე. ი. იმ ადგილას, სადაც სწორი ფრჩხილებით |] გვაქვს ნაჩვენები). ამრიგად ჩვენ პირველ ნაწილში ვღებულობთ ფრაზას: „მერვს ქუელთობისაჲ“, იმ დროს, როდესაც უნდა ყოფილიყო: „მერვს უწინარესს ქუელთობისაჲ“. რომ აქ საქმე გვაქვს გადაწერის შეცდომასთან, და რომ ტექსტი თავდაპირველად ამრიგად იკითხებოდა: „მერვს უწინარესს ქუელთობისაჲ“ (და არა: „მერვს ქუელთობისაჲ“), ეს მტკიცდება მოთხრობის შესავლიდან, სადაც ორთავე ხელნაწერში ეს თარიღი „უწინარესობის“ ჩართვით არის წარმოდგენილი: „უწინარესს რვისა დღისა ქუელთობისასა“.

თუ რა-გზით წარმოსდგა აქ ტექსტის დამახინჯება, ადვილი ასახსნელია. ხელნაწერი № 535 — მეთე საუკუნეს ეკუთვნის, ხოლო მეთე საუკუნეში ძველი კალენდარული ტერმინოლოგიის ცოდნა საფუძვლიანად გადავიწყებული იყო. და ის გარემოება, რომ ტექსტში აქ ორგზის გვხვდება სიტყვა „უწინარესს“, — გადამწერს ეს განმეორება შეცდომად მიუჩნევია და ერთი „უწინარესს“ ტექსტიდან ამოუგდია.

მაინც, ხელნაწერში № 525, დაზიანებულია მხოლოდ ერთი სიტყვა, და ტექსტი ამრიგად არის მოღწეული, რომ პირვანდელი სახის ამოცნობა და ნამდვილი წაკითხვის აღდგენა არ წარმოადგენს სიძნელეს, მით უფრო რომ შესავალში იგივე თარიღი ორჯერ არის სწორად განმეორებული.

ხოლო რაც შეეხება მეორე ხელნაწერს (№ 95), აქ ტექსტი სრულებით შერყვნილია, და რომ ჩვენამდე არ შენახულყო ხელნაწერი № 535, ტექსტის აღდგენა საძნელო იქნებოდა. ამ მეორე ხელნაწერში № 95 ტექსტი შემდგენიარად იკითხვის: „ესე რყო რვასა ქუელთობისასა, დღესა ოთხშაბათსა, უწინარესს რვისა ივლისისათა, წელსა ჩუენისა დევნულებისასა“. როგორც ვხედავთ, გადაწერს აქ გადაუკეთებია მთელი წინადადება და თან რამდენიმე მძიმე შეცდომა დაუშვია. (ჯერ ერთი, აქაც გამოშვებულია ერთხელ სიტყვა „უწინარესს“; ამას გარდა, გადამწერს არ სცოდნია მნიშვნელობა ძველი კალენდარული ტერმინისა „ჟამი“, რაც რომაულ „იდებს“ უდრის და ნაცვლად სრულიად ნათელი ფრაზისა — „უწინარესს რვისა ჟამთა ივლისისათა“ იგი სწერს: „უწინარესს რვისა ივლისისათა“, ე. ი. გამოშვებულია სიტყვა „ჟამთა“, ანუ „იდები“, რის გამო დათარიღება ჰკარგავს აზრს. ამას გარდა, ფრაზაში — „პირველსა წელსა ჩვენისა დევნულებისასა“, გამოშვებულია სიტყვა „პირველსა“). რომ ხელნაწერში № 95 ტექსტი ამ ადგილას დაზიანებულია და შეცვლილი, ეს სჩანს არა მარტო შედარებიდან ჩვენ ძირითად ხელნაწერთან (№ 535), არამედ ამას ადასტურებს ბერძნული ორიგინალიც, საიდანაც თარგმნილია ქართული ტექსტი, და რომლის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

აქ კი საჭიროდ ვთვლით ერთხელ კიდევ ხაზი გაუსვათ იმ გარემოებას, რომ მეცხრე-მეთე საუკუნის ქართული ხელნაწერები ერთ-ერთი მაჩვენებელია იმისა, რომ წარმართული ქართული კალენდარი უძველესი ხანის გადანაშთს წარმოადგ-

ასურულ ტექსტში და ევსები კესარიელის მოთხრობაში) ივლისის თვეს, 7 რიცხვს¹.

ფიქრობენ, ზოგიერთ მოსაზრებათა გამო, რომ ივლისის თვე, რომელიც გვხვდება ზემოთ-დასახელებულ ორ ვერსიაში, წარმოადგენს შემდეგ-დროინდელ გადამწერთა უბრალო შეცდომას ივლისის ნაცვლად²; მაგრამ ამის განხილვაში აქ არ შევდივართ, და ჩვენი საკითხისათვის ეს არც არის საჭირო; ქართულს დედანში, როგორც ვნახეთ, პირდაპირ დასახელებულია ივლისის თვე, და მაშასადამე ქართული მოთხრობა ამ შემთხვევაში უდგება ჰაგიოგრაფიული ძეგლების იმ უმრავლესობას, რომლებიც პროკოპის წამების თარიღად ივლისის თვეს უჩვენებენ.

ამას გარდა, როგორც აღვნიშნეთ, მცირეოდენი მერყეობაა თვის რიცხვში. ჰაგიოგრაფიული ძეგლების უმრავლესობა აღნიშნავს 8 ივლისს, ხოლო უფრო იშვიათად გვხვდება 7 ივლისი³.

• გადავიდეთ, ამის შემდეგ, ქართული მოთხრობის თარიღების

გენდა. მეცხრე-მეათე საუკუნის ხელნაწერების შესწავლა ადასტურებს, რომ ამ დროს უკვე ძველი ქართული კალენდარის სისტემის შესახებ აღარავითარი წარმოდგენა აღარ ჰქონდათ; მეცხრე-მეათე საუკუნის გადამწერი ძველ-საკალენდარო ფორმულებს და გამოთქმებს მხოლოდ მექანიკურად იწერენ და იმეორებენ, და ზოგჯერ შუაქვთ ისეთი „შესწორებანი“, რაც ტექსტს სრულიად ამახინჯებს. ამის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი ამ გამოკვლევის მეოთხე თავში, და აქ, რაკი სიტყვამ მოიტანა, აღვნიშნავთ კიდევ ერთს ამის მაგალითს. ჩვენამდე მიღწეულა ძველ-ქართული მწერლობის ერთი ძეგლი, რომელსაც ეწოდება „პონაჲ სტეფანსი“; ეს თხზულება მოთავსებულია ჩვენს ძირითად ხელნაწერშიაც (№ 535) და თარიღრ მოთხრობის ტექსტში სწორად არის აქ აღნიშნული წარმართული კალენდარის ტერმინით: „თთუესა აპნისისა სამსა“. ხოლო ორს მეათე საუკუნის ხელნაწერში (სიძველეთა მუზეუმისა № 19 და ათონისა № 57) ეს თარიღი ასეა შესწორებული: „თთუესა აპრილისა სამსა“. როგორც ირკვევა, გადამწერლებს არათუ არ სცოდნიათ „აპნისის“ თვის თარიღი (ქართული კალენდარის რიცხვები არ უდრის რომაულს), არამედ ისიც კი არ სცოდნიათ, რომ საერთოდ „აპნისი“ წარმოადგენდა თვის სახელს, და ეს უცნობი ტერმინი „თთუესა აპნისისა“ მათ გაუგიათ როგორც დამახინჯება ნაცნობი თვის სახელისა „თთუესა აპრილისა“ (როგორც შვითხველმა უკვე იცის, აპნისის თვეს არაუფერი აქვს საერთო აპრილთან: აპნისისის თვე, ზოდიაკალური ქრონოლოგიის თანახმად, შეიცავდა რკალს 20 იანვარიდან—18 თებერვლამდე. იხ. ამის შესახებ ზემოთ, მე-6 თავის § 2: „თთუჲ აპნისისაჲ“, გვ. 435-437, „საქ. მუზ. მოამბე“, ტ. VI).

¹) იხ. Acta Sanctorum, Iulii II (die octava Iulii).—Bruno Violet, Die Palästinischen Martyrer des Eusebius von Cäsarea; Lpz. 1896.—Сергий, Полный Месяцеслов Востока, ტ. II, ნაწილი II, გვ. 259-60.

²) იხ. იგივე წყაროები.

³) იხ. იგივე წყაროები.

განმარტებაზე. ქართულ მოთხრობაში, როგორც ვნახეთ, თარიღი ორნაირად არის აღნიშნული:

ქართულის სათვალავით: უწინარეღს რჭისა დღისა ქუელთობისა (მოთხრობის შესავალში და მოთხრობის ბოლოს).

რომაულის სათვალავით: „უწინარეღს რვისა ჟამთა იულისისათა, რომელსა ჰრქუიან ჰრომაებრ“ (მოთხრობის ბოლოს).

ჯერ რომაული თარიღის განმარტებას წარმოვადგენთ.

მკითხველს, რომელიც არაა გაცნობილი ძველი კალენდრის ტექნიკას, შესაძლოა უცნაურად ეჩვენოს ეს ფორმულა: „უწინარეღს რვისა ჟამთა იულისისათა, რომელსა ჰრქუიან ჰრომაებრ“.

ძველ რომაულ კალენდარში, როგორც ცნობილია, მიღებული იყო „უწინარესობით“ აღრიცხვა თვის გარკვეული დღებიდან, რომელთაც ეწოდებოდა: კალენდები, ნონები და იდები.

კალენდები—Calendae (—ეს სიტყვა შემოსულია ქართულშიაც, ფორმით: „კალანდა“-¹)—ნიშნავდა ყოველი თვის 1 რიცხვს.

ნონები—Nonae— უწევდა თვის 5-სა და 7-ს რიცხვებში (სხვადასხვა თვეში სხვადასხვანაირად).

იდები—Idus—უწევდა თვის 13-სა და 15 რიცხვებში (სხვადასხვა თვეში სხვადასხვანაირად).

ამ თარიღებიდან სწარმოებდა „უწინარესობით აღრიცხვა“:

ასე, მაგალითად, რიცხვი 25 ივნისი აღინიშნებოდა ამ-რიგად: „უწინარეს 7-სა კალანდათა ივლისისათა“;

რიცხვი 9 ივნისი ამ-რიგად გამოიხატებოდა: „უწინარეს 5-სა იდთა ივნისისათა“.

რიცხვი 2 ივნისი აღინიშნებოდა ასე: „უწინარეს 4 სა ნონათა ივნისისათა“.

ეს აღრიცხვა კალენდა—ნონა—იდებით, რომელიც ძველს ეპოქაში იყო მიღებული, თანდათან გამოდის ხმარებიდან საშუალ-საუკუნეთა დასაწყისში, და მის ნაცვლად ვრცელდება ჩვეულებრივი აღრიცხვა (ე. ი. იმგვარი, როგორიც ეხლაა მიღებული: 1 იანვარი, 2 იანვარი და სხვა). ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც ამ უფრო გვიან ხანაში ხმარობდნენ ძველებურს კალენდა—ნონა—იდების ფორმულებს, მას ჩვეულებრივ უმატებდნენ ხოლმე ასეთს სტერეოტიპულ ფრაზას: „რომელსა ჰრქვან ჰრომაებრ“ (ე. ი. როგორც ეს ითქმის

1) ქართულს ეს სიტყვა, როგორც მოსალოდნელი იყო, შეუთვისებია ბერძნულის საშუალებით, რასაც გვიჩვენებს ფორმა „კალანდაჲ“ რაც უდგება ბერძნულს გამოთქმას *καλενδα* და არა ლათინურს *Calendae*.

რომაულად, ლათინურად); მაგალითად: *Septima Iulii mensis, quae Nonas Iulias dicitur apud Latinos*¹.

რომაული კალენდარის ფორმულა „უწინარესობით“ აღრიცხვისა კალენდა—ნონა—იდებით ჩვენ გვხვდება ლათინური („პრომაული“) მწერლობის გარეშეც, მაგალითად ბერძნულ ლიტერატურაში, და აქაც ასეთ ფორმულას ჩვეულებრივ. დამატებოდა ხოლმე იგივე სტერეოტიპული ფრაზა: „რომელსა პრქვან პრომაებო“. მაგალითად: *πρὸς ἑπταξ ἐξῆναι Ἰουλίῳ λέγειν* ἢ *πρὸς Ῥωμαίων* — „უწინარეს 8-ისა იდთა ივლისისათა, რომელსა პქვან პრომაებო“.

აღსანიშნავია, რომ რომაული ფორმულა „უწინარესობით“ აღრიცხვისა, სტერეოტიპული ფრაზის დამატებით: „რომელსა პრქვან პრომაებო“ ჩვენ გვხვდება ძველი ქართული მწერლობის ძეგლებშიც; ასე მაგალითად პავლეს ეპისტოლეთა ძველ-ქართული ტექსტის შესავალში ჩვენ ვკითხულობთ:

„მარტურობაჲ პავლე მოციქულისაჲ . . . რომელსა პრქვან პრომაებო—უწინარეს სამთა კალანდათა ივლისისათა“².

დაუბრუნდეთ ამის შემდეგ ჩვენ ტექსტს. პროკოპის მარტვილობა, როგორც აღვნიშნეთ, ასეა დათარიღებული:

„უწინარეს რვისა ჟამთა ივლისისათა, რომელსა პრქვიან პრომაებო“.

ტექსტი, როგორც ვხედავთ, ძველი რომაული კალენდარის ჩვეულებრივს ფორმულას შეიცავს და მისი საერთო წყობა გასაგებია. აქ მხოლოდ გამოსარკვევი რჩება, თუ რას ნიშნავს ტერმინი: „ჟამი“.

„ჟამის“ მნიშვნელობის დადგენა შესაძლებელი ხდება ქართული მოთხრობის უცხოური პარალელების მიხედვით.

ოშუალრ დედანი, საიდანაც თარგმნილია პროკოპის მარტვილობის ტექსტი, თუმცა ცნობილი არაა, მაგრამ ზოგ უცხოურ ვერსიაში შენახულა თარიღის ფორმულის იმნაირი ზუსტი შეხვედრა, რაც გვიჩვენებს, რომ ქართული და ზოგიერთი უცხოური ვერსიები ერთი და იმავე პირველწყაროსაგან არიან დამოკიდებული.

ასე, ევსები კესარიელის მოთხრობაში ჩვენ გვაქვს შემდეგი თარიღი:

¹) იხ. *Acta Sanctorum, Iulii II (die octava Iulii)*, გვ. 576.

²) იხ. ხელნაწერები წერა-კითხვის, საზოგადოების კოლექციისა № 407 (გვ. 31) და № 1138 (გვ. 4).

„... παρ ἐπιτῶν Ἰουδαίων λέγειν“ ἢ παρὰ Παλαισιν, ἢ παρὰ τῶν παλαιῶν ἑβραίων ἢ παρὰ τῶν Παλαιστίνων... ἢ παρὰ τῶν Ἰουδαίων“ (ე. ი. „უწინარეს 7-სა იდთა ივლისისათა—რომელსა ჰრქუიან ჰრომაებრ, ოთხეულსა შაბათისასა, პირველსა წელსა ჩუენისა დევნულებისასა, ეს პირველი ნიშანი აღესრულა პალესტინის კესარიას შინა“).¹

შეადარეთ ამ ბერძნულ ორიგინალს ქართული მოთხრობის ტექსტი:

„დღე ოთხშაბათი იყო... უწინარეს რვისა ჟამთა ივლისისათა—რომელსა ჰრქვან ჰრომაებრ, პირველსა წელსა ჩუენისა დევნულებისასა, ესე პირველად პოეს კესარიას წამებაჲ“.

აშკარაა, რომ ორთავე ტექსტი, ბერძნული და ქართული, ერთსა და იმავე პირველწყაროს იმეორებს: ორსავე ტექსტში გვხვდება „ოთხშაბათი“, უწინარესობით აღრიცხვა, გამეორებულია სტერეოტიპული გამოთქმაც—„რომელსა ჰრქუიან ჰრომაებრ“ და სხვანი. განსხვავებაა მხოლოდ რიცხვში: ქართულში ნაჩვენებია 8 რიცხვი, ხოლო ევსების ტექსტში 7; მაგრამ ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს და ცხადია ეს სხვაობა გადაწერის შეცდომას წარმოადგენს ან ქართულში, ან ბერძნულში. (რაკი სიტყვამ მოიტანა, აღვნიშნავთ, რომ ქართული დედნის რიცხვი 8 საფიქრებელია უფრო სწორი უნდა იყოს, რადგან იგი უდგება ჰაგიოლოგიურ ძეგლთა უმრავლესობის ჩვენებას).

ამ-რიგად, ჩვენ მოგვეპოვება ქართული ტექსტის უშუალო პირველწყარო, და ამის თანახმად ქართული დედნის ფორმულა—„უწინარეს რვისა ჟამთა ივლისისათა“ უდრის ბერძნულ—რომაულს: „უწინარეს რვისა იდთა ივლისისათა“. „ჟამი“ უდრის „იღებს“.

ისტორია ტერმინისა „იღები“ (Idus) ასეთია. Idus, როგორც ირკვევა, ხმარებაში შემოსულა იმ უძველეს ხანაში, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო შემოდებული მზის უძრავი კალენდარი და დროის აღრიცხვა მთვარის მოქცევასთან იყო შეფარდებული. Idus თავდაპირველად აღნიშნავდა მთვარეს და მთვარის თვეს². მთვარის კალენდარში, როგორც ცნობილია, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მთვარის გავსებას, რადგან მთვარის თვის შუა რიცხვს ადგენდენ და ამოწმებდენ იმის მიხედვით, თუ როდის გაივსებოდა.

1) იხ. Bruno Violet, Die Palästiniſchen Martyrer des Eusebius von Cäsarea, Lpz., 1896,—(კერძოდ „იენისის“ და „ივლისის“ შენაცვლების შესახებ იხ. ხემათ, გვ. 263-264).

2) იხ. A. Walde, Lat. Etym. Wört. (s. v. Idus).

მთვარე. (დრო მთვარის დაბადებიდან ვიდრე გავსებამდე ეს არის მთვარის თვის პირველი ნახევარი, ხოლო დრო მთვარის გავსებიდან ვიდრე მისი ცხრომის ბოლომდე—ეს არის თვის მეორე ნახევარი). იმ განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო, რომელსაც წარმოადგენდა ეს თარიღი მთვარის კალენდარის აღრიცხვის წარმოების დროს, Idus სპეციალურად დარქმევია მთვარის გავსებას და მთვარის თვის შუა რიცხვს.

შემდეგ, როდესაც მთვარის კალენდრის ნაცვლად მზის უძრავი კალენდარი იქმნა შემოღებული, ეს ტერმინი Idus ახალ კალენდარსაც შერჩა როგორც terminus technicus და აღნიშნავდა ცნებას: თვის შუა რიცხვი.

ამის შემდეგ ჩვენ შევეხებით ისტორიას ქართული ტერმინისა: „ჟამი“.

პირველადი მნიშვნელობა ტერმინისა „ჟამი“ დღემდე გამოუოკვეველი იყო. ტერმინი „ჟამი“ ჩვენ გვხვდება როგორც დედა-ქართულში, ისე ქართულის ენა-კავებში, მეგრულსა და ჭანურში¹.

ტერმინი „ჟამი“ ქართულში ნიშნავს ზოგადად დროს, და ვიწრო მნიშვნელობით საათს. ასეთი მნიშვნელობა ტერმინისა ჟამი (—„დრო“ და „საათი“) დამოწმებულია ქართული მწერლობის უძველეს ძეგლებში—დაბადებაში, სახარებაში, შუშანიკის მარტვილობაში, და მათსადამე მე-5 საუკუნეზე უწინარეს დრომდე აღწევს.

მაგრამ პირველადი მნიშვნელობა ტერმინისა „ჟამი“ სჩანს სხვა ყოფილა. იგი თავდაპირველად აღნიშნავდა მთვარის თვეს, ე. ი. 30-დღიან წრეს. ამის შესახებ დაცულია მეტად საგულისხმო გადახაზთი ძველ-ქართულს საკალენდარო ტრაქტატში № 38.

აქ ჩვენ გვხვდება ასეთი ცნობები:

პირველი: „მარტისა ოცსა განისწორნიან დღენი და ლამენი... აწ იწყო ჯობნებად დღემან ლამესა ოთხმოც და ათერთმეტ დღე, რომელ არს სამ ჟამ და ერთ დღე“².

მეორე ცნობა:

„იენისსა ათცხრამეტსა... იწყო უკუმოლებად ლამემან დღისა-

1) სხვა კავკასიურ პარალელებს ამ-ჟამად აქ არ ვხვებით. ეს ლიტყვა, როგორც ცნობილია, გვხვდება სომხურშიაც. იგი არ არის ინდოგერმანული ძირის ლიტყვა, და ამის მიხედვით იგი სომხურში ან პირდაპირ ნასესხებია ქართულიდან, ან-და ეკუთვნის ქართულ-კავკასიურ ენათა საერთო ძირითადს საუნჯეს; იაფეტურ ფენს.

2) იხ. გვ. 240.

გან ოთხმოც-და-ათერთმეტ დღე, რომელ არს სამ ჟამ და ერთ დღე“¹.

მესამე ცნობა: „სეკდენბერსა ათრვამეტსა განისწორნიან დღენი და ღამენი. აწ იწყო ჯობნებად ღამემან დღესა ოთხმოც-და-ათორმეტ დღე, რომელ არს სამ ჟამ და ორ დღე, ვიდრე დეკენბრის ცხრამეტამდე“².

ამ-რიგად, 91 დღე უდრიდა 3 ჟამსა და 1 დღეს, ხოლო 92 დღე სამ ჟამსა და 2 დღეს. მაშასადამე „ჟამი“ აღნიშნავდა ზედმიწევნით 30-დღიან წრეს, ე. ი. მთვარის თვეს.

ცხადია ტერმინი „ჟამი“ ასეთის მნიშვნელობით, 30-დღიანი წრის აღსანიშნავად, უძველესი ხანის ნაშთია და ეს ტერმინი შერჩენილია მთვარის კალენდარიდან. ხოლო რაკი ამასთან მთვარის კალენდარის სათვალავის ერთ-ერთ ძირითადს საფუძველს წარმოადგენდა, როგორც აღვნიშნეთ, მთვარის გავსება, გასაგებია ამის შემდეგ, რომ „ჟამი“ რქმევია, როგორც მთვარის თვეს (30-დღიან წრეს), ისე კერძოდ მთვარის სავსების დროს, თვის შუა რიცხვს. ამ რიგად ქართული „ჟამი“ უმეტნაკლებოდ ნიშნავდა იმასვე, რასაც რომაული Idus „იდები“.

ეს სრული და ზედმიწევნილი პარალელიზმი, რომელსაც იძლევა ისტორია რომაული ტერმინისა Idus და ქართულისა „ჟამი“ ბევრნაირად არის საგულისხმო და ამას უკავშირდება ზოგიერთი მნიშვნელოვანი კითხვა არქაული კულტურის ისტორიიდან. მაგრამ განხილვას ამ ახალი საკითხებისას აქ გვერდს აუვლით, რადგან ამას არა აქვს უშუალო კავშირი ჩვენი ეხლანდელი კვლევის საგანთან. ჩვენი მიზანი ამ შემთხვევაში იყო დაგვედგინა რეალური მნიშვნელობა სიტყვისა „ჟამი“, როგორც კალენდარული ტერმინისა, ხოლო ეს კითხვა, იმ მასალებით, რაც აქ იყო წარმოდგენილი, გამორკვეულია.

გუბრუნდებით ამის შემდეგ პროკოპის მარტივობის თარიღს. დადგენილია მაშასადამე რომ ქართული მოთხრობის გამოთქმა „უწინარეს რვისა ჟამთა ივლისისათა“ უდრის: „πρὸ ἡμερῶν Ἰουλιανῶν“ = „უწინარეს რვისა იდთა ივლისისათა“. ამის შემდეგ დაგვრჩენია გადავიყვანოთ ეს თარიღი დღევანდელ ჩვეულებრივ აღრიცხვაზე, თუ სახელდობრ ივლისის რომელ რიცხვს უდრიდა იგი. რადა თარიღის ახსნა მთლიანად ნათელი გახდეს მკითხველისათვის, რომელიც არ იცნობს რომაული აღრიცხვის ტექნიკას, აქ საქირო

1) იხ. გვ. 247.

2) იხ. გვ. 247.

იქნება მოვიგონოთ ერთი ტექნიკური დეტალი: იდებით, ნონებით და კალენდებით აღრიცხვის დროს მიღებული იყო როგორც სრული, ისე შემოკლებული ფორმულები. აი მაგალითები სრული და შემოკლებული ფორმულებისა¹.

სრული ფორმულები:
ante diem V Kalendas Iulias
(= „უწინარეს 5-სა დღისა კალანდათა ივლისისათა“),
ante diem V Nonas Iulias
(= „უწინარეს 5 სა დღისა ნონათა ივლისისათა“),
ante diem V Idus Iulias
(= „უწინარეს 5-სა დღისა იდთა ივლისისათა“)

შემოკლებული ფორმულები:
ante V Kalendas Iulias
(= „უწინარეს 5-სა კალანდათა ივლისისათა“)
ante V Nonas Iulias.
(= „უწინარეს 5-სა ნონათა ივლისისათა“)
ante V Idus Iulias
(= „უწინარეს 5-სა იდთა ივლისისათა“)

ამ-რიგად, შემოკლებულ ფორმულებში სიტყვა „დღე“ არ იწერება, არამედ იგულისხმება.

მაშასადამე პროკოპის მარტვილობის როგორც ქართულს, ისე შესათარდ ბერძნულს ტექსტში ჩვეულებრივი შემოკლებული ფორმულა გვაქვს, და გამოთქმა: „უწინარეს რვისა ჟამთა ივლისისათა“ ნიშნავს: „უწინარეს რვისა [დღისა] ჟამთა ივლისისათა“.

ხოლო რაკი ივლისის ჩიდები“ ანუ „ჟამი“, რომაული კალენდარის თანახმად, ჰიმაგრებული იყო 15 ივლისს, მაშასადამე ქართული მოთხრობის თარიღი: „უწინარეს რვისა [დღისა] ჟამთა ივლისისათა“—ეს ნიშნავს: „15 ივლისზე მერვე დღით ადრე“—ე. ი. უდრის 8 ივლისს.—და მართლაც, როგორც ვნახეთ, ეს დღე, 8 ივლისი, მიღებულია პაგიოლოგიურ ძეგლებში პროკოპის ხსოვნის აღსანიშნავად. ამ-რიგად აქ ჩვენ გვაქვს თარიღების ზუსტი შეხვედრა.

ჩვენ ამით დავასრულებთ პროკოპის მარტვილობის რომაული თარიღის განხილვას.—

გადავიდეთ ამის შემდეგ მეორე, ქართულ თარიღზე.

პროკოპის მარტვილობაში, როგორც აღნიშნული გვექონდა, გარდა რომაულისა, თარიღი ხაჩვენებია ქართულის სათვალავითაც, რომელიც აქ ორჯერ არის განმეორებული; მოთხრობის შესავალში: „წელსა პირველსა დღეებულისა ჩუენისასა, უწინარეს რვისა დღისა ქუელთობისასა“; მოთხრობის ბოლოს: „დღს ოთხშაბათი იყო, მერვც უწინარეს ქუელთობისა“.

¹) შდ. W. Kubitschek, Grundriss der antiken Zeitrechnung. München 1928. გვ. 135.

ეს პირველი მაგალითია ქართულს კალენდარში, როდესაც ჩვენ გვხვდება „უწინარესობით“ აღრიცხვა გარკვეული უძრავი დღიდან. მართალია, როგორც ეს ზევით გამოიჩვენა, „უწინარესობით“ აღრიცხვა ქართულს მწერლობაში მიღებული ყოფილა, მაგრამ ზემოთ-განხილული მაგალითები მაინც სულ სხვა ხასიათისა იყო; იქ თარიღები რომაული კალენდარიდან იყო აღებული, „უწინარესობა“ იქ რომაული საკალენდარო მთლიანი ფორმულის ნაწილს შეადგენდა, და ამ-რიგად იქ საქმე გვქონდა მთლიანი რომაული ფორმულის უბრალო თარგმანთან.

ხოლო მეორე შემთხვევა, რომელიც აქ უნდა განვიხილოთ, სულ სხვა ხასიათისაა; აქ „უწინარესობა“ უკვე საკუთრივ ქართულ წარმართულ კალენდარში გვხვდება, თარიღი ნაჩვენებია ქართული წარმართული კალენდარის გარკვეული ფიქსირებული უძრავი დღიდან: „ქუელთობის“ დღეობიდან.

ამის გამო სიფრთხილე გვავალებს დავსვათ ასეთი საკითხი: მიღებული იყო თუ არა წარმართულ ქართულ კალენდარში „უწინარესობით“ აღრიცხვა, და კერძოდ რას წარმოადგენს პროკოპის მარტვილობის ეს ადგილი, — არის იგი უცხოური თარიღის თარგმანი ან უცვლელი განმეორება, თუ უცხოური თარიღი აქ ქართული კალენდარის სათვალავზეა გადაყვანილი. (უნდა გვახსოვდეს, რომ მეორე ხასიათის შემთხვევა ხშირს, შეიძლება ითქვას ჩვეულებრივს მოვლენას წარმოადგენდა ქართულს პაგიოგრაფიულს მწერლობაში: ტექსტის თარგმნის დროს უცხოურ თარიღებს კი არ იმეორებდენ პირდაპირ, არამედ ქართული კალენდარის სათვალავზე გადაჰყავდათ).

აქ აღძრულ საკითხზე შესაძლოა გარკვეული პასუხის გაცემა:

1. პროკოპის მარტვილობის ეს თარიღი არ წარმოადგენს უცხოური ტექსტის პირდაპირ განმეორებას ან თარგმანს. ამ მხრივ განსაკუთრებით ნაჩვენებელია მოთხრობის შესავალი. ქართული მოთხრობა შესავალში იძლევა ქართულს თარიღს, რომელიც „უწინარესობით“ არის გაანგარიშებული, ხოლო უცხოური ვერსიების (ბერძნულის, ლათინურის და ასურულის) შესავალში, არათუ ანალოგიური თარიღი, რომელიც გარკვეულს უძრავს დღეს უჩვენებდეს, არამედ საერთოდ „უწინარესობით“ აღრიცხვა არ მოიპოვება¹. ცხადია ქართველი მწერალი აქ დამოუკიდებლად იძლევა გაანგარიშებას ქარ-

¹) იხ. Acta Sanctorum, Iulii II (die octava Iulii), ზვ. 556-576 (ტექსტები ლათინური და ბერძნული). B. Violet, Die Palästinischen Martyrer des Eusebius von Cäsarea, Lpz., 1896 (ტექსტები ასურული, ლათინური და ბერძნული).

თული კალენდრის საფუძველზე იმ თარიღისას, რომელთანაც პროკოპის ხსოვნა იყო დაკავშირებული.

2. რომ ქართულ კალენდარში, გარდა ჩვეულებრივი სათვალავისა, ე. ი. თვეების რიცხვის ჩვენებისა, მიღებული იყო „უწინარესობით“ აღრიცხვაც, თვლა გარკვეული უძრავი დღეებიდან, ეს მტკიცდება სხვა ძველ-ქართული ტექსტებიდანაც. ასე, ათონურ ცნობილსკრებულში № 57 ჩვენ გვხვდება ანალოგიური დათარიღება: „უწინარეს რვისა დღისა ვარდობისა“¹. როგორც ვხედავთ, ანალოგია აქ სრულ პარალელიზმამდე მიდის: ჯერ ერთი, ორსავე შემთხვევაში თარიღი ნაჩვენებია „უწინარესობით“, და ამას გარდა ორსავე შემთხვევაში თარიღის გამოსავალ წერტილად აღებულია გარკვეული დღეობა ანუ დღესასწაული: პირველ შემთხვევაში „ვარდობა“, მეორე შემთხვევაში „ქუელთობა“.

3. რომ ქართული წარმართული კალენდარისწათვის საერთოდ არ იყო უცხო „უწინარესობით“ აღრიცხვა, რომაული კალენდარის მსგავსად, ეს მტკიცდება იმის მიხედვითაც, რომ ძველ-ქართულ მწერლობაში შეჩვენებულა ადგილობრივი ქართული არქაული ტერმინი „ჟამი“, რაც, როგორც გამოიკვეა, უდრიდა რომაულს „იღები“, და რომელიც „უწინარესობით“ აღრიცხვის ერთ-ერთ გამოსავალ თარიღს წარმოადგენდა.

ამ-რიგად საკითხი „უწინარესობით“ აღრიცხვის არსებობისა ძველ-ქართულ წარმართულ კალენდარში, და კერძოდ ჩვენი ტექსტის ავტენტიურობა, დადებითად სწყდება.

ამის შემდეგ დაგვჩენია პასუხი გავცეთ შემდეგს საკითხებს: 1. რომელ რიცხვში უწევდა „ქუელთობის“ დღე; 2. რა კულტთან იყო დაკავშირებული ეს „ქუელთობის“ დღე; 3. რა ფარგლებს შეიცავდა „ქუელთობის“ თვე.

1. „ქუელთობის“ დღე უწევდა 15 ივლისს. ეს სრულიად უდავოდ ირკვევა მოთხრობაში წარმოდგენილი რომაული და ქართული თარიღების შეფარდებიდან: ქუელთობის დღე აქ პირდაპირ ნაჩვენებია ივლისის იღებში, ე. ი. 15 ივლისს. ეს ერთი. ამას გარდა მოთხრობაში აღნიშნულია, რომ პროკოპის მარტვილობა მოხდა ქველთობის რვა დღით ადრე; ხოლო რადგან პროკოპის მარტვილობას ჰაგიოლოგიური მწერლობის სხვადასხვა ძეგლები ათარიღებენ 7—8 ივლისით, მაშასადამე ამ მეორე ანგარიშითაც ჩვენ ვღებულობთ

¹) იხ. ნ. მარჩის აღწერილობა, Агиографические материалы по грузинским рукописям Ивера: Зап. Вост. Отд. Русск. Арх. О-ва, XIII, გვ. 49.

ქუელთობის დღის იმავე თარიღს, 15 ივლისს (8 ივლისიდან მერვე დღე).

2. თუ რა კულტთან იყო დაკავშირებული ქუელთობის დღე, ამ კითხვაზე აქ აღარ გავაგრძელებთ საუბარს, რადგან ამას არა აქვს უშუალო კავშირი ქრონოლოგიურ საკითხებთან, რაც ამ უამად ჩვენი კვლევის პირდაპირ საგანს შეადგენს. საკითხი ქუელთობის დღის საკულტო რაობის შესახებ განხილული იქნება ამ გამოკვლევის სპეციალურ ნაწილში, სადაც ჩვენ ვეხებით ძველი ქართული კულტის ისტორიას, ქართულ წარმართულ კალენდარში დაცული გადანაშთების მიხედვით; ქუელთობის დღის მნიშვნელობის განხილვა უფრო მიზანშეწონილია ამ მთლიან კომპლექსთან ერთად, რადგან აქ მთელი რიგი საკითხებისა ერთმანერთზეა გადაჯაჭვული.

აქ აღვნიშნავთ მხოლოდ გაკვრით, რომ „ქუელთობა“ წარმართული ხანის დღესასწაულია, რომელიც, როგორც ირკვევა, დაკავშირებული იყო სასოფლო-სამეურნეო მუშაობათა ერთი ციკლის დამთავრებასთან, სახელდობრ მკის დასრულებასთან. წარმართული ხანის ეს დღეობა ქრისტიანულ ეპოქაშიაც შენახულა ერთხნად ამავე სახელწოდებით „ქუელთობა“ (ისევე როგორც ოდნავ ქრისტიანიზირებული წარმართული „ვარდობა“), ხოლო შემდეგ „ქუელთობის“—მკის დღეობა შეერთებია „კვირიკობას“ [შეად. ხალხური თვის სახელები „მკათათვე“ = „კვირიკობისთვე“], „ელიობას“, და აგრეთვე ნაწილობრივ „ათეგენობას“, რომლებიც ჩვეულებრივ სწორედ ამავე შვიდიულში სრულდება ხოლმე, 15 ივლისიდან დაწყებული—22 ივლისამდე. ამ ხალხურ დღეობებს, მთელ რიგ ქართულ თემებში, დღემდე შერჩენია ძველი წარმართული კულტის გადანაშთები.

3. ნესამე საკითხი: რა ფარგლებს შეიცავდა ქუელთობის თვე. რაკი დადგენილია თარიღი ქუელთობის დღისა (15 ივლისი), რომლის სახელი გაგრცელებულა ქუელთობის თვეზე. აქედან ცხადი ხდება ქუელთობის თვის ფარგლებიც. ქართულ წარმართულ კალენდარს, როგორც ეს უკვე დადგენილი იყო, საფუძვლად უდევს გარკვეული სისტემა ზოდიაკალური ქრონოლოგიისა, ხოლო 15 ივლისი მოქცეულია კირჩხიბის ზოდიაკალურ ფარგლებში, მაშასადამე „ქუელთობის“ თვის დასაწყისია **22 ივნისი**, როდესაც მზე კირჩხიბის ზოდიაკოს ნიშანში შედის, ხოლო დასასრული უწევს **22 ივლისს**, როდესაც მზე სტოვებს ამ ნიშანს.

[არაა ზედმეტი აღვნიშნოთ აქ თარიღების შეხვედრა: ამავე რიცხვს, 22 ივლისს სრულდება „ქუელთობის“ დღესასწაულის „შვიდეულიც“: 15 ივლისიდან გრძელდება 22-მდე].

ჩვენ ამით ვასრულებთ განხილვას იმ ცნობებისას, რომელთაც პროკოპის მარტვილობა შეიცავს.

გარდა პროკოპის მარტვილობისა, ქართულს ენაზე შენახულა მეორე მარტიროლოგიური ძეგლი: ქრისტეფორეს მარტვილობის პირველი ვერსია, სადაც, როგორც აღნიშნული გვქონდა, ძიხსენებულა „თთუჳ ქუელთობისაჲ“. ამ ვერსიაში მარტვილთა ერთი ჯგუფის (ორასთა ახლად მოქცეულთა) წამება ნაჩვენებია:

«თთუესა ქუელთობისასა ოცდარვასა, დღესა კვრიაკესა»¹.

ზოღიაკალური ქრონოლოგიის თანახმად 28 რიცხვი ქუელთობის თვისა უდრის 19 ივლისს.

ქრისტეფორეს მარტვილობის ეს პირველი ვერსია უნიკალურ ტექსტს წარმოადგენს, და სხვა ენებზე, გარდა ქართულისა, ამგვარი ვარიანტი ჯერჯერობით ცნობილი არაა.

მაინც, თუმცა უშუალო პირველწყარო ქართული მოთხრობისა არ შენახულა, მაგრამ სხვადასხვა პაგიოგრაფიულ ტექსტებში და მოსახსენებლებში მოიპოვება თარიღების ერთი წყება ქრისტეფორეს თანამოღვაწეთა მარტვილობისა, რომლებიც სწორედ ივლისის რკალს უჩვენებენ².

*

8. «არდა-დეგი» (|| * «არდა-დეგისაჲ»).

«არდა-დეგი»-ს თვიური ციკლის განმარტება დაცული აქვს სულხან-საბა ორბელიანს თავის ლექსიკონში.

როგორც ეს ქვემოთ იქნება გამორკვეული, სულხან-საბას ეს განმარტება ამოღებული აქვს ძიელ ქართული მწერლობის ერთი ძეგლიდან, რომელიც ეკუთვნოდა არქაულ ხანას, არა უგვიანეს მე-4—5 საუკუნისა ჩვენი წელთაღრიცხვის.

განმარტება «არდა-დეგი»-სა, რომელიც დაუცავს სულხან-საბას, შემდეგია:

¹) იხ. ხელნაწერი საქართველოს მუზეუმისა № 535, გვ. 155a.—პირი ამავე მარტვილობისა, აკადემიკოს ნ. მარის აღწერილობის თანახმად, დაცულია ათონის კოლექციის ხელნაწერებში № 57 და 53. (იხ. Н. Марр, Агиографические материалы по грузинским рукописям Иверы: Зап. Вост. Отд. Русск. Арх. О-ва. XIII, გვ. 67, 81-84).

²) იხ. Сергей, Полный месяцеслов Востока, ტომი II, ნაწილი I, გვ. 136, 137, 2:3, ნაწილი II, გვ. 629.—Analecta Bollandiana, I, გვ. 145 Acta Sanctorum Iulii, VI, გვ. 139, 141, შენიშვნა, პეტრონიუსის de Natilibus, lib. 6, გვ. 145.

„არდადეგი არს,—რა მკათათვეში მზე «ლომზე» შევალს, მის გამოცვლამდე და «სახსა» შესლვამდე ოცდაათერთმეტნი დღენი“¹.

ზოდიაკალური ქრონოლოგიის თანახმად, რომელიც საფუძვლად უდევს წარმართულ ქართულ კალენდარს, მზე შედის ლომის ზოდიაკალურ ნიშანში 23 ივლისს, ხოლო დაასრულებს გზას ამ ზოდიაკალურ ნიშანზე 22 აგვისტოს. ამ-რიგად, როდესაც ზემოთ-მოყვანილი ტექსტი იძლევა ცნობას, რომ მზის შესლვა „ლომის“ ზოდიაკოში მკათათვეში ხდება,—ზედმიწვევით უდგება წარმართული ქართული კალენდარის ქრონოლოგიურ განრიგებას.

ამ ტექსტის მიხედვით ცხადი ხდება აგრეთვე, რომ არდადეგი შეიცავდა თვით რკალს, რომელიც უშუალოდ მისდევდა ქუელთობის თვეს.

როგორც ეს უკვე დადგენილი გვქონდა ქუელთობის თვის თარიღის განხილვის დროს, ქუელთობის თვე სრულდებოდა 22 ივლისს (როდესაც მზე დაჰმთაწრებს გზას კირჩხიბის ზოდიაკალურ ნიშანზე და მიადგება ლომის ზოდიაკოს საზღვარს). ხოლო «არდადეგი» ყოფილა მომდევნო თვე, რომელიც იწყებოდა სწორედ 23 ივლისს და სრულდებოდა 22 აგვისტოს (ე. ი. იმ დროის მანძილზე, როდესაც მზე ლომის ზოდიაკოს ნიშნის ქვეშ იმყოფებოდა).

ამ-რიგად აქ ჩვენ გვაქვს ყველა თარიღებისა და თვეების თანამიმდევრობის შეხვედრა.

განვაგრძოთ ამის შემდეგ საბას სხვა ცნობების განხილვა.

აღსანიშნავია, რომ „არდადეგი“-ს ზემოთ-მოყვანილი განმარტება საბას ცალკე მოჰყავს, ხოლო ძველ-ქართული წარმართული კალენდარის თვეების საერთო ცხრილში «არდადეგი» ანუ «არდადეგისაჲ» შეტანილი არა აქვს.

ეს გარემოება ორი რამით აიხსნება:

1. თავდაპირველად საჭიროა მოვიგონოთ, რომ საბას არ ჰქონდა წარმართული კალენდარის თვეების რაიმე ერთი მთლიანი სია, არამედ თვეების ცხრილი საბას აღდგენილი აქვს სხვადასხვა წყაროებში

¹ იხ. საბას ლექსიკონი, ქართული წიგნის გამოცემა; 1928 წ., გვ. 16, სიტყვა «არდადეგი». (საბას ტექსტში ამ ადგილას სწერია: „ოცდაათნი დღენი“, მაგრამ აქ შეცდომაა ერთი დღით: ლომის ზოდიაკალური რკალი შეიცავს 31 დღეს. ამ შეცდომას თითონვე ასწორებს საბა და მეორე ადგილას იგი ლომის რკალს სწორად უჩვენებს,—31 დღეს; იხ. ლექსიკონი, გვ. 130).

გაბნეული ცალკეული ცნობების მიხედვით¹. და საბას, თვეების მთლიანი ცხრილის აღდგენის დროს, არა ერთი და ორი შეცდომა მოსვლია, რის მაგალითები ჩვენ ზემოთაც ვუჩვენეთ და ქვემოთაც შეგვხვდება. კერძოდ იმის ასახსნელად, თუ რად არ შევიდა „არდადეგი“ საბას მიერ აღდგენილ თვეების საერთო ცხრილში, ჩვენ ჯერ მოგვიხდება შევეხოთ საბას განმარტებას ქუელთობის თვისა.

საბას, ქუელთობის თვის თარიღის დადგენის დროს, შეცდომა მოსვლია. საბა ფიქრობდა, რომ ქუელთობის თვე უდრიდა აგვისტოს თვეს. ნამდვილად კი, როგორც ეს უკვე ზუსტად არის განსაზღვრული, ქუელთობის-თვე არ უდრის აგვისტოს, არამედ ამის წინარე ციკლს შეიცავს, იწყება 22 ივნისს და სრულდება 22 ივლისს.

საბას შემცდარი განმარტება ქუელთობის-თვისა, სჩანს, შემდეგით არის გამოწვეული. პროკოპის მარტვილობის ძეგლი, სადაც მოხსენებულია ქუელთობის თვე, ძნელი ტექსტია, და თარიღები აქართული ფორმულებით არის წარმოდგენილი. ამ თარიღების ზედმიწევნით ამოშიფრვა შესაძლო გახდა მას შემდეგ, რაც აღმოჩნდა ამ ტექსტის ბერძნული პარალელი. ხოლო საბასთვის ამ ძეგლის ბერძნული პროტოტიპი მიუწვდომელი იყო და ამის გამო თარიღების ზუსტი ამოცნობა ვერ მოუხერხებია. საბამ იცოდა მხოლოდ, რომ პროკოპის მარტვილობა ივლისს ეკუთვნის. ხოლო რადგან ამასთან მარტვილობის მოთხრობაში ნათქვამია, რომ პროკოპის მარტვილობა მოხდა ქუელთობის უწინარეს, აქედან საბას გაუკეთებია დასკვნა: რაკი პროკოპი ივლისში აწამეს, ქუელთობის წინ, მაშასადამე ქუელთობის თვე მომდევნო თვე, ე. ი. აგვისტო ყოფილაო.

მეორე გარემოება, რასაც გამოუწვევია საბას შემცდარი განმარტება ქუელთობის თვის თარიღისა, არის შემდეგი. ძველქართული კალენდარის შესწავლიდან ირკვევა, რომ ზოგიერთ თვეს ორი და ზოგჯერ სამი პარალელური სახელი ჰქონდა, ისევე როგორც ეხლანდელს ქართულ ხალხურ კალენდარში ერთსა და იმავე თვეს ეწოდება ხოლმე: ღვინობის-თვე, მწიფობის-თვე (და იმავე დროს ოქტომბერიც). უნდა გვახსოვდეს, რომ ამ-გვარი პარალელური სახელწოდებანი ერთისა და იმავე თვისა. რასაკვირველია ახასიათებს არა მხოლოდ თანამედროვე ქართულ ხალხურ კალენდარს, არამედ ხშირს მოვლენას წარმოდგენს საერთოდ ყველა კალენდრებში. კერძოდ ძველქართულ წარმართულ კალენდარშიაც ადგილი ჰქონდა ასეთ პარალელურს სახელწოდებებს; ასე, მაგალითად, როგორც ზემოთ იყო გამოჩვენებული, ვარდობის-თვეს მოეპოვებოდა ასეთი პარალელური სახელები: „ყუ ა ვ ი ლ ო ბ ი ს ა ე“ და „ა ხ ა ლ თ ა ე“; ამნაირადვე მიჰრაკ-

¹) იხ. გვ. 417 - 418 („საქ. მუხ. მოამბე“, VI).

ნის-ოვეს ჰქონდა პარალელური სახელწოდება: „მარიალისაჲ“; ამ-გვარადვე **ქუელთობის-ოვეს** ჰქონდა პარალელური სახელი: „თიბისაჲ“. (იხ. ამის შესახებ უფრო დაწვრილებით ქვემოთ, თავი VII: ძველ-ქართული კალენდარის თვეების პარალელური სახელწოდებანი. § 2 «თთუჲ თიბისაჲ»).

საბას შეუმჩნეველი დარჩა ეს ფაქტი, რომ ძველ-ქართულ წარმართულ კალენდარში პარალელური სახელები მოიპოვება, და აქედან მომდინარეობს საბას ზოგიერთი შეცდომა, და კერძოდ შემცდარი დათარიღება ქუელთობის თვისა. საბას წაკითხული ჰქონდა, რომ „თიბისაჲ“ ზოგადად შეიცავდა ივლისის რკალს („თიბისაჲ“ მოხსენებულია პავლეს ეპისტოლეთა ძველ-ქართულ ტექსტში, რომლითაც სარგებლობდა საბა), მაგრამ ის კი არ იცოდა რომ „თიბისაჲ“ და „ქუელთობისაჲ“ ერთი და იმავე თვის პარალელური სახელებია. პირიქით, საბა, როგორც ვნახეთ, პროკოპის მარტივობის ტექსტის არა-სწორი გაგების საფუძველზე ჰფიქრობდა, რომ ქუელთობის-თვე უდრიდა აგვისტოს. და სწორედ ამ გარემოებამ, რომ საბამ არ იცოდა საერთოდ ფაქტი პარალელური სახელების არსებობისა ძველ-ქართულ კალენდარში, კიდევ უფრო გააძლიერა საბას შემცდარი მოსაზრება ქუელთობის თვის თარიღის შესახებ. მართლაც, გამოდიოდა მოჩვენებითი თანხმობა: ერთის მხრით ქუელთობის-თვე თითქო უდრიდა აგვისტოს, ხოლო იმავე დროს არც ივლისის თვე რჩებოდა უსახელოდ, რადგან არსებობდა გარკვეული ცნობა, რომ „თიბისაჲ“ ზოგადად ივლისის რკალს შეიცავს. აი ამ-გზით, წყაროების არა-სწორი გაგების საფუძველზე, საბამ, ნაცვლად ერთი თვის ორმაგი პარალელური სახელისა (თიბისაჲ=ქუელთობისაჲ) მიიღო ორი თვე:

თიბისაჲ — ივლისი

ქუელთობისაჲ — აგვისტო.

ამ შეცდომას, რომელიც საბას მოსლვია ქუელთობის თვის თარიღის დადგენის დროს, გამოუწვევია შემდეგი შეცდომაც. რაკი საბა ჰფიქრობდა, რომ ქუელთობის-თვე უდრიდა აგვისტოს, ამის გამო არ და-დგენის თვე (რომელიც შეიცავს სწორედ აგვისტოს თვის მეტ ნაწილს) მექანიკურად გამოვარდნილა თვეების საერთო სიიდან.

მაშასადამე საბას სია ერთის მხრით, და ნამდვილი სია მეორე მხრით, ასეთს სურათს წარმოგვიდგენენ:

საბას სია:

1. „თიბისაჲ“ — ივლისი.
2. „ქუელთობისაჲ“ — აგვისტო.

ნამდვილი სია:

1. „ქუელთობისაჲ“ (=„თიბისაჲ“) — დრო 22 ივნისიდან — 22 ივლისამდე.
2. „არდა-დგისაჲ“ — დრო 23 ივლისიდან — 22 აგვისტომდე.

2. მაგრამ მთავარი, რაც გათვალისწინებული უნდა იყვეს არდა-დეგის თვის შესახებ, არის შემდეგი. საბა, როგორც ვნახეთ, იძლევა არდა-დეგის განმარტების ვრცელს ტექსტს. საბას ეს განმარტება ცხადია ამოწერილი აქვს რომელიღაც ძველ-ქართული წერილობითი ძეგლიდან. (ასეთია საბას ლექსიკოლოგიური მეთოდი, რომელსაც იგი მტკიცედ იცავს მთელი ლექსიკონის მანძილზე იშვიათი სიტყვებისა და ტერმინების განმარტების დროს). მაგრამ საბას უბრალოდ გადმოუწერია ძველი წყაროს ეს ცნობა და არ მოსვლია. ფიქრად, რომ „არდა-დეგი“ თვის სახელს წარმოადგენს; და თუ რატომ, ეს ადვილი გასაგებია. საბა, როგორც ამას ადასტურებს ის ცნობები, რომელთაც იგი ძველ-ქართული თვეების შესახებ იძლევა, ჰფიქრობდა, რომ ძველ-ქართული თვეები იწყებოდა ეხლანდელი კალენდარის პირველი რიცხვიდან; ნამდვილად კი, როგორც ვიცით, ძველი თვეების დასაწყისი არ უდრიდა ეხლანდელი თვეების დასაწყისს, არამედ შეფარდებული იყო ზოდიაკალურ ქრონოლოგიის გარკვეულ ციკლთან. ხოლო რაკი საბას შეხვედრია ასეთი ცნობა, რომ „არდა-დეგი“-ს დასაწყისი და დღეების რიცხვი ზოდიაკოთა ქრონოლოგიას შეეფარდება, (ე. ი. იწყება მაშინ, როცა მზე შედის ლომის ზოდიაკოს ნიშანში, და სრულდება—როცა მზე სტოვებს ამ ზოდიაკოს ნიშანს),—ამნაირი ცნობა არ უდგებოდა საბას მიერ აღდგენილ კალენდარის სისტემას; ამის გამო საბას უფიქრია, რომ „არდა-დეგი“ არ წარმოადგენს თვის ჩვეულებრივს სახელს, არამედ შეიცავს თვითური ციკლის რაღაც სხვანაირ აღრიცხვას. ამიტომ საბას პირდაპირ განუმარტავად ამოუწერია ძველი ტექსტის ცნობა „არდა-დეგი“-ს შესახებ და ეს „არდა-დეგი“ თვეების საერთო ცხრილში აღარ შეუტანია.

ეხლა-კი, პირიქით, სწორედ ეს ზედმიწევნილი შეხვედრა ზოდიაკოთა ქრონოლოგიასთან, და თითონ საბას მიერ ამოწერილი ტექსტის პირდაპირი შინაარსიც (რომ არდა-დეგი არის ის ერთ-ერთი რკალი, როდესაც «მზე ლომზე შევალს, მის გამოცვლამდე და სახვსა შესლვამდე. ოცდაათერთმეტნი დღენი») — გვიჩვენებს, რომ არდა-დეგი ძველ-ქართული კალენდარის თვის სახელი ყოფილა.

3. შემდეგი საკითხი: რა დროს ეკუთვნოდა ის წყარო, საიდანაც საბამ ამოსწერა ზემოთ-მოყვანილი განმარტება არდა-დეგისა? ამ კითხვაზე გარკვეული პასუხის გაცემა შეიძლება. ის წერილობითი ძეგლი, საიდანაც საბამ ამოსწერა „არდა-დეგის“ განმარტება, სხანს ეკუთვნოდა ქართული მწერლობის არქაულ პერიოდს, საფიქრებელია არა უგვიანეს მე-4—5 საუკუნისა. ეს შემდეგის მიხედვით ირკვევა.

საბას ამოწერილ ტექსტში ჩვენ გვხვდება ზოდიაკოს სახელწოდება: «სახზ». ასე რქმევია იმ ზოდიაკოს, რომელშიაც შედის მზე, როდესაც დაასრულებს გზას ლომის ზოდიაკოზე. მაშასადამე «სახზ» რქმევია იმ ზოდიაკოს, რომელიც «ქალწული»-ს სახელით არის ცნობილი.

მე-8—9 საუკუნიდან დაწყებული ქართულს მწერლობაში ჩვენ გვაქვს ზოდიაკების სახელწოდებათა ერთი გარკვეული მთლიანი ციკლი. დაწყებული ამ ეპოქიდან, სახელწოდებათა ეს ციკლი საყოველთაო გავრცელებით სარგებლობს ქართულს მწერლობაში და ეს დადასტურებულია წერილობითი ძეგლების მთელი რიგით (მათ შორის—საკალენდრო ტრაქტატით № 38, იოანე-ზოსიმე სინელის საკალენდრო ტრაქტატით, ასტრონომიული ტრაქტატით № 65 და სხვანი). ხოლო ამ ციკლში, რომელიც მიღებული იყო მე-8—9 საუკუნეებიდან, სახელწოდება „სახზ“ უკვე აღარ გვხვდება, ეს ძველი ტერმინი ამ დროს უკვე ხმარებიდან ყოფილა გამოსული. „სახზ“-ს მაგიერ აქ ყოველგან იხმარება ტერმინი „ქალწული“.

უფრო ძველი ეპოქიდან ჩვენ გვაქვს ქართულს ენაზე ერთი ძეგლი: „მარტვლობაჲ კალისტრატისი“. უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ტექსტი ერთი უძველეს ნაწარმოებთაგანია, რომელიც ქართულს ენაზე შენახულა, და თუ უფრო ადრინდელი არა, ყოველ შემთხვევაში მე-5 საუკუნეზე გვიანი ხანისა არ არის. ამ თხზულების განსაკუთრებული სიძველე შემდგენის მიხედვით ირკვევა. 1) ამ თხზულებაში ჯერ კიდევ არ არის მიღებული რომაული სათვეო ტერმინოლოგია, თვის სახელი აქ წარმართული ხანის ტერმინით არის აღნიშნული. 2) ამ თხზულებას გავლენა მოუხდენია ეგსტათი მცხეთელის ბიოგრაფიის ავტორზე (— ეგსტათის ბიოგრაფიაში ჩვენ გვაქვს ადგილები, რომლებიც ამ თხზულების გავლენით არის დაწერილი, ხოლო ერთ შემთხვევაში ეგსტათის ბიოგრაფს პირდაპირ ამოუწერია ტექსტი ამ თხზულებიდან). ხოლო ეგსტათის ბიოგრაფია ეკუთვნის მე-6 საუკუნის მეორე ნახევარს (უფრო ზუსტად მე-6 საუკუნის მესამე მეოთხედს)—და მაშასადამე კალისტრატეს მარტვილობა ამაზე ადრინდელს ძეგლს წარმოადგენს. —3) ენა კალისტრატეს მარტვილობისა განსაკუთრებული სიძველის ნიშნებს შეიცავს და უფრო არქაულია, ვიდრე ენა შუშანიკის ბიოგრაფიისა, რომელიც მე-5 საუკუნის ნაწარმოებია.

ამ თხზულებაში, კალისტრატეს მარტვილობაში, ჩვენ გვაქვს ერთი ვრცელი თავი, რომელიც შეიცავს ასტრონომიული ხასიათის ცნობებს. აქ, სხვათა შორის, ჩამოთვლილია მთავარ ვარსკვლავთა-

კრებულების სახელები („ურემ-კარი“ „გარე-მოსაქცეველი“, „კომნი“, „მთიებზი“) და კერძოდ ზოდიაკოთა სახელებიც არის მოყვანილი. ამ ტექსტიდან ირკვევა, რომ ზოდიაკების ერთ რიგს იგივე სახელები ჰქონია ძველად, როგორც ამას ვიცნობთ შემდეგი ხანის ძეგლებიდან („ვერძი“, „კურო“), მაგრამ ზოგი ზოდიაკო ამ ძველს ეპოქაში სხვა სახელებით ყოფილა ცნობილი; ასე, ზოდიაკოს, რომელიც შემდეგ-დროინდელს ქართულს მწერლობაში ცნობილი იყო სახელწოდებით: „თხის-რქა“, ამ ძეგლში ეწოდება „ვაცი“; შემდეგ-დროინდელი „სასწორი“ აქ იწოდება როგორც „მეულლე“.

ჩვენი საკითხისათვის აქ საყურადღებო ის არის, რომ კალისტრატეს მარტვილობაში, ე. ი. ისეთ ტექსტში, რომელიც მე-5 საუკუნისაზე გვიანი დროისა არ არის, ჩვენ უკვე აღარ გვხვდება ტერმინი „სახზ“. მის ნაცვლად ამ თხზულებაში ჩვენ გვაქვს მეორე ტერმინი: „ქალწული“, როგორც ეს შემდეგი ხანის მწერლობაში იყო მიღებული.

ამ-რიგად წყაროების ეს მიმოხილვა მეტად მნიშვნელოვან დასკვნას იძლევა. ცხადი ხდება, რომ ის წერილობითი ძეგლი, საიდანაც საბას ამოუწერია განმარტება არდა-დეგის თვისა, და სადაც ზოდიაკო „ქალწული“ იწოდებოდა როგორც „სახზ“, — უაღრესად არქაული ეპოქის ტექსტი ყოფილა, საფიქრებელია არა უგვიანესი მე-4—5 საუკუნისა, რადგან ამის შემდეგ, ყოველ შემთხვევაში მე-5 საუკუნიდან, ეს ტერმინი „სახზ“, როგორც ირკვევა, ხმარებიდან გამოდის.

თავის-თავრდ ეს გარემოება, რაც აქ გამოიკვეა, რომ საბას ცნობა არდა-დეგის შესახებ ამოუწერია არქაული ეპოქის წერილობითი ძეგლიდან, მოულოდნელი არაა.

ჩვენ, დამოუკიდებლად ამისაგან, უკვე დადგენილი გვქონდა, რომ საბას ხელთა ჰქონდა ერთი ძველ-ქართული ტექსტი, რომელიც შეიცავდა ცნობებს მნათობთა შესახებ, და რომელი ტექსტიც, უშუალოდ თუ მეშვეობით, წარმართული ხანიდან მომდინარეობდა. ამ ტექსტიდან აქვს საბას ამოღებული ცნობები კვირიაკის შვიდეულის ცალკე დღეების შესახებ, თუ რომელი დღე შვიდეულისა რომელ მნათობს მიეკუთვნებოდა; აგრეთვე ცნობები იმის შესახებ, თუ რა სახელები ერქვა ძველ-ქართულად ცის მნათობთა სფეროებს („კორანო“, „ჭირანო“ „მელ-ტარო“, „ალაბას-ტარო“ და სხვანი). აგრეთვე, რაც მთავარია, ამავე წყაროდან აქვს ამოღებული საბას ზოდიაკოთა ძველ-ქართული ქრონოლოგია. (იხ. ამის შესახებ უფრო დაწვრილებით მეხუთე თავი, გვ. 432—433, მოამბე, № VI). — საფიქ-

რებელია, რომ კერძოდ ეს ტექსტიც „არდა-დევი“-ს შესახებ საბას ამოწერილი აქვს იმავე ძველიდან.—ყოველ შემთხვევაში ამ ტექსტის დიდი სიძველე უდავოა.

*

რათა საგანზე სრული წარმოდგენა ვიქონიოთ, აქ საჭირო იქნება შევეხოთ კითხვასაც, თუ რას უნდა ნიშნავდეს ტერმინი „სახჯ“, რომელიც მოხსენებული ყოფილა იმ არქაულ წყაროში, საიდანაც საბას ამოუწერია განმარტება „არდა-დევის“ თვისა.

საბას ამ ტექსტის, და აგრეთვე კალისტრატეს მარტვილობის თანახმად, ჩვენ გვაქვს ასეთი შეფარდება ზოდიაკოთა ძველი და ახალი სახელებისა:

ძველი სახელები:		ახალი სახელები:
ვაცი	=	თხის-რქა
მეულლე	=	სასწორი
სახჯ	=	ქალწული

როდესაც ჩვენ ვადარებთ ზოდიაკების ძველსა და ახალს სახელებს, ჩვენ ვხედავთ, რომ ისინი ერთისა და იმავე წრის ცნებებს აღნიშნავენ.

მართლაც, ახალი სახელწოდება „თხის-რქა“ შეეფარდება ძველს სახელწოდებას: „ვაცი“. აქ ჩვენ გვაქვს, როგორც ვხედავთ, ცნებათა ერთი რკალი. (აღვნიშნავთ ამასთან, რომ „ვაცი“ ერქვა ამ ზოდიაკოს იმის გამო, რომ ძველი რელიგიური წარმოდგენების თანახმად, იგი ითვლებოდა სახლად ღვთაება-ვაცისა, ე. ი. იმ ღვთაებისა, რომელსაც ბერძნულ მითოლოგიაში „პან“, ხოლო ქართულში „ოჩო-პან-ტარი“ ეწოდება).

ამნაირადვე ახალი სახელწოდება „სასწორი“ შეეფარდება ძველ სახელწოდებას „მეულლე“. უნდა გვახსოვდეს, რომ „ულელი“ ნიშნავს „სასწორს“¹⁾, და მაშასადამე „მეულლე“ არის იგივე „მე-სასწორე“, ე. ი. ამწონველი. (აღვნიშნავთ ამასთან, რომ ეს სახელწოდება „სასწორი“ „მე-სასწორე“ მიეკუთვნება ამ ზოდიაკოს იმის გამო, რომ ამ ზოდიაკოს ფარგლებში ხდება ხოლმე შემოდგომის დღე-ღამის გასწორება).

ამ პარალელების მიხედვით საფიქრებელია, რომ მესამე ზოდიაკოს ძველი სახელი „სახჯ“ აღნიშნავდა იმავე წრის ცნებას, რასაც ამ ზოდიაკოს ახალი სახელწოდება: „ქალწული“.

მართლაც, ამ დასკვნას ამართლებს ქართველურ ენებში დაცუ-

1) შეადარეთ ანალოგიური წარმოება, რომელიც მოიპოვება ბერძნულშიაც: $\xi\alpha\upsilon\sigma$ =ულელი, სასწორი.

ლი. სხვადასხვა განშტოება იმავე ფუძე-სიტყვისა, საიდანაც ნაწარმოებია ტერმინი: „სა-ხვ“.

თავდაპირველად საჭიროა მოვიგონოთ, რომ ქართულში ცნება ვაჟი აღინიშნება ტერმინით: „ძე“, ხოლო ცნება ქალი ტერმინით: „ხე“.

ტერმინი „ხე“ დღემდე შენახულა გადანაშთის სახით ზოგიერთ ქართულ კილოებში, (ასე, კერძოდ გურულ კილოში), სადაც იგი ჩვენ გვხვდება საგვარეულო სახელწოდებათა აღსანიშნავად; მაგალითად: ნაკაში-ძე (ვაჟი), ნაკაში-ხე (ქალი)¹.

მეგრულში ეს ტერმინი „ხე“ დღემდე ცოცხალ სიტყვას წარმოადგენს, და აქაც იგი ერთვის ქალის გვარს (როგორც მაგალითად გვაზა-ხე=ქალი, ხოლო გვაზა-¹ვა, ე. ი. გვაზა-ძე=ვაჟი).

სვანურში იგივე ტერმინი „ხე“ წარმოდგენილია ფუძე-სიტყვის სახით: „ხვ“ (იხ. აკად. ნ. მარის: Извлечение из Сванско-Русского словаря, Пгг. 1922, გვ. 34, ფუძე-სიტყვა: „ხვ“). ამ ფუძე-სიტყვიდან „ხვ“ ჩვენ გვაქვს სვანურში სიტყვები:

„ფხვ“, „ჰხვ“, — რაც ნიშნავს ცოლს;

„ნა-დახვ“ ე. ი. ნა-ცოლარი;

„ლე-ფხუ-რი“ საცოლო, ე. ი. სა-ცოლ-ური; (სვანურში პრეფიქსი „ლე“ ნიშნავს იმასვე, რასაც ქართული „სა“).

ეს ფუძე-სიტყვა „ხე“, სვანურის მსგავსი გახმოვანებით „ხჷ“ არსებობს აგრეთვე მეგრულშიაც. აქედან არის ნაწარმოები ზმნა: „ხჷა-ლა“, „ხჷა-ფა“, რაც ნიშნავს: შობ-ვა². (შეადარეთ ქართული ტერმინი: „ძე-ობა“, „ძე-ბა“ ძველ-ქართულად. მხოლოდ ქართულში ძეობა, ძე-ბა ნაწარმოებია ვაჟის სახელიდან: ძე; ხოლო მეგრულში ქალის სახელიდან: ხჷ||ხვ).

ამ პარალელების მიხედვით, სადაც წარმოდგენილია ეს ფუძე-სიტყვა „ხე“ და „ხვ“, ცხადი ხდება მნიშვნელობა ტერმინისა: სა-ხვ.

ისევე როგორც სიტყვისაგან „ძე“ ჩვენ გვაქვს ტერმინი **სი-ძე** (ე. ი. თავში დაერთვის პრეფიქსი: „სი“); აგრეთვე სიტყვისაგან **სძა-**ლი გვაქვს ტერმინი **სა-სძლო**, სიტყვისაგან **ცოლი** — **სა-ცოლო** (ე. ი. ამ მეორე შემთხვევაში თავში დაერთვის პრეფიქსი „სა“); ამნაირადვე

¹) აღინიშნავთ ამასთან, რომ გურულ კილოში ეს ტერმინი წარმოდგენილია ორგვარი სახე-სხვაობით, როგორც „ხე“ და როგორც „ფ-ხე“; ითქმის „ნაკაში-ხე“ და „ნაკაში-ფ-ხე“.

²) იხ. იოსებ ყიფშიძე, Грамматика мингрельского языка, СПб, 1914, გვ. 401 (ხუალა), გვ. 396 (ხ—ჷ). მეგრულში ეს სიტყვა გვხვდება ფორმებით: „ხ ჷ ა-ლ ა“ და „ხ ა-ლ ა“, ე. ი. მეორე შემთხვევაში უმარცვლო „უ“ დაკარგულია. ანალოგიურ სახესხვაობს წარმოგვიდგენს: *ხ ჷ ა - ფ ა || ხ ა - ფ ა.

ფუძე-სიტყვისაგან „ხვ“, (ე. ი. ქალი, ცოლი) ჩვენ გვაქვს ტერმინი „სა-ხვ“ ე. ი. სა-ცოლო, სა-სძლო.

შეადარეთ ამას, კონსტრუქციის მხრით, ტერმინი, რომელიც სვანურში არის დაცული: „ნა-აბხვ“, რაც ნიშნავს: „ნა-ცოლარი“.

სიტყვასთან „სა-ხვ“, „სა-ხუი“ (—სა-სძლო) სჩანს დაკავშირებულია აგრეთვე ტერმინი: მ-ზაზ-ება (← *მ-საზუ-ება). შეადარეთ ბიბლიის ძველ-ქართულ ვერსიაში: „არცა ემზაზო (← *ემსაზუო) მათ, ასული შენი არა მისცე ძესა მისსა, და ასული მისი არა მოჰგუარო ძესა შენსა“ (იხ. შექმნათა. მკ, ე. იხ. აგრეთვე წიგნი მეორე სჯულისა, 7, 3).

ამ რიგად ირკვევა, რომ ზოდიაკოს ძველი სახელწოდება: „ს ა ხ ვ“ ე. ი. სასძლო, აღნიშნავდა იმასვე, რასაც შემდეგდროინდელი სახელწოდება იმავე ზოდიაკოსი: „ქ ა ლ წ უ ლ ი“.

ამის შემდეგ ყოველმხრივ გასაგები ხდება საბას მიერ ძველი ტექსტიდან ამოწერილი ცნობა, რომ არდა-დეგი უდრის ლომის ზოდიაკოს ნიშანს, და რომ არდა-დეგი დასრულდება მაშინ, როდესაც მზე დაასრულებს გზას ლომის ზოდიაკოზე და „ს ა ხ ვ“-ს საზღვართან მივა. მართლაც ლომის ზოდიაკოს უშუალო მოსაზღვრეა სწორედ „ქალწულის“ ე. ი. „სახვ“-ს ზოდიაკო.

ჩვენ ამით დავამთავრებთ განხილვას იმ ცნობებისას, რომელთაც შეიცავს „არდა-დეგი“-ს შესახებ საბას მიერ გადმოწერილი არქაული წყარო.

*

ძველ-ქართული წარმართული კალენდარის „არდა-დეგი“-ს თვის საკითხის გარკვევისათვის ერთგვარ ინტერესს წარმოადგენს აგრეთვე, ის პარალელები, რომელთაც შეიცავენ სხვა ძველი კავკასიური კალენდრები: ძველ-სომხური და ალვანური.

მაგრამ ჯერ იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს თვით სიტყვა „არდა-დეგი“.

ეტიმოლოგია ამ სიტყვისა განხილული აქვს პრ. ფ. ივ. ჯავახიშვილს. სიტყვა „არდი“ ურარტულს წარწერებში, როგორც ცნობილია, ნიშნავს: მზე, მზის ღვთაება.

ქართულშიაც, არქაულ ეპოქაში, სიტყვა „არდი“, როგორც ირკვევა, აგრეთვე „მზე“-ს აღნიშნავდა. ამის მიხედვით ტერმინი „არდა-დეგი“ სიტყვა-სიტყვით ნიშნავს შემდეგს: „მზე-დეგი“, ე. ი. „მზის დღე“¹.

აღსანიშნავია, რომ სხვა კავკასიურ კალენდრებშიაც შესატყვისი თვის სახელი ერთგვარ ანალოგიას წარმოგვიდგენს.

საკითხს ძველი კავკასიური კალენდრების შესახებ ჩვენ ქვემოთ:

1) იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 121.

დაწვრილებით ვეხებით სპეციალურ ექსკურსში, აქ კი აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ძველ-სომხურში პარალელურ თვეს ეწოდება „ჰროტიც“, რაც ნიშნავს „ცეცხლისაჲ“; ალვანურში ამავე თვეს ეწოდება „ბახნეაჲ“, რაც ნიშნავს „მზისაჲ“¹.

ამავე დროს უნდა გვახსოვდეს, რომ ლომის ზოდიაკო, რომლის რკალშიაც იმყოფება მზე „არდა-დეგი“-ს („მზის დგომის“) თვეში, ძველი ასტრონომიული წარმოდგენების თანახმად, „ცეცხლის“ სახლად ითვლებოდა.

ამ-რიგად ჩვენ გვაქვს გარკვეული პარალელიზმი ამ თვის სახელისა სამსავე კავკასიურს ენაში, ე. ი.:

ა) ქართული „არდა-დეგი“ ანუ „მზის დეგი“ (როდესაც მზე იმყოფება ლომის „ცეცხლის“ ზოდიაკოში).

ბ) ალვანური „ბახნეაჲ (ე. ი. „მზისაჲ“).

და გ) სომხური „ჰროტიც“ (ე. ი. „ცეცხლისაჲ“).

დასასრულ „არდა-დეგი“-ს თვის თარიღის საკითხთან დაკავშირებით არაა ინტერესს მოკლებული აღვნიშნოთ აგრეთვე ისიც, რომ ტერმინი „არდა-დეგი“ ხალხურს ენაში, გადანაშთის სახით, ჩვენ დრომდისაც მოღწეულა, და როგორც ირკვევა, ზოგიერთ ქართულ კილოებში დღემდე ცოცხალს სიტყვას წარმოადგენს. ასე, მაგალითად, ქართლის ზოგ რაიონებში, ხალხის ცოცხალ სასაუბრო ენაში, „არდა-დეგი“ ნიშნავს შემდეგს: „სიცხეების დრო“ (უმთავრესად ივლისის თვის სიცხეების სეზონზე ითქმის). წარმართული ქართული კალენდარი ათასეულ წელზე მეტია რაც ხმარებიდან გაშოვიდა და რასაკვირველია არაა მოსალოდნელი, რომ ჩვენ გვქონდეს ესლანდელ ხალხურ ტერმინოლოგიაში ზუსტი გადმოცემა წარმართული კალენდარის თვის თარიღისა დღიდან დღემდე. მაგრამ აქ მაინც უაღრესად საგულისხმოა, რომ „არდა-დეგი“ დღევანდელის ხალხური ვაგებით, და ზოგადი ფარგლები ძველ-ქართული წარმართული კალენდარის „არდა-დეგი“-ს თვისა შეიცავენ ერთსა და იმავე რკალს².

¹) კერძოდ ალვანური თვეების ციკლზე, აგრეთვე სომხური და ალვანური ტერმინების ეტიმოლოგიის შესახებ, იხ. იმავე ექსკურსში.

²) შენიშვნაში საჭიროდ ვთვლით აღვნიშნოთ შემდეგი. როგორც უკვე მოხსენებული გვქონდა (იხ. გვ. 421, „მოამბე“ VI), გამოკვლევის ამ პირველ ნაწილში ჩვენ ვეხებით წარმართული ქართული კალენდარის უკანასკნელ სტადიას, იმ ფორმაციას, როგორაც იგი მოცემულია წარმართული ქართული კალენდარის არსებობის უკანასკნელ პერიოდში. კერძოდ „არდა-დეგის“ თვის თა-

9. «თთუც ახალწლისაჲ»

თუ როდის იწყებოდა ქველ-ქართული კალენდარით ახალი წელი და რა ფარგლებს შეიცავდა მისი მომდევნო «თთუც ახალწლისაჲ», ამის გამორკვევა შესაძლო ხდება ერთი ქველ-ქართული თარგმნილი მარტიროლოგიური მოთხრობის მიხედვით: წამებაჲ ქსუსტოესი და თანა-მარტკლთა.

ამ ძეგლის ორი პირი შენახულა: პარხალის კრებულში (ხელნაწერი სიძველეთა მუზეუმისა № 95), და პროხორე ჯვარელის კრებულში (ოქსფორდის ბოდლეანის ხელნაწერი).

რიდი, რომელიც აქ დავადგინეთ (23 ივლისი—22 აგვისტო) წარმართული კალენდარის ამ უკანასკნელს სტადიას ეკუთვნის.

შემდეგ, ამ გამოკვლევის სპეციალურს ნაწილში განხილული გვექნება კალენდარის ისტორია და იქ ვნახავთ, რომ წარმართულ ქართულ კალენდარს თავის განვითარებაში რამდენიმე საფეხური გაუვლია და ადგილი ჰქონია კალენდარის რეფორმას. ეს რეფორმა შემდეგით იყო გამოწვეული. წარმართული ქართული კალენდარი ზოდიაკალურ სისტემასთან არის შეფარდებული. ხოლო, როგორც ცნობილია, საუკუნეთა განმავლობაში ხდება ზოდიაკოთა სარტყელის თანდათან განაწილება. (ეს განაწილება დაკავშირებულია იმ ასტრონომიულ მოვლენასთან, რომელსაც პრეცესია ეწოდება. განაწილება გამოიხატება ერთი ზოდიაკოს მანძილით ყოველი 2150 წლის განმავლობაში). რეფორმა გამოწვეული იყო კალენდარის შეფარდების საჭიროებით ზოდიაკოთა სარტყელის რეალურ მდგომარეობასთან.

როდესაც ჩვენ ვადარებთ ერთის მხრით იმ ზოდიაკალურ ქრონოლოგიას რომელიც საფუძვლად უდევს წარმართული ქართული კალენდარის უკანასკნელ ფორმაციას, ხოლო მეორე მხრით ზოდიაკოთა იმ სისტემას, რომელიც განაწილების სახით მოცემულია თითონ თვეების სახელწოდებაში,—ჩვენ ვხედავთ, რომ აქ ჩვენ გვაქვს ორი პარალელური წყობა, ორი ზოდიაკალური ციკლი, რომელიც გარკვეული ასტრონომიული მანძილით დაცილებულია ერთი-მეორეს. ეს კი ჩვენ გვაძლევს საშუალებას ხედმიწვევით დავადგინოთ: 1) როდის ჩამოყალიბდა თავდაპირველად წარმართული ქართული კალენდარი; 2) რა დროს ეკუთვნის მისი უკანასკნელი ფორმაცია.—წარმართული ქართული კალენდარი თავდაპირველად ჩამოყალიბებულია ეგრეთწოდებულ „მარჩბივის ეპოქაში“, ხოლო მისი უკანასკნელი ფორმაცია წარმოგვიდგენს „ვერძის ეპოქას“.

ჩვენ აქ საჭიროდ დავინახეთ წინასწარ აღვკენიშნა ეს ფაქტი, რადგან, როგორც შემდეგი გამოკვლევა გვიჩვენებს, ამასთან არის დაკავშირებული კერძოდ ტერმინი „არდა-დეგის“ ისტორიაც. („არდა-დეგი“, ე. ი. „მზის დგომა“ წარმართულ ქართულ კალენდარში დაკავშირებულია ლომის ზოდიაკოსთან. ხოლო მარჩბივის ეპოქაში ლომის ზოდიაკალური რკალი სრულდება სწორედ იმ წერტილთან, როდესაც ასტრონომიულად ხდება „მზის დგომა“—Sol-stitium. ხოლო როდესაც ჩვენ ვდებულობთ წარმართული ქართული კალენდარის უკანასკნელ ფორმაციას, ე. ი. ვერძის ეპოქას, აქ ლომის ზოდიაკალური ნიშანი იწყება 23 ივლისიდან და სრულდება 22 აგვისტოს, ე. ი. იძლევა „არდა-დეგი“-ს ძვის იმ თარიღს, რომელიც ჩვენ წარმართული ქართული კალენდარის უკანასკნელ ეპოქაში გვაქვს).

ამ მარტიროლოგიური მოთხრობის თანახმად ქსუსტო და მისნი თანამოღვაწენი სხვა-და-სხვა დღეებში უწამებიათ, ერთიმეორის ახლო რიცხვებში.

პირველი ორი მარტკლის (აბდონის და სენენის) მოწამეობა ასეა დათარიღებული:

„უწინარეს სამისა დღისა ახალწლისა“¹.

მესამე მარტკლისა (ქსუსტოასი):

„უწინარეს რვისა დღისა ახალწლისა“².

მეოთხე მარტკილისა (ლაგრენტისი):

„უწინარეს ოთხისა დღისა ახალწლისა“³.

მეხუთე მარტკილისა (კპოლიტოასი):

„თთუესა ახალწლისასა“⁴.

თარიღების შესახებ საჭიროა განმარტება:

1. თარიღების თანამიმდევრობა არ უდგება მოთხრობის შინაარსს. მოთხრობის თანახმად პირველად აწამეს აბდონ და სენენ, რამდენიმე დღის შემდეგ აწამეს ქსუსტო, მის შემდეგ ლაგრენტი, ხოლო ბოლოს კპოლიტო. რომ მათი წამება ასეთის თანამიმდევრობით მოხდა, მოთხრობა ამის შესახებ სრულიად გარკვეულ ჩვენებას იძლევა. (მოთხრობაში დაწვრილებით არის გადმოცემული, თუ როგორის თანდათანობით ხდება მათი შეპყრობა, შემდეგ მათი გასამართლება და წამება). ხოლო თარიღები, როგორც ვხედავთ, არ ეთანხმება მოთხრობის ამ გარკვეულს ჩვენებას; თარიღების მიხედვით გამოდის, რომ ჯერ უწამებიათ ქსუსტო („უწინარეს რვისა დღისა ახალწლისა“), შემდეგ ლაგრენტი („უწინარეს ოთხისა დღისა ახალწლისა“), ხოლო მის შემდეგ აბდონ და სენენ („უწინარეს სამისა დღისა ახალწლისა“).—მაშასადამე აქ ასახსნელია, რა გზით წარმოიშვა ეს შეუთანხმებლობა თარიღებისა მოთხრობის ტექსტთან.

2. მეორე, რაც ყურადღებას იქცევს ამ თარიღებში, ის გარემოებაა, რომ მეხუთე მარტკლის კპოლიტოას წამება ნაჩვენებია მხოლოდ საერთოდ „თთუესა ახალწლისასა“, ხოლო რიცხვი გამოტოვებულია.

თუ რა გზით წარმოიშვა დეფექტები თარიღების აღნიშვნაში, ეს კითხვა რასაკვირველია მარტივად გადაწყდებოდა, თუკი ცნო-

¹) იხ. ხელნაწერი № 95, გვ. 1207.

²) იქვე გვ. 1209.

³) იქვე, გვ. 1211.

⁴) იქვე, გვ. 1212.

ბილი იყვეს ის პირველ-დედანი („კიმენი“), საიდანაც უშუალოდ თარგმნილია ქართული ტექსტი. მაგრამ ასეთი დედანი ჯერჯერობით ცნობილი არ უნდა იყვეს¹.

მაინც ტექსტის ანალიზის საშუალებით შესაძლო ხდება სრულის ზედმიწევნილობით იქმნეს გამორკვეული, თუ რა ნიადაგზე წარმოიშვა თარიღების ეს შეუთანხმებლობა.

თავდაპირველად საჭიროა აღვნიშნოთ, რომ თუმცა ქსკსტოს და თანამარტვილთა ქართული მოთხრობის უშუალო პირველ-დედანი არ მოგვეპოვება, მაგრამ მათი წამების თარიღები კარგად არის ცნობილი ჰაგიოლოგიაში და საკალენდარო-სვინაქსარულ ტექსტებში. ძველ-რომაულს, ბუქერისეულად ცნობილს მეოთხე საუკუნის კალენდარში (354 წლისა), ეს თარიღები ასეა ნაჩვენები:

აბდონის და სენენის წამება	30 ივლისს;
ქსკსტოასი	6 აგვისტოს;
ლავრენტისი	10 აგვისტოს;
ვპოლიტოასი	13 აგვისტოს.

შევადაროთ ბუქერისეული კალენდარის ეს თარიღები ქართული მოთხრობის შინაარსს ერთის მხრით და ქართული მოთხრობის თარიღებს მეორე მხრით.

ჩვენ ვხედავთ, რომ ბუქერისეული კალენდარის ცნობები სრულის ზედმიწევნილობით უდგება ქართული მოთხრობის შინაარსს, ხოლო ქართული მოთხრობის თარიღების თანამიმდევრობისაგან განიირჩევა.

თანხმობა ბუქერისეული კალენდარის ცნობებისა ქართული მოთხრობის შინაარსთან ცხადი გახდება, თუ გავითვალისწინებთ მათ შეხვედრას შემდეგ არსებითს ხაზებში:

1. როგორც ქართულს მოთხრობაში, ისე ბუქერისეულ კალენდარში მარტვილთა წამების თანამიმდევრობა ერთი და იგივეა (ჯერ აბდონ და სენენ, შემდეგ ქსკსტო, შემდეგ ლავრენტი, შემდეგ ვპოლიტო);

1) ქართულს მოთხრობას სჩანს უახლოვდება, მაგრამ არა მთლიანად, ის ბერძნული ტექსტი, რომელიც მოთავსებულია Bibliotheca hagiographica graeca (Brux. 1909, გვ. 976 და შემდგომი). ჩვენ საშუალება გვქონდა შეგვედარებინა ეს ბერძნული ტექსტი ქართულთან მხოლოდ ნაწილობრივ; ბერძნული ტექსტის ეს გამოცემა ტფილისში არ აღმოჩნდა და ლენინგრადიდან შესაძლო გახდა მიგვეღო ბერძნული ტექსტის მხოლოდ ცალკე ნაწილების ამონაწერები (სახელდობრ ის ნაწილები, სადაც ქართული ტექსტი თარიღებს შეიცავს). შედარებამ გამოარკვია, რომ ეს ბერძნული ვერსია თუმცა საერთოდ უდგება ქართულს, მაგრამ თარიღები მოღწეულ ბერძნულ ტექსტში გამოშვებული ყოფილა.

2. ქართული მოთხრობის თანახმად ქსესტოს წამების შემდეგ განვლო სამმა დღემ (იხ. ხელნაწერი, გვ. 1209—1210), და შემდეგ, მეოთხე დღეს აწამეს ლავრენტი. ბუქერისეული კალენდარის ცნობითაც მათი წამების შორის ოთხი დღის მანძილია (6 და 10 აგვისტო).

3. ქართული მოთხრობის თანახმად (იხ. ხელნაწერი, გვ. 1211) ლავრენტის წამებიდან მესამე დღეს აწამეს ვპოლიტო. ბუქერისეული კალენდარიც მათ წამებას შორის სამს დღეს სდებს (10 და 13 აგვისტო).

4. დასასრულ, ქართულს მოთხრობაში თუმცა ნაჩვენები არაა დღეების მანძილი აბდონ სენენის და ქსესტოს წამების შორის, მაგრამ აქ აღნიშნულია, რომ ჯერ აწამეს აბდონ და სენენ, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ ქსესტო, რაც აგრეთვე ეთანხმება ბუქერისეული კალენდარის რიცხვების თანამდებრობას.

ამრიგად ბუქერისეული კალენდარი სავსებით უდგება ქართული მოთხრობის შინაარსს, რაც გვიჩვენებს, რომ მათი პირველწყარო ერთი და იგივეა.

მაგრამ ასეთ შემთხვევაში იბადება საკითხი, საიდან წარმოიშვა თარიღების ეს შეუთანხმებლობა და დამახინჯება, რომელსაც ადგილი აქვს ქართულს ტექსტში, რომელიც არ ეთანხმება არც თვით ქართული მოთხრობის მიმდინარეობას, და არც ბუქერისეული კალენდარის თარიღებს.

ამ კითხვას ნათელი მოეფინება, თუ გავითვალისწინებთ რომაული კალენდრის თავისებურს სისტემას: კალენდებით, ნონებით და იდებით აღრიცხვას.

ხეშოთ ნაჩვენები რიცხვები—30 ივლისი, 6 აგვისტო, 10 აგვისტო, 13 აგვისტო, ძველ-რომაულ სისტემის თანახმად, ასე გამოიხატება:

30 ივლისი=„უწინარეს სამისა დღისა კალენდათა აგვისტოს თჳსა“ (=ante diem III Kalendas Augustas).

6 აგვისტო=„უწინარეს რვისა დღისა აგვისტოს იდებისა“ (=ante diem VIII Idus Augustas.)

10 აგვისტო=„უწინარეს ოთხისა დღისა აგვისტოს იდებისა.“ (=ante diem IV Idus Augustae.)

13 აგვისტო=„აგვისტოს იდები“. (=Idus Augustiae.)

შედარება ქართული ტექსტისა ამ ცხრილში არავითარ ეჭვს არ სტოვებს, რომ იმ დედანში, საიდანაც უთარგმნია ეს მოთხრობა ქართველ ავტორს, ქსესტოს და მისთა თანამოღვაწეთა წამების თა-

რიღები ასეთის სახით ყოფილა წარმოდგენილი. ქართველ მთარგმნელს, როგორც ირკვევა, არ ჰქონია სწორი წარმოდგენა ძველი რომაული კალენდარის ამ თავისებურ ელემენტებზე, კალენდების, ნონების და იდების სისტემაზე, ამის გამო მას მხოლოდ მექანიკურად გადმოუწერია ორიგინალის რიცხვები (სამი, რვა, ოთხი), ხოლო კალენდებისა და იდების განსხვავება აღარ აღუნიშნავს; ხოლო უკანასკნელს შემახვევაში, სადაც ორიგინალში რიცხვი არ იყო ნაჩვენები, ე. ი. ეწერა „აგვისტოს იდებში“, ეს ადგილი ურიცხვოდ უთარგმნია: „თთუესა ახალწლისასა“ (ეს იმ დროს, როდესაც თითონ სიტყვა „იდები“ ამ შემთხვევაში სწორედ გარკვეულ რიცხვს, 13-ს ნიშნავს).

მართლაც შევადაროთ ყველა თარიღები:

1. აბდონ და სენენის წამების თარიღი: „უწინარეს სამისა დლისა კალანდათა აგვისტოს თვსა“,—ქართველ მთარგმნელს უთარგმნია ასე: „უწინარეს სამისა დლისა ახალწლისა“;

2. ქსესტოს წამების თარიღი: „უწინარეს რვისა დლისა აგვისტოს იდებისა“,—უთარგმნია: „უწინარეს რვისა დლისა ახალწლისა“;

3. ლავრენტისი: „უწინარეს ოთხისა დლისა აგვისტოს იდებისა“—უთარგმნია „უწინარეს ოთხისა დლისა ახალწლისა“.

4. ვპოლიტოხისი: „აგვისტოს იდებში“ (ურიცხვოდ)—უთარგმნია: „თთუესა ახალწლისასა“ (ურიცხვოდ).

თარიღების ამ ზედმიწევნითი პარალელიზმებიდან სრულიად უდავოდ ირკვევა, თუ როგორი ორიგინალი ჰქონდა თვალწინ ქართველ მთარგმნელს, და რა გზით წარმოიშვა თარიღების ის შეუთანხმებლობა მოთხრობის მიმდინარეობასთან, რომელსაც ქართულ ტექსტში ვხედავთ.

თავისთავად ეს გარემოება, რომ ქართველ მთარგმნელს არ სცოდნია ზედმიწევნით რომაული კალენდარის ეს თავისებურობა, კალენდებით, ნონებით და იდებით აღრიცხვა, მოულოდნელს არას შეიცავს. საქმე ის არის, რომ იმ ეპოქაში, რა დროსაც ეკუთვნის ჩვენი ტექსტი, აღრიცხვის ეს ძველი ტექნიკა უკვე ხმარებიდან გამოდბოდა. ცნობილია, რომ კალენდა-ნონა-იდებით აღრიცხვაში იბნეოდნენ ზოგჯერ თვით დასავლეთის, ბერძენი და რომაელი მწერლებიც კი, და არა ერთი შეცდომაა დაშვებული ამ ძველი სისტემის გადაყვანის დროს შემდეგდროინდელ ჩვეულებრივ სისტემაზე.

აღუნიშნავთ ამასთანავე, რომ ქართული მწერლობის უძველეს საქართველოს მუხეუმის მთაბზე, VII.

პერიოდში ქართველი ავტორები, როგორც ირკვევა, კარგად ყოფილან გაცნობილი რომაული კალენდარის ამ ტექნიკურ თავისებურობას (კალენდა-ნონა-იდებით აღრიცხვას) და უმრავლეს შემთხვევებში თარიღები სწორად არის გაანგარიშებული¹, მაგრამ იმგვარი შეცდომა, რომელიც მოსვლია ქსესტოს მარტვლობის ძველ ქართველ მთარგმნელს, არ არის ერთად-ერთი მაგალითი; ასე, ჩვენ ქვევით შემთხვევა გვექნება შევეხოთ მეორე ძველ-ქართულს თარგმნილს ჰაგიოგრაფიულს ძეგლს „წამებაჲ სპევსიპსისი, ელასიპსისი და მელასიპსისი“, და იქ ვნახავთ, რომ ორიგინალის გამოთქმა: „XVI Calendas Februarii“ „πρὸς δεκαεξῆ καλεωνῶν φεβρουαρίου“ მთარგმნელს გაუგებროგორც თებერვლის 16 რიცხვი, რაც რასაკვირველია სინამდვილეს არ შეეფერება.

ამ წინასწარ განმარტებათა შემდეგ დაუბრუნდეთ საკითხს, თუ რა დროს უწევდა ძველ-ქართული კალენდარით ახალი წელი და მისი მომდევნო „თ თ უ ჯ ა ხ ა ლ წ ლ ი ს ა ა“.

როგორც გამოირკვა, ქსესტოს და თანამოღვაწეთა მარტვილობის ტექსტის ჩვენება ამ საკითხის გადასატრელად მხოლოდ ერთგვარის შეზღუდვით არის მისჯლები; რაკი ქართველ მთარგმნელს არ სცოდნია ზედმიწევნით რომაული კალენდარის ცალკე დეტალები, თარიღი აქ შესაძლოა მიღებულ იქმნას მხოლოდ ზოგადი რკალის დასადგენად. ამ საერთო ჩვენების თანახმად ქართული კალენდარის ახალი წელი მოდიოდა აგვისტოს თვეში, ანუ უფრო ზედმიწევნით აგვისტოს იდების ახლო დროს (ე. ი. აგვისტოს შუა რიცხვების ახლო დროს). მართალია ძველ ქართველ მთარგმნელს, რომაული აღრიცხვის ტექნიკური დეტალების უცოდნელობის გამო, შეცდომა მოსვლია ცალკე დღეების გაანგარიშებაში, ამიტომ თითონ რიცხვები არაა მისაღები უმეტნაკლებოდ, à la lettre; მაგრამ, რაც მთავარია, აქ ჩვენ გვაქვს დაცული გარკვეული ჩვენება თვის საერთო რკალის შესახებ. ავტორს რამდენჯერმე აქვს აღნიშნული, მოთხრობის სხვადასხვა ადგილას, რომ ახალი წელი აგვისტოს ფარგლებში მოდის, და იგი ქართულ ახალ წელს რომაულ აგვისტოს იდებს, ე. ი. აგვისტოს შუა რიცხვებს უფარდებს.

რაკი, ამ-რიგად, ეს საერთო ჩვენება მოგვეპოვება, ამის შემდეგ ადვილი გასარკვევია, თუ სახელდობრ რა რიცხვში მოდიოდა ქართული „ახალი წელი“. ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ წინა თვე—«არდა-

¹) ასე იხ. მაგალითად პროკოპის მარტვილობა (ზემოთ, გვ. 265—270) და ძველ-ქართული საბეჭთნიერო გამოცემა პავლეს ეპისტოლეთა და მოციქულთა საქმეთა (ამ უკანასკნელს ვეხებით ქვემოთ, მე-VII თავში).—დანარჩენი მარტიროლოგიური ტექსტების თარიღებიც სწორად არის გაანგარიშებული.

დეგისა» უდრიდა ლომის ზოდიაკოს ნიშანს, იწყებოდა 23 ივლისის და სრულდებოდა 22 აგვისტოს. **მაშასადამე 23 აგვისტო არის ძველ-ქართული კალენდარის ახალი წელი.** ამ რიცხვიდან, 23 აგვისტოდან, იწყება მომდევნო „თთუჲ ახალწლისაჲ“, რომელიც გრძელდებოდა 22 სექტემბრამდე, ვიდრე მზე გაივლიდეს ქალწულის ზოდიაკოს ნიშანს.

ეს ჩვენი დასკვნა, რომ „ახალწლის“ თვე უშუალოდ მისდევდა „არდა-დეგის“ თვეს, შესაძლოა სხვა მხრივაც შევამოწმოთ.

ჩვენ უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ ქართული კალენდარის თვე „არდა-დეგისაჲ“ უდრის რიგის მიხედვით სომხური კალენდარის თვეს „ჰროტიც“ და ალვანურს „ბახნეაჲ“. და როგორც ქართულ კალენდარში „არდა-დეგისაჲ“ წლის უკანასკნელი თვე ყოფილა, ასევე სომხურში „ჰროტიც“ და ალვანურში „ბახნეაჲ“—წლის უკანასკნელი თვეებია. ამის შემდეგ დგება ახალი წელი და პირველ თვეს ეწოდება, —სომხურში „ნავასარდ“ და ალვანურში „ნავასარდულ“. განსხვავება ქართულსა და ალვანურ—სომხურს შორის მხოლოდ ტერმინებშია. ქართულში თვის სახელი ძირითადი ქართული სიტყვით არის გაძოხებული—„თთუჲ ახალწლისაჲ“, ხოლო ალვანურსა და სომხურში ეგევე სახელი გადმოცემულია ირანულიდან ნასესხები ტერმინით; „ნავა-სარდ“ სიტყვა-სიტყვით ნიშნავს: „ახალი წელი“¹.

დასასრულ, არაა ინტერესს მოკლებული მოკისხენით აგრეთვე, რომ ქართულს ხალხურ მითოლოგიურ ხასიათის დღეობებში აქამდე შენახულა იმის გამოძახილი, რომ ახალი წელი ძველ-ქართული წარმართული კალენდარით აგვისტოს მეორე ნახევარში, აგვისტოს-სექტემბრის საზღვარზე უწყვედა. (არის მხოლოდ მცირეოდენი მერყეობა დღის რიცხვებში, რაც რასაკვირველია სრულიად ბუნებრივია, თუ მოვიგონებთ, რომ წარმართული კალენდარი ათასეულ წელზე მეტია რაც ოფიციალური ხმარებიდან გამოვიდა). ასე, გურიანში, აგვისტოს უკანასკნელ ღამეს სრულდება ღამისთევა, რომელსაც ეწოდება „დადეგი“. ამ „დადეგთან“ დაკავშირებულს რიტუალსა და მითოლოგიურ წარმოდგენებს („ჭაჭვეთი“ და სხვა) დღემდე შერჩენიათ წარმართული ხასიათი. ანალოგიური ღამისთევეები აგვისტო-სექტემბრის საზღვართან სხვაგანაც სრულდება დასავლეთ საქართველოში (კერძოდ სამეგრელოში—აგვისტოს ნახევრისათვის). თვით სიტყვა „დადეგი“, როგორც ცნობილია, ძველ-ქართულში გვხვდება (იხ. გიორგი მერჩული, ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისაჲ, აკად. ნ. მარრის გამოცემა. TP, VII, თავი იზ, მნ) და ნიშნავს დასაწყისს².

1) ქართულ-ალვანურ-სომხური კალენდარის პარალელების საკითხს ჩვენ ქვემოთ ისევ დაეუბრუნდებით სპეციალურ ექსკურსში.

2) „დადეგის“ ხალხური რიტუალი სჩანს არაა დაკავშირებული ქრისტიანულ კალენდარის „ინდიკტიონის დაწყებასთან“ (იხ. გიორგი მთაწმიდელის სვნაქსარი და სხვ.), რადგან ასეთ შემთხვევაში „დადეგის“ ადგილობრივი სპეციფიკური წარმართული ელემენტები აუხსნელი იქნებოდა. „დადეგის“ ღამისთევის წარმოშობის საფუძველი წარმართული კალენდარის მითოლოგიურ ციკლში უნდა ვეძიოთ.

*

10. «თთუჲ სთუელისაჲ».

საკალენდრო ტერმინი „სთუელი“ ძველ-ქართულში ორგვარი მნიშვნელობით გვხვდება:

ა) „სთუელი“ ეწოდებოდა წელიწადის ერთს სეზონს, და აღნიშნავდა იმავე ცნებას, რასაც ეხლანდელი: შემოდგომა.

ბ) ამავე დროს, როგორც ეს ირკვევა ძველ-ქართული მწერლობის ძეგლებიდან, არსებული ცალკე თვე, რომელსაც მიკუთვნებული ჰქონია სახელი: «თთუჲ სთუელისაჲ».

ეს თვე მოხსენებულია ორს ძველ-ქართულს ჰაგიოგრაფიულ მოთხრობაში.

პირველი მათგანია «წამებაჲ... კალისტრატსი და მისთანთა სხუათა ორმოც-და-ცხრათაჲ», სადაც ავტორი წამების თარიღად აღნიშნავს:

«თთუესა სთუელისასა ოცსა»¹.

მეორე ტექსტია—ქრისტეფორეს და მისთა მოყვასთა მარტვილობის პირველი ვერსია, სადაც მარტვილთა ერთი ჯგუფის წამება აღნიშნულია

«თთუესა სთუელისასა ოც-და-ხუთსა»².

თუ რა თარიღს შეიცავდა «თთუჲ სთუელისაჲ, ამის დასადგენად საჭიროა ჯერ გავითვალისწინოთ ზოგადი ჩვენება: რაკი შემოდგომას ეწოდებოდა საერთოდ „სთუელი“, ცხადია ეს „თთუჲ სთუელისაჲ“ მოქცეული ყოფილა შემოდგომის ფარგლებში, წარმოადგენდა შემოდგომის ერთ-ერთი თვის სახელწოდებას, რომლის სახელიც შემდეგ მთელი შემოდგომის სეზონზე გავრცელებულა.

შემოდგომის სეზონი იწყება დღე-ღამის გასწორების გარკვეული წერტილიდან; როდესაც მზე დაასრულებს გზას „ქალწულის“ ზოდიაკოზე, და მიაღება „სასწორის“ ზოდიაკოს საზღვარს; ამ წერტილთან, რომელიც ძველ-ქართული ზოდიაკალური ქრონოლოგიით 23 სექტემბრის მიჯნაზე უწევს, ხდება „შემოდგომის ბუნიობა“ (დღე-ღამის სწორება) და იხსნება შემოდგომის სეზონი.

¹) იხ. ხელნაწერი საქართველოს მუზეუმისა, № 341, გვ. 801.

²) იხ. ხელნაწერი საქართველოს მუზეუმისა, № 535, გვ. 157ა. (ხელნაწერში სწერია „სთუელისასა“—ნაცვლად „სთუელისასა“).

რკალი შემოდგომის ცალკე თვეებისა, ზოდიაკალური ქრონოლოგიის თანახმად, შემდეგია:

თვეები:	შეფარდება შემდეგი ზოდიაკოს ნიშნებს:	დრო:
1. პირველი თვე	„სასწორი“	23 სექტემბრიდან - 22 ოქტომბრამდე
2. მეორე თვე	„ღრიანკალი“	23 ოქტომბრიდან - 21 ნოემბრამდე
3. მესამე თვე	„მშვლდოსახი“	22 ნოემბრიდან - 21 დეკემბრამდე

რომელია შემოდგომის ამ სამ თვეთა შორის ის თვე, რომელსაც ერქვა «თთუშ სთუელისაჲ».

ირკვევა, რომ თთუშ სთუელისაჲ ყოფილა პირველი თვე.

ამას ადასტურებს შემდეგი:

1. ტერმინი „სთუელი“ (=სტჷელი), როგორც სპეციალურად თვის სახელწოდება (და არა მთელი სეზონისა) დღემდე შენახულა ერთ-ერთ ქართველურ ენაკავში, სახელდობრ ჭანურში, და შეიცავს ოქტომბრის თვის რკალს. ამ-რიგად, აღნიშნული სამი თვიდან იგი უდგება პირველ თვეს, რომლის ფარგლებშიაც, ზოდიაკალური ქრონოლოგიის თანახმად, მოქცეული იყო უმთავრესად ოქტომბერი (დრო 23 სექტემბრიდან—22 ოქტომბრამდე).

2. ამას გარდა, თარიღი სთუელის თვისა სრულის ზედმიწევნილობით ირკვევა აგრეთვე თითონ პირდაპირი შინაარსიდან ამ სიტყვისა: „სთუელი“ - ეს სიტყვა „სთუელი“ (=რთველი), როგორც ცნობილია, სპეციალურად აღნიშნავს ცნებას: ყურძნის კრეფა. ასეთი მნიშვნელობა აქვს ამ სიტყვას როგორც ახალ-ქართულში, ისე ქველ-ქართულში, რაც დასტურდება უძველესი ტექსტების ჩვენებით, და მათ შორის ბიბლიის ქველ-ქართული ვერსიით. ამ-რიგად „თთუშ სთუელისაჲ“ ნიშნავს: „თვე ყურძნის კრეფისა“, და ცხადია იგი შეიცავდა სექტემბრის ბოლო რიცხვებს და ოქტომბრის პირველ ათეულებს, რომლის ფარგლებშიაც უწევს თვით „სთუელი“=რთველი=ყურძნის კრეფის დრო.

საკითხი ამის შემდეგ გამორკვეულად ჩითვლება და თარიღი სთუელის თვისა ამ-რიგად ყოფილა პირველი თვის რკალი, რომელიც უდრიდა „სასწორის“ ზოდიაკოს ნიშანს, იწყებოდა 23 სექტემბრიდან და სრულდებოდა 22 ოქტომბერს.

აქედან ცხადი ხდება, აგრეთვე, რომ სახელწოდება თვისა „ღვინობის თვე“, რომელიც ეხლანდელს ხალხურ კალენდარში გვხვდება, დაკავშირებულია ქველ-ქართული კალენდარის სახელწოდებასთან „სთუელის თთუშ“ (=ყურძნის კრეფის თვე=ღვინობის თვე). უდგება როგორც ტერმინის პირდაპირი შინა-

არსი, ისე თარიღიც. (მკითხველისათვის რასაკვირველია ცხადია, რომ ის მცირედენი სხვაობა დღის რიცხვებში, რომელსაც წარმოგვიდგენს ძველი „სთუელის თთუპ“ და ეხლანდელი „ღვინობის-თვე“, აიხსნება კალენდრის „სტილის“ შეცვლით: ეხლანდელი სათვალავი შეფარდებულია რომაულ „სტილთან“, რაც იძლევა ძველ-ქართული კალენდარის „სტილთან“ შედარებით რვა დღით სხვაობას. ამის გამო ეხლანდელი „ღვინობის-თვე“ იწყება 1 ოქტომბერს, ხოლო ძველი „ღვინობის-თვე“ — „სთუელის თთუპ“ იწყებოდა ზოდიაკალური ქრონოლოგიით 8 დღით ადრე, 28 სექტემბრიდან).

ამის თანახმად, კალისტრატეს მარტივილობაში მოხსენებული 20 რიცხვი სთუელის თვისა უდრის 12 ოქტომბერს, ხოლო ქრისტეფორეს მარტივილობის ტექსტში აღნიშნული 27 რიცხვი სთუელის თვისა უდრის 19 ოქტომბერს.

*

ამ ტექსტების (კალისტრატეს მარტივილობის და ქრისტეფორეს მარტივილობის) შესახებ აქ ვურთავთ ზოგიერთს სპეციალური წასიათის შენიშვნებსაც.

А. К а л и с т р а т е ს მ ა რ ტ ვ ი ლ ო ბ ა. ამ ძველის შესახებ ჩვენ უკვე გვექონდა საუბარი (იხ. ზევით, გვ. 279—280). ეს ძველი, როგორც აღვნიშნეთ, ქართული მწერლობის არქაულ პერიოდს ეკუთვნის, ყველა ნიშნებით მე-ნ საუკუნეს, და განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის იმ მხრით, რომ ამ თხზულებას გავლენა მოუხდენია გამოჩენილ ძველ-ქართველ მწერალზე, ევსტათი მცხეთელის ბიოგრაფზე.

კალისტრატეს მარტივილობა თარგმნის თხზულებას წარმოადგენს, მაგრამ არიგინალი, საიდანაც მომდინარეობს ქართული ტექსტი, არ მოღწეულა ჩვენამდე პირვანდელის სახით. ბერძნულს ენაზე მოიპოვება ამ თხზულების მხოლოდ შემდეგდროინდელი გადაკეთებული ვერსია, ეგრეთწოდებული «მეტაფრასი» (იხ. *Migne Cursus compl. Patrologiae*, t. 115). სომხურს ენაზე დაცულია «კიმენი», მაგრამ ისიც მთელ რიგ ხაზებში გადაკეთებულ ვარიანტს შეიცავს (*Վարդ և վկայաբանութիւնք սրբոց*, ნაკვეთი I, ვენეტიკი, 1874, გვ. 656—686). ამას გარდა სხვადასხვა ენებზე მოიპოვება მოკლე სვინაქსარული მოსახსენებლები, რომელთაგან ცალკეა აღსანიშნავი ლათინური ტექსტი ბარონისეული მარტიროლოგისა.

კერძოდ კალისტრატეს მარტივილობის თარიღის შესახებ საჭიროა შემდეგი აღვნიშნოთ.

ბერძნულ «მეტაფრასში» ქრისტეფორეს მარტივილობის თარიღად ნაჩვენებია 27 სექტემბერი. ამასვე უდგება ზოგიერთი სვინაქსარული ტექსტების ჩვენება და აგრეთვე სომხური კიმენის თარიღიც¹.

მეორე წყების წყაროში, ლათინურს ბარონისეულ მარტიროლოგში თარიღად ნაჩვენებია 26 სექტემბერი.

ხოლო ქართულ ტექსტში წამების თარიღად აღნიშნულია სთუელის თვის 20 რიცხვი, რაც უდრის 12 ოქტომბერს.

1) კერძოდ სომხურს კიმენში თარიღად ნაჩვენებია 27 რიცხვი „პორის თვისა“. სომხური კალენდარი, როგორც ცნობილია, მოძრავ ციკლს შეიცავს, მაგრამ შეხვედრა თვის რიცხვისა (27-ისა) გვიჩვენებს, რომ სომხური კიმენის თარიღი მომდინარეობს ბერძნული პირველწყაროს თარიღიდან: 27 სექტემბერი.

ეს თარიღები, რომლებიც კალისტრატეს შესახებ გვაქვს (26—27 სექტემბერი უცხოური წყაროებისა და 12 ოქტომბერი ძველ-ქართული ტექსტისა) ყველა უწევს სთუელის თვის იმ ფარგლებში, რაც ზევით იყო გამოჩვენებული (ე. ი. 23 სექტემბერსა და 22 ოქტომბერს შუა).

რაც შეეხება რიცხვების განსხვავებას, ეს შეიძლება აიხსნას ან იმით, რომ აქ სხვადასხვანაირი ტრადიციებია დაცული, მით უფრო რომ ძველ-ქართული ტექსტი დამოუკიდებელ ვერსიას წარმოადგენს. (ჰაგიოგრაფიულ მწერლობაში, როგორც ცნობილია, ხშირი მოვლენაა ტრადიციების სხვაობა, და ერთი და იმავე მარტივლის ხსენება, სხვადასხვა წარმოშობის ქეგლებში, ზოგჯერ სხვადასხვა თარიღით არის ხოლმე აღნიშნული).

მაგრამ შესაძლოა დაუშვათ მეორე შესაძლებლობაც, რომ განსხვავება რიცხვებისა აიხსნება არა ტრადიციის სხვაობით, არამედ უბრალო lapsus-ით, რომ რიცხვები აქ გადამახინჯებულია ტექსტის არა ერთგვისის გადაწერის დროს საუკუნეთა განმავლობაში. საფიქრებელია, რომ უფრო სწორია ეს მეორე შესაძლებლობა და აი რატომ. კალისტრატეს მარტივობის ძველი ქართული ტექსტი, რომელიც მეხუთე საუკუნის ძველს წარმოადგენს, მოღწეულა გვიანი პირის, მეათე საუკუნის ერთად-ერთი ხელნაწერის სახით (№ 341), და აქ როგორც აღვნიშნეთ სწერია: „თთუესა სთუელისასა ო ც ს ა“, მაგრამ თავდაპირველ დედანში შესაძლოა წერებულყო „თთუესა სთუელისასა ო თ ხ ს ა“. საქმე ის არის, რომ ასოთა მსგავსების გამო ძველ-ქართულს დამწერლობაში, როგორც ასომთავრულში, ისე ნუსხურში, ტექსტების გამკრთალების დროს ადვილად ხდება არევა სიტყვებისა: „ოთხსა“ და „ოცსა“. (კერძოდ ასომთავრულში ადვილად ასარეგია, მკრთალად დაცულ ტექსტში, ასოები „თ“ და „ც“, ხოლო ნუსხურში „ხ“ და „ც“). ასეთი შემთხვევა „ოთხსა“ და „ოცსა“ არევისა სხვაგანაც გვხვდება სწორედ იმავე ხელნაწერში № 341. ასე, ბარბარეს მარტივობა ამ ხელნაწერში აღნიშნულია დეკემბრის „ო ც ს ა“, იმ დროს როდესაც უნდა იყვეს დეკემბრის „ო თ ხ ს ა“. (იმავე ტექსტის მეორე პირში, რომელიც დაცულია სიძველეთა მუზეუმის ხელნაწერში № 95, ბარბარეს მარტივობა სწორად არის ნაჩვენები—დეკემბრის ო თ ხ ს ა; და საერთოდ ჰაგიოგრაფიაში, როგორც ცნობილია, ბარბარეს მარტივობის თარიღად დეკემბრის ო თ ხ ი ა მიღებული).

საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ არევა დამწერლობისა: „ოთხსა“ და „ოცსა“ ხშირ მოვლენას წარმოადგენს ძველ-ქართულ ხელნაწერებში. აღვნიშნავთ აქ ამის მეორე მაგალითსაც. იოანე ზედაზნელის ბიოგრაფიის ბოლოსიტყვაობაში ნათქვამია, რომ ეს თხზულება დასწერა არსენიმ „შემდგომად ოთხას ო თ ხ ს ა წლისა“ იოანეს გარდაცვალებიდან. ასე იკითხვის ეს თარიღი ხელნაწერთა ერთ წყებაში. ხოლო ანა-დედოფლისეულ ხელნაწერში სწერია: „შემდგომად ოთხას ო ც ი ს ა წლისა“, ე. ი. აქაც არეულია „ო თ ხ ს ა“ და „ო ც ი ს ა“.

(უნდა აღვნიშნოს ამასთან, რომ როდესაც ძველ-ქართულ ხელნაწერებში გვაქვს მერყეობა „ოთხსა“ და „ოცსა“ შორის, პირვანდელია ამ შემთხვევაში „ოთხი“: ასომთავრულსა და ნუსხურს დამწერლობაში, ტექსტის გამკრთალების დროს „ოთხსა“ ადვილად შესაძლოა წაკითხულ იქმნას როგორც „ოცსა“, და არა პირიქით).

ამ-რიგად, თუ ეს კონიექტურა ტექსტისა სწორია, და კალისტრატეს მარტივობის ტექსტში თავდაპირველად იკითხვოდა არა „თთუესა სთუელისასა ო ც ს ა“ არამედ „თთუესა სთუელისასა ო თ ხ ს ა“, მაშინ ქართული ტექსტის თარიღი უდ-

გება უცხოურ ტექსტებს, არა მარტო თვის საერთო ფარგლებით, არამედ დღეების სათვალავითაც. სთუელის თვის 4 რიცხვი, ზოდიაკალური ქრონოლოგიის თანახმად, უდრის 26 სექტემბერს, ე. ი. აქ ჩვენ გვაქვს იგივე რიცხვი, რაც რომაულს მარტიროლოგში.

ეს რაც შეეხება კალისტრატეს მარტივილობას. —

B. მეორე ტექსტის, ქრისტეფორეს მარტივილობის პირველი ვერსიის შესახებ. აქ სიტყვის გაგრძელება აღარ მოგვიხდება. შედარება ამ ნაწარმოებისა სხვა ენებზე ცნობილ ქრისტეფორეს მარტივილობის ვერსიებთან გვიჩვენებს, რომ ქართული ტექსტი უნიკალური ძეგლია, მოთხრობა აქ სხვანაირად არის დამუშავებული და ამ ქართული ვერსიის ზუსტი პარალელი სხვა ენებზე არ მოიპოვება¹. ამის გამო საუბარი თარიღების შედარებაზე აქ ხედმეტი ხდება, ვიდრე არ აღმოჩნდება ქართული ტექსტის პირველწყარო.

*

დასასრულ აქ ცალკე შევჩერდებით ერთს ძველ-ქართულ მარტიროლოგიურ თხზულებაზე, რომელიც შეიცავს მოთხრობას კოზმან-დამიანეს შესახებ. ამ თხზულების პირვანდელ ტექსტში, როგორც ირკვევა, აგრეთვე მოხსენებული ყოფილა „თთულს სთუელისაჲ“; ამას ადასტურებს ერთი გადაწაშთი, რომელსაც ჩვენ ამ ძეგლში ვპოულობთ.

ეს თხზულება ორნაირად არის ჩვენთვის საინტერესო. ჯერ ერთი, იგი იძლევა საშუალებას მოვახდინოთ საკონტროლო შემოწმება, თუ სახელდობრ რა რიცხვებში იწყებოდა და სრულდებოდა სთუელის თვე. ამას გარდა ეს თხზულება თავისთავადაც ყურადღებას იქცევს თავისი განსაკუთრებული სიძველით. ზოგიერთ მოსაზრებათა გამო, რაც აქ იქნება წარმოდგენილი, საფიქრებელია, რომ ეს მოთხრობა უფრო ადრინდელი დროის ძეგლია, ვიდრე შუშანიკის მარტივილობა (ე. ი. ეკუთვნის მე-5 საუკუნის 70-იან წლებზე უწინარეს ხანას).

ჯერ შევჩერდებით ტექსტის საკითხზე.

ანალიზი კოზმან-დამიანეს ტექსტისა გვიჩვენებს, რომ ერთი ადგილი ამ მოთხრობისა, სადაც მოხსენებული ყოფილა ძველ-ქართული წარმართული თვის სახელი, გადასწორებულია. ვიდრე გამო-

¹) კერძოდ ბერძნული ტექსტი, რომელიც გამოცემულია *Analecta Bollandiana*-ს სერიაში (I, 122—148), უდგება ქრისტეფორეს მარტივილობის არა იმ ქართულ მოთხრობას, რომელზედაც აქ გვაქვს საუბარი, არამედ მეორე ქართულს ტექსტს, რომელიც მოიპოვება საქ. მუზეუმის ხელნაწერში № 341. რაც შეეხება სომხურ ვერსიას (*Վարդ և վկայաբանութիւնք սրբոյ*, ნაკვეთი II, ვენეტიკი, 1874, გვ. 527—533), იგი შეიცავს მოკლე სვინაქსარული ტიპის გამოკრებილ მოთხრობას, და აქ სრულიად არ არის თავი „ბევრთა ახლად მოქცეულთა“ შესახებ, სადაც ქართულს ტექსტში წარმოდგენილია თარიღი სთუელის თვისა.

ვარკვევდეთ იმ ცვლილებას, რომელიც მოუხდენიათ ტექსტში, თავდაპირველად განვიხილავთ შუშანიკის მარტვილობის 'კალენდარულ ჩვენებებს.

შუშანიკის მარტვილობაში ჩვენ შემდეგი თარიღები გვაქვს:

„და არს დასაბამი ტანჯვათა მათ წმიდისა შუშანიკისათაჲ ხოთუესა აპნისისასა, მერვესა თთვსასა და დღესა ოთშაბათსა. და მეორედ გუემაჲ მისი აღვსებისა ზატიკსა. და კუალად ტანჯვაჲ ვარდობისა - თთუესა ათცხრამეტსა. და აღსრულებჲა მისი თთუესა ოკდონბერსა ათშვდმეტსა, საკსენებელსა წმიდათა მათ და სანატრელთა მოწამეთა კოხმან და დამიანესა, და დღს ხუთშაბათი იყო, რომელსა განვაწესეთ საკსენებელი წმიდისა შუშანიკისი“¹.

შუშანიკის მარტვილობა, როგორც ცნობილია, დაწერილია 472—483 წლებს შორის, და ბუნებრივია, რომ აქ თარიღები ძველ-ქართული წარმართული კალენდარის თანახმად არის აღნიშნული („თთუჲ აპნისისაჲ“, „ვარდობის-თთუჲ“). რომაული კალენდარი საქართველოში, როგორც გამოჩვენებულია, ბევრად გვიან, მე-6—7 საუკუნის საზღვარზე შემოვიდა. მართალია შუშანიკის მარტვილობაში გვხვდება ერთხელ რომაული აღრაცხვაც (17 ოკდონბერი), მაგრამ რასაკვირველია ცხადია, რომ ტექსტი ამ ადგილას შემდეგ არის შესწორებული და რომაულ სათვალავზე გადაყვანილია ძველ-ქართული თარიღი. 17 ოკტომბერი უდრის, ძველ-ქართული კალენდარის თანახმად, სთუელის თვის 25-ს, და შუშანიკის მარტვილობის სათანადო ადგილას, 17 ოქტომბრის ნაცვლად, უნდა წერებულყო თავდაპირველად: „თთუესა სთუელისასა ოც-და-ხუთსა“.

აქ მხოლოდ შესაძლოა აღიძრას კითხვა იმის შესახებ, თუ რისთვის მხოლოდ ეს ერთი ადგილი შეასწორეს რომაული სათვალავის თანახმად (სთუელის-თვის 25 რიცხვი—ოქტომბრის 17 რიცხვად), ხოლო დანარჩენი ძველ-ქართული თარიღები (აპნისის 8, ვარდობის-თვის 19) უცვლელად დასტოვეს.—მაგრამ ეს გასაკვირია, საქმე ის არის, რომ სთუელის თვის 25 (=17 ოქტომბერი) არის თარიღი შუშანიკის გარდაცვალებისა და სწორედ ეს დღე იყო დაწესებული შუშანიკის დღეობის გადასახდელად. ასე რომ ყველა იმ თარიღებიდან, რომელიც მოხსენებულია შუშანიკის მარტვილობაში, ლიტურგიული პრაქტიკისათვის მნიშვნელობა ჰქონდა მხოლოდ ამ უკანასკნელს, რადგან იგი უჩვენებდა, თუ რა დღეს მოდიოდა შუშა-

1) იხ. გვ. 22—23 (ს. გორგაძის გამოცემა).

ნიკის დღესასწაული. ამიტომაც შემდეგდროინდელ გადამწერს, როდესაც რომაული კალენდარი დაკანონდა ჩვენში და საყოველთაო ხმარებაში შემოვიდა, სწორედ ეს თარიღი, რომელსაც პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა, გადაუსწორებია რომაული სათვალავის თანახმად.

განვიხილოთ ამის შემდეგ მეორე ტექსტი, კოზმან-დამიანეს მოთხრობა.

შუშანიკის მარტვილობის ტექსტის ჩვენება გვაფიქრებინებს, რომ იმ დროს, როცა შუშანიკის მარტვილობა იწერებოდა, ქართულს ენაზე უკვე უნდა არსებებულიყო კოზმან-დამიანეს მოთხრობის ვერსია. ყოველ შემთხვევაში კოზმან-დამიანეს სახელი ავტორს ისეთს კონტექსტში აქვს მოხსენებული, რომ იგი მას ქართველი მკითხველისათვის ცნობილად მიაჩნია.

და გარეშეც ამ ჩვენებისა, კოზმან-დამიანეს მოთხრობის არსებობა ქართულად ამ დროისათვის ისედაც მოსალოდნელია. იმავე შუშანიკის მარტვილობის სხვა ცნობის თანახმად ქართულს ენაზე ამ დროს უკვე არსებულა მარტვილთა აქტების კრებული („წიგნი მოწამეთანი“)¹, და ძნელი საფიქრებელია, რომ აქ არ ყოფილიყო შეტანილი ისეთ პოპულარულ მოწამეთა ცხორება, როგორც კოზმან-დამიანე².

შენახულა თუ არა კოზმან-დამიანეს მოთხრობის ძველი ვერსია?

საქართველოს მუზეუმის ხელნაწერებში № 341 და 535, სადაც მოთავსებულია მთელი რიგი იმ უძველესი ტექსტებისა, რომელთა შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი, მოიპოვება, სხვათა შორის, კოზმან-დამიანეს მოთხრობაც.

ამ მოთხრობაში რომაული საკალენდარო ტერმინოლოგია არის შილებული და ამის მიხედვით თითქო უნდა გვეფიქრა, რომ ეს ტექსტი მე-9 საუკუნეზე გვიანდელი უნდა იყოს. — მაგრამ ტექსტში შერჩენილა გადანაშთი, საიდანაც ცხადი ხდება, რომ რომაული აღრიც-

¹) იხ. იქვე, გვ. 7.

²) არაა ამასთან ინტერესს მოკლებული აღვნიშნოთ აქ ისიც, რომ სხვა შემთხვევაშიაც შუშანიკისა და კოზმან-დამიანეს სახელები ერთად არის მოხსენებული. ასე, ჰაგიოგრაფიულ კრებულში № 341 (ხელნაწერი საქართველოს მუზეუმისა), რომლის ძირითადი ნაწილი ხანმეტური ეპოქიდან მომდინარეობს, ერთ სათაურად აღნიშნულია: „თთუესა ოკდონბერსა იხ (ათშვდმეტსა) წათა კოზმანსი და დამიანესი და წისა შუშანიკისი“ (იხ. გვ. 416). თვით კრებულში მარტო კოზმან-დამიანეს მოთხრობაა მოყვანილ, მაგრამ ეს საერთო სათაური გვიჩვენებს, რომ ძველად შუშანიკის და კოზმან-დამიანეს მარტვილობანი ერთ კრებულში ყოფილა შესული.

ხვა აქ შესწორებას წარმოადგენს და თარიღები თავდაპირველად ძველ-ქართული წარმართული კალენდარის თანახმად ყოფილა ნაჩვენები.

მოთხრობის ტექსტში კოზმან-დამიანეს წამება აღნიშნულია „ოც-და-ხუთსა ოკდონბერისასა“¹.

ასეთი დათარიღება უცნაურია. კოზმან-დამიანეს წამების თარიღად ქრისტიანულ ჰაგიოლოგიაში ჩვეულებრივ ცნობილია 17 ოქტომბერი, და ამ თარიღს, 17 ოქტომბერს, შუშანიკის მარტივლობის გარკვეული ცნობაც ადასტურებს. კოზმან-დამიანეს მოთხრობის არც ერთ ვერსიაში ასეთი თარიღი 25 ოქტომბერი არ მოიპოვება².

მაშ საიდან გაჩნდა აქ ეს თარიღი, 25 ოქტომბერი?

არაა დიდი გონებამახვილობა საჭირო იმის გამოსაცნობად, რომ ტექსტი აქ წარმოადგენს ძველ-ქართული აღრიცხვის გადასწორების შედეგს. 17 ოქტომბერი, როგორც გამოჩვენებული ვეჭონდა, უდრის ქართული „სთუელის თთვს“ სწორედ 25 რიცხვს.—ცხადია შემდეგ-დროინდელს გადამწერს, იმ ხანაში როდესაც რომაული ზვეთა-აღრიცხვა საყოველთაო ხმარებაში შემოვიდა, ძველ-ქართული „სთუელის თთუე“ გადაუკეთებია ოქტომბერად, რადგან ეს უფრო გასაგები იყო მკითხველისათვის. მაგრამ გადამწერს ის კი აღარ სცოდნია, რომ ძველ-ქართული კალენდარის სტილი განსხვავდებოდა რომაულისაგან დღეების სათვალავში და ამიტომ რიცხვი 25 გადაუსწორებულად დაუტოვებია.

¹) იხ. ხელნაწერი № 341, გვ. 342. (ხელნაწერს № 535 აკლია ბოლო).

²) თარიღი 17 ოქტომბერი ჩვენ გვხვდება როგორც შუშანიკის მარტივლობაში, ისე ყველა ძველ-ქართულ ტექსტებში, რომლებიც კოზმან-დამიანეს ეხება: «დიდ კანონში» მე-8 საუკუნისა (—იხ. დიდი კანონის ძველ-ქართული ხელნაწერი, რომელიც პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკას ეკუთვნის, და რომლის ფოტოგრაფიული პირი საქართველოს მუზეუმში მოიპოვება), მიქაელ მოდრეკილის იადგარში მე-10 საუკუნისა, იელის იადგარში მე-10 საუკუნისა (ხელნაწერი დაცულია სვანეთში); ამას გარდა თვით იმ ხელნაწერებში, სადაც მოთავსებულია კოზმან-დამიანეს მარტივლობის აქტები (№ 341 და 535) ხელნაწერში აღნიშნულია იგივე თარიღი—17 ოქტომბერი. ამრიგად ძველ-ქართულმა მწერლობამ სხვა ტრადიცია გარდა 17 ოქტომბრისა არ იცის.

იგივე თარიღი, 17 ოქტომბერი, ჩვენ გვხვდება აგრეთვე კოზმან-დამიანეს აქტების ძველს პირვანდელ ტექსტში, რომელიც გამოცემულია Acta Sanctorum-ის სერიაში (Oct., გვ. 428 ზდდ.).

შემდეგდროინდელ სხვადასხვა მოსახსენებლებში (სვინაქსარებში და სხვა) მართალია ადგილი აქვს თარიღების მერყეობას (იხ. Сергий, Полный Месяцеслав Востока, II, ნაწ. I, გვ. 321, 17 ოქტომბრის ქვეშე), მაგრამ არც ერთ ტექსტში ასეთი თარიღი—25 ოქტომბერი არ მოიპოვება.

აი ამ გზით წარმომდგარა ის შეუსაბამობა, რომელსაც დღეს კოზმან-დამიანეს მოთხრობის თარიღში ვხედავთ და ნაცვლად „ოც-და-ხუთსა ოკდონბერისასა“ თავდაპირველ დედანში ცხადია ეწერა: „ოც-და-ხუთსა სთუელისა თთჳსესა“.

ეს ისტორია, რაც გამოირგვა კოზმან-დამიანეს და შუშანიკის მარტვილობის თარიღების შესახებ, ანგარიშ-გასაწევია, როცა ძველ ტექსტებს ვიკვლევთ. ძველების ერთ წყებაში, როგორც სჩანს, თარიღები შესწორებულია და ძველი ტექსტები შესაძლოა აღმოჩნდეს ისეთ ძველთა შორისაც, სადაც დღეს რომაული აღრიცხვა გვხვდება.

ამასთან, კოზმან-დამიანეს მოთხრობა, რომლის შესახებ აქ გვქონდა საუბარი, სჩანს უფრო ძველ ტექსტს წარმოადგენს ვიდრე შუშანიკის მარტვილობა. ეს ფრკვევა არა მხოლოდ იმის მიხედვით, რომ მასში წარმართული ქართული საკალენდრო ტერმინოლოგია მოიპოვება და რომ ჩვენება კოზმან-დამიანეს შესახებ ჩართულია შუშანიკის მარტვილობაში, არამედ ამასვე ეთანხმება და ადასტურებს თვით ამ თხზულების არქაული ხასიათი.

10 ა. ძველ-ქართული, სომხური და ალვანური კალენდრების პარალელები.

ძველ-ქართული კალენდარის სთუელის თვის თარიღის საკითხთან დაკავშირებით აქ საჭიროა შევხებით იმ პარალელებსაც, რომელსაც შეიტყავს სხვა ძველი კავკასიური კალენდრები: სომხური და ალვანური.

ძველ-ქართულსა, სომხურსა და ალვანურში ჩვენ გვაქვს შემდეგი თანამიმდევრობა თვეებისა ახალწლის თვის შემდეგ:

ქართული:	სომხური:	ალვანური:
1. ახალ-წლისაჲ	1. ნავა-სარდ	1. ნავასარდულ
2. სთუელისაჲ	2. ჰორი	2. ტულჴნ

პირველი თვის სახელი სომხურსა და ალვანურში ჩვენ უკვე განხილული გვქონდა. „ნავა-სარდ“ ირანულიდან შეთვრისებული ტერმინია და სიტყვა-სიტყვით ნიშნავს ახალ-წელს. ამ-რიგად სახელწოდებანი პირველი თვისა სომხურსა და ალვანურში თავისი შინაარსით უდგება ქართულს, სამივე კალენდარი აქ გადმოგვცემს ერთსა და იმავე კნებას.

ამის შემდეგ გამოსარკვევია, თუ რას ნიშნავს მეორე თვის სახელი, — სომხური კალენდარისა: ჰორი (*հորի*), და ალვანური კალენდარისა: ტულჴნ (ტულეჴნ, resp. ტულჴნ), რომლებიც რიგის მიხედვით შეეფარდებიან ქართული კალენდარის სთუელის თვისს.

ჯერ ალვანური ტერმინის შესახებ.

ერთს ჩვენს გამოკვლევაში („კავკასიის ალვანთა დამწერლობის ძეგლი“), სადაც განხილული გვაქვს ჩვენ დრომდე მოღწეული ორ-ენიანი ქართულ-ალვანური წარწერა, ჩვენ დადგინილი გვაქვს, რომ თანამედროვე უდური ენა არის უშუალო მემკვიდრე ალვანთა მთავარი ენისა, (ე. ი. იმ ენისა, რომელიც მრავალ-დიალექტიან ალვანიაში სახელმწიფოებრივ ენას წარმოადგენდა და რომელზედაც არსებობდა ალვანური მწიგნობრობა) ¹.

ეს დებულება, რომელიც ჩვენ დადგინილი გვქონდა ალვანური წარწერის დეშიფრირების საფუძველზე, ახალ დადასტურებას პოულობს ალვანური კალენდარის შესწავლის ხაზით. ირკვევა ახალი, უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტი ალვანური პრობლემის გადასაჭრელად: ალვანური თვეების ძირითადი სახელები (ე. ი. ისეთი სახელები, რომლებიც არაა ნასესხები ირანულიდან, ან სხვა კალენდრებიდან), პოულობენ ახსნას უდურ ენაში.

ეს საკითხი მთელის მოცულობით განხილული გვაქვს ქვემოთ, სპეციალურ ექსკურსში, და აქ შევჩერდებით უმთავრესად თვის სახელზე „ტულჰნ“, რამდენადაც ამას კავშირი აქვს ქართული კალენდარის სთუელის თვის დათარიღებას საკითხთან.

სახელწოდება ალვანური თვისა „ტულჰნ“ („ტულენ“) უდური ენის ნიადაგზე იხსნება.

უდურ ენაში „ტულ“ ნიშნავს: ყურძენი; „ტულენ“ — ყურძნოვანი.

ამ-რიგად ძველი ალვანური თვის სახელი „ტულჰნ“ („ტულენ“) გამოხატავდა იმავე ცნებას, რასაც ძველ-ქართული კალენდარის სთანადო თვის სახელი: „თთუჰ სთუელისაჲ“, ე. ი. თვე ყურძნისა, ყურძნის კრეფისა.

და რაც მთავარია, ჩვენ აქ გვაქვს შეფარდება არა მარტო თვეების სახელწოდებათა მნიშვნელობისა, არაჲდ თვეების რიგისა: როგორც ვნახეთ, ქართულში, ისევე როგორც ალვანურში, ამ თვეებს, თანრიგის მიხედვით, მიეკუთნება მეორე ადგილი ახალწლის თვის შემდეგ.

კითხვა ყოველმხრივ დადგენილია. შეხვედრა თვეების თანრიგისა, ისე მათი მნიშვნელობისა, და ამავე დროს ალვანური და უდური ლექსი-

¹) ეს გამოკვლევა „კავკასიის ალვანთა დამწერლობის ძეგლი“ წაკითხული იყო მოხსენების სახით საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საჯარო სხდოვაზე 15 იანვარს 1927 წელს. (ანგარიში გამოქვეყნებული იყო პრესაში). გამოკვლევა ახლო ხანში ცალკე წიგნად გამოვა.

კალური პარალელიზმი იმდენად ხუსტია, — რომ იგივეობა ამ ტერმინებისა „სთუელისაჲ“ = „ტულს“ გამორკვეულად უნდა ჩაითვალოს.

აქედან კი გამომდინარეობს შემდეგი დასკვნები:

ა) უღური ენა, სჩანს, უშუალო მემკვიდრეა ალვანური ენისა. ამასთან დაკავშირებით საჭიროა აღინიშნოს, რომ არცერთს სხვა აღმოსავლეთ-კავკასიურ ენაში, რომლებშიაც ეძებდენ ალვანური ენის მემკვიდრეს, სიტყვა „ტულ“ არ ნიშნავს ყურძენს.

კერძოდ ავარულ (ხუნძურ) ენაში ყურძენი აღინიშნება ამ სიტყვით: „წიბილ“.

კიურულ (ლეზგურ) ენაში: „წიფიწ“.

ლაკურ ენაში: „თუთა“.

დარგუას ენაში აგრეთვე: „თუთზ“.

ამგვარადვე სხვა აღმოსავლეთ-კავკასიურ ენებში და ენაკავებში, სიტყვები, რომლებიც აღნიშნავენ ცნებას „ყურძენი“, განირჩევა ალვანურ-უღური ტერმინისაგან „ტულ“.

აქ საჭიროა ხაზი გაუსვათ შემდეგ გარემოებასაც:

როდესაც ჩვენ ვაღარებთ ალვანურსა და სხვა კავკასიურ ტერმინებს, ნხედველობაში უნდა იყვეს მიღებული სიტყვების ისტორიულად ჩამოყალიბებული სახე და არა უბრალოდ სიტყვათა ძირების ნათესაობა. საქმე ის არის, რომ კავკასიური ენები (მათ შორის უღური, სხვა აღმოსავლეთ-კავკასიური ენები და აგრეთვე ქართველური ენებიც) ერთს მონათესავე ოჯახს ეკუთვნიან. ამის გამო შესაძლოა, რომ ერთი და იმავე ძირიდან არის განშტოებული ყველა ეს ტერმინები, რომლებიც აღნიშნავენ ცნებას ყურძენი: ე. ი. ძველ-ალვანური „ტულ“, უღური „ტულ“, ავარული „წიბილ“ (რომელიც შესაძლოა განვითარდა ასეთი ფორმიდან: *ტიბილ), კიურული „წიფიწ“ (რომლის პირვანდელი ფორმა შესაძლოა იყო *ტიფ-იტ || ტილფ-იტ) ლაკური და დარგოული „თუთი“ (რომლის პირვანდელ ფორმად შესაძლოა ვიგულისხმობთ: *თულოთი), და აგრეთვე თვით ქართულს: სთუელი. — მაგრამ თუ დადასტურდა ამ ტერმინების ნათესაობა (ყველა ნიშნებით ნათესაობა ამ სიტყვებისა მართლაც საფიქრებელია), ეს ოდნავაც არ ასუსტებს იმ დასკვნას, რომ ალვანური ენის უშუალო მემკვიდრეა უღური ენა. პირაქით, ამ საერთო ნათესაობის საფუძველზე, უშუალო კავშირი ალვანურისა და უღურისა კიდევ უფრო ნათელი ხდება: იმ დროს როდესაც ყველა კავკასიურ ენებში ეს ტერმინი დიფერენცირებულია და სხვა გაფორმებით არის მოცემული, უღური ზედმიწევნით უდგება ალვანურს როგორც ფუძე-სიტყვით — „ტულ“, ისი გრამატიკული სუფიქსით „ენ“: „ტულ-ენ“.

ბ) მეორე დასკვნა, რომელიც გამომდინარეობს აქ აღნიშნული შეხვედრიდან, არის ის, რომ ალვანური კალენდარი, როგორც სჩანს, ერთგვარს გენეტიურ პარალელიზმს წარმოგვიდგენს ძველ-ქართულ კალენდართან. სათანადო თვეები, რომლებიც ერთმანერთს უდგება რიგის მიხედვით, ზოგჯერ, როგორც ირკვევა, ერთსა და იმავე ცნე-

ბას აღნიშნავენ. გარდა ამ პარალელიზმისა ქართული „სთუელისაჲ“ და ალვანური „ტულსნ“,—ჩვენ უკვე მოხსენებლი გვქონდა მეორე ანალოგიური შემთხვევა: ალვანური „პახნეაჲ“=ქართული „არდა-დეგისაჲ“ (მზის-დეგისაჲ). აქ აღნიშნავთ დამატებით, რომ ალვანური თვის ეს სახელი „პახნეაჲ“—აგრეთვე პოულობს ახსნას უღურის ენის ნიადაგზე.

თანამედროვე უღურ ენაში მხეს ეწოდება: „ბზ“. ხოლო გრამატიკული სუფიქსის („ნაჲ“—ს) დართვით ჩვენ გვაქვს ტერმინი: „ბზლნაჲ“ რაც უღურად ნიშნავს: „მზისაჲ“. იდენტიურობა თანამედროვე უღურისა: „ბზლნაჲ“ და ძველ-ალვანურისა: „პახნეაჲ“—უდავოა. (ამ ტერმინს აქვს პარალელები სხვა კავკასიურ ენებშიაც, მაგრამ აქ საგულისხმოა შეხვედრა ალვანურისა და უღურისა როგორც ფუძე-სიტყვით: ბზლ=ბახ, ისე გრამატიკული გაფორმებით: ბზლ-ნაჲ=ბახ-ნეაჲ). ამავე დროს ჩვენ გვაქვს შეხვედრა ქართული კალენდარის თვესთან როგორც შინაარსის მიხედვით (ალვანურ-უღური „პახნეაჲ=მზისაჲ, ქართული „არდა-დეგისაჲ“=მზის-დეგისაჲ), აგრეთვე რიგის მიხედვითაც: ქართულშიაც და ალვანურშიაც ამ თვეებს მიეკუთნება მე-12 ადგილი თვეების საერთო რკალში (ახალწლის თვიდან დაწყებული).

ეს პარალელები ამით არ განისაზღვრება. აღნიშნავთ აქ კიდევ ორი თვის სახელწოდებას, რომელთა მნიშვნელობა ადგილი ვასარკვევია და აქ სიტყვას არ გავგივრძელებს.

ა. ივლისის თვეს თანამედროვე ქართულ ხალხურ კალენდარში ეწოდება „მკათა-თვე“. (როგორც ქვემოთ იქნება დადგენილი, ანალოგიურ ცნებას შეიცავდა ამ თვის ძველ-ქართული სახელიც: „თთულს ქუელთობისაჲ“). ხოლო ალვანურში სათანადო თვის რკალს ეწოდება „ეხნაჲ“. ეს ტერმინიც აგრეთვე პოულობს ახსნას უღურ ენაში. უღურად „ეხ“ ნიშნავს „მკა“, ხოლო უკვე ნაცნობი გრამატიკული სუფიქსის «ნაჲ»-ს დართვით „ეხნაჲ“ უღურად აღნიშნავს: „მკისაჲ“. ამ-რიგად აქაც ჩვენ გვაქვს ზუსტი შეხვედრა ალვანური ტერმინისა უღურთან, და ამავე დროს პარალელი შინაარსის მიხედვით ქართულთან: ქართული „მკათა-თვე“ ე. ი. მკის თვე, ალვანურ-უღური „ეხნაჲ“=მკისაჲ. უდგება აგრეთვე თვეების რიგიც: როგორც ქართულში მკათათვე=ქუელთობისაჲ, ისე ალვანურში „ეხნაჲ“ მე-11 თვეებია (ახალწლის თვიდან დაწყებული).

ბ. ძველ-ქართული კალენდრის მეოთხე თვეს (ახალ-წლის თვის შემდეგ) ეწოდებოდა „ტირის-დენისაჲ“. იგი შეიცავდა ნოემბერ-დეკემბრის რკალს (იწყებოდა 22 ნოემბერს და სრულდებოდა 21 დე-

კემბერს). როგორც ქვემოთ იქნება დადგენილი, ამ თვის ძველ-ქართული სახელი „ტირის-დენისაჲ“ სიტყვა-სიტყვით ნიშნავდა შემდეგს: „ხელის-დენისაჲ“. აღვანურად სათანადო თვეს (ე. ი. მეოთხე თვეს ახალწლის თვის შემდეგ) ეწოდება: „ჰილც“ („ჰილეჲ“). უდურად „ხელლაჲ“ ნიშნავს „წყლისაჲ“ („ხელლა ხაშ“ წყლოვანთვე). ფონეტიკური იგივეობა თანამედროვე უდურისა „ხელლაჲ“ და ძველი აღვანურისა „ჰილეჲ“ ცხადია. ასევე ცხადია პარალელური ძველ-ქართული კალენდარის სათანადო თვესთან შინაარსის მიხედვით.

ჩვენ ამგზის ამით შეგვიძლია დავასრულოთ საუბარი აღვანურ-უდური შესატყვისობის და ქართულ-აღვანური პარალელების შესახებ.

გადავიდვართ ამის შემდეგ ძველ-სომხური კალენდარის სათანადო თვის სახელის განხილვაზე.

კითხვა ეხება სომხური კალენდარის მეორე თვეს „ჰორი“ (*հորի*), რომელიც რიგის მიხედვით უდრის ქართული კალენდარის მეორე თვეს: „თთუც სთუელისაჲ“.

სომხური კალენდარის მეორე თვის ეს სახელი: „ჰორი“, და აგრეთვე სახელწოდებაც სომხური კალენდარის მესამე თვისა: „საჰმი“, დღემდე აუხსნელი რჩება სპეციალურ ლიტერატურაში.

ცნობილი არმენისტი კ. პატკანიანი თავის გამოკვლევაში ძველ-სომხური თვეების შესახებ სახელწოდებას მეორე თვისა „ჰორი“ ადარებს ირანულს „შაჰრიარ“, „შაჰრივარ“, რომელიც მიღებულია „ქშათრავირია“—საგან. მაგრამ ეს დაპირისპირება ხელოვნურია და უსაფუძვლო. ჯერ ერთი, ფონეტიკურად არავითარი მსგავსება არ არსებობს სომხურ ტერმინს „ჰორი“ და მის შესაფარდებლად მოყვანილ ირანულ ტერმინებს შორის. და ამას გარდა აქ აღვნიშნავთ აქვს ქრონოლოგიურ განსხვავებას: სომხურში „ჰორი“ აღნიშნავს მეორე თვეს, ხოლო ირანულში „შაჰრიარ“ „შაჰრივარ“—მეექვსე თვის სახელწოდებაა.—რაც შეეხება თვის სახელწოდებას „საჰმი“, ამ ტერმინს კ. პატკანიანი აუხსნელად სტოვებს.

3. ჰვბ შმანი, თავის ცნობილ შრომაში *Armenische grammatik (I: Armenische Etymologie)*—ამ ტერმინებს „ჰორი“ და „საჰმი“ სრულებით არ ეხება, როგორც გამოურკვეველი წარმოშობის სიტყვებს.

განმარტება ტერმინებისა „ჰორი“ და „საჰმი“ შესაძლო ხდება ძველ-ქართული და ძველ-სომხური კალენდრების შედარებითი ანალიზის საფუძველზე.

საკითხს ძველ-ქართული და ძველ-სომხური კალენდარის ურთიერთობის შესახებ ჩვენ აგრეთვე სპეციალურად ვეხებით ამ გამოკვლევის ცალკე ექსკურსში; ამ საკითხის მთლიანის მოცულობით განხილვა შესაძლებელი იქნება მას შემდეგ, როდესაც მკითხველი გაეცნობა ძველ-ქართული კალენდარის შესახებ ყველა რეალურს. აქ კი, წინასწარი ორიენტაციისათვის, ზოგადად აღვნიშნავთ ზოგიერთ ხაზებს, რასაც უშუალო კავშირი აქვს აქ აღძრულ საკითხებთან.

ძველ-სომხური კალენდარის თვეების, სახელწოდებათა შორის ჩვენ გვაქვს რამდენიმე ტერმინი (როგორც „ნავა-სარდ“ და სხვანი), რომლებიც შეთვისებულაა ირანულიდან, და რომლებიც ჩვენი საკითხისათვის არ წარმოადგენს ინტერესს.

რაც შეეხება სომხური კალენდარის ძირითად ფენს, იგი, როგორც ირკვევა, ორგანიულ კავშირში იმყოფება ძველ-ქართულ კალენდართან.

სომხური კალენდარის ძირითად ფენში ჩვენ გვაქვს სამი ჯგუფი თვეების სახელებისა:

ა) ერთი ჯგუფი თვეების სახელწოდებათა სომხური ძირის სიტყვებით არის აღნიშნული, მაგრამ გადმოგვცემს იმავე წრის ცნებებს, რასაც ქართული თვეების სახელები.

ბ) მეორე ჯგუფი სომხური თვეების სახელებისა პირდაპირ იმეორებს სათანადო ქართულ ტერმინებს. ეს ტერმინები სომხური ენის ნიადაგზე აუხსნელი რჩება და მხოლოდ ქართული ენას საფუძველზე შესაძლო ხდება მათი განმარტება.

გ) მესამე ჯგუფი სომხური თვეების სახელებისა ეს არის მეორე თვის სახელი „ჰორი“ და მესამე თვის სახელი „საჰმი“.

თავდაპირველად საჭიროა აღინიშნოს, რომ არც ერთი ეს ტერმინი, არც „ჰორი“ და არც „საჰმი“ არ არის ინდოგერმანული ძირის სიტყვა და ამას გარდა არავითარი პარალელი ინდოგერმანულ ხალხთა კალენდრებში ამ ტერმინებს არ მოეპოვება. ჯერ მარტო ამ ზოგადი ჩვენების მიხედვით საფიქრებელი ხდება, რომ ეს ტერმინები შეთვისებული უნდა იყოს სომხურში იაფეტური ენებიდან. (სომხური ენა, როგორც ცნობილია, ორ-ბუნებოვანია, ორმაგი შედგენილობისა, რომლის ერთი ფენი ინდოგერმანულს, ხოლო მეორე ფენი იაფეტურს უდგება).

ეს ზოგადი გამოსავალი დებულება შესაძლოა უფრო ზუსტად განისაზღვროს. რაკი სომხური კალენდარის ტერმინების გარკვეული წყება (სახელდობრ მეორე ჯგუფის ტერმინები) წარმოადგენს ქართული თვეების სახელების პირდაპირ განმეორებას და ქართული

ენის ნიადაგზე პოულობს ახსნას,—ამის მიხედვით საფიქრებელია, რომ ის იაფეტური ენა, საიდანაც სომხურს უსესხია ეს **მესამე ჯგუფის** ტერმინებიც (ე. ი. „ჰორი“ და „საჰმი“) აგრეთვე ქართული ენა და მისი ენაკავები უნდა იყვეს.

და ეს მართლაც ასეა.

ქართულს ენაში ჩვენ გვაქვს რიცხვითი სახელები: „ორი“ და „სამი“. იგივეობა ამ ტერმინებისა „ორი“ და „სამი“ და სომხური თევებს სახელებისა „ჰორი“ და „საჰმი“ უდავო ხდება, როდესაც გავითვალისწინებთ ქვემოთ აღნიშნულ გარემოებებს.

მაგრამ ჯერ აღვადგინოთ პირვანდელი ფორმა სომხური და ქართული ტერმინებისა.

სომხური ენის ფონეტიკას, როგორც ცნობილია, ახასიათებს მოტის (ჟ) შენაცვლება სპირანტით: ჰ. ეს შენაცვლება ჟ→ჰ ჩვეულებრივი წესია სიტყვის პირველ ბგერაში, მაგრამ მას გავრცელება აქვს ფუძე-მარცვლებზედაც. ამის მიხედვით, პირვანდელი ფორმა ტერმინებისა: „ჰორი“ და „საჰმი“ არის: ***„ჰორი“** და ***„საჰმი“**.

ქართველურ ენებში სიტყვები „ორი“ და „სამი“ შემდეგს ფონეტიკურს სახეობას წარმოგვიდგენენ.

ა) ო რ ი.

საკუთრივ ქართულში ამ სიტყვის ძირითადი ფორმა, როგორც ირკვევა, არის შემდეგი: **„ჰორი“**. რომ ძირითადი სახე ამ სიტყვისა ქართულში იყო „ჰორი“, ე. ი. დასაწყისში შეიცავდა ბგერას „ჰ“ ამას ადასტურებს ამ ფორმიდან განვითარებული სახე-სხვაობა „ჟორი“ (რომელიც შენახულა ლიხთ-იმერეთის კილოებში) და აგრეთვე სვანური და ჭან-მეგრული პარალელები.

სვანურში უცვლელად არის დაცული ამ სიტყვის პირველი ბგერა „ჰ“. ეს სიტყვა სვანურში შემდეგის ვარიანტებით არის წარმოდგენილი: ჰორი, ჟერჟ, ჟერბი. პირვანდელი ფორმაა სჩანს **ჰორი**, რაც უდგება ქართულს პრა-ფორმას **ჰორი**, და ამ სიტყვის ჭან-მეგრულ განშტოებასაც.

ჭანურში ეს სიტყვა დაცულია ასეთის ვარიანტებით: „**ჟურ-ი**“ (სპორადიულად), „**ჟურ-ი**“ და „**ჯურ-ი**“. ქართველური ენების ფონეტიკის კანონები გვაძლევს საშუალებას დავადგინოთ, რომ პირვანდელი ფორმა ამ შემთხვევაშიაც ასეა ***ჰორი**→**ჟურა**, ხოლო „**ჟურ-ი**“→**„ჯურ-ი“** წარმოადგენს უფრო გვიანდელს სახენაცვალს ფორმებს:

ქართველურ ენებში; როგორც ცნობილია, ბგერა „ა“ შემდეგ ვითარდება **აა** გადადის ბგერაში „ჟ“.

ასე, მაგალითად, მესხურ კილოში ფორმიდან „იარე“ (→ „ჟარე“) ჩვენ მივიღეთ შემდეგ „ჟ არ ე“, ფორმიდან „ვიარები“ (→ „ჟვარები“) მივიღეთ „ჟ ვ არები“¹.

კერძოდ ჭან-მეგრულშიაც გავრცელება აქვს იმავე ფონეტიკურ კანონს. ასე, მაგალითად, საგვარეულო სახელიდან „აორდანი“ ჩვენ მივიღეთ „ჟორდანი“; „ააკობია“ → „ჟაკობია“ → „ჯაკობია“; „აჟანია“ → „ჟჟანია“².

ამგვარადვე ძირითადი ფორმიდან * ა ო რ ი → ა ჟ რ ი განვითარდა: ა ჟ რ ი → ჟ ჟ რ ი.

მეგრულშიაც ძირითადი ფორმა იგივე * ა ო რ ი → * ა ჟ რ ი, საიდანაც შემდეგ მივიღეთ სახეცვალი ფორმები: * ა ჟ რ ი → ა ჟ რ ი → ჟ რ ი.

გ) სამი.

ჯერ ამ სიტყვა „სამი“—ს ქართულსა და სვანურს ენაში დაცული სახეობის შესახებ.

ქართულსა და სვანურში, როგორც ცნობილია, ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს ხმოვან ბგერათა შემდეგი შესატყვისობა: ქართულს ბგერას „ა“ სვანურში შეეფარდება „ე“. ამ შეფარდების საფუძველზე ჩვენ გვაქვს ქართულში: „სამი“, ხოლო სვანურში „სემი“.

რას ნიშნავს ქართულ-სვანური ბგერათა ეს შეფარდება: ა=ე. ეს ნიშნავს იმას, რომ იმ სიტყვებში, სადაც ქართულში გვაქვს „ა“, ხოლო სვანურში „ე“, ამ სიტყვების პრა-ფორმა (ე. ი. ის თავდაპირველი ფორმა, საიდანაც განვითარდა ქართული და სვანური ვარიანტები), „ა“ და „ე“-ს მაგიერ შეიცავდა აოტირებულ ბგერას: „აა“. მხოლოდ ამგვარი აოტირებული ბგერიდან „აა“ შესაძლოა წარმოშობილიყო სვანურში „ე“ (რომელიც წარმოადგენს შერწყმას ამ კომპლექსისა „აა“), ხოლო ქართულში „ა“ (რომელიც წარმოადგენს გარდაქმნას იმავე კომპლექსისა „აა“, სუსტი შენაბგერის აოტის გაქრობით). ამის თანახმად პრა-ფორმა ქართული სიტყვისა „სამი“ და სვანური სიტყვისა „სემი“ არის „საამი“, საიდანაც წარმოიშვა ეს ორი სახე-სხვაობა.

¹) რომ მესხურ კილოში „იარე“ გამოითქმოდა როგორც „ჟარე“, „ვიარე-ნი“ როგორც „ჟვარები“,—იხ. ამის შესახებ სულხან-საბა ორბელიანის ცნობა, მის ლექსიკონში, გვ. 276 და 123 (სიტყვები: „ჟარე“ და „ჟვარები“).

იხ. ამავე საგანზე სპეციალური წერილი გ. ახვლედიანისა „ჟვარები ჟარეს შესახებ“ (ჟურნ. „ჩვენი მეცნიერება“, 1923 წ. № 6—7, გვ. 80).

²) იხ. აკად. ნ. მარტი, „Грузинские приписки греческого Евангелия из Коридии (ИРАН, 1911 წ. გვ. 220).

რომ უასაგები გახდეს ჭან-მეგრული განშტოება ამ სიტყვისა: „ს ა ძ მ ი“ (→ სამი||სმი), საჭიროა გათვალისწინებულ იქმნეს შემდეგი:

1. ქართულ-სვანურს დიფტონგს „აძ“ ჭან-მეგრულში შეეფარდება: „აჟ“, საიდანაც ვითარდება ო→უ.

2. ქართულს თანხმოვანს „ს“ და მის შეფარდებას სვანურში „ს||ს“, ჭან-მეგრულში უდრის: „შ“.

ამის თანახმად ქართულ-სვანურს პრა-ფორმას: „ს ა ძ მ ი“ ჭან-მეგრულში შეეფარდებოდა: „შ ა ჟ მ ი“, საიდანაც შემდეგ განვითარდა ჭან-მეგრული ფორმები ამ სიტყვისა: * შომი→ შუმი¹.

ჩვენ ამით დავასრულებთ ამ ფონეტიკურ ანალიზს ქართველური ენების რიცხვითი სახელებისა. ირკვევა მასასადამე შემდეგი: პრა-ფორმა სიტყვისა „ორი“ ყველა ქართველურ ენებში (ქართულში, სვანურში და ჭან-მეგრულში) არის * ღ ო რ ი. პრა-ფორმა სიტყვისა „სამი“ ქართულსა და სვანურში არის * ს ა ძ მ ი²; ხოლო ჭან-მეგრულში „შ ა ჟ მ ი“.

სიტყვათა ფორმების მიმოხილვისა და მათი პირველადი სახის გათვალისწინების შემდეგ გადავიდეთ საკითხის არსებით განხილვაზე.

როგორც ირკვევა, სომხურს კალენდარში ჩვენ საქმე გვაქვს მეტად საგულისხმო შეხვედრასთან. სომხური კალენდარის თვეების სახელებად, როგორც ვხედავთ, გამოყენებული ყოფილა ქართული რიცხვითი სახელები * „ღორი“ (=ორი) და * „საძმი“ (=სამი).

ხოლო მთავარი აქ ის არის, რომ ჩვენ გვაქვს არა უბრალო შეხვედრა ტერმინებისა, არამედ სრული შეფარდება ამ რიცხვებისა თვეების რიგთან: სომხურს კალენდარში, როგორც აღნიშნული გვქონდა, * „ღორი“ ეწოდება სწორედ მეორე თვეს, * „საძმი“ — მესამე თვეს.

აქ საჭიროა კიდევ შემდეგი განმარტება.

მკითხველს რასაკვირველია მოეხსენება, რომ კალენდარის ისტორიაში ხშირი მოვლენაა, როდესაც თვეები ატარებენ სახელებს იმ თანრიგის მიხედვით, რომელიც მათ უჭირავთ თვეების საერთო რაკალში.

რომ ავიღოთ თანამედროვე მკითხველისათვის უფრო ნაცნობი მაგალითები, რომაული თვეების სახელები: სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი; დეკემბერი.

¹) ჭანურში ეს სიტყვა ეხლა დაცულია ამ სახით: „შუმი“ და „სჟმი“ — „სჟმი“ ამ სიტყვის შემდეგი „გაქართულების“ შედეგია და მიღებულია „შუმი“ საგან. მეგრულშიც დაცულია ეს შემდგომი გაქართულებული სახე „სჟმი“.

რი (September, October, November, December, და აგრეთვე შემდეგი თვეების სახელებიც უძველესი რომაული კალენდარისა Quinctilis, Sextilis) რიცხვითი სახელებიდან არის ნაწარმოები.

ასევე ძველი ბერძნული კალენდრებიდან—ფოკიდის კალენდარში ცხრა თვე (გარდა შემდეგი თვეებისა: მე-2-ისა, მე-6-ისა და მე-8-ისა) რიცხვის სახელებს ატარებს: პირველ თვეს ეწოდება πρῶτος (ე. ი. „პირველი“) მესამე თვეს τριῖτος (= „მესამე“) და ასევე დანარჩენი თვეების სახელები: τέταρτος, πεμπτος, ἕξβιστος, ἑβδῆς, ὀκτάτος, ἡεμβηκτος, ὡσβηκτος. (იხ. Kubitschek, 150).

ებრაულ კალენდარშიაც, საკუთარი სახელების გვერდით (ნისანი, იარი და სხვა) ჩვენ გვაქვს პარალელურად თვეების სახელების აღნიშვნა რიცხვებით (პირველი, მეორე და სხვა).

ამგვარივე სურათი გვაქვს, მთელ რიგ შემთხვევებში, სხვა კალენდრებშიაც.

ხოლო ჩვენი საკითხისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემდეგი ფაქტი: ანალოგიური სახელწოდებანი თვეებისა თან-რიგის მიხედვით, ქართულშიაც ყოფილა მიღებული. ქართულში, როგორც ირკვევა, პარალელურად იხმარებოდა თვეების სახელწოდებათა ორივე ტიპი: როგორც საკუთარი სახელები (ე. ი. „ახალწლისაჲ“, „სთუელისაჲ“ „ტირისკნისისაჲ“ და სხვანი, ხოლო შემდეგ რომაული ტერმინები: იანვარი, თებერვალი და სხვანი) ისე რიცხვიდან ნაწარმოები სახელები („პირველი თთუც“, „მეორე თთუც“, „მესამე თთუც“ და სხვანი).

ამას ადასტურებს, სხვათა-შორის, ძველ-ქართული მწერლობის ძეგლი: «წიგნი ქართველთა მოქცევისაჲ» (ნინოს ბიოგრაფიის შატბერდულ-ქელიშური ვერსია). აქ ჩვენ გვაქვს ასეთი თარიღები:

„წარმოვემართენით თთუესა პირველსა ათხთმეტსა“ (იხ. გვ. 746, ე. თაყაიშვილის გამოცემა, OP, II).

„მოიკლნეს მუნ თთუესა პირველსა, ოცდაათსა დღესა“ (იხ. იქვე, გვ. 746).

„თთუესა მეოთხესა წარვედ მათა ზედა ჯავახეთისათა.“ (იხ. იქვე, გვ. 748).

აქ საჭიროა ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას; რომ ეს ძეგლი («წიგნი ქართველთა მოქცევისაჲ») ორიგინალური ქართული თხზულებაა, და რიცხვიდან ნაწარმოები თვეების სახელები, რომლებიც ვხვდებით ამ ტექსტში, ეს არის არა უცხოური ორიგინალის გავლენის შედეგი, არამედ, როგორც ირკვევა, აშგვარი სათვალავი ქართულს კალენდარში ყოფილა მიღებული.

ყოველივე იმის შემდეგ, რაც აქ იყო აღნიშნული, გასაგები ზღვება სომხური კალენდარის მეორე და მესამე თვის სახელები * დორი (=ორი) და * საამი (=სამი): ისინი წარმოგვიდგენენ ჩვეულებრივ ტიპს რიცხვიდან ნაწარმოები თვეთა სახელებისას.—

აქ მხოლოდ შესაძლოა აღიძრას ასეთი საკითხი, თუ რად იზმარება სომხურში ეს რიცხვითი სახელები რაოდენობის ფორმით, და არა რიგის ფორმით, ე. ი. რისთვის გვაქვს სომხურში * „**ორი თვე**“ (= „**ორი თვე**“) * „**სამი თვე**“ (= „**სამი თვე**“) და არა — „**მეორე თვე**“, „**მესამე თვე**“.

ეს დამახასიათებელი თავისებურება აგრეთვე ეთანხმება ჩვენს დასკვნას, თუ საიდან ისესხა ეს ტერმინები სომხურმა.

რიცხვები აქ შემდეგის სპეციფიკური მნიშვნელობით არის მოცემული: მეორე თვე აქ თავისებულია არა როგორც უბრალოდ „**მეორე**“ თანამიმდევრობის მიხედვით, არამედ როგორც **ორი თვე** ახალწლიდან, მესამე თვე როგორც **სამი თვე** ახალწლიდან.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღენიშნოთ შემდეგი საგულისხმო გარემოება. ხმარება რაოდენობის ფორმებისა (ერთი, ორი, სამი და სხვა) რიგის აღსანიშნავად (პირველი, მეორე, მესამე და სხვა) სწორედ დამახასიათებელია ქართველური და საერთოდ იაფეტური სისტემის ენებისთვის. ამ მხრით სრულს ანალოგიას წარმოგვიდგენს თვეების სათვალავთან: 1) თვის დღეების სათვალავი და 2) კვირის დღეების სათვალავი.

1. თვის დღეების სათვალავი.

ძველ-ქართულში თვის დღეების სათვალავი ორგვარად აღინიშნება, როგორც რიგის ფორმით, ისე რაოდენობის ფორმით. ითქმოდა:

„**პირველი დღე იანვრის თვისა**“ და ამავე დროს „**ერთი დღე იანვრის თვისა**“;

„**მეორე დღე იანვრისა**“ და ამავე დროს „**ორი დღე იანვრისა**“;

„**მესამე დღე იანვრისა**“ და ამავე დროს „**სამი დღე იანვრისა**“ — და ამგვარადვე ყველა დანარჩენი რიცხვები.

აქ ხაზი უნდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ ქართული ენისათვის სჩანს უფრო ბუნებრივია რაოდენობის ფორმა (ერთი, ორი, სამი და სხვა) და არა რიგის ფორმა (პირველი, მეორე, მესამე და სხვა). ჩვენ შევამოწმეთ ყველა თარიღები, რომლებიც კი ძველ-ქართულმწერლობაში გვხვდება მე-10 საუკუნის დასასრულამდე, და გამოიკვავა, რომ დიდი უმრავლესობა, თითქმის 90% თარიღებისა რაოდენობის ფორმით არის აღნიშნული, ე. ი. წარმოგვიდგენს ამ ტიპს: **ერთი დღე იანვრისა**, **ორი დღე იანვრისა** (resp. **ერთი იანვრისა**, **ორი იანვრისა**, resp. **ერთი იანვარი**, **ორი იანვარი**). ხოლო აღრიცხვა რიგის ფორმებით (ე. ი. ამ ტიპით: „**პირველი დღე იანვრისა**“, „**მეორე დღე იანვრისა**“) აქ ერთგვარ გამონაკლისს წარმოადგენს.

და საფიქრებელი ხდება, რომ ეს წყობა მწიგნობრულის გზით არის შეთვისებული ინდოგერმანული სისტემის ენებიდან.

რომ რაოდენობის ფორმები უფრო ბუნებრივია ქართული ენისათვის, ამას ის გარემოებაც ადასტურებს, რომ ხალხური ენა (და მასზე აღმოცენებული ახალი სალიტერატურო ქართული) ხმარობს მხოლოდ რაოდენობის ფორმებს. ახალ-ქართულში ითქმის: *ორი იანვარი, სამი იანვარი, თხუთმეტი იანვარი, ოცდაათი იანვარი, და არა: მეორე იანვარი, მესამე იანვარი, მეთხუთმეტი იანვარი, მეოცდაათე იანვარი.*

ჩვენ გვაქვს მხოლოდ ერთად-ერთი გამონაკლისი,—რიცხვი: „პირველი“ ახალ-ქართულში ითქმის *პირველი იანვარი*, იმ დროს როდესაც საერთო წესის თანახმად უნდა ყოფილიყო „*ერთი იანვარი*“. მაგრამ ეს აიხსნება იმით, რომ თვით სიტყვა „პირველი“ სხვა წარმოშობისაა, ვიდრე დანარჩენი რიცხვითი სახელები, და იგი სჩანს არ ეკუთვნის ქართული ენის ძირითადს ფენს¹. ეს უცხო ტიპის წარმოება გადანაშთის სახით არის შერჩენილი ახალ-ქართულში.

ყოველ შემთხვევაში ეს ერთად-ერთი გამონაკლისი, რასაც წარმოგვიდგენს რიცხვი „პირველი“, არ არღვევს იმ საერთო დებულებას, რომ ქართული ენისათვის ბუნებრივი წყობაა სწორედ რაოდენობის ფორმები და არა რიგის ფორმები.

აქ საყურადღებოა აღვნიშნოთ ისიც, რომ ინდოგერმანული სისტემის ენებში ჩვენ გვაქვს სრულიად საწინააღმდეგო წესი და აქ ჩვეულებრივ ხმარობენ რიგის და არა რაოდენობის ფორმებს. რომ ავიღოთ თანამედროვე მკითხველისათვის უფრო ნაცნობი მაგალითები, ასე რუსული ენიდან, აქ ჩვენ გვაქვს: *второе Января, третье Января, анда გერმანული d. zweite Januar, d. dritte Januar და არა два Января, три Января, zwei Januar, drei Januar* (=ქართული *ორი იანვარი, სამი იანვარი*). ამგვარადვე ლათინურში ჩვენ გვაქვს: *die secunda Ianuarii* „დღე მეორე იანვარისა“, *die tertia Ianuarii* „დღე მესამე იანვარისა“ და სხვანი².

1) რომ „პირველი“ განსხვავებული წარმოშობისაა, ამას მკითხველი დაინახავს შემდეგიდანაც. ყველა დანარჩენი რიგის ფორმები უშუალოდ ნაწარმოებია რაოდენობის ფორმებიდან, ე. ი. „ორი“—აქედან „მეორე“, „სამი“—აქედან „მესამე“, „ოთხი“—„მეოთხე“ და სხვა. ამის თანახმად, რიცხვიდან „ერთი“ უნდა გვქონოდა „მე-ერთე“ და არა „პირველი“. ეს გარემოება, რომ სიტყვა „პირველი“ ერთად-ერთი გამონაკლისია ამ საერთო წესიდან, გვაფიქრებინებს, რომ „პირველი“ ნასესხები სიტყვაა და მას განუდევნია ხმარებიდან ძირითადი ქართული სიტყვა. (ყველა ნიშნებით, ქართული პირ-ველი არის განშტოება იმავე ფუძე-სიტყვისა, რომლიდანაც გვაქვს ბერძნულში *πρ-ωτος*, ლათინურში *pr-imus* და სხვ.)

2) ინდოგერმანული ტიპის ენებიდან ცალკეა აღსანიშნავი ბერძნული. ძველსა და საშუალო ბერძნულის ტექსტებში, რამდენადაც აქ რიცხვები სრულად არის დაწერილი (და არა მხოლოდ ნიშნებით ნაჩვენები) ჩვენ გვაქვს იგივე ჩვეუ-

რაც შეეხება სომხურს ენას, იგი, როგორც აღვნიშნავდით, გარკვეული წარმოშობის ნარევი ენაა, ინდოევროპულ-იაფეთური, და ამის გამო ბუნებრივია, რომ აქ გავრცელება აქვს სათვალავის ორსავე წესს, როგორც რიგის, ისე რაოდენობის ფორმებს.

2. კვირის დღეების სათვალავი.

რიგისა და რაოდენობის ფორმების შენაცვლების მეტად დამახასიათებელ მაგალითს წარმოგვიდგენს აგრეთვე კვირის დღეების სათვალავი.

ძველ-ქართულში ჩვენ გვაქვს რიცხვებიდან ნაწარმოები შემდეგი სახელები, რომლებიც ამგვარის ფორმებით გვხვდება:

ს რ უ ლ ი ფ ო რ მ ე ბ ი

ერთი შაბათთაჲ (=ერთი 'დღე' შაბათთაჲ).
 ორი შაბათთაჲ (=ორი 'დღე' შაბათთაჲ).
 სამი შაბათთაჲ (=სამი 'დღე' შაბათთაჲ).
 ოთხი შაბათთაჲ (=ოთხი 'დღე' შაბათთაჲ).
 ხუთი შაბათთაჲ (=ხუთი 'დღე' შაბათთაჲ).

შ ე მ ო კ ლ ე ბ უ ლ ი (შერწყმული) ფ ო რ მ ე ბ ი :

I	II	III
ერთ-შაბათთაჲ	= ერთ-შაბათისაჲ	= ერთ-შაბათი.
ორ-შაბათთაჲ	= ორ-შაბათისაჲ	= ორ-შაბათი.
სამ-შაბათთაჲ	= სამ-შაბათისაჲ	= სამ-შაბათი.
ოთხ-შაბათთაჲ	= ოთხ-შაბათისაჲ	= ოთხ-შაბათი.
ხუთ-შაბათთაჲ	= ხუთ-შაბათისაჲ	= ხუთ-შაბათი.

აქ აღნიშნული ფორმებიდან თავდაპირველ სახეს წარმოგვიდგენს სრული ფორმა (ერთი შაბათთაჲ, ორი შაბათთაჲ და სხვ.), რომელიც დამოწმებულია ქართული სახარების უძველეს ხანმეტურ ვერსიაში:

ლგბრივი წესი ინდოევროპული ენებისა, ე. ი. რიგის ფორმები (პირველი, მეორე მესამე და სხვა). არის მხოლოდ იშვიათი გამონაკლისი; ითქმის: „ოცდაერთსა“ და არა „მეოცდაერთსა“ (მაგ. $\mu\alpha\ \gamma\alpha\ \kappa\ \tau\omicron\varsigma\ \phi\alpha\mu\epsilon\sigma\omega\mu$ = ოცდაერთსა ფამენოთისასა“. იხ. W. Kubitschek, Grundriss der antiken Zeitrechnung, 150).

ბერძნული არაა წმინდა ინდოევროპული წყობის ენა, მასში ძლიერია „აზიანური“ (=იაფეთური) ენების გადანაშთები, და მერყეობა რიცხვით სახელებში, რომელიც ბერძნულს (კერძოდ ახალ-ბერძნულს) ემჩნევა, სჩანს ამ „აზიანურ“ ფონიდან მომდინარეობს.

იხ. იოანე, XX, I:

„ერთსა მას შაბათთასა მარიამ მაგდანელს მოვიდა“¹.

ლუკა, XXIV, I:

„ხოლო ერთსა მას შაბათ [თ]ასა ცისკარსა მას მსთუად მოვიდეს“².

რაც შეეხება სრული ფორმიდან შემდეგ წარმოშობილს შემოკლებულ (შერწყმულ) ფორმებს, ესენიც ადრე ლებულობენ გავრცელებას და გვხვდება ძველ-ქართულ მწერლობაში უკვე მე-5 საუკუნიდან.

ასე, შემოკლებული ფორმები I და II უკვე შესულია სახარების ხანმეტურ ვერსიაში:

I: „და ხიყო მწუხრ დღს ერთ-შაბათთა და კარნი იგი დაკსულ ხიყვნეს“ (იოანე, XX, I)³.

II: „და ნიად განთიადსა მას ერთ-შაბათისასა მოვიდეს“ (მარკოზ, XVI, 2)⁴.

შემოკლებული მესამე ფორმა (ერთ-შაბათი, ორ-შაბათი და სხვ.) აგრეთვე გვხვდება ქართულს მწერლობაში უკვე მე-5 საუკუნიდან:

„და დღს ხუთ-შაბათი იყო, რომელსა გავაწესეთ საკსენებელი“ (შუ-შანიკის მარტილობა)⁵.

„და დღს ოთხ-შაბათი იყო“ (პროკოპის მარტილობა)⁶.
და სხვანი.

თანამედროვე მკითხველისათვის, რომელიც შესაძლოა არ იცნობდეს ზედმიწევნით ძველ-ქართულს, აქ საჭირო იქნება წარმოვადგინოთ განმარტება ამ სათვალავისა.

ტერმინი შაბათი და შაბათნი აქ ნიშნავს კვირეულს, შვიდ-დღიურ წრეს (იმასვე, რასაც გერმანული Woche, რუსული неделя).

(ტერმინი „შაბათი“ ამ შემთხვევაში სრულს ანალოგიას წარმოგვიდგენს შემდეგდროინდელ ტერმინთან „კვირა“. ისევე როგორც „კვირა“ ეწოდება გარკვეულ დღეს, და ამავე დროს „კვირა“ ნიშნავს მთელს შვიდ-დღიურ წრესაც, ამგვარადვე „შაბათი“ აღნიშნავდა ერთ დღეს და ამავე დროს მთელს შვიდ-დღიურს.)

გამოთქმა „ერთი შაბათთა“, „ორი შაბათთა“, ანუ უფრო სრულად „ერთი დღე შაბათთა“, „ორი დღე შაბათთა“ ზედ-

1) იხ. გრაკის ხანმეტი ლექციონარი, აკ. შანიძის გამოცემა, (ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, IX, გვ. 336).

2) იქვე, გვ. 332.

3) იქვე, გვ. 335.

4) იქვე, გვ. 331.

5) იხ. ზემოთ, გვ. 297.

6) იხ. ზემოთ, გვ. 267.

მიწვევით ნიშნავს შემდეგს: „პირველი დღე შვიდეულისა“ „მეორე დღე შვიდეულისა“ და სხვანი.

ამ-გვარად აქ რიგი აღნიშნულია რაოდენობის ფორმებით: ცნება „პირველი“ გამოცემულია ფორმით „ერთი“, ცნება „მეორე“ ფორმით „ორი“, ცნება „მესამე“ ფორმით „სამი“ და სხვა-

არ იქნება ზედმეტი აღნიშოთ აქ უცხოური პარალელებიც.

სათვალავი „შაბათობით“, როგორც ცნობილია, ქრისტიანულ ხანაში გავრცელდა, არამეულის გავლენით, სახარებასთან ერთად, და აქ საგულისხმოა, თუ როგორაა ათვისებული დღეების ეს სათვალავი სხვადასხვა ენებში.

ქართულში, როგორც ვნახეთ, დღეების სათვალავი რაოდენობის ფორმებით არის გადმოცემული: ერთი, ორი, სამი, და სხვა.

სომხურშიაც იგივე რაოდენობის ფორმებია მიღებული.

ხოლო რაც შეეხება ინდოგერმანული ტიპის ენებს, აქაც ჩვენ გვაქვს საწინააღმდეგო წესი: იგი ჩვეულებრივ ხმარობს რიგის და არა რაოდენობის ფორმებს. ასე ბერძნულში ჩვენ გვაქვს: *πρωτη* *σάββατος*, *δευτερα* *σάββατος*, *τριτη* *σάββατος*, *τετρας* *σάββατος*, *πεμπτη* *σάββατος* (ე. ი. პირველი შაბათთაჲ, მეორე... მესამე... მეოთხე... მეხუთე შაბათთაჲ)¹.

ასე მაგალითად პროკოპის მარტივობის ბერძნულ ტექსტში, რომელიც ზემოთ გვქონდა მოხსენებული, ჩვენ ვკითხულობთ: *ηγουερα* *τετρας* *σάββατος* „დღესამეოთხესა შაბათთასა“. საგულისხმოა, რომ ძველ-ქართველ მთარგმნელს ბერძნული ორიგინალის გამოთქმა „მეოთხე“ უთარგმნია როგორც „ოთხი“.

დამატებით საჭიროა ისიც მოვიხსენოთ, რომ გარეშე ამ „შაბათობის“ აღრიცხვისა, ინდოგერმანული ტიპის ენებში, როდესაც კი დღეების სახელები რიცხვებიდან არის ნაწარმოები; აქ საერთოდ მიღებულია ეს ჩვეულებრივი წესი, ე. ი. რიგის ფორმები. ასე, მაგალითად, იმავე ბერძნულში ჩვენ გვაქვს კვირის დღეების სახელები, სადაც „შაბათობა“ უკუგდებულია და დღეები ატარებენ პირდაპირ რიცხვის სახელებს; ამ მეორე აღრიცხვით ორშაბათს ეწოდება *δευτερα* (ე. ი. „მეორე“) სამშაბათს *τριτη* („მესამე“) ოთხშაბათს *τετρας* („მეოთხე“) ხუთშაბათს *πεμπτη* („მეხუთე“).

ლათინურში კვირის დღეების სახელები, როგორც ცნობილია, არ არის რიცხვების სისტემაზე აგებული (აქ დღეებს ეწოდება საკუთარი სახელები მნათობების მიხედვით: *dies Solis*—დღე მზისა, *dies Lunae*—დღე მთვარისა, *dies Martis*—დღე მარსისა და სხვ.), მაგრამ თავისთავად ამ-გვარი ცნება: 1 დღე შვიდეულისა, 2 დღე შვიდეულისა, ლათინურის ბუნებრივი წყობის თანახმად, გამოითქმის ამ-რიგად: *prima die hebdomadis* („პირველი დღე შვიდეულისა“) *secunda die hebdomadis* („მეორე დღე შვიდეულისა“).

ამ-რიგად, როგორც თვის დღეების, ისე კვირის დღეების სათვალავის მიმოხილვიდან ჩვენ ვღებულობთ შემდეგს დასკვნებს:

¹) თვით სახარების ბერძნულ ტექსტში, სადაც უშუალო გავლენაა არამეულისა, კერძოდ ტერმინი „პირველი შაბათთაჲ“ გვხვდება როგორც *πρωτη* *σάββατος* (მთ. 28₁), ისე *μια* *σάββατος*. აქ დამასასიათებელი ისაა, რომ საბოლოოდ ბერძნულში რიგის ფორმები დამკვიდრდა, რომელიც ინდოგერმანული სათვის, სჩანს, ბუნებრივ წყობას წარმოადგენს.

1. ქართულს კალენდარულს აღრიცხვაში სათვალავი აღინიშნებოდა როგორც რიგის ფორმებით (პირველი, მეორე, მესამე...) ისე რაოდენობის ფორმებით (ერთი, ორი, სამი...).

2. ქართულისათვის უფრო ბუნებრივ წყობას წარმოადგენდა რაოდენობის ფორმები: ერთი, ორი, სამი... (იმ დროს როდესაც ინდოგერმანულისათვის ბუნებრივი წყობაა რიგის ფორმები: პირველი, მეორე, მესამე...).

ამის შემდეგ გასაგები ხდება ძველ-სომხური კალენდარის თვეების სახელწოდებანი: *ჯორი თვე (==მეორე თვე) *სამი თვე, (==მესამე თვე). აქ ჩვენ გვაქვს, როგორც ეს უკვე დადგენილია, ქართული რიცხვითი სახელები, მათი პირვანდელი სახით: * „ჯორი“ (=ორი), * „სამი“ (=სამი). და რაც განსაკუთრებით საყურადღებოა, თვეების სახელები აქ შეთვისებული ყოფილა არა რიგის ფორმებით (მეორე, მესამე), არამედ რაოდენობის ფორმებით (ორი, სამი), რაც, როგორც გამოიჩვენა, ქართული საკალენდარო აღრიცხვის ბუნებრივ წყობას წარმოადგენდა.

ჩვენ ამ-გზის ამით დავასრულებთ ამ ექსკურსს სომხური თვეების სახელების შესახებ. წარმოდგენილი მიმოხილვის შემდეგ ისტორია ძველ-სომხური კალენდარის ტერმინებისა *ჯორი (=ორი) და *სამი (=სამი) დადგენილად ჩაითვლება: ირკვევა, რომ ძველ-სომხური კალენდარი დამოკიდებული ყოფილა ქართულისაგან.

*

11. «თთუჲ ტირისკნისისაჲ».

ამ თვის სახელწოდება შენახულა ჰაგიოგრაფიულ ძეგლებადში «წამებაჲ თალელჲსი». სამწუხაროდ ამ ძეგლების პირი საქართველოში არ მოიპოვება, რომ შესაძლო ყოფილიყო ტექსტის მთლიანად გაცნობა. (მოთავსებულია ეს ძეგლი სამს ძველ-ქართულს ხელნაწერში, რომლებიც ამ ჟამად საქართველოს გარეთ ინახება, სახელდობრ: — არსენი მამათმთავრისეულ ხელნაწერში მე-10 საუკუნისა, რომელიც ათონის მთაზე დაცული (№ 57), პავლე პალაგრელისეულ ხელნაწერში მე-9—10 საუკუნისა, რომელიც სინას მთაზე ინახება (№ 50), და პროხორე ჯვარელის ხელნაწერში მე-11 საუკუნის პირველი ნახევრისა, რომელიც ოქსფორდის ბოდლენის წიგნთსაცავს ეკუთვნის.)

ცნობილია მხოლოდ „თალელჲს წამებაჲს“ დასაწყისი და ბოლო, რომელიც დაბეჭდილი აქვთ აკადემიკოს ნ. მარსს (ათონურ ხელნაწერთა აღწერილობაში) და ცნობილს ბელგიელ მეცნიერს P. Peeters-ს (ბოდლენის კოდექსის აღწერაში).

დასაწყისი ასე იკითხვის:

„წელთა მათ სუფევებისა ნუმერიანოსისთა, მსაჯულობასა თევდორუსთა, თთუესა ტირისკნისისასა, ოც-და-ხუთსა თთუსასა, მოვიდა თევდორე მსაჯული ეგეა. ქალაქად და შევიდა ტაძრად ანდრიანუსსა, ღმერთთა თუსთასა...“¹

რომელ თვეს უდრიდა „თთუტ ტირისკნისისაჲ“?

„ტირისკნისი“ (იგივე „ტირისკონისი“ ანუ „ტირისკონი“) ძველ-ქართული წარმართული კალენდარის თვეთა შორის მოხსენებული აქვს აგრეთვე სულხან-საბა ორბელიანს, რომელიც თავის ლექსიკონში ასეთს განმარტებას იძლევა:

„ქართულის ენით ეწოდება: ნოენბერს—ტირისკნისი (ტირისკონი)“².

რომ საბას განმარტება ამ თვის ზოგადი რკალისა სწორია, ეს შემდეგიდან ირკვევა. თაღელეს მარტვილობის შესავალის მიხედვით, თაღელეს განკითხვა ტირისკნისის თვეში მომხდარა, ხოლო თაღელეს სახსოვაჲ ძველს ქრისტიანულ პაგიოლოგიაში მართლაც დათარიღებულია ნოემბრის თვით. ასე, ძველ-ქართულ ძეგლებში «მცირე კანონში» (რომელიც მე-6—7 საუკუნის საზღვარს ეკუთვნის) და «დიდ კანონში», (რომელიც მე-8 საუკუნის პირველი ნახევრის ტექსტია) თაღელეს ხსენება აღნიშნულია 19 ნოემბერს; აქ ვკითხულობთ:

„თთუესა ნოენბერსა... ით (ე. ი. 19-სა) სიონსა თანა დადგმაჲ თაღელსსი“³.

იგივე თარიღი, 19 ნოემბერი, როგორც თაღელს მოსახსენებელი, ჩვენ გვხვდება არა მარტო ქართულ ტექსტებში, არამედ სპორადიულად ბერძნულ პაგიოლოგიაშიც⁴.

რაკი, ამ-რიგად, 19 ნოემბერი ტირისკნისის თვის ფარგლებში ყოფილა მოქცეული, აქედან ცხადია, რომ ტირისკნისის თვე უშუალოდ მისდევდა „სთუელის“ თვეს. „სთუელის“ თვე, როგორც ვნახეთ,

1) იხ. Н. Марр, Агиографические материалы по грузинским рукописям Ивера. Записки Вост. Отд. Арх. Общ., XIII, гв. 67.—P. Peeters, De codice Hiberico, Analecta Bollandiana, XXI, гв. 308.

2) იხ. საბას ლექსიკონი, ქართული წიგნის გამოცემა, 1928 წ., გვ. 139, 333, 259 (სიტყვები: „თთუე“, „ტირისკონი“, „ნოენბერი“).

3) იხ. „მცირე კანონის“ ტექსტი, აკაკი შანიძის გამოცემა (ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, ტ. III, გვ. 365).—„დიდი კანონის“ ტექსტი, კ. კეკელიძის გამოცემა (Иерусалимский Канонарь, 1912 წ., გვ. 143).

4) იხ. Сергей, Полный месяцеслов Востока, II, 1901 წ., гв. 358.

22 ოქტომბერს სრულდებოდა, როცა მზე სტოვებს ზოდიაკო „სას-
წორის“ ნიშანს. მაშასადამე „ტირისკნისის“ თვის დასაწყისი ყო-
ფიფა 23 ოქტომბერი (როცა მზე შედის მომდევნო ზოდიაკოს
„ღრიანკალის“ ნიშანში) ხოლო დასასრული უწევს 21 ნოემბერს
(როცა მზე დასტოვებს ამ ნიშანს).

აღსანიშნავია, რომ თაღულეს მარტივობა იძლევა არა მარტო ზოგად
ჩვენებას ტირისკნისის თვის რკალის შესახებ, არამედ მისი მიხედვით შესაძლოა
მოვახდინოთ საკონტროლო შემოწმება ზოდიაკალური ქრონოლოგიისა და თვის
რიცხვებისა.

როგორც თაღულეს წამების შესავალიდან სჩანს, თედორე მსაჯულის მის-
ვლა ეგვა-ქალაქში, სადაც თაღულე გაასამართლეს, მომხდარა ტირისკნისის 25-ს.
25 ტირისკნისისა, ზოდიაკალური ქრონოლოგიის თანახმად, 16 ნოემბრის უდრის.
ამ რიცხვიდან, ნოემბრის 16-დან, დაწყებული თაღულეს გასამართლება და მისი
წამებაც ამის მომდევნო დღეებში უნდა ვიგულისხმოთ. და, როგორც ვნახეთ, თა-
ღულეს მოწამეობის მოსახსენებელი „კანონში“ და სხვა ტექსტებში მათლაც აღ-
ნიშნულია უახლოეს დღეებში, სახელდობრ სამი დღის შემდეგ, 19 ნოემბერს.

ამ-რიგად, ჩვენ აქ გვაქვს შეხვედრა არა მარტო თვის საერთო რკალისა,
არამედ თითონ რიცხვებისაც.

*

12. «თთუტ ტირისდენისა».

ამ თვის სახელწოდება აღნიშნული აქვს სულხან-საბა ორბე-
ლიანს თავის ლექსიკონში.

მას შემდეგ რაც გამოჩვენებულია საბას ნაშრომის ხასიათი, ცხა-
დია, რომ საბა ამ შემთხვევაში, როგორც ყოველთვის, წერტილობითს
წყაროს ემყარება, და ამ თვის სახელი ამოღებული აქვს რომელიღაც
ჰაგიოგრაფიული ძეგლიდან. სამწუხაროდ ეს ძეგლი, ტირისდენის
თვის სახელის შემცველი, ჯერჯერობით აღმოჩენილი არაა.

საბას ცნობის თანახმად თვეები „ტირისკნისისა და „ტირის-
დენისა“ მეზობელი თვეებია; „ტირისკნისის“ დასრულების შემდეგ
იწყებოდა „ტირისდენის“ თვე¹.

ხოლო როგორც ეს ზემოთ იყო დადგენილი ტირისკნისის
თვე სრულდებოდა 21 ნოემბერს, როდესაც მზე დაასრულებს გზას
ღრიანკალის ზოდიაკოზე და მიადგება მშვილდოსანის საზღვარს;

მაშასადამე შემდეგი თვე „ტირისდენისა“ იწყებოდა 22
ნოემბრიდან (როდესაც მზე შედის მშვილდოსანის ზოდიაკოს ნიშან-
ში), ხოლო სრულდებოდა 22 დეკემბერს (როდესაც მზე დაასრუ-
ლებს გზას მშვილდოსანის ზოდიაკოს ნიშანზე).

¹ იხ. საბას ლექსიკონი, ქართული წიგნის გამოცემა, 1928 წ., გვ. 139, 333.
97 (სიტყვები: „თთუტ“ „ტირისდენი“, და „დეკემბერი“).

რომ ეს დათარიღება სწორია, ამის შემოწმება შესაძლო ხდება სხვა ძველი კავკასიური კალენდრების, ძველ-სომხურისა და ალვანურის პარალელების მიხედვით.

ძველ-ქართულ კალენდარში ტირისდენის თვეს მიეკუთვნება; თანრიგის მიხედვით, მე-4 ადგილი ახალწლის თვიდან დაწყებული (1—ახალწლისაჲ, 2—სთუელისაჲ, 3—ტირისკნისისაჲ, 4—ტირისდენისაჲ).

ჯერ სომხური კალენდარის პარალელზე შევჩერდებით.

ძველ-სომხურ კალენდარში მე-4 თვეს ეწოდება: „ტ გ რ ე“. ნათესაობა ქართული ტერმინისა „ტირის-დენისაჲ“ და სომხური ტერმინისა „ტ გ რ ე“ ექვს გარეშეა: აქ ჩვენ გვაქვს არა მხოლოდ ფონეტიკური იდენტივობა, არამედ ქრონოლოგიური შეხვედრა: თვით თვეების რიგი, როგორც ვხედავთ, ერთი და იგივეა.

აქ მხოლოდ შესაძლოა აღიძრას საკითხი, თუ ვინ ვისგან შეითვისა ეს ტერმინი.

მას შემდეგ, რაც გამოიკვია ისტორია სომხური კალენდარის მეორე თვის სახელისა: *აორი, და მესამე თვის სახელისა: *საამი, რომლებიც სომხურს ქართულიდან უსესხია, საფიქრებელი ხდება, რომ მეორე და მესამე თვის სახელებთან ერთად, მეოთხე თვის ეს სახელიც სომხურს ქართულიდან უნდა ჰქონდეს შეთვისებული.

და ეა მართლაც ასეა.

სომხური ენის ნიადაგზე ტერმინი „ტგრე“ აუხსნელია. ტერმინები „ტირი“ „ტირის-დენისაჲ“ ქართულს ნიადაგზე პოულობს განმარტებას. „ტირი“ ქართულად, მის არქაულ ფორმაციაში, აღნიშნავდა ცნებას „წყალი“. „ტირის-დენისაჲ“ სიტყვასიტყვით ნიშნავდა: „წყლის-დენისაჲ“.

ქართული თვეების სახელწოდებათა ეტიმოლოგია ჩვენ ქვემოთ დაწვრილებით გვაქვს განხილული ცალკე ნაწილში, და აქ წინასწარი ორიენტაციისათვის აღვნიშნავთ მხოლოდ ზოგიერთ ჩვენებას, რომელიც დაკავშირებულია ტირის-დენის ეტიმოლოგიასთან.

პრეცესიის იმ რკალში, როდესაც ჩამოყალიბდა ძველ-ქართული წარმართული კალენდარი, ე. ი. მარჩბივის ეპოქაში (იხ. ზემოთ, გვ. 284—285, შენიშვნა 2), ტირის-დენის თვეს შეეფარდებოდა თანავარსკვლავედი Aquarius, რომელთანაც, როგორც ცნობილია, დაკავშირებულია მითოსი „წყლის-დენის“ შესახებ. (ამას გარდა თვით სახელწოდებაც ამ თანავარსკვლავედისა Aquarius მთელ რიგ ენებზე „წყლის“ ცნებას შეიცავს: Aquarius—„მერწყული, მეწყალე“; Ἰβριχιδος—„წყლის მდენელი, წყლის გადმომსხმელი“ და სხვანი).

თუ მხედველობაში მივიღებთ ძველ-ქართული კალენდარის ას-ტრონომიულ საფუძვლებს, ჯერ მართო ეს ზოგადი ჩვენება, რომ თვე „ტირის-დენისაჲ“ შეეფარდებოდა Aquarius-ის, ᾿Υδροχαιος-ის („წყლის-დენის“) თანავარსკვლავედს, მიგვითითებს რომ „ტირის-დენისაჲ“ ნიშნავდა „წყლის-დენისაჲ“.

და რომ ეს ასეა, ამას ადასტურებს თითონ ქართული ტერმინის პირდაპირი შინაარსი. მართლაც ირკვევა, რომ სიტყვა „ტირი“ ქართული ენის არქაულ ფორმაციაში აღნიშნავდა ცნებას: „წყალი“. ამ სიტყვიდან „ტირი“=წყალი ჩვენ გვაქვს, სხვათა შორის, ტერმინი: „ტირი-ფი“ (ე. ი. წყლის, წყლოვანი მცენარე). ამავე ფუძესიტყვიდან „ტირი“=წყალი ნაწარმოებია სიტყვა „ტირი-ლი“, რაც პირდაპირის მნიშვნელობით სჩანს ამ-გვარს ცნებას გამოხატავდა: წყლის ფრქვევა. (შეადარეთ სემასიური პარალელები: „კურ-ცხალი“← * „კურ-წყალი“; აგრეთვე „ცრემლი“← * „ცურემლი“=ცურის, ცუარის, ე. ი. წყლის ფრქვევა).

ეს რაც შეეხება ქართული ტერმინის ეტიმოლოგიას.

განვიხილოთ ამის შემდეგ ალვანური კალენდარის ტერმინი, ალვანურში მე-4 თვეს ეწოდება: „ჰილედ“.

ალვანური ტერმინის შინაარსი იძლევა ერთგვარ საკონტროლო შემოწმებას და სავსებით ადასტურებს აქ წარმოდგენილ დებულებათა სინამდვილეს.

ალვანურის შესახებ ჩვენ უკვე დადგენილი გვქონდა, რომ ალვანური თვეების სახელები წარმოგვიდგენენ ერთგვარ პარალელიზმს ქართულთან, და თვეების სახელებში გადმოცემულია იგივე შინაარსი, ან და იმავე წრის ცნება, რასაც შეიცავს შესაფარდი ქართული თვის სახელი. და კერძოდ მე-4 თვის სახელიც ანალოგიურ სურათს წარმოგვიდგენს. ჩვენ უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ ალვანური ტერმინი „ჰილედ“ ნიშნავდა „წყლისაჲ“, რასაც ადასტურებს ამ ტერმინის უღური შესატყვისობა „ხელაჲ“, რაც აგრეთვე ნიშნავს „წყლისაჲ“.

ყოველივე იმის შემდეგ, რაც აქ იყო განმარტებული, საკითხი მე-4 თვის სახელის შესახებ როგორც ქართულში, ისე სხვა კავკასიურ კალენდრებში, დადგენილად ჩაითვლება. ჩვენ მაშასადამე შემდეგს დასკვნებს ვღებულობთ:

ა) მე-4 თვის სახელწოდება კავკასიურ კალენდრებში „წყლის“ ცნებას შეიცავს: ქართულში „ტირის-დენისაჲ“=„წყლის-დენისაჲ“, ალვანურში „ჰილედ“=წყლისაჲ (|| უღური „ხელაჲ“=წყლისაჲ).

ბ) ძველ-სომხური კალენდარი, ძირითად ფენში, სჩანს არ არის ორიგინალური და იგი ქართულისაგან არის დამოკიდებული. ისევე როგორც მეორე და მესამე თვის სახელები * „ჯორი“ და * „სადმი“ ნასესხებია ქართულიდან, ამგვარადვე მეოთხე თვის სახელიც სომხური კალენდარისა „ტგრედ სჩანს მომდინარეობს მე-4 თვის ქართული სახელიდან: „ტირის-დენისაჲ“¹.

*

ჩვენ დავამთავრეთ ცალკე თვეების მიმოხილვა. მოგვყავს ამის შემდეგ თვეების მთლიანი სია.

ძველ-ქართული წარმართული კალენდარის „ახალი წელი“ როგორც გამორკვეული იყო, უწევდა 23 აგვისტოს, და აქედან იწყებოდა პირველთ თვე, რომელსაც ერქვა „თ თ უ ზ ა ხ ა ლ წ ლ ი ს ა ჲ“.

თვეების სათვალავს დავიწყებთ ამ ძველი თანრიგის თანახმად, ახალწლის თვიდან:

- | | |
|-----------------------------------|------------------------------|
| 1. თთჲს ა ხ ა ლ - წ ლ ი ს ა ჲ | (23 აგვისტო—22 სექტემბერი) |
| 2. თთჲს ხ თ ე რ ი ს ა ჲ | (23 სექტემბერი—22 ოქტომბერი) |
| 3. თთჲს ტ ი რ ი ს ა ნ ი ს ი ს ა ჲ | (23 ოქტომბერი—21 ნოემბერი) |
| 4. თთჲს ტ ი რ ი ს დ ე ნ ი ს ა ჲ | (22 ნოემბერი—21 დეკემბერი) |
| 5. თთჲს ს ე რ ე ნ ი ს ი ს ა ჲ | (22 დეკემბერი—19 იანვარი) |
| 6. თთჲს ა ვ ნ ი ს ი ს ა ჲ | (20 იანვარი—18 თებერვალი) |
| 7. თთჲს მ ი ჰ რ ა კ ა ნ ი ს ა ჲ | (19 თებერვალი—20 მარტი) |
| 8. თთჲს ი გ რ ი კ ი ს ა ჲ | (21 მარტი—20 აპრილი) |
| 9. თთჲს ვ ა რ დ ო ბ ი ს ა ჲ | (21 აპრილი—21 მაისი). |
| 10. ² | (22 მაისი—21 ივნისი) |
| 11. თთჲს შ ე რ ე თ ო ბ ი ს ა ჲ | (22 ივნისი—22 ივლისი) |
| 12. თთჲს ა რ დ ა - დ ე გ ი ს ა ჲ | (23 ივლისი—22 აგვისტო) |

1) შენიშვნაში საჭიროდ ვსთვლით ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ ჩვენ ამ შემთხვევაში მხოლოდ კავკასიური, ქართულ-ალვანურ-სომხური პარალელური ვფარგლავთ ჩვენი გამოკვლევის წრეს, და ამ-გზის არ ვვებთ ამ ტერმინის განშტოებას კავკასიის გარეთ, ასე ირანულში და კაბადოკიურ კალენდარში.

2) სახელწოდება ამ მეთე თვისა, როგორც გამორკვეული იყო, არ შენახულა ჩვენ პირობითად (ციტირების გაადვილების მიზნით), ამ თვეს ვუწოდებთ: „მ ა ჯ“ ჩ ბ ი ვ ი ს თ ვ ე“, — რადგან იგი «მარჩბივი»-ს ზოდიაკალურ რკალს უდრის (იხ. ზე-მოთ, გვ. 260—261).

VII

**ძველ-ქართული წარმართული კალენდარის თვეების
პარალელური სახელწოდებანი.**

სხვადასხვა კალენდრებში არის ხოლმე შემთხვევები, როდესაც ერთსა და იმავე თვეს ორი და ზოგჯერ რამდენიმე პარალელური სახელწოდება მოეპოვება.

ირკვევა, რომ ძველ-ქართულ კალენდარშიაც ადგილი ჰქონდა ანალოგიურ მოვლენას.

ჩვენ გვაქვს შემდეგი სამი შემთხვევა თვეების პარალელური სახელებისა ძველ-ქართულ წარმართულ კალენდარში:

1. მიჰრაკანის თვეს ჰქონია პარალელური სახელწოდება: „მარილისაჲ“ (ანუ „მარიალი“);

2. ვარდობის თვეს ჰქონია ორი პარალელური სახელწოდება: „ყუავეილობისაჲ“ და „ახალთაჲ“;

3. ქუელთობის თვეს ჰქონია პარალელური სახელწოდება: „თიბისაჲ“.

ამათგან ვარდობის-თვის პარალელური სახელწოდებანი („ყუავეილობისაჲ“ და „ახალთაჲ“) ჩვენ უკვე განხილული გვქონდა (იხ. გვ. 441—443, მოამბე, VI).

აქ შევეხებით დანარჩენ პარალელურ სახელებს: „მარილისაჲ“ და „თიბისაჲ“.

*

«ძველი» (ქართული) და «ახალი» (რომაული) სტილი მე-5 — 8 საუკუნის მწერლობის ძეგლებში.

ვიდრე გადავიძოდეთ გამოკვლევის პირდაპირ საგანზე, აქ ჩვენ წინასწარ მოგვიხდება შევეხოთ ერთ საკითხს: ძველ-ქართული თვეთა-აღრიცხვის სტილის ვარიაციას.

საკითხი შემდეგში მდგომარეობს.

ძველი ქართული მწერლობის ზოგიერთს ძეგლებში ადგილი აქვს, როგორც ირკვევა, წარმართული ქართული კალენდარის თვეების „სტილის“ შეცვლას რომაული „სტილის“ ზეგავლენით. და რადგან შემდეგი გამოკვლევის დროს ჩვენ გვექნება შემთხვევა შევეხოთ რამდენსამე ასეთს ძეგლს და ვისარგებლოთ მასში წარმოდგენილი ცნობებით, ამის გამო აუცილებელია ამ საკითხის წინასწარი განხილვა, თუ როდის, და რა ხასიათის ძეგლებში გვხვდება სტილის შეცვლის ეს მაგალითები.

ჯერ იმის შესახებ, თუ რაში გამოიხატება „სტილის“ ეს შეცვლა.

ამ გამოკვლევის მე-6 თავში ჩვენ დავადგინეთ, ქართული მწერლობის უძველესი ძეგლების ჩვენებათა მიხედვით, რომ ქართული კალენდარის თვეების „სტილი“ (ე. ი. თვეების დასაწყისი და დასასრული) განირჩევა რომაული კალენდარის თვეების „სტილისაგან“. ქართული კალენდარის თვეების „სტილი“ შეფარდებულია, როგორც ვნახეთ, გარკვეულ ზოდიაკალურ ქრონოლოგიასთან და განსხვავდება რომაულისაგან 8—12 დღით; იმისდა მიხედვით, თუ როდის შედის მზე ამა თუ იმ ზოდიაკალურ ნიშანში, ქართული თვეები იწყება რომაულთან შედარებით:

ზოგი 8 დღით ადრე („სთუელისაჲ“);

9 დღით ადრე („ახალწლისაჲ“, „ტირისკინისაჲ“, „ტირისდენისაჲ“, „ქუელთობისაჲ“ „არდა-დევისაჲ“);

10 დღით ადრე („სურწყუნისაჲ“, „მიჰრაკანისაჲ“, „ვარდობისაჲ“, მარჩბივის-თვე);

11 დღით ადრე („იგრაკისაჲ“);

12 დღით ადრე („აპნისისაჲ“).

ამ-რიგად განსხვავება ქართული და რომაული „სტილისა“ 8—12 დღის ფარგლებშია მოქცეული.

და აი, როგორც აღვნიშნეთ, ძველ ქართული მწერლობის ზოგიერთ ძეგლებში ადგილი აქვს რომაული სტილის გავლენას, რაც ამაში გამოიხატება, რომ ქართული თვეების დასაწყისი და დასასრული გაიგივებულია რომაული თვეების დასაწყისთან და დასასრულთან.

რა დროს ეკუთვნის სტილის ამგვარი შეცვლა.

მკითხველს უკვე მოეხსენება, რომ რომაული კალენდარი საქართველოში ხმარებაში შემოვიდა მე-6-7 საუკუნის საზღვარზე. მაგრამ მას არ მოჰყოლია ძველ-ქართული კალენდარის საბოლოო გაუქმება ერთბაშად, ერთ დღეს. ჩვენ უკვე დადგინილი გვქონდა, რომ რომაული კალენდარის შემოღების შემდეგაც, მე-6—7 საუკუნის საზღვრიდან მე-8 საუკუნის პირველ ნახევრამდე, რომაული და ქართული თვეთა აღრიცხვა პარალელურად იხმარებოდა. ამ-რიგად ამ ორი კალენდარის პარალელურმა არსებობამ მთელი საუკუნე-ნახევარი გასტანა.

წყაროების შესწავლიდან ირკვევა, რომ ქართული თვეების „სტილის“ შეცვლა და მათი შეფარდება რომაული თვეების „სტილთან“ მომხდარა სწორედ ამ გარდამავალ ხანაში, როდესაც რომაული თვეთა აღრიცხვა ოფიციალურად იყო შემოღებული, და ამავე დროს

არც ძველი თვეების სახელები იყო საბოლოოდ გადავარდნილი და რომაულთან პარალელურად იხმარებოდა.

რაც შეეხება უფრო ძველს ხანას, როგორც ეს ცხადი გახდა ამ გამოკვლევის მე-6 თავში განხილული ძეგლებიდან, ამაზე წინ მე-4/5—6 საუკუნის ქართულ მწერლობაში, საყოველთაო გავრცელება ჰქონდა წარმართული ქართული კალენდარის სტილს, რომელიც, როგორც ვნახეთ, სულ სხვა სისტემაზე, ზოდიაკალურ ქრონოლოგიაზე არის აგებული და განსხვავდება რომაულისაგან 8-12 დღით. მაგრამ ამავე დროს ირკვევა, რომ სტილის შეცვლას იშვიათად, თითო-ორიჯერ შემთხვევაში, ამ უძველეს ხანაშიაც ჰქონია ადგილი, სახელდობრ ზოგიერთ **თარგმნილს** თხზულებაში.

აი ამ საგანზე მოგვიხდება აქ შეჩერება. საჭიროა, სტილის მერყეობის ყველა ეს შემთხვევები ნათლად გვქონდეს გათვალისწინებული, რათა სწორი დასკვნები გამოვიტანოთ იმ ჩვენებებიდან, რომელთაც ესა თუ ის ძეგლი იძლევა.

ჩვენ აქ ცალ-ცალკე განვიხილავთ ორივე ეპოქის ძეგლებს:

ა) რომაული კალენდარის შემოღების წინანდელი ხანისა; ბ) რომაული კალენდარის შემოღების შემდგომი ხანისა.

ა. რომაული კალენდარის შემოღების წინანდელ ხანაში რომაული სტილის ხმარებას ჩვენ ვხვდებით, როგორც აღვნიშნეთ, ზოგიერთს **თარგმნილს** თხზულებაში. სტილის შეცვლა ამ შემთხვევაში აიხსნება უცხო ორიგინალების საკალენდარო სისტემების გავლენით, საიდანაც ითარგმნებოდა ესა თუ ის თხზულება.

ძველი ქართული თარგმნილი ტექსტების შედარებითი შესწავლიდან შემდეგი ირკვევა.

როდესაც ძველი ქართველი ავტორები სთარგმნიდენ უცხო ტექსტებს, და როდესაც ორიგინალში მოიპოვებოდა უცხოური თარიღები და თვის სახელები (რომაული, ბერძნულ-მაკედონური, ებრაული, სომხური, თუ სხვა), ეს უცხოური თვეთა-აღრიცხვა მათ გადაჰყავთ ქართულ სათვალავზე ზოგჯერ ზუსტად, ზოგჯერ კი მიახლოვებით.

ზუსტი შეფარდება უფრო ხშირს მოვლენას წარმოადგენს. უფრო მეტიც: გარდა ორიოდ შემთხვევისა, ძველი ქართული მწერლობის ძეგლებში ჩვეულებრივ ზუსტი შეფარდება გვხვდება. (ზუსტი შეფარდებას ვეძახით ისეთს თარგმანს, როდესაც თარიღი ზედმიწევნით არის გაანგარიშებული და რიცხვები გადაყვანილია ერთი სტილიდან მეორე სტილზე; ხოლო მიახლოვებულს შეფარ-

დებას, როდესაც მხედველობაში მიღებულია, თუ რომელი თვე რომელს უახლოვდება ზოგადად, მაგალითად: სურწყუნისი=იანვარი, აპანისი=თებერვალი, მიჰრაკანი=მარტი და სხვა, ხოლო რიცხვები არაა გადაყვანილი ერთი სტილიდან მეორე სტილზე).

არ იქნება ზედმეტი აღნიშნოთ ამასთანავე, რომ მიახლოვებული შეფარდება, ე. ი. როდესაც აღებულია მხოლოდ თვეების იგივეობა ზოგადად, ხოლო რიცხვები არაა ერთი სტილიდან მეორე სტილზე გადაყვანილი, მოულოდნელს არას შეიცავს: ასეთი მიახლოვებული შეფარდება ჩვენ გვხვდება არა მარტო ქართულში, არამედ არა იშვიათს მოვლენას წარმოადგენს საერთოდ ყველა ლიტერატურებში, როდესაც ესა თუ ის თხზულება თარგმნილია ან და მოკიდებული ისეთი ორიგინალიდან, რომელიც სხვანაირ კალენდარულს სისტემას მისდევდა. რომ არ გამოვიდეთ იმ რკალიდან, რომლის ფარგლებშიაც აქ ვაწარმოებთ გამოკვლევას და შეეჩერდეთ მხოლოდ საშუალო საუკუნეთა დასაწყისის ლიტერატურებზე, აქ საკმაო იქნება მიუთითოთ, რომ ანალოგიურ შემთხვევებს სტილის შეცვლისას უცხო ორიგინალების ზეგავლენით ჩვენ არა იშვიათად ვპოულობთ მაგალითად ამ ეპოქის ბერძნულს, სირიულს და სხვა კალენდარულ-ჰაგიოლოგიურ ძეგლებში, აი რასა სწერს ამ საგანზე კალენდარულ-ჰაგიოლოგიურ ტექსტების ცნობილი მკვლევარი, ერთი უდიდესი ავტორიტეტი ამ დარგში:

„როდესაც ჩვენ ვაღარებთ ჰაგიოლოგიურ ძეგლებს, ჩვენ ვხვდებით აქ სხვაობას იმ მხრით, რომ ერთი და იმავე თარიღის აღმნიშვნელი ცნობა გადატანილია სხვადასხვა დღეებზე... ზოგჯერ ეს განსხვავება დღეების აღნიშვნაში იმით არის გამოწვეული, რომ კალენდარი სხვადასხვა ხალხებისა არ იყო ერთნაირი: ეგვიპტელებისა, სირიელებისა და სხვათა. არის შემთხვევები, როდესაც მაგალითად ბერძნულ „თთუნში“ (—კალენდარში) თარიღები აღნიშნულია თვის იმავე რიცხვებში, რომელ რიცხვებშიაც ისინი ნაჩვენებია იყო ადგილობრივს (არა-ბერძნულს) კალენდრებში, თუმცა ამ კალენდრების თვეების რიცხვი არ შეეფარდება ბერძნული თვეების რიცხვს; მაგალითად, პაფნუტი ეგვიპტელის ხსენება, ძველს ბერძნულს კალენდრებში ნაჩვენებია. 20 აპრილს, იმიტომ რომ იგი გარდაიცვალა ეგვიპტური თვის ფარმუთის 20-ს; მაგრამ 20 ფარმუთი უდრის ნამდვილად 16 აპრილს“¹.

რასაკვირველია, ასეთ მოჩვენას შესაძლოა ადგილი ჰქონოდა და ჰქონია კიდევ ქართულს მწერლობაში. მართალია, ძველი ქართველი

¹) იხ. Сергий, Полный месяцеслов Востока. წიგნი II, გვ. VIII, XI-XII.

რომაული სტილის გავლენა აქ, როგორც ვხედავთ, იმით აიხსნება, რომ პირველ-წყარო, საიდანაც სთარგმნიდა ქართველი მწერალი, რომელსაც სათვალავს შეიცავდა.

აქ დაგვრჩენია აღვნიშნოთ, რომ ეს ძეგლი, ქრისტეფორეს მარტვილობის მეორე ვერსია, არ არის ერთად-ერთი მაგალითი ამ ეპოქიდან, სადაც ჩვენ რომაული სტილის გავლენას ვპოულობთ. ჩვენ ქვემოთ შემთხვევა გვექნება განვიხილოთ მეორე თარგმნილი თხზულება «წამება სპევსიპსისი, ელასიპსისი, და მელასიპსისი», და ჩვენ ვნახავთ, რომ ამ ტექსტშიაც აგრეთვე აღვნიშნოთ აქვს რომაული სტილის ანალოგიურ გავლენას.

ბ. გადავიდეთ ამის შემდეგ ძეგლების მეორე ჯგუფზე, რომლებიც ეკუთვნიან იმ ხანას, როცა ძველ-ქართული კალენდარი ხმარებიდან გამოდის და მის ნაცვლად რომაული თვეთა-აღრიცხვა მყარდებოდა. — თუ ძველ-ქართული და რომაული სტილის გაიგივებას აღვნიშნავთ, თუმცა იშვიათად, ჯერ კიდევ იმ დროს, როდესაც ძველ-ქართული წარმართული კალენდარი მოქმედებაში იყო (—რის მაგალითსაც ზემოთ განვიხილეთ ქრისტეფორეს მარტვილობის მეორე ვერსია იძლევა), მით უფრო, როცა საქართველოში რომაული თვეთა-აღრიცხვა ოფიციალურად იქმნა შემოღებული და კალენდარის სტილი გამოიცვალა, ცხადია ამის შემდეგ უნდა დაკანონებულიყო გაიგივება თვის ძველი სახელებისა ახალ რომაულ სახელებთან, იმის მიხედვით, თუ რომელ რომაულ თვეს შეეფარდებოდა ესა თუ ის თვე, სახელდობრ:

იანვარი	=	სურწყუნისასა	(ძველად იწყებოდნ	10	დღით აღრე)
თებერვალი	=	აპნისისა	(„	12	„ „)
მარტი	=	მიჰრაკანისა	(„	10	„ „)
აპრილი	=	იგრიკისა	(„	11	„ „)
მაისი	=	ვარდობისა	(„	10	„ „)
ივნისი ¹						
ივლისი	=	ქუელთობისა	(„	9	„ „)
აგვისტო	=	არდა-დევისა	(„	9	„ „)
სექტემბერი	=	ახალწლისა	(„	9	„ „)
ოქტომბერი	=	სთუელისა	(„	8	„ „)
ნოემბერი	=	ტირისკნისასა	(„	9	„ „)
დეკემბერი	=	ტირისდენისა	(„	9	„ „)

¹) როგორც გამორკვეული იყო, ივნისის თვის ძველ-ქართული სახელწოდება ცნობილი არაა.

[არ იქნება ზედმეტი მოვიგონოთ ამასთან, რომ ჩვენ აქ გვაქვს სრული ანალოგია თანამედროვე შემთხვევასთან, რასაც ადგილი აქვს ეხლა, ძველი „იულიანეს“ სტილის შეცვლის დროს ახალი „გრიგორიანული“ სტილით. ჩვენ ძველი სტილის პირველს თვეს ვუწოდებთ „იანვარს“, ამავე დროს ახალი სტილის პირველ თვესაც ვეძახით იმავე „იანვარს“, თუმცა ძველი „იანვარი“ და ახალი „იანვარი“ განსხვავდებიან 13 დღით. ამასთან, სტილის შეცვლას არ გამოუწვევია რიცხვების შეცვლა: ასე, მაისობას ჩვენ, როგორც ახალი სტილით, ისე ძველადაც ერთსა და იმავე 1 მაისს ვდღესასწაულობთ, თუმცა ძველ „1 მაისს“ და ახალ „1 მაისს“ შორის 13-დღიანი განსხვავებაა].

რომ ქართულს კალენდარში სტილის შეცვლისა და რომაული თვეთა-ლრიცხვის შემოღების შემდეგ მოხდა გაიგივება რომაული თვეების სახელებისა მათთან დაახლოვებულ ქართული თვეების ძველ სახელებთან, ამის შესახებ ქართულს წყაროებში გარკვეული ჩვენებანი მოიპოვება. ამ გარდამავალი ხანიდან, როცა რომაული კალენდარი შემოვიდა და ამავე დროს ძველ-ქართული წარმართული თვეთა-აღრიცხვა ჯერ კიდევ საბოლოოდ არ იყო გადავარდნილი, ჩვენამდე მოღწეულა რამდენიმე ძველი (არჩილის მოსახსენებელი, და სხვ.), ამ ტექსტებში ჩვენ პარალელურად გვხვდება რომაული და ძველ-ქართული თვეების სახელები და მათ შორის გატარებულია იგივეობის ნიშანი: „მიჰრაკნისაჲ რომელ არს მარტი“, „აპრილი, რომელ არს იერიკაჲ“ და სხვანი, თუმცა, როგორც ეს ზევით იყო დადგენილი, ეს ქართული თვეები—ძველ-ქართული კალენდარის სტილის თანახმად—ათეული დღით აღრე იწყებოდა.

ჩვენ ამით დავასრულებთ ამ შენიშვნას „ძველი სტილის“ (ძველ-ქართული კალენდარის აღრიცხვის) და „ახალი სტილის“ (რომაული კალენდარის აღრიცხვის) შესახებ.

წყაროების მიმოხილვიდან, მაშასადამე, შემდეგი გამომდინარეობს:

1. მე-4/5—6 საუკუნის ქართულს მწერლობაში გავრცელება აქვს ძველ-ქართული კალენდარის სტილს, რომელიც გარკვეულ ზოდიაკალურ ციკლზეა დამყარებული. აქ მხოლოდ იშვიათად, გამოუნაკლისის სახით, ზოგიერთ თარგმნილ ტექსტებში, გვხვდება რომაული სტილის გავლენა.

2. რომაული კალენდარის ოფიციალურად შემოღების შემდეგ, რაც მე-6-7 საუკუნის საზღვარზე მოხდა, რომაული სტილი საერთო გავრცელებას ღებულობს და ამ დროიდან ძველ-ქართული თვეების სათვალავი რომაულ სტილზეა გადაყვანილი.

ამ განმარტებათა შემდეგ გადავდივართ გამოკვლევის პირდაპირ საგანზე, თვეების პარალელური სახელების განხილვაზე.

1. «თთუჲ მარიალისაჲ» (ანუ «მარიალი»).

ა. თარიღი.

სახელწოდება ამ თვისა „მარიალისაჲ“ ანუ „მარიალი“ მოიხსენება ორს ძველ-ქართულს თარგმნილ მოთხრობაში:

ა) მარტვლობაჲ ფილეკტემონისი¹;

ბ) მარტვლობაჲ ივლიანსისი, ევბულოდისი, თევდოროსისი, მალკამონისი, მოკიმოდისი და სალამონსისი².

პირველ მოთხრობაში, ფილეკტემონის მარტვლობაში, ჩვენ გვაქვს შემდეგი თარიღი:

„აღესრულა ფილეკტემონ ათხუთმეტსა მარტისა თთჳსაჲსა, რომელ არს მარიალი“³.

ამ-რიგად, ტექსტი აქ სრულიად გარკვეულს სათარიღო ცნობას იძლევა. მარიალის თვე, „ახალი“ (ე. ი. რომაული) სტილის თანახმად უდრიდა მარტის თვეს; ხოლო „ძველ“ სტილზე (ძველ-ქართული კალენდარის ზოდიაკალური ქრონოლოგიაზე) გადაყვანით სათანადო თვე იწყება ათი დღით ადრე, ე. ი. 19 თებერვალს, და დასრულდება 20 მარტს. (იხ. ზემოთ, გვ. 326, 320).

აქედან ცხადი ხდება აგრეთვე, რომ მარიალის თვე ყოფილა პარალელური სახელწოდება მიჰრაკანის თვისა. ჩვენ უკვე გამოჩვენებული გვქონდა (ბიბლიისა და „სახისმეტყუელის“ ტექსტების თანახმად) რომ მიჰრაკანის თვე „ძველი“ სტილით (ძველ-ქართული ზოდიაკალური ქრონოლოგიით) იწყებოდა 19 თებერვლიდან და სრულდებოდა 20 მარტს; ხოლო „ახალი“ (რომაული) სტილით იგი უდრიდა მთლიანად მარტის თვეს: „მიჰრაკანი, რომელ არს მარტი“, —ნათქვამია არჩილის მოსახსენებელში.

მაშასადამე ჩვენ გვაქვს მიჰრაკანის თვეს და მარიალის თვის თარიღების ზუსტი შეხვედრა.—

განვიხილოთ ამის შემდეგ მეორე მოთხრობა, სადაც მოხსენებულია „თთუჲ მარიალისაჲ“: მარტვილობა ივლიანისი, ევბულოსი, თევდოროსისი, მალკამონისი, მოკიმოსი და სალამონისი. ეს მოთხრობაც აგრეთვე ადასტურებს მიჰრაკანის და მარიალის იგივეობას.

მოთხრობის თანახმად, აქ მოხსენებული მარტვილნი (ივლიანე,

¹) ტექსტი ამ მოთხრობისა მოთავსებულია ათონის კოლექციის ხელნაწერში № 57. გამოცემულია კ. კეკელიძის მიერ (Keimena I, ტფ. 1918).

²) ტექსტი ამ მოთხრობისა მოთავსებულია საქართველოს მუზეუმის ხელნაწერში № 341. გამოცემულია P. Peeters-ის მიერ (Analecta Bollandiana, t. XLIV, Brux. 1926).

³) იხ. Keimena, I, 160.

ევბულო და სხვანი) წარუდგენიათ სამსჯავროს წინაშე და მათი გასამართლება დაუწყიათ:

„მეხუთესა მარიალისა თთვსასა“¹.

მოთხრობას, ჩვენამდე მოღწეულ ხელნაწერში აკლია ბოლო, ამის გამო მოთხრობაში ჩვენ გვაქვს მხოლოდ ეს ერთი თარიღი, თუ როდის დაიწყო მარტვილთა გასამართლება. ხოლო ცნობა იმის შესახებ, თუ როდის აწამეს ესა თუ ის მარტვილი, არ მოღწეულა; ეს თარიღები ცალკე მარტვილთა წამებისა აღნიშნული უნდა ყოფილიყო მოთხრობის ბოლოში, რომელიც დაკარგულია.

მოთხრობა ივლიანეს და თანამოღვაწეების შესახებ თარგმნილს თხზულებას წარმოადგენს. თარიღების შემოწმებას აძნელებს ის გარემოება, რომ ორიგინალი, საიდანაც ითარგმნა ქართული ტექსტი, არ შენახულა²; მაგრამ შემოწმება თარიღებისა მაინც არის შესაძლებელი. საქმე ის არის, რომ ამ მოთხრობაში მოხსენებულ მარტვილთა მოწამეობის თარიღები აღნიშნულია სხვადასხვა უცხოურ საკალენდრო-სვინაქსარულ მოსახსენებლებში. და აქ ჩვენ გვაქვს შემდეგი თარიღები, რომლებიც **თებერვლის ბოლოს და მარტის დასაწყისს უწევს** (26 და 29 თებერვალს, 4, 6, 7 და 8 მარტს)³.

როგორც ვხედავთ, ეს თარიღები იძლევა შეხვედრას მარილის თვის რკალთან, რომელიც, როგორც გამოიჩვენა, შეიცავდა ძველი ქართული სტილის თანახმად სწორედ **თებერვლის ბოლოს და მარტის პირველ ორ ათეულს** (იწყებოდა 19 თებერვალს და სრულდებოდა 20 მარტს). ქართულ მოთხრობაში აღნიშნულია, რომ მარტვილთა გასამართლება დაწყებულია 5 მარილს, რაც უდრის, 23 თებერვალს; ხოლო მათი წამება უნდა მომხდარიყო ამის შემდეგ უახლოეს დღეებში, რაც უდგება თარიღების იმ წყებას, რომელსაც საკალენდარო-სასვინაქსარო ტექსტები შეიცავენ, და რომლებიც თებერვლის ბოლოს და მარტის დასაწყისშია ნაჩვენები.

ამ-რიგად, თუმცა ჩვენ არა გვაქვს ზუსტი ჩვენება ამა-თუ-იმ ცალკე მარტვილის წამების დღის რიცხვების შესახებ, რადგან ქართულ მოთხრობას აკლია ბოლო, და არც ის ორიგინალი შე-

1) იხ. ხელნაწერი საქ. მუზეუმისა № 341, გვ. 475.

2) იხ. ამ ძეგლის უნიკალობის შესახებ P. Peeters-ის გამოცემაში: *La passion géorgienne de SS. Théodore, Julien, Eubulus etc. (Analecta Bollandiana, t. XLIV)*.

3) იხ. Сергей, Полный месяцеслов Востока, II, ნაწილი პირველი, გვ. 58, 66, 67. (კერძოდ 58 გვერდზე აღნიშნულ ტექსტში ევბულოს მოწამის ხსოვნა სიანს გადატანილია ევბულოს მოციქულზე).

ნახულა, საიდანაც ქართული ტექსტი ითარგმნა; (ხოლო რაც შეეხება უცხო ენებზე შენახულს მოკლე საკალენდრო-სასვინაქსარო შენიშვნებს ისინი ეკუთვნიან სხვადასხვა ეპოქას, სხვადასხვა ადგილს, და წარმოგვიდგენენ სხვადასხვა ტრადიციას). მაგრამ მთავარი, რაც ინტერესს წარმოადგენს ჩვენი საკითხისათვის, ცხადი ხდება ამ საერთო ჩვენებებიდანაც, სახელდობრ ის, რომ ყველა ზემოთ-მოყვანილი თარიღები მოქცეულია მარიალის თვის ფარგლებში, ე. ი. 19 თებერვალს და 20 მარტს შორის.—

მაშასადამე ეს მეორე ძველიც ადასტურებს მარიალისა და მიჰრაკანის თვეების იგივეობას.

*

**1b. რომელი სახელწოდებაა ქართულს კალენდარში ძირითადი:
«მარიალი» თუ «მიჰრაკანი».**

რაკი გამოირკვა მარიალის თვის და მიჰრაკანის თვის იგივეობა, ამის შემდეგ ისმის საკითხიც, თუ რომელია ამ ორ პარალელურ სახელწოდებათა შორის ძველი, პირველადი, და რომელია შემდეგ შემოღებული.

ამ კითხვაზე გარკვეული პასუხის გაცემა შეიძლება. პირველადი, ძირეული სახელწოდება ამ თვისა არის „მარიალი“, ხოლო „მიჰრაკანი“ შემდეგ არის შეთვისებული.

ძველ-ქართული წარმართული კალენდარის თვეების სახელებს შორის ტერმინს „მიჰრაკანი“ განკერძოებული ადგილი უჭირავს. ყველა დანარჩენი თვეების სახელები, როგორც ეს ქვემოთ, ამ გამოკვლევის სპეციალურ ნაწილში იქნება დადგენილი, ქართული წარმოშობისაა, ქართველური ენების მსოფლიოს ეკუთვნის. ერთადერთი არა-ქართული ტერმინი ძველ-ქართულ კალენდარში ეს არის „მიჰრაკანი“. იგი შეთვისებულია ირანულიდან და ნიშნავს მითრას თვეს.

აქ საჭიროა ამავე დროს ხაზი გაუსვათ იმ გარემოებასაც, რომ საზოგადოდ ქართულისა და ირანული კალენდარის ურთიერთობა არც ისე მარტივია, როგორც ეს პირველი შეხედვით შესაძლოა გვეჩვენოს. ზოგიერთი ხაზები, სადაც ირანული და ქართული ერთმანერთს ხედება, სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ყველა ამ შემთხვევებში პირველწყაროა ირანული, ხოლო ქართულმა ირანულიდან შეითვისა ესა თუ ის ტერმინი. ქართველური მსოფლიო სჩანს არის უშუალო განშტოება წინა-აზიის არქაული კულტურების წრისა, და ამის გამო ამგვარი წინასწარადგებული აზრი, თითქო ქართული

მსესხებელია, ხოლო ირანული, საერთოდ ინდოგერმანული, ანდა სემური, პირველწყაროა, — უკუგდებულ უნდა იქმნეს. ასეთს გამარტივებულს მიდგომას, რომელსაც საკმაო გავრცელება ჰქონდა, და ნაწილობრივ ეხლაც აქვს, ყოველ შევთხვევაში არაფერი აქვს საერთო მეცნიერულ კრიტიკასთან, და თუ რასმე ამჟღავნებს, ეს მხოლოდ იმ რუტინას, რომელიც დღემდე საბოლოოდ დაძლეული არაა.

ასე, მაგალითად, შესაძლოა ვისმე ეფიქრა, და ეს მოსაზრება გამოთქმული იყო კიდეც (არმენისტის კ. პატკანიანის მიერ), რომ ქართული კალენდარის მე-4 თვის სახელი „ტირის-დენისაჲ“ შეთვისებულია ირანულიდან. ირანულში ჩვენ მართლაც გვაქვს მე-4 თვის ანალოგიური სახელწოდება, რომელსაც უკავშირებენ ირანული რელიგიის „კეთილი სულის“ სახელთან: *tistrya*. მაგრამ საქმე ის არის, რომ არც სახელწოდება ირანული კალენდარის მე-4 თვისა, და არც „კეთილი სულის“ ეს სახელი *tistrya* ირანულს ნიადაგზე ვერ პოულობს სათანადო განმარტებას.

ამას გარდა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თვის სახელები კი არ პტის წარმოშობილი „კეთილი სულების“ resp. ამშასპანდების სახელებიდან, როგორც ამას ჩვეულებრივ ფიქრობენ, არამედ პირიქით, ამშასპანდების, „კეთილი სულების“ სახელები თვეების სახელებიდან არის წარმოებული. „კეთილი სულების“ სახით აქ ჩვენ გვაქვს თვეების სახელების მითოლოგიზირება. ერთადერთი სამსახური, რომელსაც ჩვენ „კეთილი სულები“ ამ შემთხვევაში გვიწევენ, არის ის, რომ მათი სახელების სახით შენახულა, თვეების სახელწოდებათა უძველესი, პირველადი ფორმები.

ირანული მე-4 თვის სახელთან (რომლის პირველადი ფორმა შემოუნახავს მისი შესაფარდი „კეთილი სულის“ სახელს *tistrya* ← **tirstya*) ცხადია მართლაც კავშირი აქვს ქართული თვის სახელს „ტირის-დენისაჲ“. გარდა ამ ორი ტერმინის ფონეტიკური მსგავსებისა, განსაკუთრებით საგულისხმო ისაა, რომ აქ ჩვენ გვაქვს ქრონოლოგიური შეხვედრა: ორსავე კალენდარში ამ თვეს მიეკუთვნება მე-4 ადგილი ახალწლის თვის შემდეგ.

მაგრამ ირანულს ნიადაგზე გაუგებარი **tirstya* კი არა ხსნის ქართული თვის სახელს „ტირის-დენისაჲ“, არამედ, პირიქით, ირანულში გაუგებარი **tirstya* პოულობს ახსნას ქართველური ენების საფუძველზე. როგორც ეს უკვე აღნიშნული გვქონდა, „ტირის-დენისაჲ“ ნიშნავდა სიტყვა-სიტყვით: „წყლის-დენისაჲ“. რომ ეს ეტიმოლოგია ქართული ტერმინისა სწორია, ამას ადასტურებს არა მხოლოდ ის გარემოება, რომ სიტყვა „ტირი“ ქართული ენის არქაულ-

ფორმაციაში აღნიშნავდა წყალს, და აგრეთვე არა მარტო ის გარემოება, რომ სხვა კალენდრების მიხედვითაც ამ თვის სახელი დაკავშირებული იყო ცნებასთან „წყალი“, არამედ საბოლოოდ გადამწყვეტს საკონტროლო ჩვენებას აქ იძლევა ის ფაქტი, რომ ძველქართულ კალენდარში ჩვენ გვაქვს გარკვეული სისტემა ასტრონომიულ-ზოდიაკალური შეფარდებისა და „ტირიადენისა“ ორგანიზულად შედის ამ მთლიან სისტემაში (იხ. ზემო გვ. 318—320).

მაგრამ ქართულ-ირანული პარალელები ცალკე საკითხია და იმ ზოგიერთს შეხვედრით ხაზებს, რომელთაც ადგილი აქვს ქართულსა და ირანულში, და რომლებშიაც პრიორიტეტი ქართულს ეკუთვნის, ისევ დაუბრუნდებით, როდესაც გავეცნობით ძველ-ქართული კალენდარის შესახებ ყველა სათანადო რეალიებს¹.

აქ ჩვენ შევჩერდებით მხოლოდ მიჰრაკანის თვის სახელზე. მიჰრაკანის თვის ისტორია გვიჩვენებს, რომ ქართულისა და ირანულის გავლენა ორმხრივი ყოფილა. თუ არქაულ ეპოქაში ზოგიერთი ტერმინები, რომლებიც ქართველური ენებზე მსოფლიოს ეკუთვნის, გადასულა (უშუალოდ თუ მეშვეობით) ირანულში, უფრო გვიან ხანაში ჩვენ გვაქვს პირუტყუ მოვლენაც, ირანულის გავლენა.

სახელწოდება „მიჰრაკანი“, არსებულის სახით, ცხადია ქართულს შეთვისებული აქვს ირანულიდან; ირანულში ჩვენ გვაქვს ამ თვის სახელწოდების შემდეგი ფორმები: Mihrakana, Mihrakān (ფაჰლავური), Mihrakān (ახ.-სპარსული): ქართულში, როგორც ვხედავთ, უცვლელად გადმოღებულია ამ ტერმინის ფაჰლავური ფორმა: mihrakān.

მიჰრაკანი ნიშნავს ღვთაება მითრას (მიჰრ-ის) თვეს.

მითრას კულტს რთული ისტორია აქვს. მითრას კულტს ჩვენ ვხვდებით მცირე აზიაში და კავკასიის სანაპირო ქვეყნებში ჯერ კიდევ მეორე ათასწლეულში ჩვენი წელთ-აღრიცხვის უწინარეს, მიტანურ-ხეთურ მსოფლიოში. მაგრამ მითრას კულტის არქაული ისტორია ამ შემთხვევაში არაა ჩვენთვის საინტერესო; ქართული კალენდარის ტერმინი „მიჰრაკანი“ უფრო ახალი წარმოშობისაა, და, როგორც ამას გვიჩვენებს თვით ტერმინის ირანული გაფორმება, იგი ცხადია დაკავშირებულია უფრო გვიანი ეპოქის მოვლენასთან, მითრაიზმის ირანულ სახეობასთან.

¹ აქ საჭირო იქნება აღვნიშნოთ მხოლოდ წინასწარ, რომ სახელწოდება თვისა „აპანისისაჲ“ resp. „აპანისისაჲ“ (რომელსაც ჩვენ მოგვიხდება შევხვით, ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით, ამ გამოკვლევის პირველ ნაწილშივე),—არ არის ირანული წარმოშობისა, არამედ ქართული კალენდარის ძირითად ფენს ეკუთვნის და ქართული კალენდარის სისტემაში პოულობს განმარტებას.

ირანულ რელიგიაში მითრას კულტს, როგორც ცნობილია დიდი ადგილი ეჭირა. ირანის კულტურული გავლენის გაძლიერებასთან ერთად მითრაიზმის ირანული სახეობა თანდათან გავრცელებას ღებულობს მცირე-აზიაში და მის სანაპირო ქვეყნებში, რომლებიც წინათაც, არქაულ ეპოქაში, იცნობდნენ მითრას კულტს. ირანულ მითრაიზმთან ერთად გავრცელება მიუღია თვის ირანულ სახელსაც „მითრაკანი“||„მიჰრაკან“, რომელ თვეშიაც სრულდებოდა. მითრას მთავარი საკულტო დღეობა: ირანული თვის ეს სახელი ჩვენ გვხვდება მაგალითად სომხურშიც, ფორმით: მეჰეკი, მეჰეკან. (← *მეჰრაკანი). იგი მიღებული იყო მცირე აზიაშიაც; კაპადოკიურ თვეთა-აღრიცხვაში იგი გვხვდება ფორმით: Miḥri. სტრაბონს ამ თვის სახელი მოჰყავს ფორმით: Μιϋραχισα(← Μιϋραχισα).

იცნობდა თუ არა კერძოდ ქართველური მსოფლიოც მითრას კულტს არქაულ ეპოქაში, ამ კითხვას ჩვენ ეხლა უპასუხოდ ვტოვებთ, რადგან ამას არა აქვს აქ აღძრულ საკითხებთან უშუალო კავშირი; ხოლო ირანული მითრაიზმი რომ საქართველოში გავრცელებით სარგებლობდა, ეს უეჭველია. ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისის უახლოეს საუკუნეებში ძირითადი ქართული პროვინცია იბერია მჭიდრო პოლიტიკურ და კულტურულ ურთიერთობაში იყო ირანთან, და ამ ეპოქაში, როდესაც ირანული მითრაიზმი ფართოდ გავრცელდა სხვა მეზობელ ქვეყნებში, კერძოდ მცირე აზიაში და კომხეთშიაც, ბუნებრივია, რომ მას საქართველოშიაც უნდა მიეღო გავრცელება: და მართლაც, მითრას კულტის ირანული სახეობა რომ არსებობდა საქართველოში, ამას, სხვა რეალიებთან ერთად¹, ადასტურებს, სხვათა შორის, ამ ხანის ონომასტიკონიც, ირანული მითრაიზმის თეოფორული სახელები: მიჰრ-დატ, მიჰრ, მიჰრან|მირიან, მიჰრან-დუხტ, და სხვანი, რომლებიც მიღებული იყო კლასიკურ იბერიაში. ცხადია ამ დროსვე, ირანულ მითრაიზმთან ერთად, ჩვენში დამკვიდრებულა ირანული თვის ეს სახელიც „მიჰრაკანი“=მითრას, მიჰრ-ის თვე.

ჩვენ ამ-გზის ამით დავასრულებთ განხილვას ტერმინ „მიჰრაკანის“ სადაურობის საკითხისა.

რაკი, ამ-რიგად, მიჰრაკანს განმარტოებული ადგილი უჭირავს ძველ-ქართული თვეების წრეში და ამ თვის სახელწოდების არსებული სახე უცხო წარმოშობისაა, ამის შემდეგ გამოსარკვევი იყო, თუ რა ერქვა ძველად იმ თვეს, რომლის ადგილი შემდეგ ირანიზირებულმა „მიჰრაკანმა“ დაიჭირა. და როგორც ეხლა ირკვევა, ეს ძველი სახელწოდება ყოფილა „მარიალი“.

1) რის შესახებაც ქვემოთ.

აღსანიშნავია ამასთან, რომ ახალ სახელწოდებას „მიჰრაკანი“ არ განუდევნია მთლად ძველი სახელი ამ თვისა „მარიალი“, მაგრამ მაინც ამ პარალელურ ტერმინს „მიჰრაკანი“ უფრო ფართო გავრცელება მიუღია; იგი უფრო ხშირად გვხვდება, და კერძოდ ბიბლიის ძველ-ქართულ ვერსიაში „მარიალი“-ს ნაცვლად „მიჰრაკანი“ არის მიღებული.

*

1c. ქართული თვის სახელი «მარიალი» და მისი სომხური და ალვანური პარალელები.—ძველ-ქართული ასტრონომიული ტერმინი «მარი-ოტა».

ძველ-ქართული კალენდარის თვის სახელი „მარიალი“ ჩვენ გვხვდება აგრეთვე სომხურში; ფორმით: „მარერი“.

რაკი დადგენილია, რომ სომხური კალენდარის ძირითადი ფენი არ არის ორიგინალური და ძველ-ქართულიდან არის დამოკიდებული, გასაგებია ამის შემდეგ ქართულისა და სომხურის შეხვედრა; სომხურს, სხვა თვეების სახელებთან ერთად (ფორი, საამი, ტგრეფ და სხვ.) სჩანს შეუთვისებია ქართულიდან თვის ეს სახელიც. „მარერი“.

ქართული თვის სახელის „მარიალი“-ს პარალელი ჩვენ გვხვდება აგრეთვე ალვანურშიაც, ამ სახით: „მარც“.

ალვანური ენა (და მისი უშუალო მემკვიდრე უღური) ეკუთვნის კავკასიურ ენათა ძირითად ჯგუფს, იაფეტურ. ოჯახს, და მათსადამე მონათესავეა ქართულისა. ამის გამო ალვანურის შეხვედრა ქართულთან შესაძლოა ორნაირად აიხსნას: ა) ან ჩვენ აქ საქმე გვაქვს სესხებასთან; ბ) ანდა პარალელიზმი აიხსნება ამ ორი ენის გენეტიური ნათესაობით (ე. ი. ერთი და იგივე ცნება აქ გადმოცემულია ფუძესიტყვით, რომელიც ორსავე ენაში ერთნაირად გამოითქმოდა).

თუ რომელია ამ ორ შესაძლებლობათა შორის ნამდვილი, ამ კითხვას ამ-გზის ღიად ვტოვებთ, რადგან ეს ამ-ჟამად არ წარმოადგენს ჩვენი გამოკვლევისათვის პირდაპირს ინტერესს. (შემდეგ, როდესაც გავეცნობით ძველ-ქართული და ალვანური კალენდრების შესახებ ყველა სათანადო რეალიებს, გამოირკვევა, რომ ალვანური ამ შემთხვევაში არ არის დამოუკიდებელი, არამედ ეს ტერმინი ალვანურს ქართულიდან უსესხია).

ჩვენ აქ შევჩერდებით მხოლოდ ქრონოლოგიის საკითხზე.

საქმე ის არის, რომ რომ ეს თვე: მარიალი (ქართული), მარე-

რი (სომხური) და მარც (ალვანური) სხვადასხვა თარიღებს შეიცავს სამსავე კალენდარში.

ქართულში „მარიალი“, როგორც გამოირკვა, შეიცავდა დროს 19 თებერვლიდან 20 მარტამდე, მაშასადამე მარიალი არის მეშვიდე თვე („ახალ-წლის“ თვის შემდეგ).

სომხურში „მარერი“ არის მეათე თვე. ხოლო ალვანურში „მარც“ მეექვსე თვეა.

რომელი თარიღია ამ შემთხვევაში პირველადი?

ის გარემოება, რომ თვის ეს სახელი სომხურს, და საფიქრებელია ალვანურსაც, ქართულიდან უსესხნიათ, ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ქართულში თვის თარიღი უფრო ძველის სახით არის მოღწეული. შესაძლოა ქართულში თვის თარიღი შემდეგ შეიცვალა, ხოლო სომხურში ან ალვანურში თარიღი პირველადის სახით შერჩა.

ხოლო თავისთავად ამგვარი მოვლენა—თვის თარიღების გადაცვლება—მოულოდნელს არას შეიცავს; ანალოგიური შემთხვევები, როგორც ცნობილია, არა ერთგზის გვხვდება სხვადასხვა კალენდრების ისტორიაში.

მარიალის თვის თარიღის საკითხთან დაკავშირებით ჩვენ ჯერ-ჯერობით შევჩერდებით ერთს ძველ-ქართულ ასტრონომიულ ტერმინზე. ფუძე-სიტყვიდან „მარი“, საიდანაც წარმოსდგა თვის სახელი „მარი-ალი“||„მარე-რი“||„მარც“ ჩვენ გვაქვს ძველ-ქართულში ასტრონომიული ტერმინი: „მარი-ოტა“.

სულხან-საბა ორბელიანი, რომელიც ამ შემთხვევაში, როგორც ყოველთვის, ძველ-ქართულის წყაროებს ემყარება, ამ ტერმინის შესახებ შემდეგს ცნობას იძლევა:

„მარიოტა მას ცის გრკალსა ეწოდების, რომელსა ზედა მზე გაზაფხულისა ბუნიობასა ზედა ვალს“¹.

გაზაფხულის „ბუნიობა“ ეს არის გაზაფხულის მზის ქცევა (დღე-ღამის გასწორების წერტილი), რაც 20 მარტის დასრულები-სას უწევს, 20 და 21 მარტის საზღვარზე².

შეადარეთ ამას მარიალის თვის ფარგლები. „მარიალი“ ქართულს კალენდარში, როგორც დადგენილია, უდრის თევზის ზოდიაკალურ ნიშანს, იწყება 19 თებერვლიდან და სრულდება 20 მარტს (ამ უკანასკნელი რიცხვის ჩათვლით), ე. ი. სწორედ მაშინ,

1) იხ. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი (ქართული წიგნის გამოცემა, 1928 წ.) გვ. 196, სიტყვა „მარიოტა“.

2) იხ. გვ. 421, 425 (საქ. მუხ. მოანბე, VI).

როდესაც მზე გაივლის „მარი-ოტას“ ე. ი. მზის ქცევის (დღე-ღამის გასწორების) ასტრონომიულ წერტილს. ცხადი ხდება ამის მიხედვით, რომ თვის სახელი „მარი-ალი“ და ასტრონომიული ტერმინი „მარი-ოტა“ ერთი წარმოშობისა არიან; მათი სახელების შეხვედრა ცხადია არ არის შემთხვევითი, რადგან ისინი ერთსა და იმავე ასტრონომიულ-ქრონოლოგიურ თარიღს უჩვენებენ.

აქედან კი ორი რამ ირკვევა.

ჯერ ერთი ის, რომ ტერმინი „მარი-ალი“ არა სდგას განმარტობით ძველ-ქართულ კალენდარში, არამედ დაკავშირებულია ძველ-ქართულ კალენდარის ასტრონომიულ განრიგებასთან და ძველ-ქართულს ასტრონომიულ ტერმინოლოგიასთან; აქ ჩვენ გვაქვს მაშასადამე მეტად მნიშვნელოვანი ჩვენება იმის შესახებ, რომ თვის სახელი „მარიალი“ ქართული კალენდარის ორგანიული ნაწილია, მის ძირითად ფენს ეკუთვნის.

მეორე ის, რომ „მარი-ოტას“ ასტრონომიული თარიღი, 20 მარტის ბოლო, ეთანხმება მარიალის თვის იმ ქრონოლოგიას, რომელიც ქართულს კალენდარშია მოცემული (= მე-7 თვე).

მარიალის თვის სახელთან, და მარი-ოტას (= მზის ქცევის) კალენდარულ თარიღთან დაკავშირებულია ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი პროზღემა ძველ-ქართული მითოლოგიისა. მაგრამ ამაზე აქ აღარ შეეჩერდებით და მას ქვემოთ ცალკე თავში განვიხილავთ. იქვე შევეხებით ეტიმოლოგიასაც ტერმინებისა: მარიალი (რომლის პირვანდელი ფორმა ყოფილა: *მარ-ი-არი||* მარ-ი-ერი) და ასტრონომიული ტერმინისა მარი-ოტა.

აქ კი ჩვენი კვლევის მიზანი იყო მხოლოდ გამოგვეჩვენა მარიალს თვის ადგილი ძველ-ქართული კალენდარის რკალში. ხოლო ეს კითხვა, წარმოდგენილ განმარტებათა შემდეგ, დადგენილად ჩაითვლება¹.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).

1) შენიშვნაში საჭიროდ ვსთვლით აღვნიშნოთ აგრეთვე, რომ მარიალის და მარი-ოტას აქ განმარტებული თარიღი წარმოგვიდგენს წარმართული ქართული კალენდარის უკანასკნელს ფორმაციას, ე. ი. „ვერძის ეპოქას“. რაც შეეხება პრეცესიის წინარე რკალს, მას აქ აღარ ვეხებით, რადგან გამოკვლევის ამ პირველ ნაწილში, როგორც ეს ხვეითაც გვქონდა აღნიშნული, ჩვენ ვიკვლევთ ძველ-ქართული კალენდარის მხოლოდ უკანასკნელს ფორმაციას, მის უკანასკნელს სტატიკურს მდგომარეობას.

საქართველოს მუზეუმის 1931 და 1932 წლების მუშაობის ანგარიში.

1. საერთო მიღწევა.

საანგარიშო ორი წელი წარმოადგენს იმ ახალი ფაზის გაგრძელებას მუზეუმის განვითარებაში, რომელშიაც ის შევიდა წინა წლებში და რომელიც დასურათებული იყო 1928—1930 წლ. მუზეუმის მუშაობის ანგარიშში. მუზეუმმა ახლაც კიდევ განვლო თავისი განვითარების საფეხურების რიგი, ამასთანავე განავითარა აღმშენებლობის ისეთი ტემპები, რომ სრულიად განახლებულ ინსტიტუტს წარმოადგენს. თუ წინათ მუზეუმის გეოლოგიური, ბოტანიკური და ზოოლოგიური განყოფილებების მუშაობა მასალების დაგროვებით განისაზღვრებოდა მათი სისტემატიკის მიზნით; ახლა მათ ტექნიკურ-ეკონომიური ამოცანები დაისახეს, ე. ი. ქვეყნის საწარმოო ძალების ჩვენება და მათი დაკავშირება სამეურნეო აღმშენებლობასთან. ზოგად-ისტორიული განყოფილებებიც აგრეთვე ახალ საფუძველზე დადგნ, რომ უჩვენონ მასებს მთლიანი ისტორიული განვითარების პროცესი, შეაიარაღონ მასები დრომოკმულ საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციებთან და კლასებთან აქტიური ბრძოლისათვის და ჩააბან ისინი სოციალიზმის აღმშენებლობაში. საბჭოთა საქართველოს 10 წლის თავისათვის საქართველოს მუზეუმში ჩატარებულ იქმნა პირველი ცდა საექსპოზიციო მასალის მარქსისტულად დამუშავებისა, სახელდობრ გახსნილ იქმნა ხევისურეთის ეთნოგრაფიული გამოფენა. დანარჩენი გეგმებისა და წამოწყებებიდან მატერიალური დაბრკოლებების გამო არაფერი არ გამოსულა იმ მომენტამდე, ვიდრე 1931 წლის მაისის ბოლოს საქართველოს მუზეუმის დირექტორად დაინიშნებოდა ამხ. ბარონ ბიბინეიშვილი.

ახლა მკვეთრად იქნა დასმული ამოცანები საექსპოზიციო მუშაობის ჩატარებისა ბოლშევიკური ტემპებით და მოკლე ვადაში მუზეუმის (ჯერ კიდევ ცალიერ) საგამოფენო დარბაზებში საგამოფენო გაფორმებათა გაშლისა. ამისთვის საჭირო იყო მუზეუმი თავ-

დაპირველად მატერიალური ბაზით უზრუნველ გვეყო, შემდეგ მუშაკებით და, ბოლოს, ექსპონატების შეგროვებით ექსპედიციური მუშაობის საშუალებით. ყველა სამივე მუხლი ცოტად თუ ბევრად უზრუნველყოფილ იქნა 1931 წლის მეორე ნახევრიდან და 1932 წლის მნიშვნელოვანი ნაწილის განმავლობაში. მატერიალური ბაზა ექსპოზიციურ სამუშაოთათვის უზრუნველყოფილია უმთავრესად შენობის დასასრულებლად მიღებული სესხის გადახდევინების გადადებით 1931 წელს, ხოლო, 1932 წლის პირველ კვარტალში 1932 წლის ხარჯთაღრიცხვის ანგარიშში მიზნობრივი დანიშნულების საოპერაციო თანხის ნახევრის მიღებით. განზრახული ექსპოზიციური მუშაობისათვის საჭირო მუშაკებით მუზეუმი 1931 წელს მთავრობის ნებართვით უზრუნველყოფილ იქნა საჭიროებისდა მიხედვით შტატგარეშე მუშაკების მოწვევით და მთავრობის დადგენილებითვე ორი მეცნიერი კონსულტანტის დანიშნით, სახელდობრ პროფ. ივ. ჯავახიშვილისა და პროფ. გრ. წერეთლისა. 1932 წელს მუშაობისათვის მოწვეული მუშაკების მნიშვნელოვანი ნაწილი მუზეუმის შტატში იქნა ჩარიცხული. ბოლოს, მესამე მუხლიც—ზაფხულის ექსპედიციები—შესრულებულ იქნა 1931 წელს (სვანეთის კომპლექსური ექსპედიცია, წითელქალაქის რაიონის შესწავლა და სხვა), ხოლო 1932 წელს კი მუზეუმის ფინანსური მდგომარეობის გამო ექსპედიციები უმეტეს ნაწილად ამოშლილ იქნა გეგმიდან.

ვინაიდან მიზნად გვექონდა დასახული მუზეუმის კოლექციები გაფორმებული ექსპოზიციების სახით ფართო მასებისათვის ხელმისაწვდომი გაგვეხადა, დაისვა საკითხი მკვეთრად შემოხაზული თემების შერჩევისა და ამასთან დაკავშირებით—საგამოფენო სადგომების ხელახალი განაწილებისა. ორივე საკითხის დამუშავებამ შემდეგ დასკვნამდე მიგვიყვანა: 1) პირველ ექსპოზიციურ გაფორმებად დასახულ იქმნა საქართველოს მინერალური რესურსების გამოძეღვენება (მიწის ზედაპირის შექმნის ისტორიის ფონზე), მათი სოც. აღმშენებლობაში მნიშვნელობისა და პერსპექტივების ჩვენებით, რაც დამთავრებულ იქნა საბჭოთა საქართველოს 1932 წლის თებერვლის წლისათვისათვის; 2) მეორე საგამოფენო გაფორმება მიეცა ფეოდალიზმის დაშლისა და კაპიტალიზმის მოწოლის ეპოქის ქართული ხელსაქმის ნიმუშებს, რომელიც გახსნილ იქნა 1932 წლის მაისის დღესასწაულებისათვის. ამ დროისათვის დაბეჭდილ იქმნა დასურათებული გზამკვლევი ქართულსა და რუსულ ენებზე; 3) მესამე გამოფენამ, გახსნილმა ივლისში, გამოაშკარავა მეგობრები და მავნებლები საქართველოს სასოფლო მეურნეობაში და გააცნო მათ მათგან მავნებუ-

ლებთან ბრძოლის მეთოდები; 4) მეოთხე ექსპოზიციურ გაფორმებას დამთავრებულს 1932 წლის ბოლოს, წარმოადგენს სვანეთის ეთნოგრაფიული გამოფენა. მუზეუმის სამუშაოთა საფინანსო ბაზის შემოკლებამ 1932 წლის მაისს მესამე და მეოთხე ექსპოზიციური გაფორმების დამთავრება გეგმით დანიშნულ ვადაში შეუძლებელი გახდა; აგრეთვე სრულიად შეუძლებელი შეიქნა გაგვეფორმებია თემა „ქართული მწერლობა და წიგნი როგორც იარაღები კულტურული რევოლუციისა“¹, რომლის გამომუშავებას და დამზადებასაც მუზეუმში შეეუდევით 1931 წლის შემოდგომიდან.

აღნიშნული თემების შერჩევამ გვაძლულა ხელახლა გადაგვესინჯა საგამოფენო სადგომების განაწილების საკითხი; საჭირო შეიქნა აგრეთვე მთელი რიგი საორგანიზაციო ზომების გატარება. მუზეუმის ფოტოგანყოფილებამ დაასრულა დაწყებითი საორგანიზაციო პერიოდი, მოაგვარა ლაბორატორიის მოწყობის ძირითადი საკითხები და გაატარა თავისი ნეგატივების ფონდის თავდაპირველი დახარისხება; სარესტავრაციო მუშაობა გაძლიერებულ იქნა შტატგარეშე მუშაკით; ტექსტიდერმიულმა სახელოსნომ, რომელსაც ამხ. კ. კრელის წასვლის გამო თავისი მუშაობა შეჩერებული ჰქონდა, განაახლა მუშაობა; ბოლოს, საანგარიშო პერიოდის დამლევს პოლიტექნიკური მუზეუმის მიერ გადმოცემული სპეციალური თანხებით მოწყობილ იქმნა სამულორო სახელოსნო. ამის გარდა სადურგლო და საზეინკლო სახელოსნოებისათვის მუზეუმის ეზოში სპეციალური სადგომი იქმნა აშენებული. თვით მუზეუმის სტრუქტურაში გამოყოფილ იქმნა ეთნოგრაფიული განყოფილება, რომელიც მუშაკებითაც უზრუნველყოფილია. გამოყოფილია ნუმისმატიკური კაბინეტი და მოწყობილია ხელოვნებისა და ისტორიის განყოფილება ყოფ. სახ. უნივერსიტეტიდან გადმოტანილი ძველი ქართული ხელოვნების მუზეუმის საქართველოს მუზეუმის ორგანიზმში შეტანით. ამის გარდა განსახკომის კოლეგიის დადგენილებით 1932 წლის მეორე ნახევარში მუზეუმთან დაარსებულია ახალი განყოფილება პროეტური და მუსიკალური ფოლკლორისა. ამგვარად მუზეუმის ორგანიზმი უფრო მეტად გაიზარდა და მან უფრო მეტად გარკვეული დიფერენცირებული სახე მიიღო.

საექსპოზიციო გაფორმებამ, რომლის ხემძღვანელობა მინდობილი ჰქონდა პროფ. ი. ა. შარლემანს, ძალიან დააწინაურა საქართველოს მუზეუმი და მოუპოვა მას საუკეთესო სახელი საკავშირო მასშტაბით.

მუზეუმის საგამომცემლო სექტორმაც აგრეთვე უფრო გეგმიანი

1) შდრ. შემდეგ ტომში დაბეჭდილი ქრ. შარაშიძის საანგარიშო მოხსენება

და გაფართოვებული სახე მიიღო. ყოველწლიური ტომის „მოამბის“ გარდა, მომცრო წიგნაკების გამოცემის დაწყებაც მოხერხდა; მასალის დამუშავების მხრივ ისინი მეცნიერულია, მაგრამ თემებად აქვთ ანუ უფრო ფართო მიმომხილავი ხასიათი, ან კიდევ პრაქტიკული მნიშვნელობა სახელმძღვანელოდ; ამ წიგნაკებს საერთო სათაურად აქვთ „მატერიალური კულტურის ბიბლიოთეკა“, რომლის პარალელურადაც დაწყებულია აგრეთვე „საბუნებისმეტყველო ბიბლიოთეკა“. შემდეგ ჩატარდა პირველი ცდა დაბეჭდილი გზამკვლევის გამოცემისა ქართული ხელსაქმის გამოფენისათვის და დაწყებულია საქართველოს მუზეუმის კოლექციების ფართო პოპულარიზაცია. ღია ბარათების სერიებად, რომელთაგან ორი უკვე გამოშვებულია, ხოლო სხვა მზადდება გამოსაცემად. ბოლოს, მუზეუმის გამოკვლევათა სერიებისათვის, რომელნიც გაერთიანებული არიან სათაურით „შრომები“, დამზადებულია სამუშაოები და მათ ბეჭდვას შეეუდგებით 1933 წელს (5 ტომის რაოდენობით).

მაგრამ მუზეუმის აქ დასახულ ვეებერთელა ზრდას ახლა მთელი რიგი, შემდგომი ზრდისა და მუშაობის გეგმიანობის დამაბრკოლებელი გარემოებები უერთდება. მისი ამოცანების მთლიანად შესრულების შესაძლებლობის პირველ პირობას შეადგენს სახ. კომისართა საბჭოს 1932 წლ. ივნისის 26-ს დადგენილების ცხოვრებაში გატარება უზნის ყველა შენობების მუზეუმებისათვის გადაცემის თაობაზე: ახალი შენობების უქონელად მუშაობათა ნორმალური გაშლა შეუძლებელია. მუზეუმის მუშაობაში ახლა ეს ფრიად აუცილებელი საჭიროებაა და მის გადაუწყვეტავად ნორმალური მუშაობის განგრძობა შეუძლებელია.

2. ექსპოზიციური მუშაობა.

პირველ ექსპოზიციურ გაფორმებას, რომელიც დაწყებულ და დასრულებულ იქნა საანგარიშო წლებში, როგორც ეს აღნიშნული იყო, საქართველოს მინერალური რესურსები წარმოადგენენ. ამ, ჯერ კიდევ 1930 წელს დასახული, თემის შესრულება მარტო მუზეუმში მყოფი კოლექციებითა და მისი გეოლოგიური განყოფილების შტატით, რომელშიაც მხოლოდ ორი მუშაკი იყო, არ შეიძლებოდა. ამიტომ ძალეული ამოცანის განხორციელება შესაძლებელი გახდა მხოლოდ მის შემდეგ, როდესაც ამ საქმეს შეუდგა, თავისი ჩვეულებრივი ენთუზიაზმით, პროფ. ა. თვალჭრელიძე, რომელმაც გამოყენებითი მინერალოგიის ინსტიტუტიდან მნიშვნელოვანი კოლექციები და ახალგაზრდა თანამშრომელთა ძალები გადმოისროლა მუზეუმ-

ში. მთელი ჩვენების პროგრამა კანვასებზე არის აშენებული შემდგომი განვითარებისა და გაღრმავებისათვის და ორ ბუნებრივ ნაწილს შეიცავს: 1) ჩვენებას მინერალური რესურსებისა, რომელნიც აღმოჩენილ და გამოკვლეულ იქნენ საქართველოში როგორც მათი ბუნების, ისე აგრეთვე იმ ეკონომიურ განსაკუთრებულ თვისებათა და პერსპექტივების გამოაშკარავებით, რომლებიც მათშია დაცული სოც. აღმშენებლობის განვითარებისათვის—როგორც გამოფენის ძირითადი ნაწილისათვის; და 2) მეორე ნაწილს წარმოადგენდა შესავალი განყოფილება, რომელიც დამუშავებულ იქნა განყოფილების უფროსი მეცნიერი მუშაკის ივ. რუხაძის და განყოფილების თანამშრომლების მიერ და მიზნად ისახავდა ეჩვენებია დედამიწის ზედაპირის შექმნის ისტორია საზოგადოდ (კერძოდ კავკასიის ნამდვილი ამონათხარებისა და მთის ჯიშების სისტემატური შიმოხილვით). რასაკვირველია, ნახევარი წლის ექსპოზიციური მუშაობით მოცემული მასალა წარმოადგენს მხოლოდ საფუძველს, გეგმის ნაბოლოდ პირველ ნასახს, რომლის მთლიანად შესრულებაც მრავალი წლის დაჭიმულ მუშაობას გულისხმობს.

გამოფენის ძირითადი ნაწილი—საქართველოს მინერალური რესურსების გამოფენა—ჩატარებულ იქნა ვ. ი. კრიჟანოვსკის ჩაბმით მუშაობაში, რომელიც 1931 წლის თებერვალში სპეციალურად ჩამოვიდა ლენინგრადიდან ტფილისს გამოყენებითი მინერალოგიის ინსტიტუტის კონსულტანტად და ხელმძღვანელობას უწევდა საგამოფენო მუშაობას ამ დროს. გამოფენის მხატვრულ გაფორმებას ხელმძღვანელობდა პროფ. ი. ა. შარლემანი; მისი ესკიზებით, რომელიც შეთანხმებული იყო აკად. კრიჟანოვსკის მონაცემებთან; დამზადებულ იქნა ვიტრინებიც და გამოფენის დანარჩენი მოწყობილობაც. მას მიერვე შესრულებულია ორი პანო, რომლებიც გვისახავენ ადამიანის მიერ წარმოებისათვის გამოყენების ძირითად დაწყებით ეტაპებს, სახელობრ, ქვისათვის—„ქვის ხანა“ და გამოქვაბულების ადამიანი, და ლითონებისათვის—„ბრინჯაოს ხანა“. სანახავად გამოწყობილია ნიმუშები სპილენძისა და მოლიბდენის მადნეულისა, მარგანცისა, ახლად აღმოჩენილი და სოფლის მეურნეობისა და სახეიდრო თავდაცვისათვის ფრიად მნიშვნელოვანი დარიშხანის მადნეულისა, ტყიბულს ნახშირის საბადოებისა, საქართველოს ნავთისა და მის ნაწარმოებთა, ბარიტებისა, დიატომიტებისა, რომელნიც ექსპონატების მნიშვნელოვან ობიექტებს წარმოადგენენ, სხვადასხვანაირი თიხისა, როგორც ცეცხლგამძლე, ისე „გუმბრინისა“, „ასკანიტისა“ და სხვ., პოლოს საქართველოს მარმარილოსი, სახურავის სიპისა, ლითოგრა-

ფიული ქვისა და სხვ.; მარტის 12-დან დეკემბრის 31-მდე გამოფენა დაათვალიერა 10.404 მნახველმა, მათ რიცხვში იყო 49 ექსკურსია— 16 წითელარმიელთა, 20 მოწაფეთა და 13 მუშებისა.

ქართული ხელსაქმის გამოფენა ფეოდალიზმის დაშლისა და კაპიტალიზმის შეტევის ეპოქისა (მე-18 ს-ს ნახევრიდან მე-19 ს-ს ნახევრამდე) წარმოადგენს დროებითს გამოფენას, რომელსაც გაშლილი აქვს ხელოვნებისა და ისტორიის განყოფილების მიერ შეგროვილი მნიშვნელოვანი ფონდები. ამ გამოფენის გეგმა დამუშავებულია განყოფილების გამგის თანაშემწის ირ. სონღულაშვილის მიერ; მის მიერვეა შესრულებული მთელი საექსპოზიციო მუშაობა. ვინაიდან გამოფენას დროებითი ხასიათი აქვს, ამიტომ მის გარეთა გაფორმებისათვის გამოყენებულ იქნა ინვენტარის დაძველებული ფორმისა და მოწყობილობის ვიტრინები. შასალის დათვალიერების გასაადვილებლად ქართულ და რუსულ ენაზე გამოშვებულია ირ. სონღულაშვილის მიერ შედგენილი, დასურათებული „გზამკვლევი“. გამოფენისათვის მზადებასთან დაკავშირებით და მისი შემდგომი გაღრმავებისათვის გაწეულ იქნა მნიშვნელოვანი სამუშაოები ძეგლების კონსერვაციასა და რესტავრაციაზე. ვინაიდან ამ გამოფენის ექსპონატებს სინათლის მავნებელი ზედმოქმედებისაგან დაზიანება მოელის (აგრეთვე განყოფილებაში პერსონალის უყოლობის გამო), ეს გამოფენა ღიაა სამ დღეში ერთხელ 12-დან 3 საათამდე. 1932 წლის მაისის 1-დან დეკემბრის 31-მდე გამოფენა დაათვალიერა 3447 მნახველმა, მათ რიცხვში 10-მა ექსკურსიამ.

მესამე გამოფენა, რომლის პირველი იდეაც მუზეუმის მსჯელობის საგანს შეადგენდა ჯერ კიდევ 1930 წელს, ეხება ჩვენი სასოფლო მეურნეობის ერთ მნიშვნელოვან თემას — მის მავნებლებს და მის მეგობრებს. ამის განსახორციელებლად მოწვეულ იქნენ ზოოლოგიური განყოფილების გამგის ივ. ჩხიკვიშვილის მიერ მეცნიერი კონსულტანტები სათანადო ინსტიტუტებიდან. გამოფენა აგებულია შემდეგი გეგმით: მწერის, ფრინველის და მღრღნელის მორფოლოგია და ანატომია; ტყის, მინდვრის, ბალის, ბოსტნის, ჩაის, ვაზის და ბამბის მავნებლების სისტემატიკა და ბიოლოგია; შინაურ ცხოველთა მავნე პარაზიტები; სოფლის მეურნეობის სასარგებლო და მავნე ძუძუმწოვრები და ფრინველები; მავნებლების მიერ დაზიანებული სხვადასხვა მცენარეების ნაყოფები; სოფლის მეურნეობის მავნებლების გავრცელებისა და მათთან მებრძოლი სადგურების რუკა საქართველოში; ინსექტოფუციციდები და მავნებლებთან საბრძოლი მანქანები. გამოფენის მხატვრულად გაფორმების მთელი გეგმა, აგრეთვე ვიტ-

რინებით და სხვა მხრივ მოწყობა შესრულებულია პროფ. ი. ა. შარლემანის ესკიზებით. მასალის დამზადებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ განყოფილების მუშაკების გარდა აგრეთვე პედ. ინსტიტუტის დოც. მ. ბურჯანაძე და მავნებლებთან მებრძოლი სამხრეთის ინსტიტუტის პრეპარატორი ვ. ფხაკაძე. 1932 წლის ივლისის 18-დან დეკემბრის 31-მდე გამოფენა დაათვალიერა 5149 მნახველმა, მათ რიცხვში იყო 14 ექსკურსია მუშებისა და 10 წითელარმიელებისა.

მუზეუმის ახალ ექსპოზიციურ გაფორმებათაგან უკანასკნელი, რომელიც საანგარიშო პერიოდის დამლევს დამთავრდა, არის სვანეთის ეთნოგრაფიული გამოფენა. მისი გეგმა, დამუშავებული განყოფილების გამგის გ. ჩიტაიას მიერ 1931 წლის შემოდგომაზე და მოწონებული მუზეუმის დირექციის გაფართოებულ სხდომაზე, შემდეგ საგამოფენო ბინის გამოცვლასთან დაკავშირებით და აგრეთვე გამოფენაზე მუშაობის პროცესში რამდენადმე შეიცვალა თავის დეტალებში.

სვანეთის ეთნოგრაფიული გამოფენის მიზანია წარმოადგინოს თანამედროვე სვანეთის სინამდვილე — მისი საწარმოო ძალები, საწარმოო ურთიერთობა და ზედნაშენი კატეგორიები. გამოფენა აგებულია სოციალურ-ეკონომიური ფორმაციის პრინციპზე — ექსპოზიციისაში მოცემულია სვანეთში დღემდე შემონახული ყველა საზოგადოებრივ-ეკონომიური წყობანი და კლასთა ბრძოლის მომენტები. ძირითადი ამოცანის მიღწევის მიზნით — ჩამორჩენილი რაიონის არაკაპიტალისტური განვითარების გზა სოციალიზმში გადასასვლელად — გამოფენა გაშლილია ძველი და ახალი სვანეთის დაპირისპირებით. თემები (საერთო რიცხვით 88) დამუშავებულია დინამიკურ კომპლექსებად. გამოფენა შედგება შემდეგი 12 განყოფილებისაგან: 1. გეოგრაფიულ-დემოგრაფიული განყოფილება, 2. საბჭოთა მშენებლობის მიღწევები, 3. რევოლუციონური მოძრაობა სვანეთში, 4. ფეოდალური სვანეთი, 5. ტომობრივი, გვაროვნული და წინაგვაროვნული საზოგადოების ნაშთები, 6. მიწათმოქმედება, 7. მესაქონლეობა, 8. შეგროვებითი მეურნეობის ელემენტები, 9. ხელოსნობა, 10. გადასახიდი, გადასაყვანი საშუალებები და შარა-გზა. 11. სახლის კომპლექსი და 12. ანტირელიგიური განყოფილება, რომელშიც წარმოდგენილია სტადიალური განვითარების მიხედვით: მწვერვალის კულტი, მცენარის კულტი, ქვის კულტი, ცხოველთა კულტი, მონადირის საიდუმლო ენა, „ხეხრობ“ (კომიურ მსოფლმხედველობასთან დაკავშირებული ქალების დღესასწაული), „ლას-

კარ“ (მამაკაცთა ღლეობის კომპლექსი), ნაყოფიერების ღვთაების კულტი, წინაპართა კულტი და რელიგიური სინკრეტიზმი (კულტში — ქრისტიანული და წარმართული ელემენტები ერთად, მატერიალურ ძეგლებში — ეკლესია პლუს „ლატბაშ“-„ლამარია“). ცალკე თემებადაა გამოყოფილი ანტირელიგიური რუკა და დიაქრონიკულ კრილში წარმოდგენილი ცხოველთა კულტი და ანთროპომორფულ ღვთაებათა კულტი. (საკულტო საგნიდან — ხელოვნების საგნამდე).

გამოფენის ერთ-ერთ ფარზე (ნადირობა) მოცემულია მატერიალური კულტურის საგნებისა და ზედნაშენი კატეგორიის კომპლექსის ერთად წარმოდგენის ცდა. გამოფენაში გამოყენებულ სხვა ახალ ხერხებიდან აღსანიშნავია ის, რომ სვანეთის გამოფენა, ისევე როგორც ხევსურეთისა, გაკეთებულია უმანეკენოდ. სვანეთის გამოფენაში ტიპურის გადმოცემის მიზნით წარმოდგენილია სვანი მამაკაცისა და დედაკაცის ქანდაკებანი.

გამოფენის მუშაობაში თავიდანვე ჩაბმული იყვნენ განყოფილების შტატის ყველა თანამშრომლები. გამოფენის მხატვრული მოწყობილობა (ფარები, ვიტრინები, კვარცხლბეკები და სხ.) და მზადებულია პროფ. შარლემანის ესკიზების მიხედვით.

მუზეუმის წინანდელ საგამოფენო გაფორმებათაგან ხევსურეთის ეთნოგრაფიული გამოფენა გადატანილია ახალ ბინაზე, რომელთან დაკავშირებით ექსპოზიციაც დაზუსტებულია. გამოფენაზე გატარებულია 1931 წელს (მარტის 1-დან) — 54.658 მნახველი, მათ შორის იყო 48 მოწაფეთა ექსკურსია, 45 პროლეტ. ტურიზმ., 18 — მუშათა, 25 წითელარმიელებისა, 4 — პიონერთა, 5 — ინტურისტთა და 8 — ჯგუფი მოხალისეთა. 1932 წელს იყო 43,600 მნახველი, მათ რიცხვში 268 ექსკურსია.

ზოოლოგიურ გამოფენაზე მოსულთა რიცხვი 1931 წელს საერთოდ 53142 მნახველს უდრის, მათ რიცხვში იყო 34 ექსკურსია-წითელარმიელებისა, 227 — სკოლებისა, 52 მუშა-მოსამსახურეებისა, 12 — უნივერსიტეტიდან, 4 — უცხოეთიდან; ხოლო 1932 წელს საერთოდ რიცხვი მნახველებისა იყო 52 504, მათ შორის 24 ექსკურსია-წითელარმიელებისა, 83 — მუშებისა და 149 — მოწაფეებისა.

3. სვანეთის კომპლექსური ექსპედიცია.

1931 წლის ზაფხულს დასახულ ექსპოზიციურ გეგმებთან დაკავშირებით და საკითხების გეგმიანი სისტემატური გამომუშავების ხაზით მუზეუმის მიერ განხორციელებულ იქნა კომპლექსური ექსპედიცია სვანეთში, რომელიც გაგრძელდა ივლისის 19-დან სექ.

ტემბრის 12-მდე. შესწავლის ამოცანებად დაყენებულ იქნა თანამედროვე ყოფა-ცხოვრება, მისი ფუძე და რევოლუციონირება, შემდეგ მასალები ისტორიისა და მწერლობისა და, ბოლოს, სვანეთის ტერიტორიაზე შენახულ ხელოვნების ძეგლების შესწავლა. ექსპედიციის სპეციალურად გადადებული თანხიდან დახარჯულ იქნა 13221 მან. 63 კაპ.. ამის გარდა მუზეუმის გეოლოგიური განყოფილების თანამშრომელი დამოუკიდებელიც აწარმოებდა კვლევას ენგურის ხეობაში.

1) ექსპედიციის ეთნოგრაფიული ნაწილი, რომელსაც შეადგენდნენ გ. ჩიტაია, ვ. ბარდაველიძე და ფ. ქიქოძე, მიზნად ისახავდა ძველი და ახალი სვანეთის სოციალურ-ეკონომიური სტრუქტურისა და ყოფის საფუძვლების შესწავლას, სვანეთის სოციალური წყობების თავისებურების გამოყვანებას და აღრიცხვას დაშლის ფორმების გარკვევას სოციალისტური მშენებლობის პროცესში. ამ მიზნით შესწავლილ იქნა როგორც ზემო ისე ქვემო-სვანეთი. მუშაობის პროცესში შეგროვდა საბჭოთა მშენებლობის ძირითადი მაჩვენებლები: გზის, თეთრი ნახშირის (დოლრაჰესი), ტყის ექსპლოატაციის, კოლმეურნეობის (კოლექტიურ და ინდივიდუალურ მეურნეობათა დაპირისპირებით), კოოპერაციის, გახათლების, მკურნალობის და სხვათა დარგში. აღრიცხულ იქნა სხვადასხვა ნებაყოფლობით საზოგადოებათა რიცხვი, მათი მუშაობის ძირითადი ხასიათი და წევრთა რაოდენობა.

ეთნოგრაფიულმა ნაწილმა გაარკვია სვანეთის მეურნეობის მაჩვენებლები მესაქონლეობასა და მიწათმოქმედებაში, შეისწავლა მესაქონლეობისა და მიწათმოქმედების შერწყმულობის ხასიათი და მათი ურთიერთისაგან დამოკიდებულება არსებობის პრიმიტიულ პირობებში. მიკვლევულ იქნა შეგროვებითი მეურნეობის ელემენტები და გაირკვა ნადირობის წონადობა სვანეთის მეურნეობაში. მატერიალური კულტურის ობიექტების ხაზით შესწავლილ იქნა სახლის კომპლექსი, სამეურნეო იარაღების ტიპები, გადასაყვანი და გადასახიდი საშუალებები და ხელიანობა (ხის, ქვის და ლითონის დამუშავების ტექნიკა). სახლის კომპლექსის შესწავლამ გამოააშკარავა სახლის საყოფაცხოვრებო ფუნქციასთან ერთად მისი საბრძოლო, სამეურნეო, სოციალური და რიტუალური ფუნქციებიც. დამოწმებულ იქნა პრიმიტიული ტექნიკის არსებობა, მაგ., ქერის ხარშვა გახურებული ქვებით, ტყავის საღებავის დამზადება ადამიანის ნერწყვის შემწეობით და სხვა. აღმოჩენილ იქნა განვლილ საზოგადოებრივი ცხოვ-

რების ფორმაციებისა და პრიმიტიული საფეხურების გადანაშთების სახით არსებობა. კერძოდ, მიკვლეულ იქმნა ტომობრივი დაჯგუფების არსებობა „მოლჯგირაგის“ სახით (გვართა გაერთიანება, მიმძლავრება, სიმბოლო-დროშა); გვაროვნული წესწყობილება დამოწმდა „მეხუბობის“, „წორის“, „ქორა-მახვზის“ და სხვათა არსებობის ფაქტებით. მათ გვერდით აღმოჩენილ იქმნა საგვაროვნო წყობილებაზე ადრინდელი საფეხურის ნაშთები შემონახული ე. წ. „ლასკრობაში“, დადგენილ იქმნა ოჯახის დოვლათის მომნიჭებელი „ლახვარების“ და „მეზირების“ არსებობა (გველი, თაგვი, ბაყაყი, ხელიკი). დადგენილ იქმნა ქვის კულტის მრავალი სახით არსებობა: ბაჩი „გვი. გვ.“ „ჩხუდა“ და სხვა. აღმოჩენილ იქმნა რიტუალური ტატუირობა. შესწავლილ იქმნა საწარმო ღვთაებათა ძირითადი ელემენტები. ფალოსის კულტის ხაზით აღმოჩნდა ამ კულტთან დაკავშირებული ჩვენს ლიტერატურაში ჯერ უცნობი სრული სახის რიტუალი, შემონახული დღეობა „აღბალარალ“-ში. გაირკვა ფალოსის კულტთან ღვთაება „ლამარია“-ს კავშირი და გამოძეღვენდა ლამარიას ბუნება (შეძენილია ლამარიას თოჯინა(ც), სახელდობრ—აღდგომისა და მომაკვდავობის ღვთაების ელემენტები. ჩაწერილია აღბალარალის ორი ვარიანტი: ჟამუშსა (ზემოსვანეთი) და ჯახუნდერში (ქვემო სვანეთი). შედგა მონადირის საიდუმლო ენის ლექსიკონი. კომპლექსურად იქმნა შესწავლილი მიწის სალოცავი „გიმლიმზირ“. შეგროვდა მასალა ანტირელიგიური რუკის შესადგენად. დადგენილ იქმნა ხალხური წლიური დღესასწაულების კალენდარი ხეობათა მიხედვით. გაირკვა ქრისტიანულ და წარმართულ სარწმუნოებათა სინკრეტიზმი მატერიალური კულტურის ობიექტებში (ეკლესია პლუს „ლადბაშ“-„ლამარია“) და სხვა.

ექსპედიციის ეთნოგრაფიული ნაწილი შესწავლასთან ერთად აწარმოებდა კოლექციების შეძენას ყოფის ყველა დარგში. შეძენილი იქმნა მიწათმოქმედების, მესაქონლეობის, ტყავის დამზადების, სახარატოს, ქსელვის, საოჯახო მოწყობილობის კომპლექსები, საცხოვრებელი ბინის კომპლექსი „ლეკუნდირ“ || „ისგნტაფითურთ“, ახალი წლის, „ლიფანაალის“ (სულების გამაჰპინძლების), ნაყოფიერების დღესასწაულის და სხვათა კომპლექსები. ჩამოტანილია სულ 353 საგანი. გარდა ამისა ექსპედიციის ფოტოგრაფის მიერ გადაღებულია 138 სურათი; მხატვრის მიერ გაკეთებულია ჩანახატები და გაზომვები.

ეთნოგრაფიული ნაწილის მიერ დაგროვილი მასალა განყოფილებაში მეცნიერული დამუშავების შემდეგ საფუძვლად დაედო უკვე გაშლილ-დამთავრებულ სვანეთის ექსპოზიციას.

2) ექსპედიციის ისტორიულ კოლონას შეადგენდნ პ. ინგოროყვა და პროფ. ს. ყაუხჩიშვილი. კოლონის თითოეული მონაწილის წინაშე გარკვეული ამოცანები იდგა. პ. ინგოროყვას დასახული ჰქონდა მიზნად შეესწავლა და აეწერა სვანეთში დაცული ძველ-ქართული ხელნაწერები და საისტორიო საბუთები და ამის გარდა შეემოწმებია და გადმოეღო ძველ-ქართული წარწერები, რომლებიც უნდა შევიდეს განზრახულ კრებულში: *Corpus inscriptionum Georgicarum*. პროფ. ს. ყაუხჩიშვილის ამოცანას შეადგენდა: წაკითხვა სვანეთში დაცული ბერძნული წარწერებისა და მინაწერებისა, რომლებიც დღემდე რიგიანად დემიფირირებული არ იყო, შესწავლა ბერძნული ტერმინების ტრანსკრიპციისა საშუალ საუკუნეთა ქართულ ძეგლებში, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა ბერძნული დიალექტების ისტორიისათვის; დადგენა ძველი სვანეთის სავაჭრო გზების მიმართულების და აღწერა სვანეთის ტიპიური კომპლებისა.

ექსპედიციის ისტორიულმა კოლონამ მოიარა და შეისწავლა ზემო-სვანეთი მთლიანად. რაც შეეხება ქვემო-სვანეთს, მისი შესწავლა ამ ექსპედიციის დროს მოხსნილ იქმნა წესრიგიდან, რადგან დრო, რომელიც ექსპედიციის მონაწილეთა განკარგულებაში იყო, მთლიანად მორიდობა ზემო-სვანეთის მრავალრიცხოვან ძეგლთა განხილვამ.

კოლონის მონაწილეთა მუშაობა შემდეგ რეზულტატებში გამოიხატა.

პ. ინგოროყვამ, მის მიერ დასახული მიზნის ძველ-ქართული ხელნაწერების, საისტორიო საბუთების და წარწერების შესწავლის ხაზით შეასრულა შემდეგი სამუშაოები:

აღწერილია და შესწავლილი 121 ძველ-ქართული ხელნაწერი და ფრაგმენტი, რომლებიც ეკუთვნის ქართული მწერლობის სხვადასხვა პერიოდს, ამის გარდა 39 პალიმფსესტი, რომელთაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხანმეტი ფრაგმენტი 6-7 საუკუნისა. მუშაობის დროს გამოირკვა, რომ ზოგიერთი ხელნაწერები, რომელნიც ცნობილ იყვნენ წინანდელ მოგზაურთა მოკლე ხსენებით, დაკარგულია, მაგრამ ამავე დროს აღმოჩნდა მთელი რიგი ახალი ძეგლებისა. განსაკუთრებით ძვირფას მასალას წარმოადგენს საისტორიო საბუთები, რომელთა ნაწილი თუმცა ცნობილი იყო, მაგრამ იმდენად დამახინჯებული გადმონაწერების სახით, რომ არ შეიძლებოდა მათი მნიშვნელობისა და შინაარსის გათვალისწინება და მით უფრო სამეცნიერო მუშაობაში გამოყენება. საერთო რიცხვი ამ ექს-

პედიციის დროს სვანეთში აღმოჩენილ და მთლიანად გადმოწერილი საისტორიო საბუთებისა 115-მდე აღწევს. აქ ჩვენ გვაქვს აქტები საკანონმდებლო ხასიათის დადგენილებანი «სრულიად სვანეთის ზევთა» კრებებისა, შემდეგ ამგვარივე დადგენილებანი ეგრეთ-წოდებულ «ზემო-ხევისა» ანუ თავისუფალი სვანეთისა, დადგენილებანი ცალკე თემებისა, ხელშეკრულებანი თემებს შორის და მთელი წყება კერძო აქტებისა. ეს დოკუმენტები ეკუთვნის ხანას მე-13 საუკუნიდან მე-17 საუკუნემდე და წარმოადგენს მნიშვნელოვან მასალას ამ მხარის ისტორიის აღსადგენად. ამის გარდა შემოწმებულ და გადმოწერილ იქმნა ზემო-სვანეთის ეპიგრაფიკული მასალა, სულ 262 ქართული წარწერა, რომელნიც ეკუთვნიან ხანას მე-11 საუკუნიდან მე-17—18 საუკუნემდე. ცალკეა აღსანიშნავი საფრესკო წარწერები, მათ შორის იფარის საფრესკო წარწერა 1096 წლისა და კალის საფრესკო წარწერა 1183 წლისა, რომლებიც იძლევიან მკვიდრ დასაყრდენს ძველ-ქართული საფრესკო მხატვრობის ისტორიისათვის.

პროფ. ს. ყაუხჩიშვილის მიერ ამოკითხულ და გადმოწერილ იქმნა ქედვითი ხელოვნების ძეგლებზე არსებული ბერძნული წარწერები და ხელნაწერთა მინაწერები, უკანასკნელთა შორის წვირმის ხელნაწერის მრავალრიცხოვანი, ქართული ასოებით შესრულებული ბერძნული მინაწერები. გარდა ამისა მანვე შეისწავლა, ბიზანტიელ ისტორიკოსთა მიერ მოცემულ ცნობებთან დაკავშირებით, სვანეთის გზები, რის წყალობითაც შესაძლებელი გახდა იმ გზათა მიმართულებების დადგენა, რომელთა შესახებ ლაპარაკი აქვთ ბიზანტიელ ისტორიკოსებს და რომელთა გამო ბიზანტიელებსა და ლაზებს შორის მრავალი ათეული წლის განმავლობაში სწარმოებდა დავა და დიპლომატიური მოლაპარაკება.

უკანასკნელი ამოცანა, რომელიც იდგა პროფ. სვ. ყაუხჩიშვილის წინაშე, სვანეთის ტიპური კოშკების შესწავლა—ტიქნიკური დაბრკოლების გამო—მხოლოდ ნაწილობრივ იქმნა შესრულებული: კოშკები იქმნა გაზომილ, მათი შემადგენელ ნაწილების ცალკე გათვალისწინებათ და შესწავლით და ფოტოგრაფიულად გადაღებული ზემო-სვანეთის სხვადასხვა თემებში.

ექსპედიციაში შეგროვილი მასალებიდან პ. ინგოროყვამ უკვე დაამუშავა ერთი ნაწილი „სვანეთის საისტორიო საბუთები“, რომელიც 1932 წლის დამლევს წარმოდგენილ იქმნა დასაბეჭდად. ამჟამად პ. ინგოროყვა აწარმოებს დამუშავებას შემდეგი ორი წიგნისა: „სვანეთში დაცული ძველ-ქართული ხელნაწერები“ და „სვანეთის წარწერები“. ზოგიერთი მონაცემები სვანეთის ძველ-ქართულ ხელნა-

წერთა შესახებ გამოყენებულ იქმნა სვანეთის ეთნოგრაფიული გამოფენის ექსპოზიციაში, ხოლო უფრო სრულად გაშლილი იქნება ქართული მწერლობისა და წიგნის გამოფენაზე.

სვანეთის გზების შესახებ შესწავლილ მასალებს ს. ყაუხჩიშვილი აქვეყნებს „საქ. მუზეუმის მოამბეში“ დასაბეჭდად გადმოცემულ გამოკვლევაში („ბიზანტიელი ისტორიკოსების ცნობები საქართველოს შესახებ“), როპლის ნაწილი წინამდებარე ტომშიაც ქვეყნდება. იგივე ამზადებს წერილს: „სვანეთის ბერძნული წარწერები“, რომელშიაც შევა ექსპედიციის შეგროვილი ბერძნული ეპიგრაფიკული მასალები.

ისტორიული კოლონის მუშაობის ხაზით გადაღებული იქმნა 313 ფოტოსურათი ხელნაწერი ტექსტებისა და წარწერებისა.

3). ხელოვნების მეცნიერების ამოცანები, დასმული პროფ. გ. ჩუბინაშვილის მიერ, განსაზღვრული იქნა მხოლოდ მცირე ხელოვნების ძეგლებით. გეოგრაფიულად შესწავლა, სახსრებისა და დროის ნაკლებობის გამო, შეეხო მხოლოდ ზემო-სვანეთს; ასე რომ ამ სამუშაოს გაგრძელება ქვემო-სვანეთსა და ზემო-რაჭაშიაც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს. უკვე მთელი ექსპედიციის მუშაობის პროცესში მოხდა მუშაკების გადაჯგუფება, რის გამოც ხელოვნების მეცნიერების ხაზი გაძლიერებულ იქნა ექსპედიციის მხატვრის რ. შმერლინგის მუშაობით, რომელსაც სპეციალურად მინდობილი ჰქონდა აღწერა ხუროთმოძღვრების ძეგლებისა, კედლის მხატვრობისა და განსაკუთრებით კი შემოტანილი, ეგრეთ წოდებული „სირიულ-პალესტინური“, ბრინჯაოს ჩამოსხმული რელიეფური კანდელებისა. წინა მოგზაურთა აღწერილობებით ცნობილი ზემო-სვანეთის მცირე ხელოვნების ყველა ძეგლები შემოწმებულ იქნა საქ. საისტ.-საეთნ. საზ. 1911 წლის ექსპედიციის ფოტოსურათებისა და არსებული სიების მოგროვებით (მრავალი ნივთი ან დაკარგული, ან დაზიანებული აღმოჩნდა), გადაღებულია სურათები იმ საგნებისა, რომლებიც არ გადაუღიათ 1911 წელს, აგრეთვე დეტალები გადაღებულთა; ზოგიერთი ნივთი გადაღებულ იქმნა ხელმეორედ; ამ სურათების საერთო რიცხვი (ხელნაწერების გვერდების 70 სურათის ჩათვლით) 343 არის, მათ რიცხვში 27 პროფ. ყაუხჩიშვილის დახმარებითაა გადაღებული. თითოეული ნახული ძეგლი აღწერილია სარეგისტრაციო წესით, ხოლო განსაკუთრებული მხატვრული მნიშვნელობის ძეგლები დეტალური სამეცნიერო აღწერითაა დამუშავებული. უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთი ძეგლის გარკვევა და მათი მნიშვნელობის შეფასება, მხოლოდ ახლა გახდა შესაძლებელ-

ლი; გარდა ამისა აღმოჩნდა ძეგლები, რომლებიც ადრე სრულებით არ ყოფილა აღრიცხული: ბოლოს, უეჭველი სიცხადით აღინიშნა დამოკიდებულება სასანიდების სპარსეთსა, სირიასა, პალესტინასა, უგვიანეს ისლამურ ცენტრებსა და აღორძინების ხანის დასავლეთ ევროპასთან. ტიხრული მინანქრებიდან, რომელნიც სვანეთში შენახულან, აგრეთვე ხელნაწერების მინიატურებიდან ფერადებით გადმოღებულთა პირები საჩვენებელ ნიმუშებად.

ზემო-სვანეთში ამჟამად არსებული მცირე ხელოვნების ძეგლების შესწავლამ დაგვარწმუნა იმაში, რომ საერთოდ უმნიშვნელო ნაწილია დაკარგული, რის ახსნაც ამ ძეგლებისადმი მოპყრობასა და მათი დაცვის წესებში უნდა ვეძიოთ. ექსპედიციისაგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო შესწავლილი არ იქნა მხოლოდ მომცრო (შეგროვილი ცნობების მიხედვით) ძეგლების ჯგუფები 5 ეკლესიისა (წვირმი, ელი, ჟამუშ, ლემსია და მესტია).

ჭედვითი ხელოვნების ძეგლების შესწავლა ააშკარავებს წარმოების ამ დარგის კავშირს საერთო-ქართულ ევოლუციასთან, სახავს ლოკალურ განსაკუთრებულ თვისებებს და მთელი დარგის, როგორც მხატვრული გამოქვაბულების, თანდათანობით სიკვდილს. ექსპედიციის მიერ დათვალიერებულ-შესწავლილია ჭედვითი ხელოვნების სულ 630 ძეგლი და სხვა მცირე ხელოვნებისა (ჩუქურთმისანი ხე, ძვალი, ნაკერი, მხატვრული ხატები და სხვ.) 50-ზე მეტი.

ზემო-სვანეთის ხუროთმოძღვრებისა და კედლის მხატვრობის ძეგლების რეგისტრაციამ—განსაკუთრებით უკანასკნელებისამ—მოგვცა მასალა ახალი თვალსაზრისისათვის. განსაკუთრებით ძვირფასია აქ ექსპედიციის ისტორიული კოლონის მიერ აღმოჩენილი და ამოკითხული მხატვრის-წარწერის საშუალებით იფარის კედლის მხატვრობის ზუსტი დათარიღება 1096 წლით, როდესაც მასვე ემხრობა რამდენიმე სხვაც. ამ ხაზით გადაღებულა 86 ფოტოსურათი.

4) მდ. ენგურის ხეობის (ზემო-სამეგრელო და ზემო-სვანეთი) გეოლოგიურმა დათვალიერება - შესწავლამ, რომელიც მოახდინა ი. რუხაძემ 18/VII—19/IX-მდე, მოგვცა პალეონტოლოგიური მასალა (12 ყუთის წაროდენობით) იურის, ცარცის და მესამეული საართულებიდან, რომლის მეცნიერული დამუშავება სწარმოებს.

4. განყოფილებათა მუშაობა.

თუ უკვე წინა საანგარიშო პერიოდში, მუშაკების დიდი ნაკლებუფანებისა და საოპერაციო თანხების სიმცირის მიუხედავად, მუზეუმის განყოფილებებმა ენერგიული მუშაობით მნიშვნელოვანი

სამუშაო შეასრულეს, ახლა ორივე მუხლის მრგვალება საანგარიშო პერიოდში დაეტყო მუზეუმის არა მარტო ექსპოზიციურ მუშაობას, არამედ სამეცნიერო მუშაობასაც განყოფილებათა შიგნით.

1932 წლის იანვრის 31-ს დირექციის მიერ განათლების სახ. კომისარიატის კოლეგიის სხდომაზე გაკეთებულ იქნა მოხსენება მუზეუმის მუშაობასა და საქიროებაზე, რომლის შედეგად იყო მუზეუმის ფაქტიური შტატის თითქმის მთლიანად დამტკიცება და მისი მატერიალური ბაზის გაძლიერება და აგრეთვე სახ. კომისართა საბჭოს დადგენილება, რომ მუზეუმს გადმოსცემოდა კვარტალის შენობები.

1931 წელს 8 განყოფილებასთან იყო 35 მეცნიერი და 32 ტექნიკური მუშაკი, რომელთაგანაც მეცნიერი მუშაკი შტატისა 21, ტექნიკური შტატისა 18. სამუშაოს ხელფასის საერთო ჯამი წლიურად იყო 53.552 მან., სამეცნიერო ხარჯები 69.105, სამეურნეო 2550 მან. და გარდა ამისა სპეცსაშუალებები.

1932 წელს იყო 39 მეცნიერი და 39 ტექნიკური მუშაკი, რომელთაგან მეცნიერი მუშაკი შტატისა 36 და ტექნიკური—შტატისა 30. ხელფასი წელიწადში 116.603 მან.; სამეცნიერო ხარჯები 85.314 მან.22 კაპ., სამეურნეო 10.400 მან.; გარდა ამისა სპეც. საშუალებები. აღნიშნულ ჯამებს უნდა დაემატოს ის თანხა, რომელიც მუზეუმმა გაიღო შენობის დასამთვრებლად კომუნალურ ბანკიდან 1928 წ. მიღებულ სესხის დაფარვის ანგარიშში. სულ სესხის ანგარიშში 1931 და 1932 წწ. გადახდილია 114.317 მან.

ცალკე განყოფილებების ანგარიშებზე რომ გადავირდეთ, სამეცნიერო მუშაობაში უნდა აღვნიშნოთ, რომ ცალკეულ მათგანში მუშაობის სიფართოვე და სიღრმე წინანდებურად ერთნაირი არ არის, თუმცა ამას ამათუიშ განყოფილების მუშაკების რაოდენობასთან პირდაპირი დამოკიდებულება არა აქვს.

1. გეოლოგიური განყოფილება. 1931 წ. დამთავრებულ იქნა რუხაძის მიერ დასავლეთ საქართველოს აპტური Ammonoidea-ს შესახებ მონაგრაფიული გამოკვლევა, 1932 წ. ივ. რუხაძე აწარმოებდა მდ. ენგურის ხეობაში შეგროვილი პალეონტოლოგიური მასალების გარკვევასა და აღწერას.—პროფ. გ. სპირნოვმა აწარმოვა განსაზღვრა მდ. ოხჩი-ჩაის ხეობაში შეგროვილი პეტროგრაფიული მასალებისა.—დოც. ი. კაჭარავა აწარმოებდა დასავლეთ საქართველოს მესამეულის ფაუნის (განსაკუთრებული დავალებით) დამუშავებას.—დამკვერელობის წესით ივ. რუხაძემ დაამუშავა პიატიგორსკის მხარეში სიმონოვიჩისა და ბაიერნის მიერ შეგროვილი კოლექ-

ციები. ივ. რუხაძე გაემგზავრა მდ. ოხჩი-ჩაის, მდ. შამქორისა და მესტიის ხეობებში, ავრეთვე ნუხის მიდამოებში. ლ. გელოვანი გაემგზავრა ჩათახში. ჩამოტანილია მდიდარი მასალა.

მ. მ. დინარე მუშაობა. 1931 წლის განმავლობაში დაეტიკეტებულ იქნა ძველი კოლექციებიდან 1924—1928 წ. შემოსული მასალები, რომლებიც კატალოგშიაც იქნა შეტანილი, სისტემაში მოყვანილი და ტექნიკურად დამუშავებულ იქნა დასავლეთ საქართველოს აბტური Ammonoidea.

1932 წლის განმავლობაში დაეტიკეტებულია და კატალოგში შეტანილია პროფ. გაბუნიას მიერ ჩათახში შეგროვილი მასალები და დასავლეთ საქართველოს ახალი პალეონტოლოგიური მასალები. დიეტიკეტებულია მდ. ოხჩი-ჩაის ხეობის პეტროგრაფიული მასალა და ჩათახში შეგროვილი პალეონტოლოგიური მასალა. გაშლილ და დალაგებულ იქნა გურიის მესამეულიდან, ბზიბის ხეობისა და ტყვარჩელის აგარაკის კოლექციები, გახსნილ და გადარჩეულ იქნა 48 ყუთი პეტროგრაფიული და პალეონტოლოგიური მასალებისა სხვადასხვა ფონდებიდან. შედგენილია ორი გასაცვლელი კოლექცია—პოლიტექნიკური მუზეუმისათვის და საქ. სააღმშენებლო ინსტიტუტისათვის.

2. ბოტანიკური განყოფილება. ელ. ქიქოძის მიერ 1931 წელს კრძტიკულ-სისტემატურად დამუშავებულია გვარი Rumex და ოჯახები Gentianaceae, Thywilaceae, Santalaceae, Eleagnaceae; Orabanchaceae-ბიდან ორი გვარი (Philipaea და Lathraea); Geraniaceae-ების გვარი Erodium და ნახევრად Geranium; ოჯახი Orchidaceae-ების სამი გვარი (Platanthera, Cephalanthera და Gymnadenia). ჩატარებულ იქნა მუშაობა წითელქალაქის რაიონის ექსპედიციაში. 1932 წ. ელ. ქიქოძემ გაარკვია თეძამის, ძამას და უმთავრესად ატენის ხეობის მცენარეთა კოლექციებიდან ოჯახები: Cistaceae, Euphorbiaceae, Malvaceae, Plantaginaceae მთლიანად, ხაწილობრივ კი Violaceae, Dipsacaceae, Orchidaceae და გვარი Onosma (სულ ოთხას ჰერბარიუმის ფურცლ.). შემოდგომას ელ. ქიქოძე გაემგზავრა ძამის ხეობაში (შეგროვილია დაახლ. 500 ფურც. მცენარე). შემოდგომამდე იგი მიწვეული იყო ამიერკავკასიის კვების მრეწველობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის (ЗакНИПИ) მიერ დასავლეთ საქართველოში ზეთის მომცემ მცენარეთა გამომკვლევ ექსპედიციის ხელმძღვანელად. როგორც ბოტანიკოსმა გამოიკვლია გურიის ორ დიდ რაიონში ლანჩხუთის და ოზურგეთის ფართობებზე გავრცელებული ზეთის მომცემი ცულ-ბალახა მცენარე Perilla.

nancinensis და კულტურული სახე *Perilla ocymeides*.—გაბმული გვექონდა კავშირი საქ. სოც. საბჭ. რესპ. სამეცნიერო აკადემიის ბოტანიკურ ინსტიტუტთან, ლენინგრადის ბოტანიკურ ბაღთან, ლენინგრადის გამოყენებითი ბოტანიკის ინსტიტუტთან და საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის ქვემდებარე ინსტიტუტებთან.—წლის განმავლობაში განწოფილებაში მუშაობდნენ პროფ. გროსჰეიმი, თუმანიანი, სოსნოვსკი, ბოტანიკოსები პეტროვი, რუბცოვი, კემულარია-ნათაძე, ბარნაბიშვილი, კაპელერი, თუმაჯანოვი და ჰეიდემანი.

განყოფილების ჰერბარიუმი მთლიანად გატარებულია სადებინფექციო კამერაში 1931 წ.

3. **ზოოლოგიური განყოფილება.** 1931 წ. ივ. ჩხიკვიშვილის მიერ დამუშავებულია ტფილისის მიდამოების ქვემძრომოთა ფაუნა, ვ. როსტომბეკოვმა დაამუშავა *Ophidia* კოლექციების ნაწილი და გაარკვია ურმიის ექსპედიციიდან *Sauria et Chelonia* კოლექციების ნაწილი.

1932 წ. ჩხიკვიშვილმა დაამუშავა პროფ. სკრიაბინის ექსპედიციის მიერ დაგროვილი ფრინველებისა, ხოლო როსტომბეკოვმა—ჰერპეტოლოგიური მასალა. 1931 და 1932 წლ. განმავლობაში ჩხიკვიშვილმა დაწერა შრომა: „მასალები ჯავახეთის ორნითოფაუნის შესასწავლად“.

მიმდინარე მუშაობა. 1931 და 1932 წ. დებინფექცია გაუკეთდა მთელ სისტემატურ და აგრეთვე გამოფენილ მასალას, სპირტით შევსებულ იქნა ყველა სპირტში დაცული მასალა. კატალოგიზაცია გაუკეთდა 1931 წ.—325 ცალს, ხოლო 1932 წ.—650 ცალს. ჩატარებულ იქნა მუშაობა წითელქალაქის რაიონის ექსპედიციაში.

1932 წ აღდგენილია მუშაობა ტაქსიდერმიულ ლაბორატორიუმში—აწყობილ იქნა ლომის ჩონჩხი, გამოხარშულ იქნა ჯვირანის ჩონჩხი, მონტირება გაუკეთდა 60 ფრინველის ტყავს და დოდოჩას.

4. **ეთნოგრაფიული განყოფილება.** 1931 წ. გ. ჩიტიამ დაამუშავა და დასაბეჭდად მოამზადა 1) „ხევსურული სახლის ფუნქციონალური რაობა“; და 2) „ხევსურული შვილდ-ისარი“; დასწერა *О некоторых результатах сванской этнографической экспедиции 1931 года*. შ. ჩაკვეტაძემ წაიკითხა მოხსენება „რიტუალური ლომი ხევსურეთიდან“.

1932 წ. განყოფილებამ აწარმოვა მუშაობა სვანეთის გამოფენის ცალკე თემების მეცნიერულ დამუშავებაზე, რომელიც დაწყებულ იქნა ჯერ კიდევ 1931 წლის დამლევს. სვანეთის მეურნეობისა და

მატერიალური კულტურის თემები დაამუშავეს გ. ჩიტაიამ და ს. მენტეშაშვილმა, სვანეთის სოციალური წყობების თემები დაამუშავეს გ. ჩიტაიამ, ვ. ბარდაველიძემ და ფ. ქიქოძემ, სვანეთის რელიგიის თემები დაამუშავა ვ. ბარდაველიძემ, სვანური ენის დიალექტოლოგიური რუკა დაამუშავა დოც. ვ. თოფურიამ და სვანეთის ისტორიული რუკა დაამუშავა პ. ინგოროყვამ.

ამის გარდა გ. ჩიტაიამ დასაბეჭდად დაამზადა ხევსურეთის ერგოლოგიის პირველი ნაწილი: „სახელოსნო იარაღები“; წაიკითხა საჯაროდ სამი მოხსენება: 1) საქ. მხარეთმცოდნეობის პირველ კონფერენციაზე—„სამხარეთმცოდნეო მუზეუმის ამოცანები რეკონსტრუქციის პერიოდში“, 2) „ახალი ლიტერატურა ხევსურეთის შესახებ“, 3) „ანტირელიგიური მუზეუმის დაარსების შესახებ ტფილისში“. ვ. ბარდაველიძემ დასაბეჭდად დაამზადა „ხევსურული ხუცობანი“ და „ანტირელიგიური პროპაგანდის ფორმები და მეთოდები სვანეთში“ რუკითურთ; მანვე დაბეჭდა „ხევსურის ლექსი ფშაველზე“ (საქ. მუზ. მოამბე, ტ. VII). ს. მენტეშაშვილმა დასაბეჭდად დაამზადა ნაშრომი თემაზე „სვანური კვერი“; გ. ჩიტაისთან ერთად იგივე პირი ამუშავებს კლასების წარმოშობის საკითხს ხევსურეთის მასალების მიხედვით. რ. ხარაძე მუშაობს თემაზე „თუში ქალის ყოფა“. ფ. ქიქოძემ დაამზადა „მასალები სისხლის ალების წესის შესახებ ქვემო-სვანეთში“.

მიმდინარე მუშაობა. 1931 წ. მარტში გაიხსნა ხევსურეთის ეთნოგრაფიული გამოფენა. მოხდა ეთნოგრაფიული განყოფილების ჩაბარება ამ განყოფილების არქეოლოგიურიდან გამოცალკეებასთან დაკავშირებით, ეთნოგრაფ. განყოფილების გამგის დანიშვნით და მისი პერსონალის თანდათანობით უზრუნველყოფით. სწარმოებდა მუშაობა ძველი კოლექციების მოწესრიგებაზე. ინვენტარიზირებულია ახლად შემოსული საგნები 419 რიცხვის რაოდენობით; დეზინფექცია გაუკეთდა ხისა, მატყლისა და სხვ. საგნების ცალკეულ ჯგუფებს.

1932 წ. წინასწარი სახით მოწესრიგდა განყოფილების ძველი კოლექცია შემოსული 1904 წლიდან 1911 წლამდე (სულ 1200 საგანი). ამ წლიდან განყოფილება გადავიდა კოლექციების კატალოგიზაციის ახალ სისტემაზე: შემოსული საგანი იწერება საკატალოგო დავთარში, მასზე დგება დეტალური სია და საკატალოგო ბარათი ჩანახატიტურთ. ამ წესით კატალოგიზირებულია 356 ახლად შემოსული და 78 ხელოვნებისა და ისტორიის განყოფილებიდან გადმოცემული

საგანი. ხევისურეთის ეთნოგრაფიული გამოფენა გადატანილია ზემო დარბაზში; ხელახლა გაკეთებულია ნაწილობრივი დეზინფექცია.

1931 წ. ჩატარებულია სვანეთის ექსპედიცია (იხ. ზემოთ), ხოლო 1932 წ. განყოფილებამ ზემო-სვანეთში მიაგლინა მუზეუმის ხარჯზე პედ. ინსტიტუტის უკანასკნელი კურსის სტუდენტი—სვანი ბ. წერედიანი, რომელმაც ზამთრის მძიმე პირობებში შესძლო დამატებითი კოლექციების კომპლექსების ჩამოტანა სვანეთის ეთნოგრაფიული გამოფენისათვის. ამავე წლის გაზაფხულზე ორი კვირით ქიზიყში მივლინებულ იქმნა განყოფილების მეცნიერი თანამშრომელი ს. მენტეშაშვილი, რომელმაც შეისწავლა კევრის კომპლექსი და შეიძინა კოლექციები. 1932 წ. ზაფხულს მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ხარჯზე ქვემო-სვანეთში ერთი თვით მივლინებულმა ეთნოგრაფიული განყოფილების თანამშრომელმა ფ. ქიქოძემ შეისწავლა სისხლის აღების წესები და შეიძინა განყოფილებისათვის კოლექციები. განყოფილებისგან მიღებულ ინსტრუქციების მიხედვით ეთნოგრაფიული მასალები შეაგროვა გურიაში მე-3-ე კურსის სტუდენტმა გ. თოდუამ, რომელსაც მივლინების თანხა მიეცა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტიდან. დასასრულ, განყოფილებამ შესძლო ზაფხულის პერიოდში თუშეთის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მოწყობა, რისთვისაც მან მიიღო საქ. მთიელთა კულტურულ საზოგადოებიდან 7.600 მან.. ექსპედიციამ თუშეთში იმუშავა 1½ თვე (15 ივლისიდან 1 სექტემბრამდე). ექსპედიციაში მონაწილეობა მიიღეს განყოფილების შტატის თანამშრომლებმა გ. ჩიტაიამ, ვ. ბარდაველიძემ, ს. მენტეშაშვილმა, უ. ჯაფარიძემ და საკავშირო სამეცნიერო აკადემიის კავკასიისმცოდნეობის ინსტიტუტის მიერ ექსპედიციაში მოვლინებულმა პედ. ინსტიტუტის კურსდამთავრებულმა რ. ხარაძემ. ექსპედიციამ იმუშავა ზემო და ქვემო ალვანსა, გომეწარსა, პირიქით თუშეთსა, ჩაღმასა, წოვათსა და ტბათანაში. ექსპედიციის მიზანი იყო თუშეთის მომთაბარული მეურნეობის შესწავლა, თუშებში შემონახული სოციალური წყობების დადგენა და რელიგიური გადანაშთების მიკვლევა; ამასთანავე შექმნა თუშების ყოფის მახასიათებელი კოლექციებისა და მომავალი სტაციონალური მუშაობისათვის მნიშვნელოვანი პუნქტების შერჩევა. ექსპედიციამ მიიკვლია თუშეთის მომთაბარული წვრილფეხა მესაქონლეობაზე დამყარებული მეურნეობის ძირითადი მაჩვენებლები. გამოიკვია, რომ წლის მანძილზე ამ მეურნეობასთან დაკავშირებით მეცხვარე თუში ექვსჯერ იცვლის ბინას. გაირკვა შრომის დიფერენციაცია მამაკაცისა და დედაკაცის ხაზით. მეურნეობასთან და-

კავშირებით აღმოჩნდა საგვაროვნო წყობის პატრიარქალური ხასიათი. მატერიალური კულტურის ობიექტების მხრივ შესწავლილ იქმნა: ბინის კომპლექსები (საზამთრო-საზაფხულო), სამეურნეო იარაღები (აღმოჩენილ იქმნა სახენელი იარაღი „ტარ-კავი“); საყოფაცხოვრებო საგნები, ტანთსაცმელი და სხვა. დამოწმდა პრიმიტიული კერამიკის არსებობა ქალის ხაზით, აღმოჩნდა ფეოდალიზმის გადართობის სახით არსებობა. დაგროვდა მასალები ანტირელიგიური რუკისათვის. მიკვლეულ იქმნა დღეობების არსებობა ქალებისა და კაცების ხაზით მკაცრად დიფერენცირებული, კომპლექსურად შესწავლილ იქმნა დღესასწაულები, პრიმიტიული რელიგიის ხაზით მიკვლეულ იქმნა ვახუშტის მიერ აღნიშნული კლდის კულტის არსებობა. ჩაწერილ იქმნა სრული სახის „დალაობა“. აღრიცხვაში იქმნა მოყვანილი, გაზომილი და ჩახაზული ე. წ. „ანატორები“ და სხვა. ექსპედიციამ თუშეთში შეიძინა კოლექციების კომპლექსები ისეთ თემებზე, როგორცაა „ალაჩოყი“, მეტე ვარეობა, მიწათმოქმედება და სხვა, —სულ ჩამოტანილია 220 საგანი.

ამავე წლის შემოდგომიდან განყოფილება შეუდგა კოსტუმების გამოფენის სამზადისს. განყოფილების დრ. თანამშრომელი ქ. გოგინია იშვილი აწარმოებდა მასალების ამოკრებას ისტორიული წყაროებიდან.

ბ. არქეოლოგიური განყოფილება. 1931 წელს მუზეუმის არქეოლოგიური განყოფილება, 1930 წლის შემოდგომაზე ნოქალაქევში დაწყებულ გათხრებთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანად გაძლიერდა მუშაკებით, რომელნიც მივლენებულ იქნენ ასპირანტების სახით. ასპირანტების თეორიული მომზადება, ნოქალაქევის პრაქტიკული მუშაობის შემდეგ, საზოგადო დისციპლინებში ჩატარებულ იქნა მუზეუმის გარეშე, ხოლო სპეციალობაში დირექციის უშუალო ხელმძღვანელობით. 1932 წლიდან მუზეუმის მასალების დამუშავებაზე გაწეული მუშაობისა და სპეციალური მომზადების დამთავრების გამო ასპირანტები განყოფილების მუშაკთა შტატში შევიდნენ, რითაც განყოფილების შედგენილობა ახალი კადრებით 50% გაძლიერდა.

სამეცნიერო მუშაობა. გ. ნიორაძემ დაამუშავა „სასირეთის განძი“, იგი დაიბეჭდა ESA-ს მე-VII ტომში; მანვე დაწერა ნაშრომი „პალეოლითის ადამიანი გამოქვაბულ დევის-ხვრელში (დაიბეჭდა მუზეუმის შრომებში). ლ. მუსხელიშვილი ამუშავებდა ბრინჯაოს ცულებს და მოამზადა პირველი ნაწილი ამ ნაშრომისა; მანვე წაიკითხა მოხსენება მარქსიზმისა და ლენინიზმის ინსტიტუტში: „კავკასიის წინაისტორიის შესწავლის მდგომარეობისა და

უახლოესი ამოცანების“ შესახებ. იბეჭდება სტატია *Kaukasische Parallele zu einem altaegyptischen Rennwagen* („მუზეუმის მოამბე“, ტ. VIII, გ. 143 შდდ.) გ. გოზალიშვილმა დაამუშავა თემა „ბრინჯაოს რგოლების ფუნქცია საზოგადოებრივ და კერძო ცხოვრების ურთიერთობაში“. ს. მაკალათიამ დაბეჭდა „კოლქური დიდრაქმა“ (საქ. მუზ. მოამბე, VII) და *Découvertes archéologiques en Géorgie en 1930, Mitteil. der Anthr. Ges., Wien, Bd. LXII, 1932*); დაამუშავა: „სოფ. ალაიანისა და დაბლა გომის არქეოლოგიურ აღმოჩენათა მნიშვნელობა და მათი დათარიღება“.

მიმდინარე მუშაობა. დაინვენტარიზებულია 336 ახლად შემოსული და 772 ხელოვნებისა და ისტორიის განყოფილებიდან სიებით გადმოცემული საგანი.—პირველად შეუდგენ მუზეუმის კოლექციების აღწერის საბარათო კატალოგის შედგენას და კავკასიის არქეოლოგიის ბიბლიოგრაფიას. მოხდა წინასწარი კვლევა დიდუბეს, ანაგას, იყალთოსა და ნოქალაქეფს.

6. ხელოვნებისა და ისტორიის განყოფილება. ეს განყოფილება შექმნილ იქნა მხოლოდ 1931 წლის ივნისის 1-ს; მას საფუძვლად დაედვა ყოფ. სახ. უნივერსიტეტიდან 1930 წლის შემოდგომაზე გამოტანილი ფონდები—ძველი ქართული ხელოვნების მუზეუმი და 1928 წელს საქ. მუზეუმთან შემოერთებული საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმი. ამის გარდა განყოფილების შედგენილობა ჯნდა შევსებულ იყო სათანადო საგნებით ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური განყოფილებებიდან. უკანასკნელი მუშაობა ჯერ კიდევ მაინც მოთავებული არ არის. ამასთან ერთად გადმოტანილი ყოფ. უნივერსიტეტის ნუმისმატიკური კაბინეტი საფუძვლად დაედვა ნუმისმატიკური კაბინეტის გამოყოფას, რომელიც შექმნილ იქმნა განყოფილებასთან სექტემბრის 15-დან. მუზეუმის არქეოლოგიური განყოფილების ნუმისმატიკური კოლექციის შეერთებით.

სამეცნიერო მუშაობა. 1931 წელს დაწყებულია მასალის დამუშავება გამოფენისათვის და ექსპედიციურად ჩატარებულია მუშაობა ზემო-სვანეთში (შეად. ზემოთ), ამასთანავე შედგენილია ანგარიში ხუროთმოძღვრებისა და ფრესკიანი ძეგლების შესწავლის საქმეზე (რ. შმერლინგი). დაწერილებით აღწერილია 101 ექსპონატი ყოფ. საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმის კოლექციებიდან. დამუშავებულია და საქ. მუზეუმის მოამბეში იბეჭდება რ. შემრლინგის გამოკვლევა „*Оправы камней на памятниках чеканки в музея древнегруз. чек-а*“, აგრეთვე ი. სონდულაშვილის ნაშრომი „*ილარები*“ (საქ. მუზ. მოამბე, ტ. VIII). გ. ჩუბინაშვილის მიერ წაკით-

ხულია მოხსენება „წრომის ტაძარი და მისი მოზაიკა“, როგორც ჯამი მასალის ადგილზე დამუშავებისა მონოგრაფიული გამოცემისათვის, თ. ლომოურის მიერ გადამუშავებულია და დასაბეჭდად წარმოდგენილია ნაშრომი „კახეთში ნაპოვნი არაბულ-სპარსული განძები“ მის მიერვე დამუშავებულია „ალის განძი“.

მუშავდებოდა ქართული ტელნაწერების და ქედური ხელოვნების ძეგლების ორნამენტის მასალები; აგრეთვე ჯგუფი (გრეთ-წოდებულ „სირიულ-პალესტინური (მე-VI-VII სს.) ჩამოსხმული ბრინჯაოს კანდელებისა“; ამავე საკითხებზე 1932 წლის ზაფხულს სამეცნიერო მივლინების დროს ლენინგრადსა და მოსკოვში მუშაობდა რ. შმერლინგი.

მიმდინარე მუშაობა. საორგანიზაციო მომენტები და პერსონალის უკიდურესი ნაკლებეანება გვაიძულებს მიზნინარე მუშაობას უმეტესი დრო მოვახდომით. ბინის მომზადება და გამაგრება ზედირკველის სართულში წელიწად-ნახევარშიაც საბოლოოდ დამთავრებული არ არის. კატალოგიზირებულია 752 საგანი და 113 ახლად შეძენილი ფული. გამოყოფილია, შემოწმებული სიების შედგენით, 800-მდე არქეოლოგიური საგანი და 78 ეთნოგრაფიული და გადაცემულია სათანადო განყოფილებებში. გამოყოფილია აგრეთვე მემორალური საგნები და ქართველ მწერალთა სურათები და გადაცემული აქვს „მთაწმინდის მწერალთა მუზეუმს“. ბოლოს, ფოლკლორის განყოფილებას გადაეცა 70 ცალი მუსიკალური ინსტრუმენტები ყოფ. საისტ.-საეთნოგრ. მუზეუმისა, დაწყებულია კატალოგიზაცია ყოფ. საისტ.-საეთნოგრ. მუზეუმის ნუმისმატიკურ შეგროვებათა; შემოწმებული და მიღებულია მუზეუმის არქეოლოგიური განყოფილების ნუმისმატიკური შეგროვება. ხუროთმოძღვრების ძეგლების ძიების მიზნით იყო ექსკურსია ჰნე-ვანჭს (გეგმის დაზომვით), რომელშიაც მონაწილეობას იღებდა ნ. სევეროვი, საორბისს, იკვს, ფავნისს და ურიათუბანს (გაკეთებულია დაახლოებით წინასწარი გეგმები ფავნისისა და ურიათუბანისა), შემდეგ დმანისს და კვირეული წალკასა და გომარეთში. დამთავრებულია სამთავისის დაზომვა (ხურ. ლადო წილოსანის მიერ) და შეგროვილია ორნამენტის დეტალური ფოტოსურათები, დაზომილია ხცისის აღმოსავლეთი ფასადი და აღებულია მთელი შენობის ფოტოსურათები. 10 თვის განმავლობაში რესტავრაცია გაუკეთდა ხელსაქმის ძეგლებს (81 ექსპონატის რაოდენობით), რომლისათვისაც მოწვეული იყო ა. ჯანდიერი, დეზინფექცია ექნა ნაკერი საგნების ყველა კოლექციებს და ზოგიერთ სხვას.

ქართული ხელსაქმის გამოფენის მოწყობის მუშაობასთან დაკავშირებით შედგენილია ნაწარმოების კარტოთეკა; დაწყებულია დამუშავება ქართული ნაქარგობის ტექნიკის ტერმინებისა და შედგენილია დაბეჭდილი ვზამკვლევი ქართულ და რუსულ ენებზე 6 ილუსტრაციით. მეცნიერების სექტორისა და უცხოეთთან კულტურული კავშირის საკავშირო საზოგად. ქართული სექციის დავალებით მოწყობილია მუშაობა პირებისა და ფოტოების დასამზადებლად ტოკიოში „დედაკაცი და ბავშვი“-ს ინტერნაციონ. გამოფენაზე გასაგზავნად; გარდა ამისა ქართული ხელოვნების ძეგლების ფოტოამონაბეჭდები გაცვლის წესით გაეგზავნა ხელოვნების საუნ-ფერსიტეტო ინსტიტუტებს ბრაისგაუს ფრაიბურგში, ჰარვარდის უნივერსიტეტს კემბრიჯში (ჩრდ. ამიერ. შეერთ. შტატ.), აგრეთვე ბოსტონის და ნიუ-იორკის კაზმულ ხელოვნებათა მუზეუმებს.

7. ხელნაწერთა განყოფილება. 1931 წლის დამლევს გამომუშავებულ იქნა ქართული ხელნაწერი წიგნის გამოფენის ზოგადი გეგმა, რომელსაც განხილულ და მოწონებულ იქნა დირექციის გაფართოებულ სხდომაზე. ამასთან დაკავშირებით ჩატარებულ იქნა პირველი რიგის ტექნიკური სამუშაოები. შემდეგ 1932 წელს ამავე მუშაობასთან დაკავშირებით გამოფენის დამზადებისათვის დამუშავებულ იქნა ყველა შეგროვილი ხელნაწერები მათი შედგენილობისა, დათარიღებისა, ავტორებისა და გადამწერთა, დამზადების ადგილისა, შემკულობისა და სხვ. მხრივ. ამ მიმართულებით შედგენილია კლასიფიცირებული საძიებლები და მაჩვენებლები ხელნაწერებისათვის მე-6 საუკუნიდან ვიდრე მე-15 საუკუნემდე. აღრიცხულ იქნა ყველა პორტრეტები ქართველი მწერლებისა და მწიგნობრობის მოღვაწეთა. დაგროვილ იქნა ბიბლიოგრაფიული მასალები მწერალთა გალერეისათვის. გაბმულ იქნა კავშირო ლენინგრადის მუზეუმებთან და სიძველეთსაცავებთან, რომელთაც ძველი ქართული ხელნაწერების კოლექციები მოეპოვებათ; დამზადებულ იქნა მხატვრული პირები ფერებში ქართულ ხელნაწერთა მინიატურებისა.

დანარჩენი სამეცნიერო და მიმდინარე მუშაობა გამოიხატა შემდეგში: პ. ინგოროყვამ დაამზადა ორი შრომა, ერთი იბეჭდება მოამბეში („ძველ ქართული წარმართული კალენდარი“), მეორე კი—„სვანეთის საისტორიო საბუთები“ დაიბეჭდება „შრომებში“; ნ. ბერძნიშვილმა დაამზადა „ტფილისის საისტორიო საბუთები“; პროფ. ივ. ჯავახიშვილმა—„ქართლის ცხოვრების პირველი გაგრძელება“ (შედგენილი ვახტანგ VI-ის კომისიის მიერ); პრ. ფ. გ. წერეთელმა—„კორიდეთის ბერძნული ოთხთავის აღწერილობა“.

ბა“ და საზღვარგარეთ დაბეჭდა „ბერძნული პალიმფსესტი მე-V-VI საუკ.“ (საქ. მუზ.-ის კოლექციიდან). დამზადებულია და სახელგამს გადაცემული აქვს შაჰნამეს მე-2 ნაწილის ტექსტი, რომელიც ჩაბარებული ჰქონდა ინგოროყვას და ბარამიძეს (1933 წლის თეირანის ორიენტალისტთა ყრილობასთან დაკავშირებით). გადმოწერილია და პ. ინგოროყვას მიერ დადგენილია ტექსტი ძველისა „მატიანე სუანეთის ყვეთა კრებისაჲ“. დამთავრებულია დეშიფრირება სუანეთის ყველა წარწერისა და წარმოებდა დამუშავება სუანეთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობისა (პ. ინგოროყვა).

განყოფილებაში წარმოებდა: 1) ინვენტარიზაცია საისტორიო საბუთებისა—1931 წელს აღწერილია 5680, ხოლო 1932 წ. 2169 საბუთი; 2) ინვენტარიზაცია ქართულ ხელნაწერთა Q-კოლექციისა, აღწერილია 207 №№.

განყოფილების თანამშრომ. ნ. ბერძენიშვილმა, მუზეუმის ექსპედიციის მონაწილემ, შეისწავლა წითელქალაქის რაიონის გარეყუღას კოლმეურნეობის მდგომარეობა და შრომის პირობები, აგრეთვე ძველი სავაჭრო გზების მიმართულება ქვემო-ქართლიდან შიდა-ქართლში.

8. ფოლკლორის განყოფილება. 1932 წლის ოქტომბრიდან განათლ. სახ. კომისარიატის კოლეგიის დადგენილებით მუზეუმთან დაარსებულ იქნა ფოლკლორის განყოფილება ორი დარგით (პოეტური ფოლკლორისა და მუსიკალური ფოლკლორის დარგები).

პოეტური ფოლკლორის დარგში გაკეთებულია შემდეგი: შეძენილ და შეკრებილ იქნა ზღაპრები, ლექსები და სხვ., დაახლ. 2000-ერთეულამდე, და სწარმოებს მათი სისტემაში მოყვანა; შედგენილია 345 ზღაპრის ფაბულარული კატალოგი; კარტოთეკ. სისტემაში მოყვანილია 1200 ანდაზა და 300 გამოცანა; გადმოწერილია დაახლ. 1000-მდე ძველი ჩანაწერები (ჟურნალ-გაზეთებიდან); წარმოებს განსაზღვრულ ფაბულათა კლასიფიკაცია შორეულ ვარიაციებამდე.

მუსიკალური ფოლკლორის დარგში გაკეთებულია: ჩაწერილ იქნა დ. არაყიშვილის მიერ 5 გურული საჩონგურო სიმღერა (მელოდია); შეძენილ იქნა 1 მოხეური ფანდური და 3 ფშაური ჩონგური; აღრიცხულ და ჩაბარებულ იქნა სამუსიკო. ინსტრუმენტების ფონდი, რომელიც საქ. მუზეუმს ჰქონდა ეთნოგრაფიული და ხელოვნებისა და ისტორიის განყოფილებიდან, 127 ცალი; მოხდენილია ამ ინსტრუმენტების კლასიფიკაცია და წარმოებს შედარებითი შესწავლა; წარმოებს მელოდიების ძველ ჩანაწერთა შეგროვება; შეკრებილია სამუსიკო ტერმინოლოგიის ნაწილი.

2. **ბიბლიოთეკა.** 1931 წელს გამოყოფილ იქნა წიგნების ფონდები არა მუზეუმის სპეციალობისა და ისინი გადაეცა ნაწილობრივ მარქსიზმისა და ლენინიზმის ინსტიტუტს, ნაწილობრივ კი საქ. სახ. საჯარო ბიბლიოთეკას; ამოკვეთილ იქნა საწყობიდან მუზეუმის ბიბლიოთეკისათვის დიდძალი ძველი თუ ახალი ჟურნალ-გაზეთები; გამოყოფილ იქნა საწყობიდანვე მუზეუმის ყოფ. დირექტორის კახნაკოვის ბიბლიოთეკა (10 ყუთი); გამოყოფილი კავკასიური ჟურნალ-გაზეთები დაკომპლექტდა და წესრიგზე დალაგდა.

დამთავრებულია პერიოდიკის კატალოგის გადამუშავება კორექტიური ავტორის პრინციპის თანახმად. ქართული ჟურნალ-გაზეთების ბიბლიოგრაფიის შედგენის ხაზით აწერილია 20 სახელწოდება. 1932 წელს გატარდა პერიოდიკის (6000 ტომი) სრული გადაჯგუფება დისციპლინების მიხედვით. მოწესრიგებულია მუზეუმის გამოცემების საწყობი და გაშლილია სხვა გამოცემათა რეზერვები (33 ყუთი 1931 წ. და 35 ყუთი 1932 წ.). 1931 წელს კატალოგში შეტანილია 1500 წიგნთერთეული; ხოლო 1932 წელს დამუშავებულია 3822 წიგნთერთეული, მათ შორის ამონაბეჭდების ძვირფასი კოლექცია 1700 ერთეული.

1932 წლ. დაკომპლექტება, ეკონომიური კრიზისის გამო უცხოეთში და გაცვლის პრინციპის უკუგდების გამო კავშირში უმთავრეს სამეცნიერო დაწესებულებათა მიერ, საანგარიშო წელს ფრიად ჩამოქვეითდა. სავალდებულო ეგზემპლარი მხოლოდ ადგილობრივ პროდუქციას გვაწვდის.

წიგნის გამოფენის მოსამზადებელ მუშაობაზე იხ. ქრ. შარაშიძის მოხსენება („მუზ. მოამბე“ ტ. VIII).

სამკითხველოსა და აბოხენტების მუშაობის დასასურათებლად მოგვყავს შემდეგი სტატისტიკური ცნობები. 1931 წლის განმავლობაში ბიბლიოთეკაში მოთავსებულია სულ 2722 წიგნი, გაცემულია 2632 წიგნი, დაუქმყოფილებელ მოთხოვნათა რიცხვი 90-ს უდრის, აქედან 53 შესაფერი წიგნის უქონლობის გამო; ხოლო 1932 წლ. განმავლობაში—მოთხოვილია სულ 5049 წიგნი, გაცემულია 4775, დაუქმყოფილებელ მოთხოვნათა რიცხვი უდრის 274-ს, აქედან 166 შესაფერი წიგნის უქონლობის გამო.

5. მუშაობის ჯამები და კმარსკმეტივები.

პირველ ხუთწლედში მუზეუმის განვითარების ჯამებს რომ თავი მოვუყაროთ, უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ აქამდე არსებული სამუზეუმო ერთეულთა დაქსაქსულობა და პარალე-

ლიზში კოლექციებში, რომელთაც ისინი აგროვებდნენ ტფილისის ტერიტორიაზე, შეიძლება ითქვას, რომ ამოფხვრილია. გატარებულა კონცენტრაცია ერთგვარი სამუზეუმო ორგანიზმებისა მათი საქართველოს მუზეუმში შერწყმის გზით. მაგრამ ამ გარდატეხამ ზოგად დაყენებაში მოულოდნელად შემდგომი ლტოლვაც გამოიწვია, რომ საქართველოს მუზეუმისათვის შესერთებით ტფილისის სხვა სამუზეუმო ორგანიზმები, რომელთაც ერთის მხრივ სტრუქტურულად საქართველოს მუზეუმთან კავშირი არა აქვთ, ხოლო მეორე მხრივ დამოუკიდებელ, გარკვევით და მკვეთრად მოხაზულ ერთეულებს წარმოადგენენ. ამრიგად საქართველოს მუზეუმში გადატანილ იქნა სათეატრო მუზეუმი, რომელიც, როგორც საქართველოს მუზეუმისათვის სრულიად უცხო ორგანიზმი, დაწყობილია საწყობში; მერმე პედაგოგიური მუზეუმი, რომლის კოლექციების მხოლოდ უნნიშვნელო ნაწილით შესძლო ესარგებლა საქართველოს მუზეუმს; შემდეგ გადმოტანილია და ახალი დამოუკიდებელი ხელოვნების განყოფილების შექმნის გზით საქართველოს მუზეუმის სტრუქტურაში შეყვანილია უნივერსიტეტის ხელოვნების მეცნიერების კაბინეტთან არსებული ძველი ქართული ხელოვნების მუზეუმი. მაგრამ ეს ცოტაა: საქართველოს მუზეუმს საორგანიზაციო ბრძოლა მოუხდა სამუზეუმო საქმის ასეთი გაუპიროვნების წინააღმდეგ, რომლის დროსაც აღიძვროდა ხოლმე საკითხები სააღმშენებლო, ანტირელიგიური, კურორტოლოგიისა, ავიაციისა და სხვა განყოფილებების იმავე საქართველოს მუზეუმის ჩარჩოში მოთავსებაზე, ერთ შემთხვევაში მხოლოდ ფართობის გამოყენების მიზნით, სხვაში კიდევ ორგანიზაციულადაც. ყველა ამ ცდებიდან საქართველოს მუზეუმს ისინი შეეძლო მიეღო მხოლოდ საწყობში დასაწყობად, ე. ი. ისეთივე წესით, როგორც სათეატრო მუზეუმი, მთელი ქვეყნის პერიოდულ ბექედის ინტერნაციონალური მუზეუმისათვის გამზადებული „პრესის“ მასალები. ყველა ეს უფრო მეტად ართულებს მუზეუმის მუშაობას და ნორმალურ ზრდას.

განვითარების მიმოხილვის ჯამებში მეორე მნიშვნელოვან მუხლს წარმოადგენს საქართველოს მუზეუმის განყოფილებების სამეცნიერო-კვლევითი და მთლიანად მის ბაზისზე დაყრდნობილი ექსპოზიციური მუშაობის გაცილებით არა-თანასწორი გაფართოებისა და გაღრმავების ფაქტის დადგენა. ზოგიერთი მათგანი, შეიძლება ითქვას, საოცრად ვითარდებიან, კოლექციები იზრდება და თითქოს უცბად მქლავდება და ამასთანავე ყველაფერი მიდის შეგროვების გაცხარებულ მუშაობისა, ადგილიდან ადგილზე გადასროლისა და

მუშაობის ორგანიზაციის ატმოსფერაში: ეს განყოფილებები ძველი გაიზარდნენ, რომ ძველი სახიდან კვალიც აღარ დარჩენილა, ეს არის არსებითად გაფორმებული სპეციალიზირებული სამუზეუმო ერთეულები. მათ მუშაობაში კოლექციების მოწესრიგებისა, მათ ცხოებაში მოყვანისა, გვემთან შვესებისა, აღწერისა და სამეცნიერო დამუშავების გვერდით ერთდროულადვე წარმოებს მასალის დამუშავება მასისათვის საჩვენებლად საგამოფენო გაფორმების სახით. მუზეუმის განყოფილებების მეორე ჯგუფი განაგრძობს თავის მუშაობას იმავე ჩარჩოებში და იმავე წყნარი ტემპით, როგორც ეს იყო უკვე ათეული წლების განმავლობაში; ისინი არ მოხვედრილან ფონდების გაქანებითი ზრდის, გადასროლის, შთაღების შენჯღრევაში და სხვ. მათში ისინი, სადაც მუშაკების უმეტესი რიცხვია, ეწევიან დიდ მუშაობას, სადაც კოტანი არიან—ნაკლებს; ყველანი მზრუნველობით იცავენ თავიანთ ფონდებს და ყველა შემკითხველთ შესაძლებლობას აძლევენ გაეცნონ მათ, მაგრამ ძალა არ შესწევთ შიგნიდან შექმნან საჭირო დიდი წაწევა სამეცნიერო დამუშავებაში. ამ განყოფილებებს აკლია დიდი, ავტორიტეტული ხელმძღვანელობა, ფართო გეგმები და პროგრამები კვლევითი წესისა, ამიტომ არის, რომ მათ არ შეუძლიათ შექმნან სათანადო ექსპოზიციური გაფორმება. საქართველოს მუზეუმის მიერ ამ მდგომარეობის მოსასპობად მიღებულ ზომებს უკვე თავისი მნიშვნელოვანი შედეგი მოაქვს, მაგრამ ამოცანის მთლიანი გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ საერთო რესპუბლიკური მასშტაბით.

მუზეუმის განვითარების ჯამებში მესამე ადგილას უნდა აღინიშნოს ის ძირითადი წესიერი და სწრაფმავალი მოძრაობის დამაბრკოლებელი ნაკლულევენებანი, რომლებიც აღიარებულია განათლების სახ. კომისარიატის კოლეგიის 1932 წლ. იანვრის 31 და დეკემბრის 26. ს. სხდომებზე მუზეუმის მუშაობაზე მსჯელობის შედეგად და რომლებიც დასახულია გან. სახ. კომისარიატის მიერ პირველსავე რიგში და ფრიად გადაწყვეტი სახით ამოსაფხვრელად. ეს უპირველეს ყოვლისა სადგომის ნაკლულევენებაა: მუზეუმის შენობა რუსთაველის პროსპექტზე, რომლის პროექტაც შედგენილ იქნა ჯერ კიდევ 1911 წელს და რომელიც მაშინვე შავად იენა აშენებული, ანგარიშობდა ყოფ. კავკასიის მუზეუმის კოლექციების დატევას ჩუმი ზრდის თაღარიგით 20-25 წლის განმავლობაში. მიუხედავად ამისა მუზეუმის განყოფილებათა სტრუქტურა შეიცვალა: საჭირო შეიქმნა დაყენების მხრძე ნაწილობრივ სრულიად ახალი კოლექციების შეროჩევა, რომელნიც რაოდენობით ფრიად გაიზარდნენ; რევოლუციისა

და სოციალისტური აღმშენებლობის წლებში შევსება სხვა განყოფილებებშია ცქარიშხალისებური ტემპებით მიმდინარეობდა; ბოლოს, საქართველოს მუზეუმს შეუერთდა აქამდე დამოუკიდებელი მუზეუმები და წინანდელი 5-ის მაგიერ ეხლა ჩვენ ვაქვს 10 განყოფილება. ამისდა გვარად გაიზარდა მოთხოვნილებებიც დამუშავებისათვის დამხმარე ლაბორატორიებისა და სახელოსნოებისადმი. ამიტომ სახ. კომსაბჭოს მიერ 1932 წლ. ივნისის 26-ს გადაწყვეტილია მუზეუმზე მიკრული მისი უბნის შენობების შემოერთება და მხოლოდ ამას შეუძლია გამოიყვანოს მუზეუმი იმ ჩიხიდან, რომელშიაც ის ეხლა მოემწყვდა, და ეს მისცემს შესაძლებლობას გაშალოს ექსპოზიციური გაფორმებები განვითარების შთლიანად საჩვენებლად სხვადასხვა მიმართულებით, რომელსაც გვიკარნახებს მუზეუმის განყოფილებების შედგენილობა და მათი უმდიდრესი მასალები და მასალების სამეცნიერო დამუშავებაც და მომზადებაც საჭირო გაღრმავებით და სიტყვით დააყენოს.— მეორე ადგილას დგას მუზეუმის შტატის ნაკლულევანება, როგორც მეცნიერ-მუშაკების, ისე ტექნიკური მუშაკების და დაცვის მხრივ; ამ შემთხვევაში ჩვენი მუზეუმის ჩამორჩენა მოსკოვისა და ლენინგრადის ან კიევის მუზეუმებთან შედარებით განსაკუთრებით გულისმომწყვლელია. ამიტომ მუზეუმს არასგზით არ შეუძლია მოსპოს აუცილებლობა მიმართოს ხოლმე დროებით დახმარებისათვის მუშაკებს, რომელნიც უნდა შედიოდნენ მის შტატში.— ბოლოს, მესამე სუსტ მუხლს წარმოადგენს მუზეუმის საოპერაციო საჭიროებათა თანხების ნაკლულევანება, რასაც ნაწილობრივ ხელს უშლის კომუნალური ბანკის სესხის დაფარვის სიმძიმე, რომელიც მოცემულ იქნა 1928 წელს შენობის დასამთავრებლად.

შეჯამება სახავს საქართველოს მუზეუმის შემდგომი განვითარების პერსპექტივებს. მეორე ხუთწლედში მუზეუმში კონცენტრირებული მასალა იმდენად გაიზარდა, რომ, როგორც საგამოფენო, ისე სამუშაო, სალაბორატორიო და სატონდო ადგილის მნიშვნელოვან გაფართოებას მოითხოვენ და ამასთანავე ზრდის ვარაუდით, თუ 20 25 წლით არა, ყოველ შემთხვევაში 10 წლით მაინც. ეს მიღწეული იქნება, როდესაც სახ. კომისართა საბჭოს 932 წლის ივნისის 26-ის დადგენილების თანახმად მუზეუმს გადაეცემა სამრეწვ. ტექნიკუმის, ვანათლების მუშაკთა სახლის და სტამბის შენობები, რომელნიც მუზეუმზეა მიკრული უბნით და მასთან საერთო ეზო აქვთ. ფართობის გადიდების შემდეგ და ამ, სრულიად აუცილებელ, გადიდების კონკრეტულ მონაცემებთან დაკავშირებით და მუზეუმის მოცემული

სიფართოვის გაწვდენისა და ხელახალი დაუბრკოლებელი ზრდის შესაძლებლობასთან ერთად დადგება აგრეთვე საკითხი მის ფუნქციონალურ გარდაქმნაზე განყოფილებათა შემდგომი დაზუსტებითა და მუშაობათა გაღრმავებით, რომლებიც ისაზღვრებიან სოც. აღმშენებლობის ამოცანებით სამუზეუმო ფრონტზე.

ამ ამოცანათა რიცხვში პირველ ალაგს დგანან ამოცანები ექსპოზიციური გაფორმებისა და ამასთან დაკავშირებული მასიური მუშაობისა. მასიური საპოლიტიკანათლებო მუშაობა უნდა გაიზარდოს მუზეუმის ექსპოზიციებზე. აქ თითქმის მთელი მუშაობა ჯერ კიდევ წიხაა. მაგრამ გაშლილი ექსპოზიციების მოცულობა დედამიწის ზედაპირის შექმნისა და ჩვენი მინერალური რესურსებისა და აგრეთვე ფაუნისა და მისი საქართველოს სოციალისტურ მეურნეობაში მნიშვნელობის ისტორიის ჩვენებაშია ცი, რომელნიც მთლიანად ვარკვეული პროგრამით არიან შესრულებულნი, სავსებით არაჰმლის სურათს ისეთი სიფართოვით და ისე დაწვრილებით, როგორც ამის ნებას გვაძლევს მასალა და როგორსაც მნახველებს უნდა მოელოდნ და უფლებაც აქვთ მოითხოვონ კიდევ ცენტრალური სახელმწიფო მუზეუმისაგან. რაც შეეხება ეთნოგრაფიულს, ქვეყნის საზოგადოებრივ-ეკონომიური განვითარების, მისი მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების, საქართველოსა და საზოგადოდ აღმოსავლეთის ხელოვნების განვითარების ძეგლების ექსპოზიციებს, მუზეუმის ქვემდებარე განყოფილებების სხვადასხვანაირი და მდიდარი კოლექციებიდან ისინი პროგრამით ექსპოზიციურად არიან შესრულებული და მშრომელთა თართო მასებისათვის ხელმისაწვდომია მხოლოდ რამდენიმე ცალკე შედარებით მომცრო, ნაწილები პროგრამისა. ხოლო განყოფილებები კავკასიის ფლორისა და კავკასიის არქეოლოგიური აღმოჩენებისა წინა-ფეოდალური ფორმაციებისა სრულებით არ არიან გაფორმებული ექსპოზიციურადაც—და ყველაფერი ეს აიხსნება უპირველეს ყოვლისა ბინის უქონლობით. ამნაირად ექსპოზიციურ მუშაობაში მუზეუმს დიდი ამოცანები უდგას წინ: პირველად, საბუნებისმეტყველო მასალების გაფორმების ხაზით, მეორე—საზოგადოებრივი განვითარების გამოაშკარავების მხრივ საფეხურების ვარკვეული ჩვენებით ადგილობრივი ქართული და კავკასიის მასალების მიხედვით; მესამე—ეთნოგრაფიული მასალის გაფორმების მხრივ, ე. ი. საქართველოს და მის ცალკე რაიონების თანამედროვე ყოფაცხოვრების მონაცემებისა, ცალკეულ საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციების ელემენტებისა, კლასობრივ ბრძოლია და სოციალიზმისაკენ გადასავალი გზების გამორკვევით

მეოთხე—საქართველოს და მის მეზობელ აღმოსავლეთის ქვეყნების ხელოვნების ჩვენების მხრივ.

მეორე ნაწილი წინმდგომი ამოცანებისა, უმუშაოდ და განუშორებელად დაკავშირებული ექსპოზიციურთან,—ეს არის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა, მასალის მხოლოდ დეტალური, ყოველმხრივი დამუშავების ბაზისზე არის შესრულებული თემების ექსპოზიციური გამეორება. ამასთან დაკავშირებით მუზეუმის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს წესიერად მომქმედი და კარგად მოწყობილი ლაბორატორიების, ტექნიკური სახელოსნოების და სხვ. შექმნა, რომელნიც საშუალებას მოგვცემენ მოვაწყოთ კვლევითი მუშაობა თანამედროვე საბჭოთა მეცნიერების მოთხოვნილებათა მთელი სიმკაცრით და ნაყოფიერების ეფექტიანობით.

მუზეუმის წინაშე მდგომი ამოცანების მესამე ნაწილს, რომელიც სამეცნიერო მუშაობის გაღრმავებით განისაზღვრება, წარმოადგენს მუზეუმის საგამომცემლო განყოფილება. მუზეუმის მუშაკთა მიერ წინა წლებში წარმოებულ სამეცნიერო გამოკვლევათაგან აუარებელი დაგროვდა რედაქციის პარტფელში, რომელიც ახლაც ვადიდებას განაგრძობს, უმაღლესი ორგანოების წინადადებით თავის ფრიად სწრაფ ლიკვიდაციას მოითხოვს. ამასთან ერთად გამოკვლევათა დროული გამოქვეყნება საჭირო ბაზისსა ჟმნის შემდგომ გამოკვლევათათვის და მუზეუმს ემსახურება გამოცემებით გაცვლის ობიექტად სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან როგორც ს. ს. ს. რ., ისე საზღვარგარეთისა, რაც უზრუნველყოფს სამეცნიერო მიღწევების განუწყვეტელ შევსებას და ვაცნობას. მეორე მხრით, მხოლოდ იმავე მასალების მეცნიერულად დამუშავების მტკიცე საფუძველზეა შესაძლებელი აშენება მთელი მასობრივი ლიტერატურისა, გზამკვლევისა და სხვ., რომელთა უქონლობაც ასე ძლიერ აფერხებს მასობრივ-ექსპოზიციურ მუშაობას.

